

მართლმსაჯულება **1**'14  
კანონი

**Justice and Law** Legal Journal  
#1(40)'14

N1(40)'14

მართლმსაჯულება



კანონი

**რედაქტორი**  
**ნინო ძიდიგური**

რედაქტორის თანაშემწე  
ირმა ბეჟაური  
ნომერზე მუშაობდნენ:  
ინგა ალავიძე, მარინე ვასაძე  
თარგმანი:  
თამარ ნეფარიძე  
დიზაინი:  
ბესიკ დანელია  
ფოტორეზურველყოფა:  
დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:  
დინა ბერეკაშვილი  
თამარ ზამბახიძე  
ინგა კვაჭანტირაძე  
კონსტანტინე კუბლაშვილი  
ზაზა მიშვილი  
ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:  
DIANA BEREKASHVILI  
TAMAR ZAMBAKHIDZE  
INGA KVACHANTIRADZE  
KONSTANTINE KUBLASHVILI  
ZAZA MEISHVILI  
VALERI TSERTSVADZE

**Editor:**  
**NINO DZIDZIGURI**

Assistant to Editor:  
IRMA BEKAURI

The issue was prepared by  
INGA ALAVIDZE, MARINE VASADZE

Translated by  
TAMAR NEPHARIDZE

Designed by  
BESIK DANELIA

Photo support by  
DAVIT KHIZANISHVILI



საპარტვილოს მოსამართლეთა  
ასოციაცია  
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების  
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება  
კომერციული მიზნით, საქართველოს  
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს  
უზენაესი სასამართლოს წერილობითი  
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

*English version of articles has been provided by Candidates  
of Law faculty of Tbilisi State University*

უბკ (UDC) 340.11+ 340.130.5  
მ-306

ISSN 1512-259X

5	კონსტანტინე კუბლაშვილი: „დამოუკიდებელი სასამართლოს საყრდენი კანონი, პრინციპულობა და ობიექტურობა“ KONSTANTINE KUBLASHVILI: “LAW, ADHERENCE TO PRINCIPLES AND IMPARTIALITY – PILLARS OF INDEPENDENT JUDICIARY”
16	ლელია კოხრეიძე მამობის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვის თავისებურებანი PECULIARITIES OF DISPUTES RELATED TO FILIATION LELA KOKHREIDZE
38	მურმან გორგოშაძე პაციენტის რელიგიური უფლებები და მისი შეზღუდვის საფუძვლები RELIGIOUS RIGHTS OF A PATIENT AND GROUNDS FOR ITS LIMITATION MURMAN GORGOSHADZE
46	ლევან დარბაიძე ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის დასაწყისი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ცდა? BEGINNING OF THE HISTORY OF GEORGIAN PARLIAMENTARIANISM, OR AN ATTEMPT TO LIMIT THE STATE POWER? LEVAN DARBAIDZE
60	გიორგი თორდია ბუნდესრატის მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში გერმანიის ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მიხედვით INVOLVEMENT OF BUNDESRAT IN LEGISLATIVE PROCESS UNDER THE ARTICLE 76 OF THE BASIC LAW OF GERMANY GIORGI TORDIA
68	ია ხარაზი, დავით გეგერიძე საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ ON LEGAL REGULATION OF INTERNATIONAL TRADE OF GOODS IA KHRAZI, DAVIT GEPERIDZE
91	გიორგი ამირანაშვილი გინანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან CLAIM FOR DAMAGES ASSERTED AGAINST A THIRD PERSON GIORGI AMIRANASHVILI
101	დავით ათაბეგაშვილი აუცილებელი გზის საკითხი სამეზობლო ურთიერთობებში ISSUE OF NECESSARY RIGHT OF WAY IN NEIGHBOR RELATIONS DAVIT ATABEGASHVILI

109

მიხეილ გაბუნია  
მემთვრალეობის (ალკოჰოლიზმის) კრიმინოლოგია  
CRIMINOLOGY OF ALCOHOLISM  
MIKHEIL GABUNIA

---

118

ზურაბ სეფიაშვილი  
საჯარო სამსახურში სამსახურის გავლის წესის ზოგიერთი  
სამართლებრივი ასპექტები  
SOME LEGAL ASPECTS OF EMPLOYMENT REGULATION AT PUBLIC  
SERVICE  
ZURAB SEPIASHVILI

---

128

ეკატერინე ნინუა  
ანდერძი, როგორც სამკვიდროს მიღების ერთ-ერთი  
საშუალება  
THE WILL, AS ONE OF THE MEANS OF RECEIVING THE INHERITANCE  
EKATERINE NINUA

---

# „დამოუკიდებელი სასამართლოს საყრდენი კანონი, პრინციპულობა და ობიექტიურობა“

უმენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი 2013 წელს ქვეყნის მართლმსაჯულებისათვის საკმაოდ რთულ წლად მიიჩნევს. „ყველამ კარგად იცის, ხელისუფლების მხრიდან, როგორი ზეწოლის ქვეშ იყო სასამართლო სისტემა, ყველა უსმენდა და უყურებდა ამ ამბავს და ამიტომაც, დასამალი არაფერია. თუმცა, მეორე მხრივ, ყველაზე კარგად გამოჩნდა, თუ როგორი დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა გვაქვს. კარგად გამოჩნდა, 2005 წლიდან, როცა რეფორმა დავიწყეთ, როგორი სწორი მიმართულებით წავედით. 9-წლიანმა თანმიმდევრულმა რეფორმამ მოგვიტანა ის, რომ 2013 წელს სასამართლო სისტემა ძალზე მყარად იდგა და დაიცვა, როგორც თავისი დამოუკიდებლობა, ასევე, მართლმსაჯულების პრინციპები,“ – აცხადებს უმენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი, რომელთან ვრცელ ინტერვიუსაც ქვემოთ გთავაზობთ.

ქვეყნის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო სისტემამ შემართებით და პრინციპულობით გააგრძელოს საქმიანობა. გასული წლის მოვლენებს, რომელიც სასამართლოს შეეხო, იმ მიმართულებითაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რომ ყველამ დაინახა თუ რა მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი სასამართლო, რომლის გარეშეც ევროპისკენ სვლა ძალიან რთული იქნება. აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ევროპელ კოლეგებს და პარტნიორებს, რომლებიც ძალიან გვეხმარებოდნენ რთულ პერიოდში, რადგან მათ ძალიან კარგად ესმით, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს დამოუკიდებელ სასამართლოს.

■ საინტერესოა, ევროპელ ექსპერტთა შეფასებები, თქვენ მუდმივი შეხვედრები გაქვთ მათთან, როგორ აფასებენ ქართული მართლმსაჯულების მუშაობას?

– როგორც გითხარით, უცხოელი პარტნიორები ამ რთულ პერიოდში მუდმივად გვერდით გვედგნენ, მაგრამ განსაკუთრებით მინდა მოვიხსენიო აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი და ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი, რომლებიც მუდმივად იმყოფებოდნენ ჩვენთან კავშირზე და მათი დამსახურებაა, რომ ხელისუფლების მხრიდან სასამართლოს მიმართ გამოხატული მკვეთრად უარყოფითი მიდგომა 2013 წლის გაზაფხულზე შეიცვალა. ხელისუფლებამ ღიად თქვა, რომ მას სურს დამოუკიდებელი სასამართლო და თითქმის მთლიანად შეწყდა ღია ზეწოლის მცდელობები. ყველამ დაინახა, რომ ევროპელების და ამერიკელების კონსულტაციების შედეგად, ხელისუფლება მიხვდა, რომ ასე არ შეიძლება, რომ თუ ქვეყანა ევროპისკენ უნდა წავიდეს და მაღალ სტანდარტებზე აეწყოს, სასამართლო სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა დაუშვებელია. ყველაზე მეტად ხაზი მინდა გავუსვა, მოსამართლეთა პრინციპულობას. მათ რომ არ გამოეჩინათ განსაკუთრებული პრინციპულობა ვერავინ გვიშველიდა, რადგანაც, ყველა ხედავდა, რომ სასამართლო სისტემა ძალიან მყარად იცავდა დამოუკიდებლობის პრინციპებს და დასავლეთის მხარდაჭერაც ამიტომ მოვიპოვეთ. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ ამ პროცესებში ჩართული იყო თომას ჰამარბერგი, რომელიც მთავრობასა და ჩვენს შორის გარკვეული მოკავშირის ფუნქციას ასრულებდა. შეხვედრებისას ყველას ვუხსნიდით, რომ ჩვენი მიზანი დამოუკიდებელი სასამართლოა, რომ მას ალტერნატივა არ აქვს, რომ ქვეყნის განვითარება დამოუკიდებელი სასამართლოს გარეშე წარმოუდგენელია.

**ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სრულ მხარდაჭერას გიცხადებდათ, თქვენს მიმართ მან არა ერთხელ გამოთქვა დადებითი შეფასებები. დამეთანხმებით, რომ ფაქტი, როცა ის უზენაეს სასამართლოს ეწვია, უფრო**

**პოლიტიკური აქტი იყო, რითაც საზოგადოებას დაანახა მისი დამოკიდებულება სასამართლო სისტემისადმი.**

– გეთანხმებით, მაგრამ სწორედ იმ ყველაფრის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, შედეგი იყო, რაც შემდეგ მოხდა. ახალ ხელისუფლებას არ ჰქონდა საქმე 2003-2004 წლების სასამართლოსთან, რომელიც თითქმის მთლიანად კორუპციული იყო, ეს შედეგებმაც დაგვანახა, როცა იმ წლებში 15 მოსამართლე ქრთამის აღებისათვის დააკავეს, სამჯერ 15-მა კი, თავად დაწერა სამსახურიდან წასვლაზე განცხადება, როცა დაინახა რა ბედი ელოდა. ის სისტემა იდგა კორუფციამ და ამიტომაც დაიშალა. 8 წლის შედეგად ჩვენ მივალწიეთ იმას, რომ მყარი სისტემა ჩამოვყალიბეთ, რომელსაც საფუძვლად პროფესიონალიზმი, კვალიფიკაცია და პრინციპულობა უდევს. ამიტომაც, როდესაც დაინახეს, რომ ამ სისტემის წინააღმდეგ წასვლა ქვეყნის წინააღმდეგ წასვლის ტოლფასი იქნებოდა, შეარყევდა მთლიანად ქვეყანას, სიტუაცია შეიცვალა. ახალ ხელისუფლებას სწორედ ამას ეუბნებოდა მთელი მსოფლიო და ბიძინა ივანიშვილმაც ეს მნიშვნელოვანი ფაქტი ძალიან კარგად აღიქვა. მისი დამსახურება სწორედ ისაა, რომ მოვიდა სასამართლოში და თქვა ეს ყველაფერი. მართალია, სასამართლო სისტემაშიც იყო ხარვეზები, რაც ყველა ქვეყანაშია, მაგრამ მათი გამოსწორება სასამართლოზე და მოსამართლეებზე შეტევით არ ხდება. სხვათა შორის, ის, რომ მოსამართლეთა ხელფასები გაიზარდა, სწორედ ჩვენი სწორი საქმიანობის შედეგი იყო. სასამართლოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი მოსამართლეთა ფინანსური გარანტიებია. ეს სწორად გაიზარა ახალმა ხელისუფლებამაც, მან აჩვენა, რომ სურს სასამართლოს ფინანსურად ხელი შეუწყოს, რათა დამოუკიდებლობა განავითაროს.

**ბატონო კოტე, ბოლო პერიოდში, ამჯერად, ყოფილი ხელისუფლების წარმო-**





მადგენლები აკრიტიკებენ სასამართლო სისტემას. ცოტა ხნის წინათ, ვანო მერაბიშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ჩვენ ჯეროვნად ვერ მივხედეთ სასამართლოსო. ბაჩო ახალაიას როცა განაჩენი გამოუტანეს, გაკეთდა განცხადებები, რომ ეს „კანონიერი ქურდების“ მიერ გამოტანილი განაჩენია და ა.შ. თუ ახალი ხელისუფლება სასამართლოს ნაციონალური ხელისუფლების შეკვეთაში ადანაშაულებდა, ახლა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სასამართლო ამჟამინდელი ხელისუფლების ზეწოლის ქვეშაა. რა ხდება რეალურად?

– ახლა კონკრეტულ საქმეებზე ვერ ვისაუბრებ, რა თქმა უნდა, თითოეულ მათგანზე მაქვს ჩემი აზრი, მაგრამ მათ შესახებ ჩემგან საჯაროდ საუბარი არ შეიძლება. თუმცა, სასამართ-

ლო ორივე მხარის პოზიციას ვერ გაიზიარებს და სასამართლოს გადაწყვეტილებით ორივე მხარე ვერ იქნება კმაყოფილი. ამიტომაც, არის უკმაყოფილო მხარე, რომელიც ცდილობს თავის უდანაშაულობა საზოგადოების თვალში სასამართლოს არაობიექტურობას დააბრალოს.

არის მეორე ვარიანტიც. როდესაც სასამართლო რომელიმე მხარის სასარგებლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, აცხადებენ, სასამართლომ ობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა და არავის აქვს უფლება სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩაერიოსო. ასეთი განცხადებებიც ძალზე ხშირია.

ჩემი აზრით, ამ სიტუაციაში მთავარია, რომ სასამართლო იყოს თანმიმდევრული და გადაწყვეტილებები სახელებისა და გვარების მიხედვით კი არ გამოიტანოს, საქმის მასალებიდან გამომდინარე, მიიღოს ობიექტური და



კანონიერი გადაწყვეტილება. შედეგად კი, იმას მივიღებთ, რომ პოლიტიკური პარტიებიც და ნებისმიერი მხარე საბოლოოდ დარწმუნდება სასამართლოს დამოუკიდებლობაში და მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, თუნდაც მიუღებელი იყოს რომელიმე მხარისათვის, ასეთ უსაფუძვლო ბრალდებას აღარ დაიმსახურებს. ჩვენი მიზანიც სწორედ ესაა – სასამართლომ, მოსამართლეებმა თავისი საქმიანობით უნდა დაადასტურონ, რომ სასამართლო დამოუკიდებელია და მისი ერთადერთი საყრდენი კანონი და ობიექტურობაა.

სასამართლო სისტემაში 9 წელია რეფორმა მიმდინარეობს და თამამად გეტყვი, რომ ბევრი ქვეყნისათვის მისაბაძი სისტემა ჩამოვაყალიბეთ, თუმცა, ეს დრო მაინც არ არის საკმარისი იმ მიზნის საბოლოოდ მისაღწევად, რისკენაც ვისწრაფით. ხარვეზები, პრობლემები არსებობს და ეს ჩემზე კარგად არავინ იცის.

#### და რა არის ეს პრობლემა?

– რა თქმა უნდა, პრობლემები არსებობს. მაგალითად, მოსამართლეთა 100 პროცენტს არა აქვს დამოუკიდებლობის სრული განცდა. არიან მოსამართლეები, რომლებმაც ვერ გაბედეს, რალაცეების გამო შეიკავეს თავი და ვერ მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. ახლა კონკრეტულად არ დავასახელებ, მაგრამ ერთ-ერთ საქმეზე მოსამართლემ ისეთი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო, რომ ფაქტობრივად, ხაზი გადაუსვა რაც აქამდე დადებითი გაკეთებულა სისტემაში. ეს ჩემი აზრია, ვერ დავასახელებ კონკრეტულ საქმეს და მოსამართლეს, მაგრამ მინდა ფაქტის შესახებ გითხრა, არ მინდა დამალო და ვერც დავმაღავ მსგავს ფაქტებს.

იცით რატომ ვამბობ ამას? როცა მოსამართლე კორუფციაშია ჩართული, მომხრე ვარ ის ნებისმიერი გზით წავიდეს სასამართლოდან, მაგრამ როცა ადამიანი არის პატიოსანი, არის კვალი-

ფიციური, მაგრამ რალაცის გამო ვერ ადის იმ სიმალლეზე, რომ მიიღოს პრინციპული გადაწყვეტილება, რჩება ერთადერთი გზა, მას უნდა ჩაუტარდეს უფრო მეტი ტრენინგი, უფრო მეტად აიმაღლოს კვალიფიკაცია, რათა უფრო მეტად თავდაჯერებული გახდეს. ყოველთვის ვამბობდი, რომ მოსამართლეთა კვალიფიკაციის გაზრდაზე მუშაობა ჩვენი პრიორიტეტი არის და იქნება. რაც უფრო მაღალი კვალიფიკაციისაა მოსამართლე, მით უფრო მეტად თავდაჯერებულია, ეს კი, პირდაპირ კავშირშია მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდასთან.

**ბოლო პერიოდში, სასამართლოს მიერ გამოტანილი ასე ვთქვათ, ლმობი-ერი გადაწყვეტილებები ძალზე თვალშისაცემია, ადვოკატები აცხადებენ, რომ დღეს სასამართლო ხელისუფლების ბეწოლას არ განიცდის, რა შეიცვალა რეალურად ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სისტემაში?**

– ჩვენ რეფორმის შედეგად შევექმნით სისტემა, რომელიც გამორიცხავდა ნებისმიერ ჩარევას მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში. სა-მოსამართლო კანდიდატს იმდენი ბარიერის გადალახვა უწევდა, რომ გამორიცხული იყო ჩარევის რაიმე მცდელობა. რა თქმა უნდა, ამას წლები დასჭირდა, რათა ამ დონისთვის მიეღწიათ, მაგრამ ფაქტი, რომ ისინი ყოველგვარი ჩარევის გარეშე იყვნენ დანიშნული და მათთვის საქმიანობისას დამოუკიდებლობა მნიშვნელოვანია, ახლა გამოჩნდა.

როგორც გითხარით, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, დიდი საფრთხე არსებობდა და მოსამართლეებმა ის თავიდან აიცილეს. მოსამართლეს იცავს მის მიერ გამოტანილი ობიექტური და პრინციპული გადაწყვეტილება. ამას აკეთებენ საკუთარი თავის, ღირსების დასაცავად და მთელი სისტემის დასაცავად. 2005 წლის შემდეგ დავნიშნეთ 180-მდე ახალი

მოსამართლე, რასაც ძველი მოსამართლეებიც დაემატა, რომლებიც კვალიფიციურები და კეთილსინდისიერები იყვნენ და სწორედ ისინი გვაძლევენ იმ შედეგს, რაც გვაქვს.

გეტყვით, რომ ახალი ხელისუფლება ცდილობს არ ჩაერიოს მათ საქმიანობაში. გეტყვით იმასაც, რომ შესაძლოა, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი, თავისი პირადი ინიციატივით ცდილობს მოსამართლეთა საქმიანობაში ჩარევას, თუმცა, უშედეგოდ. საერთოდ, მსგავს ფაქტებს ხელისუფლების მხრიდან არა აქვს სისტემური და კომპლექსური ხასიათი.

**თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის სრული გარანტი გარდა ფინანსური დამოუკიდებლობისა, არის მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა. კონსტიტუციაში შესული ცვლილებით მოსამართლეები დანიშნებიან უვადოდ, თუმცა, მხოლოდ 3-წლიანი საგამოცდო ვადის შემდეგ. ვინ უნდა ჩაატაროს მონიტორინგი და რა კრიტერიუმებით შეირჩევიან უვადოდ დასანიშნი მოსამართლეები?**

– ჩვენთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხია. ეს ნორმა სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპებს ეწინააღმდეგება, სასამართლოს საქმიანობაში უხეში ჩარევა და მოსამართლეთა საქმიანობას დიდ საფრთხეს უქმნის. მოსამართლეს, რომელიც სამიწლითაა დანიშნული, დააკვირდებიან, მისი დანიშვნა კი, დამოკიდებულია სუბიექტურ მოსაზრებაზე. მონიტორინგს ატარებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელმაც უნდა შეაფასოს მოსამართლის გადაწყვეტილების ხარისხი, დასაბუთებულობა, უნდა გამოთქვას მისი სუბიექტური აზრი. თუ მას არ მოეწონება რომელიმე მოსამართლის გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, ასეთი მოსამართლე არ დაინიშნება უვადოდ. არც ერთ ქვეყანაში არ

არსებობს სისტემა, სადაც გარდა ზემდგომი მოსამართლისა, ვინმეს აქვს უფლება შეამოწმოს ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ამიტომაც, ვამბობ, ეს არის სასამართლოს დამოუკიდებლობაში, საქმიანობაში პირდაპირი ჩარევა.

მონიტორინგის განმახორციელებელ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გარდა მოსამართლეებისა, არიან პარლამენტის მიერ დანიშნული წევრებიც, რომლებიც ძალზე ხშირად, ღიად აფიქსირებენ უარყოფით განწყობას სასამართლოს მიმართ და ასეთი მიდგომით ძალიან რთული იქნება ობიექტური გადაწყვეტილების მიღება. გარდა ამისა, არსებობს საშიშროება, რომ მოსამართლე იმუშავეს მხოლოდ თავის თავზე, რათა ვინმე არ გაანაწყენოს, თავი მოაწონოს შემფასებლებს და მხარეების ინტერესი აღარ იქნება გათვალისწინებული.

ამიტომაც, ამ საკითხზე ჩვენ ვერასდროს შევთანხმდებით. ჩვენი პრინციპული მიდგომა არის ასეთი, რომ ეს ნორმა საერთოდ გავაუქმოთ. სამწლიანი დანიშვნა არ გვჭირდება, რადგანაც გვაქვს უკვე ძალზე დახვეწილი დანიშვნის სისტემა და მოსამართლეებზე ზედმეტი დაკვირვება არ არის საჭირო. თანაც, თუ ეს დაკვირვება დამოუკიდებლობას უქმნის საფრთხეს.

ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს ვიყავით ამ ნორმის წინააღმდეგი, როცა ჩაწერეს კონსტიტუციაში, რომ შესაძლებელია ამოქმედდეს სამწლიანი საგამოცდო ვადა. ამ ხელისუფლებამ კი, ეს ნორმა ვალდებულებად გადააქცია და დააკანონა. თანაც, ძალზე აბსურდული ფორმით. მაგალითად, მოსამართლეები, რომლებიც 10-წლიანი ვადით არიან დანიშნული, ვადის გასვლის შემდეგ 3-წლიანი საგამოცდო ვადით დაინიშნებიან.

ვენეციის კომისია, საერთოდ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც ამ ნორმის წი-

ნააღმდეგნი არიან, თვლიან, რომ არ შეიძლება მისი ასეთი ფორმით ამოქმედება, რადგანაც ის უხეში ჩარევაა სასამართლოს საქმიანობაში. ჩვენი პოზიცია ასეთია: თუ ეს ნორმა მაინც დარჩება, მაშინ უნდა შეიცვალოს დანიშვნის კრიტერიუმები. უფრო ზუსტად, მოსამართლე-ვერ უნდა დაინიშნოს უვადოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს ან დაარღვევს ეთიკის ნორმებს.

### როგორია მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის უცხოური პრაქტიკა?

– როცა ამ ნორმაზე მიდიოდა მსჯელობა, წამოვაცენე წინადადება, რომ გერმანიის ვარიანტი გაგვეზიარებინა. გერმანიაში მოსამართლეები ინიშნებიან 3-5-წლიანი გამოსაცდელი ვადით, მაგრამ თუ ამ პერიოდში ის ჩაიდენს მოსამართლის საქმიანობისათვის შეუფერებელ საქციელს, მას უვადოდ არ დანიშნავენ.

გამოსაცდელი ვადა ევროპის სხვა ქვეყნებშიცაა, მაგრამ განსხვავება ჩვენსა და ევროპულ მოდელს შორის ისაა, რომ ევროპული მოდელი გამოსაცდელი ვადისას, მოსამართლეთა საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელებას არ ითვალისწინებს. გამოსაცდელი ვადის შემდეგ, თუ მოსამართლემ არ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული ან ეთიკური ნორმები არ დაარღვია, უვადოდ ინიშნება. თანაც, აღსანიშნავია, ეს ქვეყნები მიდიან იქით, რომ მოსამართლეები უვადოდ, ყოველგვარი გამოსაცდელი ვადის გარეშე დაინიშნონ.

როგორც გითხარით, ჩვენ ევროპულ გამოცდილებას ვიზიარებთ და ხელისუფლებას ვაძლევთ რეკომენდაციას: მოსამართლე უვადოდ ვერ უნდა დაინიშნოს იმ შემთხვევაში, თუ ჩაიდენს სისხლის სამართლის დანაშაულს ან დაარღვევს ეთიკის ნორმებს. ამავე ამრისაა ვენეციის კომისიაც და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

### როგორ ფიქრობთ, გაითვალისწინებს ხელისუფლება ამ რეკომენდაციებს?

– იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება გაითვალისწინებს ჩვენს პოზიციას. თუ მათი სურვილია, რომ სასამართლო იყოს ბოლომდე დამოუკიდებელი, მათ საღ ამრს უნდა დაუჭირონ მხარი.

### ბატონო კოტე, მოსამართლეთა 3-წლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნა წინა და ამჟამინდელი ხელისუფლების პერიოდშიც განსჯის ობიექტი იყო. ვერც წინა და ვერც დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ გადადგა ის ნაბიჯი, რომ მოსამართლეები უვადოდ, უპირობოდ დანიშნონ. რატომ ვერ ელევინა სასამართლო ხელისუფლებას?

– ყველა ხელისუფლების ბუნებრივი ინსტიქტია ძალაუფლების გაძლიერება, ამ სურვილში ხელს მათ სასამართლო უშლის. ხელისუფლების მცდელობა სასამართლოზე ზეწოლის ბერკეტები გამოიყენოს, საბოლოოდ, თავად ხელისუფლებას ღუპავს და რაც მთავარია, ქვეყნის განვითარებას აფერხებს. ქვეყანაში, სადაც სასამართლო არ არის დამოუკიდებელი და ის ხელისუფლების გავლენის ქვეშაა, ვერ ვითარდება ბიზნესი, არ ხორციელდება ინვესტიციები.


ყოველთვის ვამბობდი და ყველას ყოველთვის ვეტყვი, თუ ვინმე შეძლებს და სასამართლო ბოლომდე დამოუკიდებელი გახდება, ის ხელისუფლება ოქროს ასოებით ჩაეწერება ისტორიაში. დამოუკიდებელი სასამართლო იქნება ამ თუ სხვა ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი მიღწევა და უპირველესად, ეს იქნება ქვეყნის მიღწევა. ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების მყარი საძირკველი უნდა ჩაასხას – შექმნას დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო, რომელზეც ძლიერი და განვითარებული ქვეყანა ადვილად აშენდება. როგორც კი, ეს საძირკველი შეირყევა, ქვეყნის ნგრევეაც დაიწყება.



# “LAW, ADHERENCE TO PRINCIPLES AND IMPARTIALITY – PILLARS OF INDEPENDENT JUDICIARY”

KONSTANTIN KUBLASHVILI, Chief Justice of the Supreme Court, thinks that 2013 was quite a difficult year for the judiciary of the country. “Everybody knows well how influenced the judiciary was by the state power. Everybody listened to and watched it and this is why there is nothing to hide about it. However, on the other hand, it was demonstrated pretty well what an independent judiciary we have. It has been evident since 2005, when we started the reform, what a right direction we have been pursuing. An 9-year coherent reform resulted in a sustainable judiciary, which managed to secure its independence, also the principles of justice,” – said Konstantine Kublashvili, Chief Justice of the Supreme Court, interviewed below.

– It is of vital importance for the country that the judiciary proceed with its activities with commitment and in adherence to principles. Events of the last year, which also dealt with the judiciary too, was very important as far as everybody could see how important the independent judiciary is, without which it will be very difficult to move towards Europe. I would like to hereby thank our European colleagues and partners, who have been assisting us a lot when we were experiencing hard times, as far as they understand very well how important the independent judiciary is.

 It is interesting to hear the evaluations by European experts. You have permanent meetings with them, and how are they evaluating the performance of the Georgian justice?

– As I have already mentioned, the foreign partners have always been supporting us during these hard times, but especially I would

like to mention the US Ambassador to Georgia Richard Norland and the EU Ambassador to Georgia Philip Dimitrov, who were always in touch and it is thanks them that the authorities' clearly negative attitude towards the judiciary changed in spring of 2013. The authorities openly said that they want an independent judiciary and the attempts of open influence have stopped almost completely. Everybody saw that after consultations of Europeans and Americans the authorities realized that it could not be like this, and if the country is supposed to move towards Europe and be tuned up according to higher standards, it is inadmissible to fight against the judiciary. Most of all I would like to underscore the adherence to principles by judges. Without being especially committed to principles, nobody would be able to help us, as far as everybody saw that the judiciary was very firmly abiding by the principles of independence and this is exactly why we gained support of the west. Besides, I would like to point out that Tomas Hammarberg was involved in this process, who acted as a certain kind of an ally between the government and us. We were explaining to everyone during the meetings that our goal is to have an independent judiciary, and that there is no alternative to it, and that the state development is unimaginable without the independent court.

**The ex-prime minister Bidzina Ivanishvili declares full support to you, and he has often made positive evaluations about you. You will agree that his visit to the Supreme Court was more a political act for showing his attitude towards the judiciary to the public.**

– Yes, I agree with you, but the subsequent developments were the consequences of all the above-mentioned developments. The new authorities were not dealing with the judiciary of

2003–2004, which was corrupt almost completely, and this was revealed by the results: 15 judges were arrested for taking bribes during those years, and three times 15 wrote a resignation letter when they say what they might have faced. The system was based on corruption and this is why it collapsed. After 8 years we succeeded in establishing a solid system, which is based on professionalism, qualification and adherence to principles. This is why the situation changed when they say that moving against this system would equal to moving against the country that would shake the whole country. This is what the whole world was telling the new power, and Bidzina Ivanishvili acknowledged this important fact very well. We highly appreciate that he came to the court himself and said all this.

It is true that there were some imperfections within the judiciary, as it is the case in all the other countries, but they cannot be rectified by attacking the judiciary and the judges. By the way, it was due to our right steps that the salaries of judges increased. One of the important safeguards of the judiciary independence is the financial security of judges. This is what the new authorities have acknowledged. They demonstrated that they want to provide financial support to the judiciary in order to develop independence.

**Mr Kublashvili, now it was the former authorities that were criticizing the judiciary recently. Just a little time ago Vano Merabishvili stated during his trial that they had failed to pay due attention to the judiciary. When Bacho Akhalaia was sentenced, there were some statements made that this is the judgment passed by the “thieves in law”, etc. The new authorities used to blame the judiciary of satisfying the demand of the National Movement authorities; however, now the**

**representatives of former authorities are stating that the judiciary is influenced by the current authorities. What is happening there in fact?**

– I cannot speak about particular cases now, of course. I have my own opinion regarding each of them, but now I cannot discuss them publicly. However, the court cannot share the position of both parties, and both parties cannot be satisfied with the same court judgment. This is why there is a dissatisfied party, which tries to claim its innocence and put the blame on the biased court.

There is another variant. When the court passes a judgment for the favor of any party, then they declare that the court passed an objective judgment and nobody has the right to interfere in the court independence. Such statements are very often made.

I think that in this situation it is important for the court to be consistent and pass judgments not according to the names and surnames, but to make an objective and lawful decision based on case materials. As a result, political parties and any other side will ultimately be convinced in the court independence, and the passed judgments, even if it is unacceptable for any party, will not deserve such a groundless accusation. This is what our goal is – the court, the judges should prove with their performance that the judiciary is independent and that the law and objectivity are the only pillars for it.

There has been a reform going on for 9 years within the judiciary, and I can openly say that we have established a system that can be a role model for many countries. However, this is still not enough time for reaching the ultimate goal we are striving for. There are some imperfections and problems, and nobody knows it better than I do.

**And what problem is this?**

– There are problems indeed. For example, 100 percent of judges do not have a complete feeling of independence. There are judges who failed to have courage, or decided to abstain for some reasons and did not make relevant decisions. I am not specifying a particular case now, but a judge has made such an ungrounded decision in one of the cases that in fact cleared away all the positive things that had been done so far within the system. It is my opinion, and I cannot specify a particular case and a judge, but I want to tell you about the fact. I do not want and I cannot hide the facts like this.

Do you know why I am saying this? When a judge is involved in corruption, I support the idea of letting him/her leave the court any way, but if a person is honest and qualified, but cannot reach higher standards and cannot pass a decision based on principles, then there is only one solution: more trainings should be provided to him/her to make it possible to upgrade qualification and make him/her more self-confident. I have always kept saying that it is and will be our priority to take care of upgrading the qualification of judges. The higher qualification a judge possesses, the more self-confident s/he is, and this is directly linked to upgrading the level of his/her independence.

**The recent and let's say, lenient judgments passed by the court are very evident. Defense lawyers are stating that today the judiciary is free from influence from the authorities. In fact, what has changed there in the system since the new authorities came into power?**

– We have created a system as a result of the reform, which excluded any interference in the pro-



cess of judicial appointment. A judicial candidate had to overcome so many barriers that it was impossible to have some room left for any interference. Of course, it took years to achieve this level, but the fact that they have been appointed without any involvement and that the independence is important for them while carrying out their duties, has become visible just now.

As I have already mentioned, after the new authorities came into power, there was a big threat and the judges managed to avoid it. A judge is protected by an objective and principles-based decision s/he has passed. They do it for protecting their own self, their own dignity and the whole system. We have appointed about 180 new judges since 2005, and this number increased by adding old judges with respective qualification and integrity, and they are the ones who have brought us the results as we see it now.

Let me say that the new authorities are not trying to interfere in their activities. Let me also say that possibly some official representatives are trying to interfere in the activities of judges based on their personal initiatives, though in vain. In general, these facts do not have a systemic or complex nature from the side of officials.

**You were always saying that other than financial independence, another absolute safeguard for the judiciary independence is the life appointment of judges. Based on the constitutional amendments, judges will be appointed for life, although only after passing a 3-year trial period. Who should perform the monitoring and what criteria will be used for selecting the judges for life appointment?**

– This is one of the most problematic issues for us. This norm is against the principles of judiciary

independence; it is a gross interference in judicial activities and poses a big threat to the activities of judges. A judge, who has been appointed for three years, will be monitored, and his/her appointment depends on a subjective opinion. The monitoring is performed by a member of the High Council of Justice, who should evaluate the quality of judge's decision, reasoning and should express his/her subjective opinion. If s/he does not like reasoning of any judge, then this judge will not be appointed for life. There is no system in any of the countries where anyone but the superior judge would be able to check the decision of a court of a lower instance. This is why I am saying that this is a direct interference in the independence and activities of the court.

Other than judges, the High Council of Justice, which is a monitoring body, is also comprised of the members appointed by the Parliament, who very often clearly state their negative disposition towards the court, and with such attitudes it will be very difficult to make an objective decisions. Besides, there is a threat that the judge will be working only for himself so that not to make anyone dissatisfied, to act the way to be liked by evaluators and thus the interests of parties will not be taken into account any more.

This is why we will never reach any agreement on this issue. Our fundamental approach is to completely annul this regulation. We do not need a three-year appointment, as far as we already have a very refined appointment system and there is no need for extra monitoring over judges, especially if such monitoring jeopardizes their independence.

We have been against this regulation even during the rule of previous power, when they wrote in the Constitution that it is possible to activate a three-year probation period. The present-day authorities made this norm mandatory and legal-



ized it, and by the way, in a very absurd form. For example, the judges who have been appointed for the term of 10 years, after the expiration of this term will be appointed for another 3-year probation period.

The Venice Commission, and in general, all the international organizations and local non-government organizations are against this norm. They consider that it cannot be activated this way, as it is a gross interference in judicial activities.

Our position is: if this norm still remains, then the appointment criteria should change. More specifically, a judge cannot be appointed for life if s/he commits a crime or violates ethical norms.

**What is a foreign practice of life appointment of judges?**

– When this norm was being discussed, I made a proposal to replicate the German experience. Judges are appointed for a trial period of 3–5 years in Germany, but if they commit anything improper, which is incompatible with judicial duties, then s/he will not be appointed for life.

There are probation periods exercised in other countries of Europe as well, but the difference between the European and our models is that the European model does not take into account the monitoring over the activities of judges during the trial period. After the probation period, if the judge does not commit a crime or does not violate ethical norms, s/he is appointed for life. Besides, it is also noteworthy that these countries are now heading towards life appointment of judges, without any probation period at all.

As I have already told you, we are sharing the European experience and we are recommending the authorities: a judge shall not be appointed for life

if s/he commits a crime or violates ethical norms. The Venice Commission and other international organizations share this opinion.

**What do you think, will the officials take these recommendations into account?**

– I hope that the authorities will take our position into account. If they wish to have a completely independent judiciary, then they should support a common sense.

**Mr Kublashvili, appointment of judges for a 3-year probation period has been a subject of discussion during former and current authorities. However, neither of them could take a step for the unconditional life appointment of judges. Why they just cannot part with the judiciary power?**

– It is a natural instinct of any authorities to strengthen its powers, but the judiciary is a hindrance for them to realize their wish. The attempt of authorities to influence the judiciary with some levers ultimately ruins the authorities and most importantly, hinders the development of the state. No business will develop or no investments will be made in the country where the judiciary is not independent and is influenced by the authorities.

I was and will be saying always that if anyone succeeds in making the judiciary power fully independent, then the names of such officials will be engraved with gold letters in the history. The independent judiciary will be the most significant achievement of this or any other authorities. First of all, this will be an achievement of the country. The authorities should lay a solid foundation for the country development – create an independent and powerful judiciary, on which a strong and developed country will be constructed easily. As soon as this foundation shakes, then the country will start to ruin.

# მამობის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვის თავისებურებანი

ლელია კობრაიძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის  
მოსამართლე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დოქტორანტი

## შესავალი

სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადაჭრის პარალელურად, კარდინალურ ცვლილებებს მოითხოვს ადამიანის მდგომარეობა სოციალურ-ზნეობრივ ურთიერთობათა სისტემაში. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ოჯახს, როგორც ადამიანის არსებობის ბუნებრივ გარემოს.

უკანასკნელ წლებში ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი განიცდის კრიზისს. მატულობს განქორწინებათა რიცხვი.<sup>1</sup> შობადობის დონე კი, ვერ უზრუნველყოფს მშობელთა თაობის რაოდენობრივ შეცვლას.<sup>2</sup> შეინიშნება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა რიცხვის ზრდის მდგრადი ტენდენცია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით, მშობელთა ერთობლივი განცხადებებით, ანუ რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი 30%-ია. ეს მონაცემი ევროპის ქვეყნებთან შედარებით მაღალ მაჩვენებლად მიიჩნევა.<sup>3</sup>

ოჯახის კრიზისის მიზეზთა მრავალფეროვნება განსაზღვრავს როგორც უკვე არსებული საშუალებების პოტენციალის სრულად გამოყენების, ისე ოჯახის სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ახალი სამართლებრივი, ეკონომიკური,

ორგანიზაციული მექანიზმების ფორმირების აუცილებლობას. პირველხარისხოვან ამოცანას ამ სფეროში წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფა ოჯახის, დედათა უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიების გაძლიერების მიზნით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნი, რომელიც საოჯახო სამართალს ეძღვნება, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, დღეისათვის შეესაბამება საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისოსამართლებრივი აქტების ძირითად დებულებებს. საოჯახო სამართალი შეიცავს მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც არეგულირებს მშობელთა და ბავშვთა უფლებებსა და მოვალეობებს. თუმცა, შვილების წარმოშობის დადგენის სამართლებრივი რეგულირება საოჯახო სამართლისა და სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხად რჩება.

ბავშვთა უფლებების დაცვის მეტად გავრცელებული სახეა მამობის დადგენა სასამართლო წესით, რომელიც აუცილებელი ელემენტია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების ინტერესების დასაცავად, მიმართული სახელმწიფოსამართლებრივი ღონისძიებების სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცედურა უკავშირდება გარკვეულ სირთულეებს, იგი ხელს უწყობს მოქალაქეებში ოჯახისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას.

მამობის დადგენის ინსტიტუტის გამოყენების დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება მიუთითებს ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც მოითხოვს შემდგომ თეორიულ და პრაქტიკულ განვითარებას, რაც განაპირობებს განსახილველი თემის აქტუალობას.

## თავი I. მამობის დადგენა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით

### 1.1. მამობის დადგენის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის განვითარების ძირითადი ეტაპები

ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სამართლებრივ მდგომარეობას დიდი ისტორია აქვს და ის მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას წარმოადგენს.

უძველეს დროში, მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობები აგებული იყო მამის აბსოლუტური და ცალმხრივი ძალაუფლების პრინციპზე: მამის მიმართ საპასუხო ურთიერთობებში შვილები წარმოადგენდნენ არა სუბიექტებს, არამედ ობიექტებს; მათ არ გააჩნდათ არანაირი უფლებაუნარიანობა. ძველი პატრიარქალური წყობა არ უშვებდა არავითარ კონტროლს მამის ძალაუფლებაზე რომელიმე გარე ინსტანციის მხრიდან, თუ არ ჩავთვლით რელიგიის ან საზოგადოებრივი აზრის არაიურიდიულ კონტროლს.<sup>4</sup>

თანდათანობით ხდება ბავშვების გათავისუფლება პატრიარქალური მარწუხებიდან. სამართალი თანმიმდევრულად აღიარებს მათ საკუთარ უფლებაუნარიანობას, მიიჩნევს რა, მათ სუბიექტებად, რომლებიც ოჯახის შიგნითაც საჭიროებენ დაცვას. რევოლუციამდელი ცივილისტი პროფესორი გ. ფ. შერშენევიჩი აღნიშნავდა, რომ „კანონიერი შვილების უკანონო შვილებისადმი დაპირისპირების იდეა ნაკლებად შეესაბამება ქორწინების პოლიგამიურ ფორმას. ბავშვების ორ კატეგორიად დაყოფა მხოლოდ საზოგადოებაში მონოგამიის დამკვიდრების შედეგად ხდება აქტუალური. ახალი ერებისათვის, რომლებიც წარმოიშვნენ რომის იმპერიის პერიოდში, ქორწინების გარეშე დაბადება არ მიიჩნეოდა გასაკიცხად. შემდგომში ჩვენ ვაკვირდებით, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მდგომარეობა მძიმდება არა მხოლოდ რომში, არამედ სხვა დასავლეთ ევროპულ ქვეყნებშიც.“<sup>45</sup>

ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად, საქართველოში შეინიშნებოდა ბიზანტიური კანონიკური (საეკლესიო) სამართლის დამკვიდრების ტენდენცია. ფეხს იკიდებდა საოჯახო სამართლის ახალი

პრინციპები: მონოგამია, განქორწინების პროცესის გართულება, ცოლისა და ქმრის უთანასწორობა, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების არალიარება. ამასთან, ძველ ქართულ სამოსამართლო პრაქტიკაში გვხვდება პრეცედენტები, რომლებიც გვერდს უვლიდა ბიბლიურ დანაწესებს. ასე მაგალითად, მაშინ, როცა ეკლესიური რჯული უკანონოდ გაჩენილ შვილს გამორიცხავდა მემკვიდრეთა წრიდან, სამოსამართლო პრაქტიკით დასტურდება, რომ თუ იგი მეტად მოჭირახულე იყო, გარკვეული ქონება მასაც ერგებოდა.<sup>5</sup>

საქართველოს პირველი კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად, სამართლებრივად თანასწორნი იყვნენ ქორწინებაში და მის გარეშე დაბადებული ბავშვები. 124-ე და 126-ე მუხლებით, დაცული იყო ქალთა და ბავშვთა უფლებები.<sup>7</sup>

საბჭოთა საქართველოში განსახილველ საკითხს 1970 წელს მიღებული საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი აწესრიგებდა, რომლის 51-ე მუხლი ითვალისწინებდა მამობის დადგენის ორ წესს: ნებაყოფლობით – მშობლების ერთობლივი განცხადების საფუძველზე და სასამართლო წესით (დავის შემთხვევაში). მამობის დადგენისას სასამართლო მხედველობაში იღებდა ბავშვის, დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე, ან ბავშვის ერთად აღზრდას ან რჩენას, ანდა დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.<sup>8</sup>

მამობის დადგენის ზემოაღნიშნული წესი უცვლელად იქნა გაზიარებული 1997 წელს მიღებული ახალი სამოქალაქო კოდექსის მიერ (1190-ე მუხლი). აღნიშნული ჩანაწერით კანონმდებელმა უარი განაცხადა შემთხვევითი კავშირების შედეგად დაბადებული და არასასურველი ბავშვების მიმართ ბიოლოგიური მამობის დადგენაზე. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ სასამართლოები 1190-ე მუხლში (2011 წლის 09 დეკემბრამდე რედაქციით) მითითებულ გარემოებებს განიხილავდნენ როგორც აუცილებელ პირობებს მამობის დასადგენად, რაც ეწინააღმდეგება „ბავშვის უფლებათა კონვენციას“, „ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას“ და „ევროპულ კონვენციას ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ“, რომლის მე-5 მუხლის თანახმად, მამობის დადგენასთან დაკავშირებულ მოქმედებაში მეცნიერული მტკიცებულებანი, რომლებსაც ძალუძთ ხელი შეუწყონ მამობის დადგენას ან უარყოფას, დასაშვებია.

2011 წლის 9 დეკემბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის თანახმადაც, კანონმდებელმა ბავშვის მამობის დადგენის საკითხის განხილვისას ძირითად და გადამწყვეტ მტკიცებულებად ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგები აღიარა, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა მსგავსი კატეგორიის საქმეების განხილვის პროცედურა და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების უფლებების უკეთ დაცვას შეუწყო ხელი. 1190-ე მუხლის (დღეს მოქმედი რედაქციით) მე-4 ნაწილის თანახმად, მხოლოდ ექსპერტიზის ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევაში, იღებს სასამართლო მხედველობაში ბავშვის დედისა და მამობის დადგენის შესახებ განცხადებაში მითითებული პირის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას.

კიდევ ერთი ნოვატია, რომელსაც შეიცავს 1190-ე მუხლი, მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადგენა კანონით განსაზღვრული წესით ასევე, შეუძლია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს, პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას (მე-6 ნაწილი). მითითებული

მუხლის მე-8 ნაწილით კი, დადგენილ იქნა სასამართლოს უფლებამოსილება უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე, თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

გენეტიკური ექსპერტიზის ძირითად მტკიცებულებად მიჩნევის აუცილებლობა გამოიწვიო ჩვენი კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებამ. მას შემდეგ, რაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსახილველად მიიღო ოყროშიძეების საჩივარი საქართველოს წინააღმდეგ (Okroshidze v. Georgia), რომელიც მეგობრული შეთანხმებით დასრულდა. კერძოდ, 2011 წლის 15 თებერვალს, სასამართლომ გაუგზავნა შეტყობინება საქართველოს მთავრობას კონვენციის მერვე მუხლის საგარაუდო დარღვევის საფუძველზე განმცხადებელთა მიერ საჩივრის შემოტანის თაობაზე, რომელიც შეეხებოდა ეროვნული სასამართლოების უარს დაედგინათ მამობა მხოლოდ დნმ-ის კვლევის შედეგის საფუძველზე. მომჩივნებსა და მთავრობას შორის მეგობრული მორიგების თანახმად, მთავრობამ აღიარა სამოქალაქო კოდექსში არსებული ხარვეზი და მხარეებმა აცნობეს სასამართლოს, რომ 2011 წლის 20 დეკემბერს, ცვლილებების შეტანის შედეგად, სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა, რომლითაც პრიორიტეტი დნმ-ის კვლევის შედეგებს მიენიჭა. მომჩივნებს მიეცათ უფლება, მოითხოვონ საქმისწარმოების განახლება ეროვნულ სასამართლოში სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე იმისათვის, რომ დადგინდეს მამობა დნმ-ის კვლევის შედეგზე დაყრდნობით, რომელიც ერთ-ერთ მომჩივანს (არასრულწლოვანს) უკვე ჩაუტარდა.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებს მსგავსი კატეგორიის საქმეებზე, ერთ-ერთ საქმეში (Mikulic v. Croatia, 07.02.2002) სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სადავო იყო მამობის საკითხი და ეს ნაწილი არ იყო დადგენილი, შესაბამისად, ოჯახური ცხოვრება არ იყო სახეზე. ეს შემთხვევა სასამართლომ განიხილა პირადი ცხოვრების ტრილში, რომელიც სასამართლოს აზრით, გულისხმობს ინდივიდის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ინტეგრაციას, რაც ასევე, მოიცავს უფლებას სოციალურ იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის შემთხვევაში, სრულად გამოიყენება კონვენციის მე-8 მუხლი. სასამართლომ ამ საქმეზე მოიშველია მის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილება (Gaskin v. The United Kingdom) და განაცხადა, რომ პირს აქვს იმის უფლება, მოახდინოს იდენტიფიკაცია და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია მისი პიროვნების, მათ შორის, ბიოლოგიური მშობლების შესახებ.

დასახელებულ საქმეზე სასამართლომ განაცხადი დასაშვებად ცნო და განაცხადა, რომ პირადი ცხოვრება არ გულისხმობს მხოლოდ ნეგატიური ჩარევის აკრძალვას სახელმწიფოს მხრიდან, არამედ ასევე, გულისხმობს პოზიტიურ ვალდებულებასაც, რამაც საბოლოოდ, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული რეგულაციების დადგენის სახით ეფექტიანად უნდა დაიცვას ინდივიდთა პირადი ცხოვრება. ნეგატიური ვალდებულებისაგან განსხვავებით, რომელიც მკაფიოდ არის განსაზღვრული, – პოზიტიური ვალდებულების განსაზღვრა უნდა მოხდეს სახელმწიფოს ფართო დისკრეციის ფარგლებში და უნდა დადგინდეს გონიერი ბალანსი ზოგად და ინდივიდუალურ ინტერესს შორის.

რეალური პრობლემა, რომელიც წარმოეშვათ სასამართლოებს ამ საქმეზე იყო ის, რომ არ არსებობდა კანონით მოწესრიგებული ურთიერთობა შემდეგი მიმართებით: განმცხადებელს არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ მოეხდინა მამობის შესაძლო კანდიდატის იძულება, რათა ამ უკანასკნელს ჩაეტარებინა ტესტი და შესაბამისი წესით, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნით, თავისი წარმომავლობა დაედგინა. ამ შემთხვევაში, სხვადასხვა ქვეყანაში მოპასუხის „დასჯის“ რამდენიმე გზა არსებობდა, მაგალითად, დაჯარიმება, პრეზუმფციის დადგენა, რომ ეს უკანასკნელი არის მამა (ანუ მტკიცების ტვირთის გადატანა მასზე). მოცემულ დავაზე მოპასუხე ხორვატიის სახელმწიფოს კანონმდებლობა ამ მიმართებით იყო უძლური და შესაბამისად, არაფერს ადგენდა.



აღნიშნულ საქმეში ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ყველაზე მთავარია პროპორციულობის პრინციპის დაცვა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, უნდა მომხდარიყო პროპორციულობის გათვალისწინებით დაცული ორი სიკეთიდან ერთის არჩევა (ანუ, ერთი მხრივ, მამის უფლება, – არ ჩაიტაროს ტესტი და მეორე მხრივ, ბავშვის უფლება – იცოდეს ნამდვილი მამის შესახებ). სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი (ბავშვი) რამდენიმე წლის განმავლობაში სოციალური იდენტიფიცირების გარეშე იყო დატოვებული, ანუ მან არ იცოდა, თუ ვინ იყო მისი მამა. ამ შემთხვევაში, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი და ამ კონფლიქტში ხორვატიის ეროვნულ სასამართლოებს პრიორიტეტი უნდა მიენიჭებინათ ბავშვის უფლებისათვის, სცოდნოდა მამის წარმომავლობის შესახებ, ვიდრე პირის უფლებისათვის – არ ჩაეტარებინა სამედიცინო ტესტი. ყოველივე აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე იყო სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობის გამო, ანუ საბოლოოდ, დარღვევის მთავარი მიზეზი იყო, რომ ხორვატიის სახელმწიფოს არ ჰქონდა ეფექტიანი ზომა მოპასუხის საწინააღმდეგოდ და სამოქმედოდ, რაც იყო პოზიტიური ვალდებულების აშკარა დარღვევა.

საგულისხმოა, ევროპული სასამართლოს დასკვნა ოჯახური თანაცხოვრების ფაქტთან მიმართებით: სასამართლო ქალისა და მამაკაცის ერთობლივ თანაცხოვრებას არ განიხილავს მშობლებსა და მცირეწლოვან შვილებს შორის ოჯახური ცხოვრების აუცილებელ პირობად (Berrehab v. The Netherlands, 1988. 10730/84 §21).

მსგავსი დასაბუთებაა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში გასკინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Gaskin v. The United Kingdom, 1989) და ოდიევრე საფრანგეთის წინააღმდეგ (Odievre v. France, 2003).<sup>9</sup>

აღსანიშნავია, რომ 1996 წლის 25 ოქტომბერს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, განსხვავებული შინაარსით ჩამოყალიბდა რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის 49-ე მუხლი (მამობის დადგენა სასამართლო წესით), რომლის ბოლო წინადადების თანახმად, მამობის დადგენის შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლო მხედველობაში იღებს ნებისმიერ მტკიცებულებას, რომელიც სარწმუნოდ ადასტურებს ბავშვის წარმოშობას კონკრეტული პირისაგან.<sup>10</sup> ცხადია, ასეთი შინაარსით ნორმის ჩამოყალიბების შედეგად ნებისმიერ მტკიცებულებაში ასევე, მოიაზრება ექსპერტიზის დასკვნაც, მისი ჩატარების შესაძლებლობის შემთხვევაში.

მსგავსი შინაარსის ნორმას შეიცავს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი (მიღებული 1804 წელს, სხვაგვარად – ნაპოლეონის კოდექსი, რომელმაც 200 წლის განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა). სახელდობრ, 340-ე მუხლის თანახმად, სასამართლო წესით მამობის დადგენისას მიიღება ყველა სახის უტყუარი მტკიცებულება.<sup>11</sup>

## 1.2. სასამართლო წესით მამობის დადგენის სამართლებრივი რეგულირება

„მამობის დადგენა არის იურიდიული ფაქტი, რომელიც წარმოშობს მშობელსა და შვილს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს. იგი ასევე განიხილება, როგორც საოჯახო სამართლის ინსტიტუტი და ბავშვის უფლებათა დაცვის საშუალება. პირველ შემთხვევაში, ეს არის იურიდიული ნორმების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ შვილის წარმოშობის დადგენასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ბავშვის დარღვეული (სადავოდ ქცეული) უფლებების დასაცავად (აღიარებისაკენ) მიმართული ზომა.“<sup>12</sup>

მშობლებისა და შვილების ურთიერთუფლება-მოვალეობებს საფუძვლად უდევს შვილების წარმოშობა, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი წესით (სსკ-ის 1187-ე მუხლი).

დედისაგან შვილის წარმოშობის დადგენა, როგორც წესი, არ წარმოშობს პრობლემებს. აღნიშნული ხორციელდება ადმინისტრაციული წესით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ. ამ ფაქტის თაობაზე უფლებამოსილი პირი (სამედიცინო დაწესებულება, მშობელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, სხვა დაინტერესებული პირი) ატყობინებს შესაბამის ორგანოს ელექტრონული ან მატერიალური ფორმით („სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 23–24-ე მუხლები). ქორწინებაში არმყოფი მშობლების შემთხვევაში, დაბადების სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დედის მონაცემები მიეთითება დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტისა და დედის განცხადების საფუძველზე (26-ე მუხლი).

დაბადების შესახებ სამედიცინო ცნობის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ბავშვის მშობელი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიმართავს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ განცხადებით (კანონის 23-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ამდენად, ბავშვის დედისაგან წარმოშობა დგინდება ადმინისტრაციული, ხოლო სადავობისას – სასამართლო წესით.

ბავშვის დაბადება კონკრეტული მამაკაცისაგან ასევე, შესაძლებელია დადგინდეს ნებაყოფლობით, ადმინისტრაციული წესით (სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ) და იძულებით, სასამართლო წესით. ადმინისტრაციული წესით მამობა დადგენა შეიძლება როგორც დაქორწინებული, ისე დაუქორწინებელი მშობლების შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში, მამად მიიჩნევა მეუღლე. სახელდობრ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1189-ე მუხლის თანახმად, შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან დასტურდება მეუღლეთა ერთობლივი ან ერთ-ერთი მათგანის განცხადებით, ბავშვის დაბადებისა და მშობელთა ქორწინების დამადასტურებელი დოკუმენტებით. იგი მიიჩნევა მამად იმ შემთხვევაშიც, თუ ბავშვი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს, ათი თვისა (სსკ-ის 1188-ე მუხლი).

მეორე შემთხვევაში, შვილის წარმოშობა დგინდება მშობელთა ერთობლივი განცხადებით და ბავშვის დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტით (სსკ-ის 1190-ე მუხლის პირველი ნაწილი).

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის დედა აცხადებს, რომ მისი მეუღლე არ არის ბავშვის მამა, მამობა შეიძლება დადგინდეს იქნეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ერთობლივი განცხადების შეტანით ან სასამართლო წესით. პირს, რომელსაც აქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თვითონ არის ბავშვის მამა, შეუძლია სადავო გახადოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე (სსკ-ის 1190-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი).

სასამართლო წესით მამობის დადგენის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებით. მათ რიცხვს, უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 36-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

ასეთი ჩანაწერით საქართველოს კონსტიტუცია სოციალური სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტს განამტკიცებს – ოჯახის კეთილდღეობისათვის ხელისშეწყობასა და დედათა და ბავშვთა უფლებების დაცვას. ეს არის სახელმწიფოს უზენაესი მიზანი. კონსტიტუციის ეს დებულება ზოგადია, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო თანაბრად იღებს ზრუნვის ვალდებულებას ყველა ოჯახზე, განურჩევლად მათი მატერიალური მდგომარეობისა, იცავს ყველა დედისა და ბავშვის უფლებებს. ამასთან, მიმდინარე კანონმდებლობით სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია იმ ოჯახთა და პირთა სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლებიც უფრო მეტად არიან სოციალურად დაუცველები და საჭიროებენ სახელმწიფოს უფრო მეტ ყურადღებას. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირთა მხარდაჭერა, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, სოციალური სახელმ-



წიფოს ერთ-ერთი საგულისხმო მოვალეობაა. იგი ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას, იზრუნოს სამართლიან სოციალურ სისტემაზე.<sup>13</sup>

ზემოხსენებული კონსტიტუციური ნორმები განვრცობილია სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში. სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის მეორე წინადადების თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. ამასთან, 1198-ე მუხლი ხაზს უსვამს, რომ მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კერძოდ კი, მისი მეხუთე წიგნი წარმოადგენს ძირითად ნორმატიულ დოკუმენტს, რომლითაც რეგლამენტირებულია ურთიერთობები მშობლებსა და შვილებს შორის. იგი შეიცავს ცალკე თავს, რომელიც ეძღვნება მშობლების უფლებებსა და მოვალეობებს შვილების მიმართ. ცალკე თავად არის გამოყოფილი შვილების წარმოშობის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები (დაქორწინებული და ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადგენა).

ბავშვის დაბადება მნიშვნელოვანი მოვლენაა ქალისა და მამაკაცის ცხოვრებაში, რომლებმაც მისცეს მას სიცოცხლე. შვილების წარმოშობა კონკრეტული მშობლებისაგან წარმოადგენს საფუძველს მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივი ურთიერთობების წარმოსაშობად, იმისდა მიუხედავად, დაქორწინებული არიან მშობლები თუ არა, ცხოვრობენ ისინი ერთად თუ ცალ-ცალკე.

„შვილების წარმოშობის“ ქვეშ იგულისხმება მათი „ბიოლოგიური წარმოშობა კონკრეტული ქალისა და მამაკაცისაგან, დარეგისტრირებული დადგენილი წესის დაცვით.“<sup>14</sup>

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მამისაგან ბავშვის წარმოშობის დადგენა ხორციელდება სასამართლოს მიერ სასარჩელო წარმოების წესით. შესაბამისად, იმ საკანონმდებლო აქტების რიცხვს, რომლებიც არეგულირებენ მამობის დადგენის წესს, ასევე, განეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმები, მათ შორის, XLIII თავი, რომელიც ეძღვნება საოჯახო საქმეების განხილვის თავისებურებებს.

ამდენად, საქართველოში სასამართლო წესით მამობის დადგენა რეგლამენტირებულია ნორმატიულსამართლებრივი აქტების მთელი კომპლექსით. მათგან ძირითადს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განეკუთვნება, რომელიც შეიცავს სპეციალურ თავს, მიძღვნილს აღნიშნული საკითხებისადმი, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

მამობის დადგენის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებად შეიძლება გამოვყოთ ის, რომ სსკ-ის 1190-ე მუხლში განხორციელებული ცვლილება უნდა მივიჩნიოთ ახალ გარემოებად ყველა იმ საქმის წარმოების გასაახლებლად, სადაც მამობის დადგენა ან დადგენაზე უარის თქმა მოხდა გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების გარეშე, 1190-ე მუხლით (ძველი რედაქციით) გათვალისწინებული გარემოებების საფუძველზე.

ერთ-ერთ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ თავის განჩინებაში, რომლითაც უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება – სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა არც ერთ პუნქტს არ შეესაბამება, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და მასში დამაგრებული პრინციპების დაცვით, როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე ზემდგომი ნორმატიული აქტის გათვალისწინებით, სსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის ანალოგიით გამოყენებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად

გააუქმა თავისი გადაწყვეტილება მამობის დადგენაზე უარის თქმის შესახებ და საქმისწარმოება განაახლა. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

აღნიშნული ნორმა ადგენს ნათლად განსაზღვრულ უფლებებს, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ინდივიდისათვის გარანტირებული უნდა იყოს. ეს არის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, საცხოვრებელი და მიმოწერა. სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საკითხი პირადი სფეროს უმნიშვნელოვანეს უფლებას – პიროვნების წარმომავლობას (მამობის დადგენას) შეეხება. ამდენად, ამ უფლების დაცვა კანონმდებლობის ადეკვატურად უნდა განხორციელდეს. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს უფლების ჯეროვანი რეალიზების საშუალებას. სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლში ცვლილების შეტანით საქართველომ განახორციელა პოზიტიური ღონისძიება, განსაზღვრა რა, პირის წარმომავლობის დადგენის შესაძლებლობა გენეტიკური ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების შესაბამისად. აღნიშნული ცვლილებით ფაქტობრივად, აღმოიფხვრა სამოქალაქო კოდექსში არსებული გარკვეული ხარვეზი, რომელიც არასაკმარისად არეგულირებდა პირის წარმომავლობის დადგენის პროცედურას და ამ მხრივ, უფლების დაცვის ამოუწურავ გარანტიებს ქმნიდა. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, პატივი სცეს მის მოქალაქეთა პირადი ცხოვრების უფლებას, გულისხმობს, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლების ვალდებულებას, უარი არ განაცხადოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე მაშინ, როდესაც თავად კანონმდებელმა ახალი და უფრო ეფექტიანი ბერკეტი – მტკიცებულების კონკრეტული სახე განსაზღვრა პირის პირადი სფეროდან წარმომავალი უფლების დაცვისათვის. პალატამ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმისწარმოების განახლების საკითხთან დაკავშირებით არასრულწლოვანი შვილის ინტერესი მიიჩნია პრიორიტეტულად, რომელიც არასოდეს არ არის პასუხისმგებელი მშობლებს შორის მისი ჩასახვით გამოწვეულ დაპირისპირებაზე.<sup>15</sup>

## თავი II. მამობის დადგენა სასამართლო წესით

### 2.1. სარჩელის აღძვრა და საქმის მომზადება განსახილველად

მამობის დადგენას თან სდევს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული კანონით განსაზღვრული მოვალეობები. აღნიშნული განაპირობებს, რომ ყველა მამაკაცი ნებაყოფლობით არ აღიარებს თავის ფაქტობრივ მამობას და თავს არიდებს მის გაფორმებას კანონით დადგენილი წესით. აღნიშნული კი, ხშირად იწვევს კონკრეტული მამაკაცისაგან ბავშვის წარმოშობის დადგენის აუცილებლობას სასამართლო წესით დაინტერესებული პირების მოთხოვნით.

სასამართლო წესით მამობის დადგენის კანონით განსაზღვრულ აუცილებელ პირობებს განეკუთვნება შემდეგი გარემოებები:

- ა) ბავშვის მშობლებს შორის რეგისტრირებული ქორწინების არარსებობა;
- ბ) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მამობის დადგენის შესახებ ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადების ან მხოლოდ ბავშვის მამის განცხადების არარსებობა.

მამობის დადგენა სასამართლო წესით მეტწილად ბავშვის დედის სარჩელის საფუძველზე ხდება. ბავშვის არასრულწლოვანი დედა უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიმართოს სასამართლოს სარჩელით მამობის დადგენის შესახებ 14 წლის ასაკიდან (სსსკ-ის 811-ე მუხლი).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს ასეთი სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას სხვა პირთა მიერაც. სახელდობრ, მშობელთა ერთობლივი განცხადების არარსებობის ან მისი წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ბავშვის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზრუნველის) ან იმ პირის განცხადების საფუძველზე, რომლის კმაყოფაზედაც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ.

კანონით არ არის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა მოცემული კატეგორიის საქმეებზე. პირის მამობა შეიძლება დადგინდეს იქნეს ბავშვის დაბადებიდან ნებისმიერ დროს. თუმცა, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ სრულწლოვანი პირის მიმართ მამობის დადგენა დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით, ხოლო თუ იგი ქმედუუნაროდ არის აღიარებული – მისი მეურვის ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თუ სარჩელს აღძრავს ბიოლოგიური მამა, მას შეუძლია სადავო გახადოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც გაიგო ან უნდა გაეგო აღნიშნული ჩანაწერის თაობაზე (სსკ-ის 1190-ე მუხლის მე-7 ნაწილი).

მამობის დადგენის შესახებ ყველა მოთხოვნა განიხილება სასარჩელო წარმოების წესით. სარჩელის წარდგენა ხდება სავარაუდო მამის მიმართ, თუ იგი ეწინააღმდეგება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მამობის ნებაყოფლობით დადგენას, ხოლო თუ განცხადების წარდგენას ეწინააღმდეგება ბავშვის დედა, მაშინ დედის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოსადმი მიმართვის მომენტისთვის ბავშვის სავარაუდო მამა აღარ არის ცოცხალი, სარჩელის აღძვრა შესაძლებელია მისი მემკვიდრეების მიმართ, ანუ იმ პირების მიმართ, რომელთა უფლებებსა და მოვალეობებზე შესაძლებელია მოახდინოს გავლენა ამ იურიდიულმა ფაქტმა.

მამობის დადგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, შესაძლებელია ასევე, წარდგენილ იქნას სასარჩელო მოთხოვნა ალიმენტის დაკისრების შესახებ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სარჩელი მიმართულია უშუალოდ სავარაუდო მამის და არა მისი მემკვიდრის მიმართ, რადგან ალიმენტის გადახდის შესახებ ვალდებულება არ გადადის მემკვიდრეობით. მამობის დადგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, ალიმენტის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება წარდგენილ იქნას მაშინაც, როდესაც იგი მიმართულია სავარაუდო მამის გარდაცვალების გამო, მისი მემკვიდრეების, სახელდობრ, მშობლების მიმართ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1225-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ადგენს პაპისა და ბებულის საალიმენტო ვალდებულებას შვილიშვილის მიმართ.

სარჩელი მამობის დადგენის შესახებ სასამართლოს წარედგინება ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნას სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსსკ-ის მე-19 მუხლის მე-4, მე-5 ნაწილი). სასამართლოს არჩევს უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს (სსსკ-ის მე-20 მუხლი). მამობის დადგენის შესახებ სარჩელი განიხილება რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ და არ შეიძლება განხილულ იქნეს მაგისტრატი მოსამართლის მიერ (სსსკ-ის მე-14 მუხლი).

სამოქალაქო საქმის აღძვრა სასამართლოში – ეს არის ისეთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციური

უფლების რეალიზაციის აქტი, როგორცაა სასამართლო წესით დაცვის უფლება, ანუ სასამართლოში კონკრეტული საქმის აღძვრისა და განხილვის უფლება მისი გადაწყვეტის მიზნით. ეს უფლება არ არის დამოკიდებული დაინტერესებული პირის მატერიალური უფლების არსებობაზე. პირს უფლება აქვს წარუდგინოს სასამართლოს ამკარად დაუსაბუთებელი მოთხოვნა. სასამართლო არ არის უფლება-მოსილი უარი თქვას სარჩელის მიღებაზე იმ მოტივით, რომ მოთხოვნა დაუსაბუთებელია ან არ არის გამყარებული მტკიცებულებებით. სარჩელის მიღებაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი დასაშვებობის პირობების არარსებობისას.

სასამართლო წესით უფლების დაცვის მიზნით სასამართლოსადმი მიმართვის უმნიშვნელოვანესი უფლება განმტკიცებულია სსსკ-ის მე-2 მუხლით, რომლის თანახმადაც, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.

საკითხი იმის შესახებ, ნამდვილად დარღვეულია თუ არა პირის უფლება და მართლა აუცილებელია თუ არა ამ უფლების დაცვა – ეს არის საკითხი, რომელიც უნდა გაიკვეს საქმის არსებითად განხილვის შედეგად.<sup>16</sup>

მაშასადამე, სარჩელის აღძვრის უფლება უკავშირდება საპროცესოსამართლებრივი ხასიათის გარკვეულ გარემოებებს, რომლებსაც სარჩელის აღძვრის უფლების წანამძღვრებს უწოდებენ. სარჩელის აღძვრის უფლების წანამძღვრების შინაარსი და შემადგენლობა, უპირველესად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებიდან გამომდინარეობს, რომლებიც არეგულირებენ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საკითხებს.

მამობის დადგენის შესახებ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა უკავშირდება ყველა კატეგორიის სარჩელისათვის საერთო წანამძღვრების არსებობას, რომლებიც დადგენილია სსსკ-ის 177-178-ე, 186-ე მუხლებით.

მამობის დადგენის შესახებ სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სსსკ-ის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთან, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც. მამობის დადგენის შესახებ სარჩელებში მოსარჩელეს ყოველთვის წარმოადგენს თავად ბავშვი – პირი, რომლის მიმართაც უნდა დადგინდეს მამობა.

საქმის განსახილველად მომზადების პროცესში მოსამართლე, მხარეთა მოსმენის შემდეგ, ნიშნავს ბიოლოგიურ (გენეტიკურ) ექსპერტიზას, რადგან როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, იგი ერთადერთ ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს დავის გადასაწყვეტად, მაშინ როდესაც მისი ჩატარება არის შესაძლებელი. თუმცა, ექსპერტიზის დანიშვნამდე მიზანშეწონილია სსსკ-ის 205-ე მუხლის საფუძველზე საქმეზე დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა, სადაც შედგება მხარეებთან გასაუბრება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მოპასუხე საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე, ექსპერტიზის დანიშვნამდე ცვლის თავის პრინციპულ პოზიციას და ცნობს სარჩელს, რა დროსაც საქმის განხილვა სრულდება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებით არსებითი განხილვის გარეშე (სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

დღესდღეობით, მამობის დადგენის შესახებ სარჩელების განხილვისას პრობლემატურ და, შეიძ-



ლება ითქვას, მტკიცებულ საკითხს წარმოადგენს ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის ჩატარების ხარჯის ოდენობა. „სსსპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილების თანახმად, დნმ-ის ანალიზით ბიოლოგიური მშობლობის (ცოცხალ პირთა მამობა, დედობა) დადგენის მომსახურების ტარიფი 1600 ლარს შეადგენს. ამ ხარჯისაგან მოსარჩელეს კანონი არ ათავისუფლებს, რადგან სსსკ-ის 46-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მოსარჩელეთა გათავისუფლებას. ზემოაღნიშნული ტარიფი კი, არ განეკუთვნება ასეთი ტიპის ხარჯს.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N255 დადგენილების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბიუროს დაფინანსების წყაროებია: ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავლები; გ) ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები; დ) გრანტები; ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები, ხოლო მე-2 პუნქტით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ბიუროს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია. მაშასადამე, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომლის შევსების ერთ-ერთ წყაროს სწორედ მომსახურების ტარიფი წარმოადგენს. როგორც წესი, სასამართლო მოცემული კატეგორიის საქმეებზე ნიშნავს, ექსპერტიზას თავისი ინიციატივით და ექსპერტიზის ხარჯს მხარეებს თანაბრად აკისრებს სსსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები) კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ტარიფის გადახდის აუცილებლობა ხშირად აიძულებს მამობის დადგენით დაინტერესებულ პირს თავი შეიკავოს სარჩელის აღძვრისაგან სახსრების უქონლობის გამო, რის შედეგადაც არასრულწლოვანის უფლებები რჩება დაუცველი ან პირიქით, აიძულებს მოპასუხეს (სავარაუდო მამას) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი არ არის დარწმუნებული თავის ბიოლოგიურ მშობლობაში, ცნოს სარჩელი (აღიაროს მამობა), რათა თავი აარიდოს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში (რა დროსაც მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯი სრულად ეკისრება მოპასუხეს სსსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად), არასასურველ ხარჯებს.

„სსსპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილების მე-3 მუხლი ადგენს გამონაკლისს, სახელდობრ, ამ დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფები არ ვრცელდება: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე; საქართველოს პროკურატურაზე; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი მომსახურების საგამოძიებო დანაყოფებზე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას.

მათ მიმართ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მომსახურებას განახორციელებს საზღაურის გარეშე.

გამომდინარე იქიდან, რომ გენეტიკური (ბიოლოგიური) ექსპერტიზა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წარმოადგენს ერთადერთ მტკიცებულებას სასამართლო წესით მამობის დასადგენად, სასამართლო წესით მამობის დადგენა კი, ბავშვთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი და ქმედითი საშუალებაა, მიგვაჩნია, რომ ასეთი ექსპერტიზა, სასამართლო წესით მისი დანიშვნის შემთხვევაში, ასევე, საზღაურის გარეშე უნდა ტარდებოდეს, რითაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულება დედათა და ბავშვთა უფლებების რეალიზაციაზე ზრუნვის შესახებ. შესაბამისად, მიზანშეწონილია, გემოლნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის ჩამონათვალს ასევე, დაემატოს დნმ-ის ანალიზით ბიოლოგიური მშობლობის (ცოცხალ პირთა მამობა, დედობა) დადგენის შესახებ ექსპერტიზა არასრულწლოვანთა მიმართ მამობის დადგენის საქმეებზე, მისი სასამართლო წესით დანიშვნის შემთხვევაში.

ანდა, შესაძლებელია სსსკ-ის XLIII თავს (საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი) დაემატოს 325-ე მუხლის მე-3 ნაწილის მსგავსი შინაარსის ნორმა. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, განმცხადებელი მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ გათავისუფლებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯი კი, სსსკ-ის 44-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოიცავს სპეციალურ საქსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯებსაც. ამდენად, სსსკ-ის XLIII თავს შესაძლებელია დაემატოს 354<sup>1</sup> მუხლი ან 354-ე მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი, რომელიც შემდეგი შინაარსით ჩამოყალიბდება: „მოსარჩილე არასრულწლოვანთა მიმართ მამობის დადგენის შესახებ სარჩილებზე გათავისუფლებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.“ ასეთ შემთხვევაში, საქმის განხილვის დასრულებისას საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯი, მათ შორის, ექსპერტიზის ხარჯი განაწილდება სსსკ-ის 55-ე მუხლის შესაბამისად. მაშასადამე, თუ თავდაპირველად ექსპერტიზის ხარჯის ანაზღაურება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, მოსარჩელის სასარგებლოდ დავის დასრულებისას აღნიშნული ხარჯი დაეკისრება მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას აღნიშნული ხარჯი დარჩება სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებულად.

საგულისხმოა, რომ სსსკ-ის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად, ასევე, მოქმედებს მამობის დადგენის შესახებ სარჩილების განხილვისას. მაშასადამე, მოპასუხის ექსპერტთან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი მოსარჩელის სასარგებლოდ განაწილდება და მის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულად ჩაითვლება.

იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია (სახელდობრ, ბავშვის სავარაუდო მამის უგზო-უკვლოდ დაკარგვის ან გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში, როდესაც გვამის მოძიება ვერ ხერხდება), სასამართლო კვლევის საგანს წარმოადგენს სსკ-ის 1190-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და სავარაუდო მამის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც სავსებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას. მითითებული გარემოებების დასადგენად

მოსამართლე ჯერ კიდევ, საქმის განხილვის მოსამზადებელ ეტაპზე მხარეთა განმარტებების გათვალისწინებით, ზრუნავს ყველა შესაძლო მტკიცებულების შეგროვებაზე.

მამობის დადგენის შესახებ სარჩელების, ისევე როგორც სხვა საოჯახო საქმეების განხილვისას, მოსამართლე აღჭურვილია სამძებრო უფლებამოსილებით, რაც გულისხმობს თავისი ინიციატივით დასადგენ გარემოებათა წრის განსაზღვრისა და მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ, თავისი ინიციატივით ისეთი მტკიცებულებების გამოთხოვის შესაძლებლობას, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ (სსსკ-ის 354-ე მუხლი). ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIII თავი სამოქალაქო სამართალწარმოების განსხვავებულ წესს ადგენს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც დავისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების მითითებასა და დამტკიცებაში სასამართლოს ჩაურევლობას გულისხმობს. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები, რა დროსაც სასამართლო აქტიურად ერთვება მტკიცების პროცესში და შეუძლია საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოება თავისი ინიციატივით დაადგინოს. კანონის ასეთი დამოკიდებულება განპირობებულია საოჯახო ურთიერთობათა სპეციფიკითა და განსაკუთრებულობით, რასაც ადასტურებს კონსტიტუციის 36-ე მუხლით სახელმწიფოს მიერ აღიარებული ვალდებულება, ხელი შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას. საოჯახო ურთიერთობებში ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტისას სასამართლომ უტყუარად და სარწმუნოდ უნდა დაადგინოს მიღებული გადაწყვეტილების ბავშვის ინტერესებისათვის ყველაზე უკეთ შესაბამისობა. ამ მოსაზრებას განამტკიცებს „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის შესაბამისად, ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

ამდენად, ორივე შემთხვევაში, მტკიცების ძირითადი საგანია იმ გარემოებების დადგენა, – მოპასუხის სახით მითითებული სავარაუდო პირი არის თუ არა ბავშვის მამა. მეორე შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია, კონკრეტული პირისაგან ბავშვის წარმოშობას შესაძლებელია ადასტურებდეს როგორც ერთ-ერთი გარემოების დამადასტურებელი ერთი მტკიცებულება, ისე ერთი ან რამდენიმე გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილი). მეორე მხრივ, როდესაც ექსპერტიზის ჩატარება ვერ ხერხდება, ნებისმიერი, კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული მტკიცებულება, რომელიც უდავოდ ადასტურებს კონკრეტული პირისაგან ბავშვის წარმოშობას, არის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მამობის დადგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად შესაძლებელია სასამართლოს წარედგინოს სასარჩელო მოთხოვნა ალიმენტის დაკისრების შესახებ. ამ დროს ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან (სსკ-ის 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული პირი ჯერ აღძრავს სარჩელს მამობის დადგენის შესახებ და მხოლოდ ამ სარჩელის დაკმაყოფილებისა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აღძრავს სარჩელს ალიმენტის დაკისრების თობაზე, მოსარჩელის მოთხოვნის შემთხვევაში, ალიმენტის გადახდის დაკისრება შესაძლებელია მამობის დადგენის შესახებ სარჩელის აღძვრის მომენტიდან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადების მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის თანახმად, წარსული დროის ალიმენტის გადახდა შეიძლება სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართ-



ლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას. ასეთ შემთხვევაში, მამობის დადგენის შესახებ სარჩელის აღძვრა უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული ზომად სარჩოს მისაღებად და ვალდებული პირის მიერ მისი გადახდისაგან თავის არიდებად.

ამდენად, მამობის დადგენა განიხილება, როგორც იურიდიული აქტი და როგორც ბავშვის უფლებების დაცვის საშუალება, ვინაიდან სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ხდება ამ უკანასკნელის დარღვეული უფლებების აღდგენა: უფლება, იცნობდეს თავის მშობლებს, იქონიოს ურთიერთობა ორივე მშობელთან, მიიღოს სარჩო ორივე მშობლისაგან და სხვ.

მამობის სასამართლო წესით დადგენა არის ბავშვის უფლებათა იძულებით რეალიზაციის მიზნით სასამართლოს მიერ გამოყენებული სახელმწიფო იძულების ზომა, რომლის შედეგად ბავშვსა და მამად აღიარებულ პირს შორის წარმოიშობა კანონით გათვალისწინებული (საოჯახო, მემკვიდრეობითი) უფლებები და მოვალეობები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გაანალიზების შედეგად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასამართლო წესით ამ საკითხის განხილვა მაქსიმალურად უზრუნველყოფს მისი სამართლიანად გადაწყვეტის გარანტიას.

## 2.2. მამობის დადგენის შესახებ სარჩელების განხილვა და გადაწყვეტა

სასამართლო განხილვა სამოქალაქო პროცესის ძირითადი სტადიაა. ამ დროს სრულად მოქმედებს მართლმსაჯულების ყველა დემოკრატიული პრინციპი. მტკიცებულებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური განხილვის შედეგად დგინდება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები; განისაზღვრება მხარეთა უფლებები და იურიდიული მოვალეობები კონკრეტული სამართალურთიერთობის ფარგლებში და სახელმწიფოს სახელით გამოიტანება სასამართლოს არსებითი გადაწყვეტილება. პრაქტიკულად, სწორედ ამ სტადიაზე ხორციელდება მართლმსაჯულება. დაბოლოს, სწორედ ამ სტადიაზე ხდება სასამართლოს ზემოქმედება მოქალაქეთა ცნობიერებაზე, რათა დაემორჩილონ და პატივი სცენ კანონებსა და მნიშვნელოვან ნორმებს.

სამოქალაქო საქმეთა განხილვა მიმდინარეობს საპროცესო კანონმდებლობით მკაცრად დადგენილი წესით. სამართალწარმოების ეს მნიშვნელოვანი სტადია განსახორციელებელ მოქმედებათა მოცულობის მიხედვით, იყოფა შემდეგ ეტაპებად: მოსამზადებელი ნაწილი; ფაქტობრივ გარემოებათა კვლევა ან საქმის არსებითად განხილვა; მხარეთა პაექრობა; გადაწყვეტილების მიღება და გამოცხადება.

ვინაიდან მამობის დადგენის შესახებ სარჩელები არ განეკუთვნება მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯად საქმეებს, დაუშვებელია მათი განხილვა დაჩქარებული წესით (სსსკ-ის 2171-ე მუხლი).

სასამართლო განხილვის მოსამზადებელი ნაწილი საპროცესო მოქმედებათა სისტემას წარმოადგენს, რომლებიც მიმართულია საქმის არსებითად განხილვის შესაძლებლობის გამოვლენისაკენ. სასამართლო სხდომის ამ ეტაპზე მოსამართლე: ამოწმებს მონაწილე პირთა გამოცხადებას, ატოვებინებს მოწმეებს სხდომის დარბაზს, აცხადებს სასამართლოს შემადგენლობას და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლებას, იხილავს შუამდგომლობებს.

საქმის არსებითი განხილვა როგორც წესი, იწყება მორიგების შეთავაზებით. მხარეთა მიერ შედგენილი მორიგების აქტი სასამართლო წესით დამტკიცებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონის დანაწესებს და არ ლახავს მესამე პირთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს. მამობის დადგენის შესახებ საქმეებზე კანონით დაცულ ასეთ ინტერესებს

განეკუთვნება უპირველესად, ბავშვის ინტერესები. შესაბამისად, მორიგების აქტის დამტკიცებისას, სასამართლო პირველ რიგში, უნდა დარწმუნდეს მოსარჩელის ნების ნამდვილობასა და ნებაყოფლობითობაში და ასევე, რომ აღნიშნული შეესაბამება ბავშვის ინტერესებს. იმ შემთხვევაში, თუ მორიგების პირობები ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოა, სასამართლო უარს ეტყვის მხარეებს მორიგების აქტის დამტკიცებაზე.

ამ მხრივ, ნიშანდობლივია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 311-9 მუხლი, რომლის თანახმად, დაუშვებელია მოსარჩელის მიერ ბავშვის წარმოშობის დასადგენად მიმართულ სარჩელზე უარის თქმა.<sup>17</sup>

მხარეთა მორიგების შეუძლებლობის შემთხვევაში, სასამართლო არსებითად განიხილავს სარჩელს სსკ-ის 217-ე, 219-228-ე მუხლებით დადგენილი წესით, რა დროსაც დასადგენია ერთადერთი ფაქტი – ბავშვის ნამდვილი წარმოშობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ფაქტის დასადგენად ძირითად მტკიცებულებას ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა წარმოადგენს, ხოლო მისი ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევაში, სასამართლო მხედველობაში იღებს ბავშვის დედისა და სავარაუდო მამის ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებას ბავშვის დაბადებამდე ან/და მათ მიერ ბავშვის ერთად აღზრდის ან/და რჩენის ფაქტებს, ანდა სხვა დამამტკიცებელ საბუთებს ან/და გარემოებებს, რომლებიც საცხებით ადასტურებს განცხადებაში მითითებული პირის მიერ ბავშვის მამობის აღიარებას. ამ დროს სასამართლომ უნდა მიიღოს კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ყველა სახის მტკიცებულება, რომლებითაც დადასტურდება ზემოაღნიშნული გარემოებები, სახელდობრ, მოწმეთა ჩვენებები, მიმოწერა, ფოტოსურათები, ვიდეოფირები, თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვ.

გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი გარემოებები თავისთავად შესაძლოა ყოველთვის არ გახდეს მოპასუხის მამობის თაობაზე უპირობო და უდავო დასკვნის საფუძველი. სასამართლომ უნდა მიიღოს მხედველობაში და ასევე, შეამოწმოს მოპასუხის არგუმენტები (სახელდობრ, სავარაუდო მამის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო შვილის ყოლის შეუძლებლობა, ბავშვის ჩასახვის მომენტში მისი სხვაგან ყოფნა და ა.შ.). ამ გარემოებების შემოწმების მიზნით, სასამართლო უფლებამოსილია გამოითხოვოს სათანადო მტკიცებულებები, სახელდობრ, თუ სავარაუდო მამა გარდაცვლილია, შესაძლებელია გამოთხოვილ იქნას მისი ავადმყოფობის ისტორია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სადაც მითითებულია, რომ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეეძლო შვილების ყოლა ანდა ბავშვის ჩასახვის დროისათვის მისი სხვა ქვეყანაში ყოფნის ფაქტის დასადგენად შესაძლებელია გამოთხოვილ იქნას ინფორმაცია საზღვრის გადაკვეთის თაობაზე და ა.შ.

მამობის დადგენის შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლომ უნდა დაადგინოს, ითხოვს თუ არა მოსარჩელე ბავშვისათვის მამის გვარის მინიჭებას, თუ იგი ამის შესახებ არაფერს უთითებს სარჩელში, ვინაიდან აღნიშნული საკითხი ასევე, საჭიროებს იმის დადგენას, შეესაბამება თუ არა გვარის შეცვლა ბავშვის ინტერესებს (სსკ-ის 1196-ე მუხლი).

არ არის გამორიცხული, საქმის არსებითი განხილვის შედეგად სასამართლო მივიდეს დასკვნამდე, რომ მამობის დადგენა არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, რა დროსაც სასამართლო უფლებამოსილია უარი თქვას მამობის დადგენაზე (სსკ-ის 1190-ე მუხლის მე-8 ნაწილი). ასეთ დასკვნამდე სასამართლო შესაძლოა მივიდეს მაშინ, როდესაც ბავშვი თავის ფაქტობრივ აღზრდელს, დედის მეუღლეს მიიჩნევს ბიოლოგიურ მამად, ცხოვრობენ რა, ერთ ოჯახად. ამასთან, ბავშვი იმყოფება ისეთ ასაკში (გარდატეხის ასაკში), რა დროსაც სიმართლის გაგებამ შესაძლოა მას გამოუსწორებელი ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენოს. ასეთ შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად აუცილებელია ფსიქოლოგიური კვლევის ჩატარება ბავშვის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესწავლისა და იმის დასადგენად, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მამობის დადგენას.

ერთ-ერთ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მამობის დადგენისა და მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერის ბათილად ცნობის თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ვერ გაიზიარებს მოპასუხეთა არგუმენტს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მამობის დადგენა ეწინააღმდეგება არასრულწლოვანის (5 წლამდე ასაკის ბავშვის) ინტერესებს, ვინაიდან ბავშვის მცირე ასაკიდან გამომდინარე, ასეთი ინფორმაციის მიღებამ შესაძლოა ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენოს ბავშვს. ფსიქოლოგის დასკვნის თანახმად, სკოლამდელი ასაკი (3-დან 6 წლამდე) ყველაზე ხელსაყრელია ბიოლოგიური მამის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად. სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ვერ კიდევ, არ შეუძლიათ ამგვარი სიახლის სრულად შეფასება და მათთვის უფრო ადვილი იქნება მისი მიღება, ვიდრე მოზარდებისათვის. ამასთან, სკოლამდელ ასაკში ბავშვი სამყაროს გრძნობისმიერად აღიქვამს და იმ შემთხვევაში, თუ ის დედისა და მამის ზრუნვას და სიყვარულს სრულად შეიგრძნობს, ამ ინფორმაციის ნიუანსები მისთვის გაცილებით ნაკლებად ტრავმული იქნება. ეს ხელს შეუწყობს მშობლებსა და ბავშვს შორის გულწრფელი, ნდობითი ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებას და შექმნის მნიშვნელოვან წინაპირობებს ბავშვის მართებული პიროვნული იდენტიფიკაციის ჩამოსაყალიბებლად.<sup>18</sup>

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება. ამასთან, ბავშვის შეხედულებებს მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად, სათანადო ყურადღება ეთმობა. ამ მიზნით, ბავშვს შესაძლებლობა ეძლევა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც მას ეხება, როგორც უშუალოდ, ასევე, წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული წესით. მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მამობის (ან დედობის) სააქტო ჩანაწერის სადავოდ გახდომის შესახებ სასარჩელო მოთხოვნის განხილვისას გათვალისწინებულ იქნას ბავშვის უფლება გამოხატოს თავისი აზრი იმ საკითხის განხილვისას, რომელიც უშუალოდ ეხება მის ინტერესებს. ამის შესაძლებლობას იძლევა სსსკ-ის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთან, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც, როდესაც არასრულწლოვანი არ არის ინფორმირებული განსახილველ საკითხთან დაკავშირებით და მისი ინფორმირება მისთვის საზიანო იქნება.

პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით (სსსკ-ის 243-ე მუხლის პირველი ნაწილი), საქართველოს სახელით (სსსკ-ის მე-8 მუხლი).

სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის ან მამობის დადგენაზე უარის თქმის შესახებ, ისევე როგორც ყველა სხვა გადაწყვეტილება, უნდა ემყარებოდეს მტკიცებულებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (სსსკ-ის 105-ე მუხლი).

მამობის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს ყველა იმ მონაცემს, რომელიც აუცილებელია მამობის დადგენის შესახებ აქტის რეგისტრაციისათვის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში (ბავშვის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, მისი დაბადების სააქტო ჩანაწერის მონაცემები, მამის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების

თარიღი). ბავშვისათვის მამის გვარის მიკუთვნების შემთხვევაში, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს მითითებას ამის თაობაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც მამობის დადგენა ხდება ბიოლოგიური მამის სარჩელის საფუძველზე, რომელიც სადავოდ ხდის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებულ ჩანაწერს, მისი სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაწერი ბათილად უნდა იქნას ცნობილი (სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 39-ე მუხლი).

სასამართლო თავის გადაწყვეტილებას მამობის დადგენის შესახებ მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით (სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტი).

### 2.3. მამობის სადავოდ გახდომა

კონკრეტული პირებისაგან ბავშვის წარმოშობის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს დაბადების სააქტო ჩანაწერის საფუძველზე გაცემული დაბადების მოწმობა. თუმცა, ასეთი ჩანაწერი შესაძლებელია სადავოდ გახდეს.

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 01 თებერვლამდე მოქმედებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191-ე მუხლი, რომლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებდა ბავშვის დედად ან მამად ჩაწერილი პირის უფლებას, – სადავოდ გაეხადა ჩანაწერი ერთი წლის განმავლობაში იმ დროიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ან ცნობილი უნდა ყოფილიყო ჩანაწერი. თუ ამ დროისათვის დედად ან მამად ჩაწერილი პირი არასრულწლოვანი იყო, ერთწლიანი ვადა გამოითვლებოდა მისი თვრამეტი წლის ასაკს მიღწევიდან. 2011 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 1191-ე მუხლი ამოღებულ იქნა. ეს ცვლილება ამოქმედდა 2012 წლის 01 თებერვლიდან.

ამდენად, დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე ვადას დაინტერესებული პირის უფლების რეალიზაციისათვის, სადავოდ გახადოს მამობა (დედობა).

მამობის სადავოდ გახდომა შესაძლებელია იმ შემთხვევებში, როდესაც დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის გრაფაში მითითებულია არა ის პირი, რომელიც რეალურად მას წარმოადგენს. პრაქტიკაში ასეთი ფაქტები გვხვდება, მაგალითად, მაშინ, როდესაც ბავშვის დედის რეგისტრირებული მეუღლე არ არის ბავშვის ბიოლოგიური მამა, თუმცა, მითითებულია ასეთად ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მშობლების რეგისტრირებული ქორწინების საფუძველზე.

ასეთი სახის მოთხოვნები განიხილება სასარჩელო წარმოების წესით, იმ შემთხვევაშიც, თუ დაინტერესებულ პირებს (ბავშვის დედას, მამად მითითებულ პირსა და ბავშვის ბიოლოგიურ მამას) შორის არ არსებობს დავა, რადგან სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის თანახმად, მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერი ბათილად ჩაითვლება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ მამობის დადგენის სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ბავშვის მამად მითითებული პირი მისი მამა არ არის. ამდენად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ბათილობა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს სპეციალურ ნორმას ასეთი უფლების რეალიზაციისათვის, თუმცა, ეს ფაქტორი ვერ გახდება მართლმსაჯულებაზე უარის თქმის საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ



შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს ან ბუნდოვანია. ამით კანონმდებელმა დაადგინა, რომ მოსამართლემ ყველა შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს დავა, რომელმაც სასამართლომდე მოაღწია. ცვაიგერტისა და კოტცის თქმით, ამ დებულებით კანონმდებელმა მოსამართლე თავის შეუცვლელ თანაშემწედ აღიარა.<sup>19</sup>

მაშასადამე, ასეთი სასარჩელო მოთხოვნების განხილვისას, მოსამართლემ კანონის ანალოგიით (სსკ-ის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი) უნდა გამოიყენოს ის ნორმა, რომელიც სასამართლო წესით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ბავშვის მამის შესახებ შესრულებული ჩანაწერის სადავოდ გახდომას ითვალისწინებს (სსკ-ის 1190-ე მუხლის მე-7 ნაწილი), რა დროსაც ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, გადამწყვეტ მტკიცებულებას ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზა წარმოადგენს.

ამდენად, მამობის სადავოდ გახდომის სასამართლო წესი არის საკმარისი გარანტია ამ პრობლემის სწორად გადაწყვეტისათვის.

## დასკვნა

სრულფასოვან ოჯახში, სადაც ბავშვს ჰყავს დედაც და მამაც, იქმნება ხელსაყრელი გარემო მისი განვითარებისა და პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის. თანამედროვე მსოფლიო თანამეგობრობაში სულ უფრო მეტად იძენს მნიშვნელობას სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია, სადაც პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, მათ სოციალურ კეთილდღეობას. ამასთან, ბავშვის ფიზიკურად და გონებრივად არასაკმარისი მოწიფულობის გამო, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი უფლებებისა და ინტერესების საიმედო დაცვას.

ბავშვებზე ზრუნვა, მათი აღზრდა – მშობლების თანაბარი უფლება და მოვალეობაა. ამ პრინციპის განხორციელებას ემსახურება მამობის დადგენა, როგორც ბავშვის უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალება. თუმცა, მამობის დადგენის უფლების რეალიზაცია პირდაპირ არის დამოკიდებული მამობის დადგენის პროცედურის ეფექტიანობაზე.

ჩატარებული კვლევის შედეგად, აღსანიშნავია, რომ სასამართლოში მამობის დადგენასთან დაკავშირებული დავების განხილვა რთული პროცესია, რა დროსაც პრიორიტეტულია არა სამართლებრივი ჭეშმარიტების დადგენა მხარეთა შეჯიბრებითობის პირობებში, არამედ ობიექტური ჭეშმარიტების – ბავშვის ნამდვილი წარმომავლობისა და ბავშვის ინტერესებთან მისი შესაბამისობის დადგენა, რაც მოითხოვს სხვადასხვა სადავო საკითხების დეტალურ გამოკვლევასა და ახსნას დავის სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტისათვის. ამ პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გამოიკვეთა დღეს მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის აუცილებლობა, სახელდობრ:

1. დღესდღეობით, მამობის დადგენის შესახებ სარჩელების განხილვისას პრობლემატურ და შეიძლება ითქვას, მტკივნეულ საკითხს ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის ჩატარების ხარჯის ოდენობა წარმოადგენს. „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილების თანახმად, დნმ-ის ანალიზით ბიოლოგიური მშობლობის (ცოცხალ პირთა მამობა, დედობა) დადგენის მომსახურების ტარიფი 1600 ლარს შეადგენს. ამ ხარჯისაგან მოსარჩელეს კანონი არ ათავისუფლებს, რადგან სსსკ-ის 46-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მოსარჩელეთა გათავისუფლებას. ზემოაღნიშნული ტარიფი კი, არ განეკუთვნება ასეთი ტიპის ხარჯს.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N 255 დადგენილების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბიუროს დაფინანსების წყაროებია: ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავლები; გ) ხელშეკრულების საფუძველზე გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები; დ) გრანტები; ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები, ხოლო მე-2 პუნქტით, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება ბიუროს მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას და მათი სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია. მამასადამე, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აქვს საკუთარი ბიუჯეტი, რომლის შევსების ერთ-ერთ წყაროს სწორედ მომსახურების ტარიფი წარმოადგენს. როგორც წესი, სასამართლო მოცემული კატეგორიის საქმეებზე ნიშნავს, ექსპერტიზას თავისი ინიციატივით და ექსპერტიზის ხარჯს მხარეებს თანაბრად აკისრებს სსსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმად, სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები) კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული ტარიფის გადახდის აუცილებლობა ხშირად აიძულებს მამობის დადგენით დაინტერესებულ პირს თავი შეიკავოს სარჩელის აღძვრისაგან სახსრების უქონლობის გამო, რის შედეგადაც არასრულწლოვანის უფლებები რჩება დაუცველი ან პირიქით, აიძულებს მოპასუხეს (სავარაუდო მამას) იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი არ არის დარწმუნებული თავის ბიოლოგიურ მშობლობაში, ცნოს სარჩელი (აღიაროს მამობა), რათა თავი აარიდოს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში (რა დროსაც მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯი სრულად ეკისრება მოპასუხეს სსსკ-ის 53-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად), არასასურველ ხარჯებს.

„სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 08 მაისის №171 დადგენილების მე-3 მუხლი ადგენს გამონაკლისს, სახელდობრ, ამ დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფები არ ვრცელდება: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე; საქართველოს პროკურატურაზე; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროზე; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცენტრალურ აპარატზე; საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურების საგამოძიებო დანაყოფებზე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას. მათ მიმართ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მომსახურებას განახორციელებს საზღაურის გარეშე.

გამომდინარე იქიდან, რომ გენეტიკური (ბიოლოგიური) ექსპერტიზა, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენს ერთადერთ მტკიცებულებას სასამართლო წესით მამობის დასადგენად, სასამართლო წესით მამობის დადგენა კი, ბავშვთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის ერთ-ერთი ძირითადი და ქმედითი საშუალებაა, მიგვაჩნია, რომ ასეთი ექსპერტიზა, სასამართლო წესით მისი დანიშვნის შემთხვევაში, ასევე, საზღაურის გარეშე უნდა ტარდებოდეს, რითაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულება დედათა და ბავშვთა უფლებების რეალიზაციაზე ზრუნვის შესახებ. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნული დადგენილების

მე-3 მუხლის ჩამონათვალს ასევე, დაემატოს დნმ-ის ანალიზით ბიოლოგიური მშობლობის (ცოცხალ პირთა მამობა, დედობა) დადგენის შესახებ ექსპერტიზა არასრულწლოვანთა მიმართ მამობის დადგენის საქმეებზე მისი სასამართლო წესით დანიშვნის შემთხვევაში.

ანდა, შესაძლებელია სსსკ-ის XLIII თავს (საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი) დაემატოს 325-ე მუხლის მე-3 ნაწილის მსგავსი შინაარსის ნორმა. კერძოდ, ამ ნორმის თანახმად, განმცხადებელი მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ გათავისუფლებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯი კი, სსსკ-ის 44-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოიცავს სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების ხარჯებსაც. ამდენად, სსსკ-ის XLIII თავს შესაძლებელია დაემატოს 354<sup>1</sup> მუხლი ან 354-ე მუხლს დაემატოს მე-3 ნაწილი, რომელიც შემდეგი შინაარსით ჩამოყალიბდება: „მოსარჩელე არასრულწლოვანთა მიმართ მამობის დადგენის შესახებ სარჩელებზე გათავისუფლებულია საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.“ ასეთ შემთხვევაში, საქმის განხილვის დასრულებისას საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯი, მათ შორის, ექსპერტიზის ხარჯი, განაწილდება სსსკ-ის 55-ე მუხლის შესაბამისად. მაშასადამე, თუ თავდაპირველად, ექსპერტიზის ხარჯის ანაზღაურება მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, მოსარჩელის სასარგებლოდ დავის დასრულებისას, აღნიშნული ხარჯი დაეკისრება მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისას აღნიშნული ხარჯი დარჩება სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებულად.

ჩატარებული კვლევის შედეგად შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია, კერძოდ:

1. მამობის დადგენის შესახებ სასარჩელო მოთხოვნასთან ერთად, ალიმენტის დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის წარდგენისას, ალიმენტის გადახდის დაკისრება ხდება მხოლოდ მომავალი დროისათვის სასამართლოში სარჩელის აღძვრის მომენტიდან (სსკ-ის 1234-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადება). თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებული პირი ჯერ აღძრავს სარჩელს მამობის დადგენის შესახებ და მხოლოდ ამ სარჩელის დაკმაყოფილებისა და გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, აღძრავს სარჩელს ალიმენტის დაკისრების თობაზე, მოსარჩელის მოთხოვნის შემთხვევაში, ალიმენტის გადახდის დაკისრება შესაძლებელია მამობის დადგენის შესახებ სარჩელის აღძვრის მომენტიდან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადების მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის თანახმად, წარსული დროის ალიმენტი შეიძლება გადახდევინებულ იქნას სამი წლის ფარგლებში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელის წარდგენამდე მიღებული იყო ზომები სარჩოს მისაღებად, მაგრამ ალიმენტი არ იქნა მიღებული იმის გამო, რომ ვალდებული პირი თავს არიდებდა მის გადახდას. ასეთ შემთხვევაში, მამობის დადგენის შესახებ სარჩელის აღძვრა უპირობოდ უნდა იქნას ზომად მიჩნეული სარჩოს მისაღებად და ვალდებული პირის მიერ მისი გადახდისაგან თავის არიდებად;

2. საქმის არსებითი განხილვა როგორც წესი, იწყება მორიგების შეთავაზებით. მხარეთა მიერ შედგენილი მორიგების აქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექვემდებარება სასამართლო წესით დამტკიცებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონის დანაწესებს და არ ლახავს მესამე პირთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს. მამობის დადგენის შესახებ საქმეებზე კანონით დაცულ ასეთ ინტერესებს უპირველესად, განეკუთვნება ბავშვის ინტერესები. შესაბამისად, მორიგების აქტის დამტკიცებისას სასამართლო თავდაპირველად უნდა დარწმუნდეს მოსარჩელის ნების ნამდვილობასა და ნებაყოფლობითობაში და ასევე, რომ აღნიშნული შეესაბამება ბავშვის ინტერესებს. იმ შემთხვევაში, თუ მორიგების პირობები ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგოდაა მიმართული, სასამართლო უარს ეტყვის მხარეებს მორიგების აქტის დამტკიცებაზე.



შენიშვნები:

- <sup>1</sup> <http://www.geostat.ge>
- <sup>2</sup> <http://www.hwngo.org.ge/> სტატია: „დემოგრაფიული მდგომარეობა საქართველოში“
- <sup>3</sup> <http://www.ambebi.ge/sazogadoeba>
- <sup>4</sup> Покровский И.А., Основные проблемы гражданского права, М., Изд-во „Статут“. 1998. стр.188.
- <sup>5</sup> Шершеневич Г.Ф., Учебник русского гражданского права, М., Изд-во «Спарк». 1995. стр. 450.
- <sup>6</sup> ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 231.
- <sup>7</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. ბეჟა ქანთარია. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 441.
- <sup>8</sup> საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი, თბილისი, 1970 წელი (ცვლილებებითა და დამატებებით 1982 წლის 1 იანვრამდე).
- <sup>9</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2010 წლის 07 მაისის განჩინება №ას-41-40-10 //www.supremecourt.ge
- <sup>10</sup> Семейный кодекс Российской Федерации. 29.12.1995г./ www.rg.ru/
- <sup>11</sup> Французский гражданский кодекс. Под редакцией Д.Г. Лаврова. Юридический центр Пресс. Санкт-Петербург. 2004.
- <sup>12</sup> Беспалов Б. Разбирательство дел об установлении отцовства // „Российская юстиция“. 2000. № 6. стр. 27
- <sup>13</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. ბეჟა ქანთარია. გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013, გვ. 448-449.
- <sup>14</sup> Пчелинцева Л.М. Комментарий к Семейному кодексу. РФ – Норма. 2006. стр. 341.
- <sup>15</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 სექტემბრის განჩინება №2ბ/3262-12.
- <sup>16</sup> თ. ლილუაშვილი, ვ. ხრუსტალი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი. 2007, გვ. 3.
- <sup>17</sup> Французский гражданский кодекс. Под редакцией Д.Г. Лаврова. Юридический центр Пресс. Санкт-Петербург. 2004.
- <sup>18</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ივნისის №2/ნ169-11 გადაწყვეტილება.
- <sup>19</sup> კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი I, გამომცემლობა „ჯისიი“, თბილისი, 2000, გვ. 194.

# PECULIARITIES OF DISPUTES RELATED TO FILIACTION

LEILA KOKHREIDZE

*Judge of the Panel of Civil Cases of the Tbilisi City Court,*

*Doctoral Student of the Faculty of Business-Engineering of the Technical University of Georgia*

The author reviews the main stages of development of the Georgian legislation on filiation, and the preconditions of current wording of the Article 1190 of the Civil Code of Georgia. The article coherently describes peculiarities of hearing the filiation disputes, such as the special jurisdiction of hearing the claims on filiation, group of claimants, exempting the appellant from the state fee, necessity to appoint a biological (genetic) expertise, and in case if it is impossible to have an expertise – collecting evidences for establishing the circumstances envisaged in the part 4 of the Article 1190 of the Civil Code of Georgia; also, determining how the claim, if granted, meets the interests of the child, indication of all the details that are necessary for registering the entry in the document while formulating the Resolution Part of the judgment on granting the claim on filiation; sending the judgment on filiation to the Civil Acts Registration Body within 5 business days since entering the judgment into the legal force.

The author underscores the problematic and, it is possible to say, sensitive issue while hearing the claims on filiation, namely, amount of expenses of performing biological (genetic) expertise, and then he offers the initiative to improve the legislation. As far as the genetic (biological) expertise represents the only evidence for filiation through court proceedings, although deciding the filiation issue through court proceedings is one of the basic and effective mechanism for protecting the rights of the child and addressing their legal interests, the author considers that such expertise should be performed for free if it is appointed by the court (as it is the case when investigating the criminal cases), as this way the state would better secure its constitutional obligation to take care of realization of the rights of mothers and children. The author provides justification for making necessary amendments in this regard to the Resolution #171 of the Government of Georgia dated May 08, 2012 “On approving the service tariffs of the LEPL Levan Samkharauli National Forensic Bureau”, also in the Civil Procedure Code of Georgia.

# პაციენტის რელიგიური უფლებები და მისი ჯანდაცვის საფუძვლები

## მუშაზე გორგოშაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სრული პროფესორი*

პაციენტის უფლებები ის ზოგადი ღირებულებებია, რომლებიც ადამიანის საყოველთაო უფლებებიდან გამომდინარეობს. ფაქტობრივად, პაციენტის უფლებები ადამიანის ძირითადი უფლებების გაგრძელება და დაკონკრეტებაა სამედიცინო მომსახურების სფეროში. საქართველოში საკმაოდ კარგადაა განვითარებული პაციენტის უფლებათა საკანონმდებლო ბაზა<sup>1</sup>. ამ სფეროს კანონმდებლობის იდეურ საფუძველს სხვადასხვა სახის საერთაშორისო მოძრაობებისა და ორგანიზაციების<sup>2</sup> მიერ შემუშავებულ დეკლარაციებში, კონვენციებში, პაქტებსა თუ ოქმებში<sup>3</sup> გამოტანილი დებულებები წარმოადგენენ.

ტერმინი „პაციენტი“ ქართულ კანონმდებლობაში სხვადასხვაგვარადაა განსაზღვრული. ამ ტერმინის სხვადასხვაგვარი გაგება დამოკიდებულია იმ სფეროს თავისებურებებზე, რომლის რეგულირებისთვისაც იქმნება მოცემული კანონი. მაგალითად, საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ პაციენტს უწოდებს ნებისმიერ პირს, რომელიც მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს, საჭიროებს ან აპირებს ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის მომსახურებით (მუხ. 4. „დ“); საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ პაციენტს უწოდებს პირს, რომელიც მიუხედავად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისა, სარგებლობს სამედიცინო დახმარებით (მუხ. 3. „რ“); საქართველოს

კანონის „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ მიხედვით, პაციენტი არის ფსიქიკური აშლილობის მქონე პირი, რომელიც სარგებლობს ფსიქიატრიული დახმარებით (მუხ. 4. „ბ“) და სხვ. სწორად შენიშნავენ სპეციალისტები, რომ ტერმინის „პაციენტი“ სხვადასხვაგვარად განმარტების მიუხედავად, მისი შინაარსი იდენტურია.<sup>4</sup> თუმცა, წინამდებარე სტატიის მიზნებიდან გამომდინარე, ამ ტერმინის ქვეშ ჩვენ მოვიაზრებთ მხოლოდ იმ პირს, რომელიც სარგებლობს სამედიცინო მომსახურებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პაციენტს აქვს ყველა ის უფლება, მათ შორის, ყველა ის რელიგიური უფლება, რაც ჩვეულებრივ მოქალაქეს. საქართველოს სამედიცინო კანონმდებლობის მიხედვით, პაციენტის დისკრიმინაცია აღმსარებლობის გამო აკრძალულია (საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხ. 6.1); პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მოითხოვოს მისი აღმსარებლობის პატივისცემა (საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხ.15); არ დაიშვება პაციენტის დისკრიმინაცია აღმსარებლობის გამო (საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხ. 6.1).

როგორც ვხედავთ, პაციენტსაც აქვს რელიგიის გამოხატვის თავისუფლება, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება. ეს უფლება აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით – „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება“ (მუხ. 19.1), რაც გულისხმობს პირის უფლებას საჯაროდ გამოხატოს და გაავრცელოს საკუთარი რელიგიური და მსოფლმხედველობრივი შეხედულებები, შეასრულოს რიტუალები, რელიგიური პროცესიები, რელიგიური სწავლება, მოაწყოს რელიგიური და მსოფლმხედველობრივი დღესასწაულები.<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით კი, რწმენის თავისუფლება ადამიანის ღირსების პატივისცემის გამოხატულება და მისი თვითგამორკვევის საწყისი და საფუძველია.<sup>7</sup> საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტებიც მიუთითებენ ადამიანის (პაციენტის) ღვთისმსახურებისა და რელიგიურ რიტუალთა ან წეს-ჩვეულებათა შესრულების თავისუფლებაზე;<sup>8</sup> ამასვე ქადაგებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის პაქტი, რომლის მიხედვითაც, ადამიანს (პაციენტს – მ.გ.) აქვს უფლება ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით, ქადაგებითა და სწავლებით (მუხ. 18). ამასთან, საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტები რელიგიის გამოხატვის თავისუფლებაში გულისხმობენ არა მხოლოდ ღვთისმსახურებას, რიტუალურ და ცერემონიულ მოქმედებებს, არამედ ისეთი სალოცავი ადგილების აშენებას, საკულტო საგნებისა და წეს-ჩვეულებების გამოყენების შესაძლებლობას, საკვების მიღებისას გარკვეული შეზღუდვების დაწესების (მარხვის) შესაძლებლობას, გამორჩეული ტანსაცმლის ან თავსაბურავის ტარების უფლებას და სხვ., რომლებიც ადამიანთა რელიგიური მრწამსის გამოხატვას ემსახურებიან.<sup>9</sup>

მაშასადამე, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისოსამართლებრივი აქტები, ადამიანის და მათ შორის, სტაციონალური მკურნალობის პროცესში მყოფი პაციენტის, რელიგიური (აღმსარებლური) უფლებების დაცვას და პატივისცემას მოითხოვენ, რაც პაციენტებისათვის რელიგიური ღვთისმსახურების, ცერემონიალური და რიტუალური მოქმედებისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველყოფასაც გულისხმობს.

ქართული კანონმდებლობა იძლევა უფლებას მორწმუნე პაციენტმა შეასრულოს რელიგიური რიტუალი, თუ არ ლახავს სხვათა უფლებებს.<sup>10</sup> ქართული კანონმდებლობისაგან განსხვავებით, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ავალდებულებს სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას შეუქმნას პაციენტს რელიგიური ღვთისმსახურებისათვის შესაბამისი პირობები. მაგალითად, თურქეთის რესპუბლიკაში სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია მიმართოს ყველა ღონისძიებას, რომ პაციენტმა შეძლოს თავისი რელიგიური უფლებების განხორციელება, რელიგიური წესებისა და მოთხოვნების აღსრულება.<sup>11</sup> ამასვე ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობაც.<sup>12</sup>

იქიდან გამომდინარე, რომ ადამიანის ჯანმრთელობა ფიზიკურთან ერთად სულიერ ჯანმრთელობასთანაცაა დაკავშირებული და ადამიანის სულიერი სფერო ხშირად წარმართავს და განსაზღვრავს კიდევ ადამიანის ზოგად ჯანმრთელობას, კარგი იქნებოდა ქართულ კანონმდებლობაში გაჩნდეს ნორმა, რომელიც დაიცავს პაციენტის რელიგიური უფლებების სრული განხორციელებისათვის პირობების შექმნის იდეას და დაავადებულებს სამედიცინო დაწესებულების ადმინისტრაციას, შესაძლებლობის ფარგლებში, ხელი შეუწყოს პაციენტის რელიგიური უფლებების განხორციელებისათვის შესაფერისი პირობების შექმნას – მათთვის შენობაში ცალკე ადგილის გამოყოფიდან, ცალკე შენობის აგებამდე, მით უფრო, რომ მართლმადიდებლური (ზოგადად, რელიგიური – მ.გ.) მოძღვრების თანახმად, ცოდვები პირდაპირ კავშირშია სნეულებასთან, რასაც მეცნიერთა დიდი ნაწილი იზიარებს.<sup>13</sup>

ქართულ კანონმდებლობაში, პაციენტის რელიგიური უფლებების შეზღუდვის შემთხვევებზე შეიძლება განვიხილოთ სამედიცინო ჩარევებზე თანხმობის ვალდებულება და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. სამედიცინო ჩარევებზე თანხმობის პირდაპირ ვალდებულებას არ იცნობს საქართველოს კანონმდებლობა, თუმცა, ამ შემთხვევას იგი უშვებს, როგორც გამონაკლისს სამედიცინო ჩარევებზე (მკურნალობაზე) უარის თქმის უფლებიდან, რაც გულისხმობს, რომ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, პაციენტი ვერანაირი მოტივით, მათ შორის, ვერც რელიგიური მოტივით, ვერ იტყვის უარს სამედიცინო ჩარევებზე: საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ სამედიცინო ჩარევებზე თანხმობის ვალდებულებას ითვალისწინებს იმუნიაციის, საკარანტინო ღონისძიებების, სამკურნალო და საკარანტინო ზომების გატარების მიზნით გადამდები დაავადებების განვითარების მაღალი რისკის მქონე მოქალაქეთათვის. ასევე, განსაკუთრებით საშიში გადამდები დაავადების არსებობაზე დასაბუთებული ეჭვის დასადასტურებლად, მოქალაქეთა შემოწმების საჭიროებისას (მუხ. 9; მუხ. 76); საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ მიუთითებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია გადამდები დაავადებების აღმოცენებისა და გავრცელების საშიშროების შემთხვევაში, კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნით, ჩაიტაროს ყველა სამედიცინო პროცედურა, რომელიც აუცილებელია სხვა პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად (იგულისხმება ეპიდემიური აფეთქება, ეპიდემია, პანდემია – მუხ. 5. 1). საქართველოს კანონით „პაციენტის უფლებების შესახებ“, მშობიარეს არა აქვს უფლება უარი თქვას ისეთ სამედიცინო მომსახურებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი ნაყოფის დაბადებას და რომელიც მშობიარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მინიმალური რისკის მატარებელია (მუხ. 36.2); პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებაზე უარის თქმის უფლებას არ აძლევს კანონი იმ პირს, რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია გადამდები დაავადებების გავრცელების მაღალ რისკთან (საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, მუხ. 5.2. „ბ“) და სხვ.

ასეთივე მდგომარეობაა გადაუდებელი სამედიცინო დახმარების დროსაც. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გულისხმობს ისეთ სამედიცინო მომსახურებას, როცა მისი დროულად აღმოჩენის გარეშე სერიოზული საფრთხე ექმნება ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. სახელმწიფო იცავს პაციენტის უფლებას სამედიცინო მომსახურებაზე, რომლის გადაუდებლად განხორციელების გარეშე გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუარესება (საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხ. 12.1). გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს სისხლის დიდი ოდენობით დაკარგვის დროს სისხლის გადასხმა, რაზეც ადამიანთა გარკვეული კატეგორია რელიგიური მოსაზრებების გამო, ხშირ შემთხვევაში, უარს აცხადებს მაშინაც კი, როცა სამედიცინო დახმარების ეს სახე აუცილებელია პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენად. სამედიცინო პერსონალი ასეთ შემთხვევაში, დილემის წინაშე



აღმოჩნდება ხოლმე: ერთი მხრივ, მისი ვალთა დახმარება აღმოუჩინოს პაციენტს, მეორე მხრივ, თავად პაციენტი ან მისი ოჯახის წევრი, ან კანონიერი წარმომადგენელი არ აძლევს სამედიცინო პერსონალს პროფესიული ვალის მოხდის შესაძლებლობას.<sup>14</sup> ასეთ შემთხვევაში, სისხლის გადასხმა აუცილებლად იქნება დაკავშირებული არა მხოლოდ „ძალადობასთან“ და იძულებასთან, რაც დაუშვებელია ექიმისა და პაციენტის ურთიერთობაში, არამედ პაციენტის რელიგიური უფლების გაუთვალისწინებლობასთან, მისი როგორც პიროვნების უპატივცემლობასთან და შესაბამისად, პიროვნების ავტონომიის პატივისცემის პრინციპის დარღვევასთან. პაციენტის, როგორც პიროვნების პატივისცემა გულისხმობს მისი აზრის, შეხედულებებისა და არჩევანის გათვალისწინებას.<sup>15</sup> ერთი სიტყვით, როცა პაციენტის უარს სისხლის გადასხმაზე საფუძვლად უდევს რელიგიური შეხედულებები, წარმოშობა კონფლიქტი პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებსა და ადამიანის არჩევანის თავისუფლებას, გამოხატვის თავისუფლებას, აზრის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლებებს შორის.

აღნიშნული კონფლიქტიდან თუ დილემაიდან გამოსავალს იძლევა საქართველოს კანონმდებლობა „ინტერესთა კონფლიქტისა“ და „თერაპიული შეზღუდვის“ დოქტრინიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, როცა სისხლის გადასხმელობით შეიძლება ზიანი მიაღწეს მესამე პირის ჯანმრთელობას, კანონმდებლობა დასაშვებად მიიჩნევს რელიგიური უფლების შეზღუდვას და მესამე პირის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად თვლის ამ პროცედურის განხორციელებას. „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი პროფესიული გადაწყვეტილებების მიღებისას არის თავისუფალი და დამოუკიდებელი. აკრძალულია, პირმა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტისაგან მოითხოვოს ამ კანონში მითითებული პრინციპებისა და საექიმო საქმიანობის ეთიკური ნორმების საწინააღმდეგო მოქმედება, მიუხედავად მომთხოვნი პირის თანამდებობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, აგრეთვე აღმსარებლობისა (საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მუხ. 6).

სამაგალითოდ შეიძლება მოვიტანოთ მშობიარის მიერ ჰემორტრანსფუზიაზე (სისხლის გადასხმაზე) უარის თქმა რელიგიური მოტივით. იმ შემთხვევაში, თუ მშობიარესათვის სისხლის გადასხმა ნაყოფის სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი გზაა, მაშინ სახეზეა კონფლიქტი დედის რელიგიურ უფლებებსა და ნაყოფის სიცოცხლეს შორის. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მშობიარე ვერ განაცხადებს უარს ისეთ სამედიცინო მომსახურებაზე, რომელიც ნაყოფს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს, ხოლო დედის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს არავითარ საფრთხეს არ უქმნის: „მშობიარეს არა აქვს უფლება უარი თქვას ისეთ სამედიცინო მომსახურებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ცოცხალი ნაყოფის დაბადებას და რომელიც მშობიარის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის მინიმალური რისკის მატარებელია“ (საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხ. 36. 2).

მაშასადამე, ამ შემთხვევებში პაციენტის რელიგიური უფლების შეზღუდვის საფუძველს მესამე პირის სიცოცხლე და ჯანმრთელობა წარმოადგენს. აღნიშნულ შემთხვევებში კანონმდებლობა გამოდის საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტიდან, რომლის მიხედვითაც, მე-19 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებები (სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის) შეიძლება შეიზღუდოს „სხვათა უფლებების“ დასაცავად.<sup>16</sup>

ამგვარადვე რეგულირდება საკითხი ქმედუუნარო (არასრულწლოვან ან სასამართლოს მიერ ფსიქიკური დაავადების ან ჭკუასუსტობის გამო ქმედუუნაროდ მიჩნეულ) და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტის შემთხვევაშიც. თუ ქმედუუნარო პაციენტი საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას ან სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაშია, ხოლო მისი ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის მოძიება ვერ ხერხდება ან მისი ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი სამედიცინო მომსახურების წინააღმდეგია (ნებისმიერი მოტივით მათ

შორის, რელიგიური მოტივით – მ. გ.), სამედიცინო მომსახურების გამწევი იღებს გადაწყვეტილებას პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესების შესაბამისად (საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხ. 25. 2; 3). ამრიგად, რელიგიური უფლების შეზღუდვის საფუძველს აქაც მესამე პირის ინტერესი წარმოადგენს. ეს რაც შეეხებოდა ქმედუწარმო და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე იმ პაციენტს, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას ან სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაშია. ხოლო იმ ქმედუწარმო და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის არმქონე პაციენტს, რომელსაც არ აღენიშნება არც სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა და არც გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აუცილებლობა და მისი ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი უარს ამბობს სამედიცინო მომსახურებაზე სხვადასხვა (მათ შორის, რელიგიური) მოტივით, „სამედიცინო მომსახურების მომწოდებელს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ქმედუწარმო ან გაცნობიერებული გადაწყვეტილების უნარს მოკლებული პაციენტის ნათესავის ან კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილება, თუ იგი ეწინააღმდეგება პაციენტის ჯანმრთელობის ინტერესებს“ (საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხ. 25.1). როგორც ვხედავთ, როცა საქმე ეხება ქმედუწარმო პაციენტს, რომლის მდგომარეობა არ მოითხოვს დაუყოვნებლივ ჩარევას, კანონმდებელი ცალსახად არ ზღუდავს ქმედუწარმო პაციენტის ნათესავის თუ კანონიერი წარმომადგენლის რელიგიურ უფლებებს და საკითხის გადაწყვეტას ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის, სამედიცინო მომსახურების მომწოდებელის ინიციატივით სასამართლოს ანდობს.

რაც შეეხება ქმედუწარმიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიან პაციენტს, მას უფლება აქვს მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე უარი განაცხადოს სამედიცინო მომსახურებაზე, აგრეთვე შეწყვიტოს უკვე დაწყებული სამედიცინო მომსახურება, თუ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქმე არ ეხება მესამე პირის ინტერესებს (საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხ. 23.1). ანუ ქმედუწარმიან და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარიან პაციენტის შემთხვევაში, რელიგიურ უფლებებსა და ჯანდაცვის უფლებებს შორის კოლიზიის დროს, კანონმდებლობა იცავს პაციენტის ავტონომიის პატივისცემის პრინციპს და გადაწყვეტილებას რელიგიური უფლებების სასარგებლოდ ღებულობს.<sup>17</sup> ეს კი ნიშნავს, რომ აკრძალულია ქმედუწარმიანი და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პაციენტისათვის მისი ნების წინააღმდეგ, „იძულებითი წესით“ რაიმე სამკურნალო პროცედურის, მათ შორის, სისხლის გადასხმის ჩატარება.<sup>18</sup>

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კარგი იქნება თუ ქართული კანონმდებლობა გაითვალისწინებს პაციენტის რელიგიური უფლებების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის ვალდებულებას. ცნობილია, რომ რელიგიური გრძნობები, სხვა ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან ერთად,<sup>19</sup> გარკვეულწილად ხელს უწყობს პაციენტის გამოჯანმრთელებას.

ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს პაციენტის რელიგიური უფლებების შეზღუდვას გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო ჩარევაზე თანხმობის გაცხადების ვალდებულების სახით იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება მესამე პირის ინტერესებს. სხვა შემთხვევებში, პაციენტის რელიგიური უფლებების განხორციელებას წინ არაფერი ელოდება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“;
3. საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“;
5. საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“;
6. საქართველოს კანონი „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“;
7. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2013;
8. საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება;
9. გეროს 1948 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“;
10. 1966 წლის პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“;
11. გეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 22-ე ზოგადი კომენტარი;
12. წიგნი პაციენტებისათვის, თბ., 2011;
13. მარინა კვაჭაძე, თანამედროვე მედიცინა და ადამიანის უფლებები, შურ. „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1999, #4;
14. ნუნუ კვანტალიანი, პაციენტის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები, შურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2011, #2;
15. ექიმის პროფესიული საქმიანობის წესები, თბ., 2011;
16. ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბ., 2011;
17. ლევან იზორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005;
18. ნათია თამაზაშვილი, ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა \_ პაციენტის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები, შურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2013, #1.
19. დავით წულაია, სამედიცინო კრიმინოლოგია (კრიმინოლოგიის ქართული მოძღვრების კონცეპტუალური ასპექტები) // Medical law, Tbilisi, 2011;
20. ДЕКЛАРАЦИЯ О ПОЛИТИКЕ В ОБЛАСТИ ОБЕСПЕЧЕНИЯ ПРАВ ПАЦИЕНТА В ЕВРОПЕ (Принято Европейским совещанием по правам пациента, Амстердам, Нидерланды, март 1994), [http://www.Baku.2004.prodiabet.net/download/add/Patients rights\\_declaration\\_in\\_russian.doc](http://www.Baku.2004.prodiabet.net/download/add/Patients%20rights_declaration_in_russian.doc)
21. Е. Айдин, Права пациентов в Турции // <http://www.medlaw.go.kg>
22. Основ законодательства Российской Федерации об охране здоровья граждан <http://base.consultant.ru/cons/cgi/online.cgi?req=doc;base=LAW;n=122942>

შენიშვნები:

- <sup>1</sup> საქართველოს კონსტიტუცია (1995); საქართველოს კანონი საექიმო საქმიანობის შესახებ (2001); საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (1997); საქართველოს კანონი აივ ინფექცია/შიდსის შესახებ (2009); საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ (2000); საქართველოს კანონი სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის შესახებ (1995); საქართველოს კანონი ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ (2000); საქართველოს კანონი სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შესახებ (2002); საქართველოს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ (2006); საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (2007) და სხვ.
- <sup>2</sup> მოძრაობა – ჯანდაცვის რეფორმირებისთვის ევროპაში; საერთაშორისო ორგანიზაციები: გაერო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, იუნესკო, ევროპის საბჭო, ექიმთა მსოფლიო ასოციაცია და ა.შ.
- <sup>3</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948); ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950); ევროპული სოციალური ქარტია (1961); საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (1966); საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ (1966); ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989); კონვენცია ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ; ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ადამიანის კლონირების აკრძალვის შესახებ (1998); ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ადამიანური წარმოშობის ორგანოების და ქსოვილების გადანერგვის შესახებ (2001); ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმი ბიოსამედიცინო კვლევის შესახებ (2005); ადამიანის გენომის და ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია; იუნესკო (1997); ჰელსინკის დეკლარაცია: რეკომენდაციები ექიმებისთვის ადამიანური სუბიექტების ბიოსამედიცინო კვლევაში ჩართვის დროს; ექიმთა მსოფლიო ასოციაცია; სამედიცინო ეთიკის პრინციპები; გაერო (1982); ევროპაში პაციენტის უფლებათა ხელშეწყობის შესახებ დეკლარაცია (1994); კონვენცია ადამიანის უფლებების და ბიომედიცინის შესახებ (1997) და სხვ.
- <sup>4</sup> წიგნი პაციენტებისათვის, თბ., 2011, გვ. 8.
- <sup>5</sup> ლევან იმორია, კონსტანტინე კორკელია, კონსტანტინე კუბლაშვილი, გიორგი ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბ., 2005, გვ. 111.
- <sup>6</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „საია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“
- <sup>7</sup> გაეროს 1948 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, მ. 29.
- <sup>8</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 22-ე ზოგადი კომენტარი.
- <sup>9</sup> საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“, მ. 15.2. „ვ.“
- <sup>10</sup> E.Айдин, Права пациентов в Турции // <http://www.medlaw.go.kg>
- <sup>11</sup> Основ законодательства Российской Федерации об охране здоровья граждан, ст. 30. ч.13.
- <sup>12</sup> დავით წულაია, სამედიცინო კრიმინოლოგია (კრიმინოლოგიის ქართული მოძღვრების კონცეპტუალური ასპექტები) // Medical law, Tbilisi, 2011, 151.
- <sup>13</sup> ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბ., 2011, გვ. 222.
- <sup>14</sup> ექიმის პროფესიული საქმიანობის წესები, თბ., 2011, გვ. 16.
- <sup>15</sup> საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბ., 2013, გვ. 169.
- <sup>16</sup> თუმცა პრაქტიკაში უმეტესწილად აღიარებულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის პრიორიტეტი.
- <sup>17</sup> ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. პრაქტიკული სახელმძღვანელო იურისტებისთვის, თბ., 2011, გვ. 223.
- <sup>18</sup> ნათია თამაზაშვილი, ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა – პაციენტის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებები, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2013, #1, გვ. 141.



# RELIGIOUS RIGHTS OF A PATIENT AND GROUNDS FOR ITS LIMITATION

MURMAN GORGOSHADZE

*Full Professor of the Faculty of Social Sciences, Business and Law of the  
Batumi Shota Rustaveli State University*

The article discusses the issues of realization and limitation of patient's religious rights in the legislation of Georgia. It is shown that the Georgian legislation envisages limitation of the patient's religious rights in the form of the obligation to express consent for urgent medical care and medical procedures, if it deals with the interests of the third party. In other cases the realization of the patient's religious rights is not limited.



# ქართული პარლამენტარიზმის ისტორიის დასაწყისი, თუ სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვის ცდა?

პარლამენტარიზმის წარმოშობა,  
პარლამენტარიზმისა და ხელისუფლების  
დანაწილების პრინციპის ურთიერთმიმართების  
კრობლემა

ლევან დარბაიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სამართლის დოქტორი,  
თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე*

„მგეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია –  
იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა  
სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე – ეგ დალოცვილის მეფის თამარის  
დედობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დრო  
ყოფილა, ჩემო ძმაო, ქართველობით თავი მოგვიწონებია.“

ილია

პარლამენტარიზმი, როგორც სახელმწიფო მმართველობის  
სისტემა, სახალხო წარმომადგენლობის იდეას უკავშირდება. აბ-  
სოლუტური მონარქიის კრიზისის შემდეგ, დასავლეთ ევროპაში,  
პარლამენტარიზმი ერთადერთ ალტერნატივად იქცა. პარლამენ-  
ტარიზმი არის სახელმწიფოს მართვის იმგვარი მოდელი, სადაც  
ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციები  
ერთმანეთისაგან გამიჯნულია და უზრუნველყოფილია საკანონმ-  
დებლო ორგანოს ფორმალური უზენაესობა. პარლამენტარიზმის  
პირობებში, აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირება დაკავ-  
შირებულია უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოსთან და იგი  
ანგარიშვალდებულია სწორედ პარლამენტის წინაშე.

პარლამენტარიზმი სათავეს იღებს XIII საუკუნის ინგლისიდან, სადაც 1215 წელს გამოიცა თავისუფლების დიდი ქარტია, იგივე „მაგნა კარტა“ (Magna Carta Libertatum). ქარტიის თანახმად, მონარქის აბსოლუტური უფლებები გარკვეულწილად, უნდა შეზღუდულიყო და დაქვემდებარებოდა კანონით დადგენილ პროცედურებს. მაგნა კარტამ უდიდესი როლი შეასრულა მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში და შეიძლება ითქვას, რომ იგი ფაქტობრივად, საფუძვლად დაედო თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის ჩამოყალიბებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პარლამენტარიზმი, თავისი იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, პირდაპირ დაკავშირებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან.

ხელისუფლების დანაწილების იდეა სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში, პირველმა – ჯონ ლოკმა (1632-1704 წწ.) წამოაყენა. თუმცა, მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ თეორიის ფუძემდებლად XVIII საუკუნის ფრანგ მოაზროვნეს – შარლ ლუი მონტესკიეს (1680-1755 წწ.) მიიჩნევს, რომელმაც ფაქტობრივად, განავითარა ჯონ ლოკის შეხედულებანი აღნიშნულ საკითხზე.<sup>1</sup> ასევე მნიშვნელოვანია, გერმანელი მოაზროვნის – სამუელ პუფენდორფის (1632-1694 წწ.) შეხედულებები სახელმწიფო ხელისუფლების სამართლებრივი ფარგლების შესახებ.<sup>2</sup>

ჯონ ლოკის აზრით, ადამიანები ბუნებით მდგომარეობაში იყვნენ თავისუფალნი, თანასწორნი და დამოუკიდებელნი; მაგრამ, რადგანაც უგუნურებაა ადამიანები თვითონ იყვნენ საკუთარი საქმიების მოსამართლენი, ამიტომ საზოგადოებრივი ხელშეკრულების შედეგად, ისინი ერთიანდებიან საზოგადოებად, რათა მოხერხებულად და მშვიდობიანად იცხოვრონ, ერთობლივად და უშიშრად გამოიყენონ თავიანთი საკუთრება.<sup>3</sup> ადამიანთა სახელმწიფოდ გაერთიანების უმთავრესი მიზანია საკუთრებისა და თავისუფლების დაცვა ხელყოფისაგან. ამიტომაც, სახელმწიფოს შექმნისთანავე, უმაღლესი ხელისუფლების სახით, ყალიბდება საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც ხორციელდება მხოლოდ ხალხის მიერ. ჯ. ლოკი მიუთითებს, რომ სულერთია, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება, იგი ვალდებულია სახელმწიფო მართოს ხალხის მიერ აღიარებული და დადგენილი კანონებით.<sup>4</sup> იკვლევს რა, საკანონმდებლო ხელისუფლების მოცულობას, ჯ. ლოკი ამტკიცებს, რომ იგი უზენაესი, წმიდათაწმიდა და მუდმივია, მაგრამ იგი სახელმწიფოში მანც არ შეიძლება იყოს ხალხის მიმართ აბსოლუტურად დესპოტური; საკანონმდებლო ხელისუფლებას არ შეუძლია ადამიანები აიძულოს შეასრულონ თვითნებური განკარგულებები ან ხელყოს ადამიანთა საკუთრების უფლება, ამასთან, მიანდოს კანონების გამოცემა რომელიმე სხვა ორგანოს.

ჯ. ლოკის წარმოდგენით, საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობის განხორციელება გულისხმობს მხოლოდ ერთ ხელისუფლებას – საკანონმდებლო ხელისუფლების სახით, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ერთხელ შექმნილი კანონები მუდმივად უნდა სრულდებოდეს, რისთვისაც აუცილებელია ახალი ხელისუფლების გამოყოფა ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლებისაგან. ასეთი ხელისუფლება არის აღმასრულებელი, რომელიც საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან უნდა განიმიჯნოს. საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელსაც ახორციელებს პარლამენტი არის უმაღლესი, მაგრამ არა აბსოლუტური ხასიათის, ხელისუფლების დანარჩენ ორგანოთა მიმართ.

ჯ. ლოკი მიუთითებს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა განხორციელდეს ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოს მიერ. მისი შეხედულებით, უზენაესი მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებაა, რომლის კომპეტენციას შეადგენს კანონების დადგენა, რაც რა თქმა უნდა, ყველა ხელისუფლებაზე მაღლა უნდა იდგეს.

ყურადღებას იპყრობს ჯ. ლოკის მსჯელობანი სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ისტორიაზე. იგი მიუთითებს, რომ სახელმწიფოს წარმოშობისთანავე, თავდაპირველად, იქმნება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებანი, რომლებიც ერთობლივად მოქმედებენ, მაგრამ

სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პროცესში ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლებიდან ხდება ამ ორი ხელისუფლების თანდათანობით ერთმანეთისაგან გამოყოფა.

ბუნებითი სამართლის სკოლის ცნობილი წარმომადგენელი, გერმანელი ს. პუფენდორფი ნაშრომში „ბუნებითი და საერთო-სახალხო სამართლის შესახებ“, საგანგებოდ განიხილავს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საკითხს. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს: 1) საკანონმდებლო ხელისუფლებას; 2) სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც წყვეტს სასჯელის საკითხს; 3) სასამართლო ხელისუფლებას; 4) სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც წყვეტს ომისა და ზავის საკითხებს, აგრეთვე დებს სხვა სახელმწიფოებთან საერთაშორისო ხელშეკრულებებს; 5) სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც ნიშნავს მინისტრებსა და სხვა ჩინოვნიკებს; 6) სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც ადგენს და კრეფს სახელმწიფო გადასახადებს; 7) სახელმწიფო ხელისუფლებას, რომელიც განაგებს სასწავლო დაწესებულებებსა და განათლებას. ყურადსაღებია, რომ მის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრება მიზნად ისახავს სამეფო ხელისუფლების შემლუღვას.

ანტიკური და შემდგომი პერიოდის სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის კრიტიკული შესწავლის საფუძველზე, შარლ ლუი მონტესკიე ამუშავებს ამ მოძღვრების ახალ მხარეებს. მონტესკიე არ არის ჯ. ლოკის უბრალო მიმბაძველი, რადგანაც იგი თავის ნაშრომში „კანონთა გონის შესახებ“ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას დასრულებულ, კლასიკურ ფორმას აძლევს. ამდენად, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების შესახებ შ. მონტესკიეს მოძღვრება იყო წარსულის აბსტრაქცია, თავისი დროისათვის იდეალი და მომავლისათვის კი – პროგრამა.

შ. მონტესკიეს დამსახურება ისაა, რომ მან პირველად გამოაცხადა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება სახელმწიფოებრივი წყობილების უმაღლეს პრინციპად, რომელსაც შეუძლია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლების დაცვა და უზრუნველყოფა. მონტესკიეს იდეალია სახელმწიფო, სადაც გაბატონებულია პოლიტიკური თავისუფლება. იმ სახელმწიფოს არსი, რომელშიც პოლიტიკური თავისუფლება არსებობს, მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მასში შეიძლება იმის გაკეთება, რაც უნდა გვსურდეს და არ უნდა იყვნენ მოქალაქენი იძულებულნი აკეთონ ის, რაც არ უნდა გვსურდეს... თავისუფლება არის უფლება იმისა, ვაკეთოთ ის, რაც კანონით ნებადართულია. მოქალაქეს რომ შეეძლოს აკეთოს ის, რაც კანონებით აკრძალულია, მას თავისუფლება არ ექნებოდა, რადგანაც იგივე შეეძლებათ გააკეთონ დანარჩენმა მოქალაქეებმა.<sup>45</sup>

მონტესკიეს აზრით, პოლიტიკურ თავისუფლებას საზოგადოებაში ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მმართველები ხელისუფლებას ბოროტად არ იყენებენ. იგი აღნიშნავს: „თითოეულ სახელმწიფოში არსებობს სამგვარი ხელისუფლება: საკანონმდებლო, რომელიც განაგებს საერთაშორისო სამართლის საკითხებს და აღმასრულებელი, რომელიც განაგებს სამოქალაქო სამართლის საკითხებს. პირველი ხელისუფლების ძალით ხელმწიფე ქმნის მუდმივ ან დროებით კანონებს და წარმართავს ან აუქმებს არასრულ კანონებს. მეორე ხელისუფლების ძალით იგი აცხადებს ომს ან დებს ზავს, გზავნის ან ღებულობს ელჩებს, უზრუნველყოფს უშიშროებას, იგერიებს თავდასხმებს. მესამე ხელისუფლების ძალით იგი სჯის დანაშაულობებს და აგვარებს კერძო პირთა შორის წინააღმდეგობებს. ამ უკანასკნელ ხელისუფლებას შეიძლება ეწოდოს სასამართლო, ხოლო მეორეს – უბრალოდ სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლება.“<sup>46</sup>

მონტესკიეს აზრით, აუცილებელია საკანონმდებლო ხელისუფლება მიენიჭოს მთლიანად ხალხს, რომელიც არჩევნების გზით აირჩევს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, მაგრამ იგი წინააღმდეგია, რომ ხალხი უშუალოდ ახორციელებდეს აღმასრულებელ ხელისუფლებას. აღმასრულებელი ხელისუფლება, მისი აზრით, უნდა ეკუთვნოდეს მონარქს.

შ. მონტესკიე თავის ნაშრომში „კანონთა გონის შესახებ“ განსაკუთრებულ ადგილს უთმობს სასამართლო ხელისუფლებას, რომელიც საზოგადოებაში რეალიზებული უნდა იყოს აღმასრულებელი ხელისუფლების განმარტაცივითი ორგანოების მიერ.

მონტესკიე ასკვნის: სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლებებიდან გამოიყოს სხვადასხვა ხელისუფლება, არამედ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება ამ ხელისუფლების გაერთიანებასაც გულისხმობს ერთიან სახელმწიფო ხელისუფლებად.<sup>7</sup>

სხვა მოაზროვნეთაგან განსხვავებით, მონტესკიემ პირველმა მიუთითა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება, როგორც პოლიტიკური პრინციპი, ნიშნავს ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლების არა უბრალოდ დაყოფას საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად, არამედ ხელისუფლების ჰორიზონტალურ დანაწილებას, რაც უზრუნველყოფს ხელისუფლების უზურპაციის თავიდან აცილებას. მონტესკიე თვლიდა, რომ როდესაც სასამართლო ხელისუფლება განცალკევებული არ არის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, ამ შემთხვევაში მოსამართლის ძალაუფლება თვითნებური ხდება, რადგან ის თვითონვე შეიქმნება კანონმდებელი და შესაძლებლობა ექნება მჩაგვრელი გახდეს. დიდი ფრანგი განმანათლებელი და სამართალმცოდნე აცხადებდა, რომ სასამართლო ხელისუფლება უნდა განხორციელებულიყო კანონით დადგენილი წესით, ხალხის წრიდან არჩეული პირების მიერ და რომ თავისუფალ სახელმწიფოში საკანონმდებლო ხელისუფლება ხალხის კუთვნილება უნდა ყოფილიყო.<sup>8</sup>

მონტესკიეს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა არა მარტო თანამედროვე, არამედ შემდგომი პერიოდის თაობებზეც. კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საფუძველზე ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის გერმანული სამართლებრივი იდეოლოგია (კანტი, ჰეგელი, ფიხტე). საბოლოოდ კი, XVIII საუკუნის შემდგომი პერიოდის ევროპის ქვეყნების კონსტიტუციებში, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება როგორც ძველი, ასევე ახალი დროის კონსტიტუციების უმთავრეს პოლიტიკურ პრინციპად იქცა. აქვე აღსანიშნავია აშშ-ის სახელმწიფოებრივი მოწყობის თავისებურებები, რომელშიც გაერთიანდა ჯონ ლოკისა და შარლ ლუი მონტესკიეს მოძღვრების ძირითადი დებულებები.

მიუხედავად ხელისუფლების დანაწილების თეორიის კლასიკური ფორმის ჩამოყალიბებისა, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო დრომდე, სახელდობრ, მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში პარლამენტარიზმი არ იყო სახელმწიფო მმართველობის ძირითადი სისტემა. თანამედროვე მსოფლიოში კი, პარლამენტარიზმი, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ფარგლებში, აღიარებულია სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის უმთავრეს გარანტიად, რაც მისი დემოკრატიული განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

## პარლამენტარიზმის წარმოშობის ისტორია საქართველოში

პარლამენტარიზმის ისტორია საქართველოში 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტით იწყება. 1918 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება, რომელიც ითვალისწინებდა დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას პარტიული სიების მიხედვით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. 1919 წლის თებერვალში, არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრება, ხოლო 1919 წლის 12 მარტს ჩატარდა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა. 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს

პირველი კონსტიტუცია, რომელმაც მხოლოდ ოთხი დღე იარსება, რადგან 25 თებერვალს რუსეთმა მოახდინა საქართველოს ოკუპაცია.

სწორედ ქართული პარლამენტის ის შემადგენლობა, რომელმაც 1919 წლის 12 მარტიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება, დამოუკიდებელი საქართველოს პირველ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა.<sup>9</sup>

იურიდიულ მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირველად, პარლამენტის შექმნის იდეა საქართველოში ჯერ კიდევ, XII საუკუნეში, თამარის მეფობის დროს წარმოიშვა, როდესაც მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა და მისმა დასმა მოითხოვა მონარქიული წყობილების რესპუბლიკურით შეცვლა, სადაც საკანონმდებლო ფუნქციებით აღჭურვილი ორგანო „კარავი“ განახორციელებდა როგორც უმაღლეს წარმომადგენლობით, ისე სასამართლო ხელისუფლებასაც, ხოლო მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩებოდა.<sup>10</sup> ამ მოსაზრების ზოგიერთი ავტორი ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამას ინგლისის 1215 წლის თავისუფლების ქარტიასაც კი ადარებს და მიიჩნევს, რომ პარლამენტარიზმის ისტორია საქართველოში სწორედ რენესანსული ეპოქიდან იწყება.

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ ცნობა მოეპოვება მხოლოდ და მხოლოდ თამარის პირველ ისტორიკოსს, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობ ავტორს.<sup>11</sup> თუმცა, მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია ძალიან ფრაგმენტული, აპოლოგეტიკური და მიკერძოებულია, ამიტომ იგი ამ მოძრაობის შესახებ არასრულ წარმოდგენას გვიქმნის. აქედან გამომდინარე, ყუთლუ-არსლანის პიროვნების, მისი პოლიტიკური პროგრამის სამართლებრივი და სოციალური ბუნების შესახებ პირდაპირ და დასაბუთებულად რაიმეს თქმა სირთულეს წარმოადგენს.

თამარის ისტორიკოსის ცნობით, ყუთლუ-არსლანს სურდა „კარავის“ (დაწესებულების) დადგმა ისანში, სამეფო სასახლის გვერდით, ხოლო იქ დამსხდომელოთათვის საქმეთა „განგების“ უფლების მინიჭება, სახელდობრ, „მიცემისა და მოღებისა“, „წყალობისა და შერისხვისა.“ ისინი თავიანთ „განგებულს“ მოახსენებდნენ თამარს, რის შემდეგაც „სრულ იქმნებოდეს“ მათი „განგებული.“<sup>12</sup>

ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, მეფის დასწრება „კარავის“ სხდომებზე არ იყო აუცილებელი, „კარავის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მეფეს უნდა დაემტკიცებინა: „ენებოს, თუ არა ენებოს, თამარმა დაამტკიცოსო.“<sup>13</sup>

ივანე ჯავახიშვილი ყუთლუ-არსლანის დასის მოძრაობას მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ „მესამე წოდების“ გამოსვლად მიიჩნევდა. მისი აზრით, ყუთლუ-არსლანი მიზნად ისახავდა საქართველოში ახალი ტიპის მმართველობის დამყარებას, სადაც მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩებოდა. საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება კი, „კარავში დასხდომილთ“ უნდა გადასცემოდათ. მას ამის საფუძველს აძლევდა თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვები, რომლითაც მან გამოხატა ყუთლუ-არსლანის მოთხოვნის ძირითადი არსი – „წყალობისა და შერისხვისანი“, „მიცემისა და მოღებისანი.“<sup>14</sup>

ივანე ჯავახიშვილი თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ გამოყენებულ ზემოაღნიშნულ ტერმინებს შემდეგნაირად განმარტავს: „განგება“, საქმეთა განმგებლობას ნიშნავდა. „წყალობა და შერისხვა“ მართლმსაჯულების უზენაესი ფუნქციის ცენტრალური ხელისუფლებიდან გამოყოფას გულისხმობდა. „მიცემა“, უპირველეს ყოვლისა, „მისანდობლობას“, უმაღლესი მოხელეობის გადაცემას ნიშნავდა, შესაბამისად, ტერმინი „მოღება“ სწორედ, აღნიშნულის საწინააღმდეგო ცნების გამომხატველად იყო გამოყენებული, რაც ნიშნავდა, რომ „კარავში“ დასხდომილთ სახელმწიფოს უმაღლეს მოხელეთა დანიშვნა-გათავისუფლების ფუნქციის გადაცემაც სურდათ. დასის პროგრამის მიხედვით, მეფეს მხოლოდ ე.წ. „სრულქმნის“ უფლება ექნებოდა, „განგების“ უფლება კი, „კარავში“ დასხდომილთ უნდა



მიელოთ, რაშიც მეფე არავითარ მონაწილეობას აღარ მიიღებდა.<sup>15</sup> თუმცა, ივანე ჯავახიშვილი იქვე დასძენს, რომ „მიცემა“ და „მოღება“ ყუთლუ-არსლანის პროგრამაში ბევრი სხვა მნიშვნელობითაც შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული.<sup>16</sup> თანამედროვე იურიდიული ტერმინოლოგიით, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრების თანახმად, ყუთლუ-არსლანის მოთხოვნა თავისი სამართლებრივი შინაარსით, სხვა არაფერი იყო, თუ არა მონარქიული წყობილების საპარლამენტო მმართველობით შეცვლის იდეა. ივანე ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული აღნიშნული მოსაზრება საფუძვლად დაედო არაერთი მეცნიერის სამართლებრივ შეხედულებას ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის შესახებ. თუმცა, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს ორი განსხვავებული მოსაზრება. ისტორიკოსების ერთი ნაწილი – ივ. ჯავახიშვილი, შ. მესხია, ვ. აბაშმაძე, კ. გრიგოლია, ს. მაკალათია და სხვები ფიქრობენ, რომ ყუთლუ-არსლანის დასი შედგებოდა დაბალი სოციალური ფენის, ძირითადად, „მესამე წოდების“ წარმომადგენლებისაგან, რომლებიც მოითხოვდნენ საკანონმდებლო და სასამართლო უფლებამოსილებებით აღჭურვილი, ახალი მუდმივმოქმედი სახელმწიფო ორგანოს შექმნას. მეცნიერთა მეორე ნაწილის – ვახუშტი ბატონიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, გ. სოსელიას, შ. ბადრიძის, მ. ანჩაბაძის, პ. ინგოროყვას, მ. ჯანაშვილისა და სხვათა აზრით კი, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით მოწყობილ დიდგვაროვანთა მორიგ აჯანყებას წარმოადგენდა, სახელდობრ, ეს იყო ბრძოლა სამეფო კარზე თანამდებობების განაწილებისათვის.

სახელი ყუთლუ-არსლანი თურქული წარმოშობისაა და „ბედნიერ ლომს“ ნიშნავს. თუმცა, ჩვენ ვეთანხმებით მოცემულ საკითხზე ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ამის გამო ყუთლუ-არსლანი არ შეიძლება ჩაითვალოს უცხო წარმოშობის ადამიანად, რადგან საქართველოში უცხოური სახელების დარქმევა იშვიათი მოვლენა არ ყოფილა.<sup>17</sup>

საინტერესოა, იყო თუ არა ყუთლუ-არსლანის პროგრამა საიდანმე გადმოღებული. თამარის პირველი ისტორიკოსი ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის აღწერისას იყენებს შემდეგ სიტყვებს: „ყუთლუ-არსლან..... მომღებელმან წესსა რასამე სპარსთა განაგისსა.“<sup>18</sup>

ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის შეხედულებით, არც იმ პერიოდის სპარსეთში და არც აღმოსავლეთის სხვა რომელიმე ქვეყანაში ამგვარი შინაარსის წესი არ არსებობდა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „რა თქმა უნდა, ყუთლუს არსაიდან არ უსესხია ეს პროგრამა, ასეთი არც არსად იყო. თუ სადმე იყო რაიმე სასესხებელი მაგალითი, ეს ისევე საქართველოს კორპორაციები იყო (ეკლესია, საკათალიკოსო, მონასტრები, ქალაქები).“<sup>19</sup> ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, „პოლიტიკურ ცხოვრებაში არაერთხელ მომხდარა, რომ მოწინააღმდეგე ბანაკის სახელის გასატეხად მისი პროგრამა უცხოელთაგან ნაკარნახევად ან ნასესხებად გამოუცხადებიათ.“<sup>20</sup>

ქართულ ისტორიოგრაფიაში ასევე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ თამარის ისტორიკოსის მიერ ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამასთან მიმართებაში ნახსენები „სპარსული წესი“ შეიძლება უკავშირდებოდეს ნიზამ-ალ-მუქის „სიახათ-ნამუს“. მასში განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ მეფისათვის სასარგებლოა ბრძენ ხალხთან და მეცნიერებთან თათბირი, რომლის გარეშეც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხები არ უნდა გადაწყდეს. თუმცა, აღნიშნულ აღმოსავლურ სამართლის ძეგლში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ მეფეს უნდა ჩამოერთვას საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. ძირითადად, სწორედ ამ გარემოებას ეფუძნება ღვაწლმოსილი მეცნიერების – ივ. ჯავახიშვილისა და ნ. ბერძენიშვილის შეხედულება ყუთლუ-არსლანის პროგრამის „სპარსულ წესთან“ მსგავსების უარყოფის შესახებ.

ივანე ჯავახიშვილს ყუთლუ-არსლანი დაბალი სოციალური წოდების წარმომადგენლად მიაჩნდა, რასაც იგი თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვების საფუძველზე ხსნიდა. მემპტიანეს ყუთლუ-არსლანი მოხსენიებული ჰყავს „ბიჭად“, „ჯორის სახედ“, „ორბუნებოვნად“. „ბიჭი“ ძველ ქართულში

უკანონო შვილს ნიშნავდა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „უკვე ეს გარემოება ცხადყოფს, რომ შეუძლებელია ყუთლუ-არსლანი დიდგვაროვანი აზნაური ყოფილიყო; თუნდაც, რომ მას მამა დიდგვაროვანი აზნაური ჰყოლოდა, კანონის თანახმად, მას უეჭველად მამაზე დაბალი წოდებრიობა უნდა მიჰკუთვნებოდა და ყმად გამხდარიყო.“<sup>21</sup>

ჩვენი აზრით, მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ გამოყენებული ზემოაღნიშნული ეპითეტების საფუძველზე ყუთლუ-არსლანის წარმომავლობის ზუსტად განსაზღვრა მართებული არ არის. შესაძლებელია თამარის ისტორიკოსმა ეს სიტყვები ყუთლუ-არსლანის, როგორც მეფის წინააღმდეგ გამოსული რეაქციონერის შეურაცხყოფისათვის გამოიყენა, მით უმეტეს, რომ ამ საისტორიო თხზულების ავტორი აშკარად სუბიექტურია და შეიძლება ითქვას, თამარის აპოლოგეტად გვევლინება.<sup>22</sup>

ყურადსაღებია, სამეცნიერო ლიტერატურაში ისტორიკოს ი. ანთელავას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ „კარავი,“ რომელსაც მედასეები ითხოვდნენ, მაჰმადიანურ აღმოსავლეთში არსებული „მდივნი“ (კანცელარიის) მსგავსი დაწესებულება უნდა ყოფილიყო. ე. ი. ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა ცენტრალური აპარატის გამოყოფას მეფის ხელისუფლებისაგან და არ ითვალისწინებდა არავითარ პარლამენტური ან მისი მსგავსი ტიპის ორგანოს შექმნას. პირიქით, ყუთლუ-არსლანის გამოსვლა მიმართული იყო ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისაკენ. ი. ანთელავას აღნიშნული მოსაზრება დაფუძნებულია „მიცემის,“ „მოღების,“ „წყალობისა“ და „შერისხვის“ ახლებურ გაგებაზე. ი. ანთელავას დასაშვებად მიაჩნია, ამ ტერმინების სინონიმებად ჩათვლა. იგი იმოწმებს ივანე ჯავახიშვილს, რომლის აზრითაც, „მიცემაში“ მოხელეობის მიცემა, ხოლო „მოღებაში“ მოხელეობის წართმევა შეიძლება იყოს ნაგულისხმევი.<sup>23</sup>

ჩვენ სრულად ვეთანხმებით ისტორიკოს დ. ლეთოდიანს, რომელმაც გამოთქვა საინტერესო შეხედულება ი. ანთელავას ზემოაღნიშნული მოსაზრების შესახებ. მისი აზრით, „წყალობა“ და „მიცემა“ ძველი ქართული სამართლის სრულიად სხვადასხვა ინსტიტუტების აღმნიშვნელი ტერმინებია, რომლებსაც განსხვავებული სამართლებრივი შინაარსი აქვთ და სინონიმებად ვერ გამოვიყენებთ. თუნდაც, რომ დაგვეშვა იდენტურობა „წყალობა“-„მიცემის“ და „მოღება“-„შერისხვისა,“ ანუ პირველ დაწყვილებაში მხოლოდ მოხელეობის მიცემა გვეგულისხმება, ხოლო მეორეში – მოხელეობის წართმევა და ყუთლუ-არსლანის საპროგრამო მოთხოვნა აქამდე დაგვეყვანა, ვფიქრობთ, ასეთი მოთხოვნაც ვერ მოთავსდებოდა „მდივნის“ (კანცელარიის), თუ ადმინისტრაციული ხელისუფლების კომპეტენციაში.<sup>24</sup>

იმის მტკიცება, რომ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისაკენ იყო მიმართული,<sup>25</sup> არასწორად გვეჩვენება, რადგან ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, ეს იგივეა, რაც მეფის ხელისუფლების გაძლიერება, ხოლო ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამა ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას ვერ იძლევა.

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებას იზიარებს ისტორიკოსი ს. მაკალათია, რომელსაც მიაჩნია, რომ ყუთლუ დაბალი სოციალური წარმომავლობის პირია და მისი დასის გამოსვლა მოქალაქეთა ზედა ფენის ინიციატივას წარმოადგენდა. ს. მაკალათიას აზრით, თამარი „თავისი მონარქიული ძალაუფლების განსამტკიცებლად მთლიანად დაეყრდნო დიდგვაროვანთა წოდებას.“<sup>26</sup> მას მხედველობაში აქვს დიდგვაროვნების პროტესტი, რომლის შედეგადაც, თამარმა გადააყენა უგვარო მოხელეები: ყუბასარი და აფრიდონი. ს. მაკალათიას შეხედულებით, სწორედ „ამის გამო (მონარქიული ხელისუფლების განსამტკიცებლად) გვარიანსა და უგვარო წოდებათა შორის პოლიტიკურ ბრძოლაში თამარი მიემხრო დიდგვარიანებს და ამით მან გააძლიერა ფეოდალური არისტოკრატის წოდებრივი ბატონობა უგვაროებზე, რომელთა რიგში შედიოდნენ დიდგვართა წარმომადგენლები, შეძლებული მოქალაქენი, ხელოსნები. უგვარო წოდებას წაერთვა წინათ მოპოვებული მაღალი თანამდებობების

მიღების უფლებაც და თამარმა ეს წოდება ისევ ფეოდალურ არისტოკრატის დაუმორჩილა.“ ს. მაკალათიას აზრით, სწორედ „ფეოდალური არისტოკრატის გაძლიერებამ გამოიწვია ამ უგვარო მესამე წოდების პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც მეთაურობდა ყუთლუ-არსლანი.“<sup>27</sup>

ისტორიკოს კ. გრიგოლიასაც ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა მიაჩნდა „სიმდიდრით აღზევებულთა“ აჯანყებად. „სიმდიდრით აღზევებულ პირებს კარავში, ანუ სამეფო დარბაზში დასხდომის უფლება უნდა მოეპოვებინათ... ამიერიდან დარბაზს სრული საკანონმდებლო უფლებები უნდა მიეღო. მეფის სასახლეს კი, მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩებოდა. ამგვარად, მეფე დარბაზით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული და ამიერიდან საქართველოში კონსტიტუციური მონარქია უნდა დამყარებულიყო.“<sup>28</sup> თუმცა, კ. გრიგოლია თავის სამეცნიერო ნაშრომში არ ასაბუთებს, თუ რატომ იყენებს ტერმინებს - „დარბაზსა“ და „კარავს“ ერთმანეთის სინონიმებად.

ჩვენი აზრით, „სამეფო დარბაზი“ ვერ იქნება ყუთლუ-არსლანის მიერ მოთხოვნილი „კარავის“ იდენტური, რადგან დარბაზი, ეს იგივე სამეფო სასახლეა. XI-XIII საუკუნეების საქართველოში ე.წ. „სახელმწიფო დარბაზი“, როგორც დიდგვაროვანთა პოლიტიკური ორგანო არ არსებობდა. ტერმინი „დარბაზი“, რომელიც სასახლეს აღნიშნავდა, სხვა მნიშვნელობით წყაროებით არ დასტურდება. ე.წ. „სახელმწიფო დარბაზი“, რომლის წევრები, თითქოს ერისთავთ-ერისთავები და ერისთავები იყვნენ, არ არსებობდა. სასახლეში, დარბაზში კიდევ სხვა „დარბაზი“, დიდებულთა სათათბირო ორგანოს სახით, არ იყო შექმნილი.<sup>29</sup> საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობა თავმოყრილი იყო სამეფო სასახლეში, საიდანაც ხდებოდა სახელმწიფოს, სამეფო დომენისა და თვით სასახლის მართვა. მეფის შემდეგ კი, უმაღლეს თანამდებობის პირებს წარმოადგენდნენ ვეზირები, რომლებიც ამავე დროს, იყვნენ დიდი ერისთავებიც. ცხადია, ვეზირები კი არ მოახსენებდნენ დარბაზს სხვადასხვა პრობლემური საკითხების შესახებ, არამედ თვით ვეზირებს აცნობდნენ დარბაზში მიმდინარე საქმეების ვითარებას.<sup>30</sup>

ჩვენი აზრით, კ. გრიგოლიას „კარავის“, როგორც ახალი დაწესებულების შექმნის შესახებ მოთხოვნა, უკვე არსებული „დარბაზის“, ანუ სამეფო სასახლის უფლებების გაზრდად მიუჩნევია, სახელდობრ, საკანონმდებლო ხელისუფლების დარბაზისათვის გადაცემად ჩაუთვლია, რაც ისედაც მეფის ხელისუფლების პრეროგატივას წარმოადგენდა.

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლასა და შუა საუკუნეების თბილისის საქალაქო ცხოვრებას ვრცელი გამოკვლევები მიუძღვნა პროფესორმა შ. მესხიამ, რომელიც ანალოგიურ თვალსაზრისს ემხრობა. მისი აზრით, ყუთლუ-არსლანის მოძრაობა, ე.წ. „მესამე წოდების“ გამოსვლა იყო. შ. მესხიამ ნათლად და დამაჯერებლად წარმოაჩინა შუა საუკუნეების თბილისში არსებული ცხოვრება და აღნიშნულის საფუძველზე, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველად თბილისში არსებული რესპუბლიკური წყობილება მიიჩნია. მისი მოსაზრებით, ყუთლუ-არსლანის აჯანყების დამარცხების შემდეგ, გაბატონებულ ფეოდალურ კლასებსა და „მესამე წოდებას“ შორის დამყარდა კომპრომისი, რომლის საფუძველზეც სამეფო ხელისუფლების მიერ განხორციელდა დემოკრატიული ხასიათის ცვლილებები, ამან კი, „მესამე წოდების“ წარმომადგენლებს გზა გაუხსნა სახელმწიფო მმართველობისაკენ.<sup>31</sup>

ისტორიკოს რ. მეტრეველს, როგორც ზემოთ დასახელებულ მეცნიერებს, შესაძლებლად მიაჩნია, ყუთლუ-არსლანის დასში მოქალაქეთა ზედა ფენის წარმომადგენლებთან ერთად, ფეოდალური არისტოკრატის მონაწილეობაც. მისი აზრით, აჯანყება ძირითადად, მოქალაქეთა ზედა ფენების ინტერესებს შეესაბამებოდა, მაგრამ ეს ინტერესები გარკვეულ საფეხურზე თანხვედბოდა დიდგვაროვან ფეოდალთა ინტერესებს, რადგან მათი მიზანი იყო სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა. ამდენად, გასაგები ხდება ამ მოძრაობაში მოქალაქეთა გარდა, სხვა სოციალური ფენების, კერძოდ, ფეოდალური არისტოკრატის მონაწილეობაც. როგორც მკვლევართა უმეტესობა, რ. მეტრეველი მიიჩნევს, რომ

სამეფო ხელისუფლებასა და ყუთლუს დასს შორის დაიდო კომპრომისული შეთანხმება, რაც შემდეგ დარბაზის სხდომებში „მესამე წოდების“ მონაწილეობაში გამოვლინდა. „გაფიცულებმა დარბაზის უფლებების ერთგვარი გაფართოებისა და მასში მაღალი საქალაქო წრეების წარმომადგენელთა მონაწილეობის უფლება მიიღეს.“<sup>32</sup>

აკადემიკოს გ. მელიქიშვილის აზრით, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაში მონაწილეობდნენ ცენტრალური ხელისუფლების მომხრე სხვადასხვა სოციალური ფენები. თუმცა, „მესამე წოდება“ იმ დროისათვის სუსტი და არაორგანიზებული იყო და „მას არ შეეძლო აეღო მმართველობის სადავეები ან აბსოლუტურად მონარქიის დასაყრდენი ბაზა გამხდარიყო.“ გ. მელიქიშვილი ყუთლუ-არსლანის დასის მარცხს „ძალთა განწყობილებით“ ხსნის: „უნდა ვიფიქროთ, ყუთლუ-არსლანის გამოსვლის მარცხი განაპირობა ძალთა განწყობილებამ, დიდებულთა, განსაკუთრებით დიდგვაროვანთა უდიდესი ნაწილი კმაყოფილი იყო მიღწეულით და ახლა მართლ დიდ-დიდი თანამდებობისათვის ექიშპებოდა ერთმანეთს, სახელმწიფო ძალაუფლება მთლიანად მათ ხელში გადავიდა.“<sup>33</sup>

ჩვენ არ ვიზიარებთ გ. მელიქიშვილის იმ მოსაზრებას, რომ XII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში „მესამე წოდება“ სუსტი ელემენტებისაგან შედგებოდა. შეიძლება, „მესამე წოდებას“ ხელისუფლების სადავეები მართლაც ვერ აეღო ხელში, მაგრამ სამეფო ხელისუფლებას მასზე დაყრდნობა, ჩვენი აზრით, გარკვეულწილად მაინც შეეძლო. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ თამარის პირველი ქორწინების ორგანიზებისას, აღნიშნულ საქმეში, სამეფო კარის გადაწყვეტილებით, სწორედ გავლენიანი დიდვაჭარი ჩაერთო.

ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიკოსებიდან, შედარებით განსხვავებული მოსაზრება აქვს მეცნიერ გ. აბაშმაძეს, რომელიც ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლაში საერთოდ გამორიცხავს დიდგვაროვან აზნაურთა მონაწილეობას და იგი მხოლოდ „მესამე წოდების“ მოძრაობად მიაჩნია. მისი აზრით, დიდგვაროვანთა მონაწილეობას ხელი შეუშალა ყუთლუ-არსლანის დასის სოციალურმა შემადგენლობამ და განსხვავებულმა პოლიტიკურმა პროგრამამ. მას მიაჩნია, რომ ყუთლუ-არსლანის პროგრამა ხელისუფლების დანაწილებას ისახავდა მიზნად, ხოლო „სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების თეორია, სადაც კი წარმოიშვა იგი ფეოდალიზმის ეპოქაში, მესამე წოდების კლასობრივი ინტერესების გამომხატველია. ხელისუფლების დანაწილების თეორია, თავისი კლასობრივი შინაარსით, არც შეიძლება იყოს ფეოდალიზმის პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის მიხედვით, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ერთიანია და იგი მთლიანად მეფეს ეკუთვნის. დიდგვაროვანთა გაფიცვის დროს, რომელიც ხელისუფლების შეზღუდვას ისახავდა მიზნად, არც ერთი მხარე არ აყენებდა სახელმწიფოებრივი დანაწილების მოსაზრებებს, რადგანაც იგი არ შეესაბამება ფეოდალურ იდეოლოგიას. გ. აბაშმაძის აზრით, მესამე წოდება პოლიტიკური უფლებების მოპოვების მიზნით ქმნის ორიგინალურ თეორიას, რომლის მიხედვით, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება უნდა დანაწილდეს ფეოდალურ საზოგადოებაში არსებულ წოდებებზე საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. მას მოჰყავს მრავალი მაგალითი ევროპელი განმანათლებლებისა და სამართლის ფილოსოფოსების მოძღვრებებიდან (მონტესკიე, ლოკი, მაბლი, ჰეგელი), რომელთა მიხედვითაც, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილება ანტიფეოდალური ხასიათისაა.“<sup>34</sup>

ასევე დაბალი სოციალური ფენების მოძრაობად მიაჩნიათ ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა ა. კიკვიძეს,<sup>35</sup> ს. ყაუხჩიშვილის<sup>36</sup> და ს. ჯანაშიას.<sup>37</sup> საინტერესოა, ზემოთ მიმოხილულ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მეორე შეხედულება, რომლის მიხედვითაც ყუთლუ-არსლანი მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელია და მისი დასის გამოსვლა რეაქციონერ დიდგვაროვან ფეოდალთა აჯანყებად არის მიჩნეული. თუმცა, ამ მიმართულების მკვლევართა შორის რიგ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობაა და ზოგიერთი მათი შეხედულებები საპირისპირო აზრებს შეიცავს.



ჯერ კიდევ, ვახუშტი ბატონიშვილი თვლიდა ყუთლუ-არსლანს დიდგვარიან აზნაურად.<sup>38</sup> იგივე მოსაზრება გამოთქვა ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმა, რომელიც ყუთლუ-არსლანს ჯაყელ-ციხისჯვარელთა სახლის წარმომადგენლად მიიჩნევდა.<sup>39</sup> პ. ინგოროყვა ეყრდნობა კორიდეთის სახარების უთარილო წარწერის ცნობას და ყუთლუ-არსლანს დიდგვაროვან აზნაურად, გვარად ჯაყელ-ბოცოს ძეთა შტოს წარმომადგენლად თვლის.<sup>40</sup> ასევე, ჯაყელად მიიჩნევს ყუთლუ-არსლანს ისტორიკოსი ნ. შოშიაშვილი.<sup>41</sup> ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას დიდგვაროვანთა აჯანყებად მიიჩნევდნენ გ. სოსელია,<sup>42</sup> მ. ლორთქიფანიძე,<sup>43</sup> გ. მჭედლიძე,<sup>44</sup> შ. ბადრიძე,<sup>45</sup> ზ. ანჩაბაძე და სხვები.<sup>46</sup>

ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას ვრცლად შეეხო ნ. ბერძენიშვილი. მან მოგვცა მთელი ამ ეპოქის (XII საუკუნე) სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების აღწერილობა და ამ მონაცემებზე დაყრდნობით სცადა აეხსნა ყუთლუ-არსლანისა და მისი დასის როგორც სოციალური კუთვნილება, ასევე მათი პოლიტიკური პროგრამის მიზანი და დანიშნულება. ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ აღნიშნული მოძრაობა იყო უფრო მაღალ საფეხურზე მდგარი, ძალაუფლების ერთხელ და სამუდამოდ ხელში ჩაგდებას მიზნით, მეფის თვითმპყრობლური მიდრეკილებების წინააღმდეგ მიმართული, დიდგვაროვანთა მორიგი აჯანყება, რომელიც ბატონყმობის განმტკიცებას ემსახურებოდა. ნ. ბერძენიშვილი XII საუკუნის საქართველოს წინა ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ მიიჩნევდა და ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნას სწორედ ბატონყმობის საბოლოო დაკანონებად თვლიდა.<sup>47</sup>

საინტერესოა, დ. ლეთოდიანის მოსაზრება ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ. იგი ყუთლუ-არსლანის აჯანყებას დიდგვაროვნების ბრძოლად მიიჩნევს „უგვართა“ და მეფის თვითმპყრობლური მიდრეკილებების წინააღმდეგ. მას დიდებულთა და „მესამე წოდების“ გაერთიანება ყუთლუს დასში საეჭვოდ მიაჩნია. იგი შეუძლებლად თვლის თბილისის მოქალაქეთა ზედა ფენის მონაწილეობას ამ მოძრაობაში. მისი აზრით, „ისინი (მოქალაქეები) არ შეიძლება ყოფილიყვნენ შეთქმულების ძირითადი მონაწილენი, დასაყრდენი ძალა შეთქმულთათვის. კონკრეტულ სიტუაციაში მაინც გამარჯვებულ დიდგვარიანებს რაში უნდა დასტირვებოდათ დაბალ სოციალურ წრეებთან კავშირი მით უფრო, მათი წარმომადგენლის წინამძღობა-ბელადობა (თუ ყუთლუ-არსლანს „მესამე წოდების“ წარმომადგენლად ჩავთვლით). პირიქით, ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ დაბალი სოციალური წრის ძალები დაირაზმებოდნენ მეფის ირგვლივ ფეოდალური არისტოკრატის წინააღმდეგ, განსაკუთრებით „მესამე წოდება“, რომლის პოზიციების გამაგრება-განმტკიცება დიდად იყო დამოკიდებული მეფის თვითმპყრობელობის გაძლიერებაზე. ჩვენ შეუსაბამოდ გვეჩვენება, რომ თავისი წოდების უპირატესობისათვის მებრძოლი ფეოდალური არისტოკრატია, რომელმაც გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, გაერთიანებულიყო „მესამე წოდებასთან“ და დათანხმებულიყო მასთან ერთად გაენაწილებინათ „კარავში“ ადგილები.“ აქედან გამომდინარე, დ. ლეთოდიანს არ მიაჩნია ეს ბრძოლა ანტიფეოდალურად, რადგან „მესამე წოდებას“ ჯერ არ შესწევდა ძალა (მისი სოციალ-ეკონომიკური საფუძვლით, პოლიტიკური ბრძოლის ტრადიციებით) დაპირისპირებოდა ფეოდალებს ან სამეფო ხელისუფლებას და ისეთი დიდი პოლიტიკური პრეტენზიებით გამოსულიყო, როგორც ყუთლუ-არსლანის პროგრამა იყო. ამ პროგრამის ჩამოყალიბება ფეოდალური ბრძოლის ხანგრძლივი პროცესის შედეგია, სადაც მთელი მათი წოდების ინტერესებია გათვალისწინებული და წარმოდგენილი. მათი მიზანი იყო, შეექმნათ ფეოდალური რესპუბლიკა, პარლამენტის მსგავსი დაწესებულებით შეეზღუდათ მონარქიული წყობილება.“<sup>48</sup>

## დასკვნა

თამარის უცნობი ისტორიკოსის მიერ შემონახული ინფორმაციის ყოველმხრივი შესწავლისა და კრიტიკული გაანალიზების საფუძველზე, ასევე, ქართული სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში



გამოთქმული განსხვავებული შეხედულებების ობიექტური შეფასების შედეგად, დასკვნის სახით შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ შემდეგი დებულებები:

1. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის ჩამოყალიბება ფეოდალური რეჟიმის გაძლიერებისაკენ მიმართული ბრძოლის ხანგრძლივი პროცესის შედეგია, სადაც გათვალისწინებულია მთელი მსხვილი არისტოკრატიული წოდების პრივილეგირებული ინტერესები. ყუთლუ-არსლანის და მისი მომხრეების პროტესტი, ეს იყო დიდგვაროვანი ფეოდალური ძალების ორგანიზებული გამოსვლა, რომელიც მიზნად ისახავდა მონარქის უფლებების შეზღუდვას;

2. ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შემდეგ, მეფეს გარკვეულწილად, შეეზღუდა სახელმწიფო საკითხების ერთპიროვნულად გადაწყვეტის უფლება. სამეფო სასახლე, იგივე დარბაზი, საიდანაც ხდებოდა როგორც სამეფო კარის, ისე მთელი სახელმწიფოს მართვა, გახდა ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტის მონაწილე და ორგანიზატორი. დარბაზს მიენიჭა მეფის თანამდგომელი და ერთიანი ნების გამომატველი ორგანოს ფუნქცია. ამიერიდან, მეფე ყოველ მნიშვნელოვან ღონისძიებას გაატარებდა მხოლოდ და მხოლოდ „დარბაზის ერთა“, ანუ ყველა ვეზირის, საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებისა და სასაულიერო მესვეურების „თანადგომითა და ერთნებაობით.“ ამ შემთხვევაში, სამეფო ხელისუფლება ერთგვარ კომპრომისზე წავიდა, რადგან ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა „მიცემისა და მოღების, წყალობისა და შერისხვის“ უფლებას.

3. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამას შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ პარლამენტის მსგავსი ორგანოს შექმნის განუხორციელებელი იდეა, რაც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვას. თუმცა, ეს არ იქნებოდა საკანონმდებლო ორგანო კლასიკური გაგებით, რომელიც გამიჯნულია სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. პარლამენტარიზმის იდეა პირდაპირ დაკავშირებულია ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, რასთანაც ყუთლუ-არსლანის პროგრამას არავითარი საერთო არა აქვს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთმნიშვნელოვნად იმის მტკიცება, რომ „კარავის დადგმა“ პარლამენტის, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანოს მით უმეტეს, სასამართლო ფუნქციებით აღჭურვილი დაწესებულების ჩამოყალიბების მოთხოვნას ნიშნავს, ჩვენამდე მოღწეული სამართლის ძეგლების მიხედვით, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

4. ქართული პარლამენტარიზმის დასაწყისად, საქართველოს უახლეს ისტორიაში დაცული საკანონმდებლო აქტების მიხედვით, დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ 1918-1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტი. სწორედ ქართული პარლამენტის ის შემადგენლობა, რომელმაც 1919 წლის 12 მარტიდან 1921 წლის 25 თებერვლამდე იარსება, წარმოადგენდა საქართველოს საკანონმდებლო ფუნქციებით აღჭურვილ, პირველ უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს.

5. მიუხედავად იმისა, რომ ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნა სრულად არ იქნა გათვალისწინებული, სამეფო ხელისუფლებაც ვეღარ დარჩა წინანდელ პოზიციებზე. მონარქის ხელისუფლება აღარ იყო ფორმალურად შეუზღუდავი. იგი ერთგვარ დათმობაზე წავიდა, რაც „დარბაზის ერთა“ მნიშვნელობის გაზრდითა და სამეფო ხელისუფლების შეზღუდვით გამოიხატა. დარბაზმა მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ღონისძიებების გატარებისას მიაღწია მეფესთან „თანადგომასა და ერთნებაობას.“ ეს კი, ფეოდალური ეპოქის საქართველოში ძალზე პროგრესულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959;
2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. II, თბ., 1929;
3. ი. ანთელავა, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ, „მაცნე“, #4, თბ., 1977;
4. დ. ლეთოდანი, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა, თსუ-ს შრომები, ტ. 243, თბ., 1983;
5. ს. მაკალათია, თამარ მეფე, თბ., 1942;
6. კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954;
7. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუასაუკუნეების თბილისში, თბ., 1962;
8. რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973;
9. გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გართიანება და საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1978;
10. ვ. აბაშმაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1969;
11. ა. კიკვიძე, საქართველო XII საუკუნეში, თხზ. შრომები, ტ. IX, თბ., 1939;
12. ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, ქართლის ცხოვრება, ტ. XI, თბ., 1959;
13. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952;
14. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაშრომი I, თბ., 1885;
15. მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი II, თბ., 1909;
16. პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963;
17. ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. „შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“, თბ., 1966;
18. გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური დასის პროგრამის შესახებ, სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X-XI, ს., 1958;
19. შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და XII საუკუნე საქართველოში, თბ., 1979 წ.;
20. შ. ბადრიძე, შინა პოლიტიკური მდგომარეობა თამარის მეფობაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1979;
21. შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994, გვ. 56-57.
22. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1973;
23. ქართული მწერლობის საუნჯე, ტ. 10, თბ., 2011;
24. ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1999;
25. История политических и правовых учений, учебник для ВУЗ-ов, 4-ое издание, под общей ред. Нерсесянца В.С., Москва, 2003;
26. Локк Дж., Избранные философские произведения, в 2-х томах, т. II, М., 1960;
27. Монтескье Ш. Л., Избранные произведения, М., 1956;
28. <http://ka.wikipedia.org/>;
29. [http://constcentre.gov.ge/failebi/NIKOLAZI\\_opt\\_opt\\_opt\\_opt\\_61679.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/NIKOLAZI_opt_opt_opt_opt_61679.pdf).

### შენიშვნები:

- <sup>1</sup> История политических и правовых учений, учебник для ВУЗ-ов, 4-ое издание, под общей ред. Нерсесянца В.С., Москва, 2003, стр. 337.
- <sup>2</sup> ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1999.
- <sup>3</sup> Локк Дж., Избранные философские произведения, в 2-х томах, т. II, М., 1960, стр. 6-56.
- <sup>4</sup> Локк Дж., Избранные философские произведения, в 2-х томах, т. II, М., 1960, стр. 76.
- <sup>5</sup> Монтескье Ш. Л., Избранные произведения, М., 1956, стр. 289.
- <sup>6</sup> Монтескье Ш. Л., Избранные произведения, М., 1956, стр. 291.
- <sup>7</sup> Монтескье Ш. Л., Избранные произведения, М., 1956, стр. 289.
- <sup>8</sup> შ. ლ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994, გვ. 56-57.
- <sup>9</sup> [http://constcentre.gov.ge/failebi/NIKOLAZI\\_opt\\_opt\\_opt\\_opt\\_61679.pdf](http://constcentre.gov.ge/failebi/NIKOLAZI_opt_opt_opt_opt_61679.pdf).
- <sup>10</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. II, თბ. 1929, გვ. 164-169.
- <sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1959, გვ. 30-31.

- <sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით თბილისი, 1959, გვ. 30-31.
- <sup>13</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 1885, გვ. 197.
- <sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1959, გვ. 30-31.
- <sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. II, თბ., 1929, გვ. 164-169.
- <sup>16</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. II, თბ., 1929, გვ. 169.
- <sup>17</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. II, თბ., 1929, გვ. 326.
- <sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით თბილისი, 1959, გვ. 30-31.
- <sup>19</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 7, თბ., 1973, გვ. 183-184.
- <sup>20</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. II, თბ., 1929, გვ. 182.
- <sup>21</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. II, თბ., 1929, გვ. 159-160.
- <sup>22</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. II, ნაკვ. II, თბ., 1929, გვ. 161.
- <sup>23</sup> ი. ანთელავა, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ „მაცნე“ #4, 1977, გვ. 183-184.
- <sup>24</sup> დ. ლეთოდიანი, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა, თსუ-ს შრომები, ტ. 243, 1983, გვ. 108-109.
- <sup>25</sup> ი. ანთელავა, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლის შესახებ „მაცნე“ #4, 1977, გვ. 183-194.
- <sup>26</sup> ს. მაკალათია, თამარ მეფე, თბ., 1942, გვ. 15.
- <sup>27</sup> ს. მაკალათია, თამარ მეფე, თბ., 1942, გვ. 15-16.
- <sup>28</sup> კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 40-42.
- <sup>29</sup> ლ. დარბაიძე, დარბაზის ცნება, მისი ადგილი და მნიშვნელობა შუა საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო სისტემაში, ჟურნალი „მართლმსაჯულება“, თბილისი, 2007, #2, გვ. 287.
- <sup>30</sup> ლ. დარბაიძე, ალექსანდრე ამილახვრის სამართლებრივი შეხედულებები, თბ., 2010, გვ. 98.
- <sup>31</sup> შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962, გვ. 101-105.
- <sup>32</sup> რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973, გვ. 152-154.
- <sup>33</sup> გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 95-97.
- <sup>34</sup> ვ. აბაშმაძე, ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1969, გვ. 430-440.
- <sup>35</sup> ა. კიკვიძე, საქართველოს XII საუკუნეში, თხზ. „შრომები“ ქ., IX, 1939.
- <sup>36</sup> ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 14, თბ., 1959.
- <sup>37</sup> ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, გვ. 197.
- <sup>38</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, თბ., 1885, გვ. 197.
- <sup>39</sup> მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი II, თბ., 1909, გვ. 120-121.
- <sup>40</sup> პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. 1, თბ., 1963, გვ. 601.
- <sup>41</sup> ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. „შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი“, თბ., 1966, გვ. 67.
- <sup>42</sup> გ. სოსელია, ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ, მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X-XI, 1958, გვ. 80.
- <sup>43</sup> М. Лорткипанидзе, история Грузии XI - начало XIII века, 1974.
- <sup>44</sup> გ. მჭედლიძე, ეტიუდი რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიიდან, განთიადი #6, ქუთაისი, 1977.
- <sup>45</sup> შ. ბადრიძე, საშინაო პოლიტიკური ვითარება თამარის ეპოქაში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979.
- <sup>46</sup> მ. ანჩაბაძე, შ. ბადრიძე, ფეოდალური საქართველოს ისტორიის სწორი გაგებისათვის, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, #12, 1971.
- <sup>47</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 6, თბ., 1973, გვ. 76, 135, 148, 207.
- <sup>48</sup> დ. ლეთოდიანი, ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა, თხზ. „შრომები“, ტ. 243, თბ., 1983, გვ. 115-117.

# BEGINNING OF THE HISTORY OF GEORGIAN PARLIAMENTARIANISM, OR AN ATTEMPT TO LIMIT THE STATE POWER?

LEVAN DARBAIDZE

*Doctor of Law, Assistant Professor of the Faculty of Law of the Tbilisi Ivane Javakishvili State University, Assistant Judge of the Tbilisi City Court*

The research article is about parliamentarianism, as the most effective model of state governance in the modern world, and also the issue of its reference to the principle of the division of power. The author has reviewed various opinions expressed in the legal science regarding the history of origin of parliamentarianism in Georgia, and has drawn following conclusions based on the critical analysis and objective evaluation of these opinions:

1. After emergence of Kutlu-Arslan assembly, the royal power had to make some compromises. The right to arbitrarily resolve state issues was limited for the king at a certain extent. The royal palace, referred to as Darbazi, where from the royal court and the whole state was governed, got involved in addressing and organizing all the issues of state significance. The Darbazi was assigned the function of a body that showed support to the king and expressed the common will. The monarch's power was no longer formally unlimited. It admitted some compromises, which was expressed in the increased importance of the "Darbazis Erta", and in a more limited royal power.

2. We can refer Kutlu-Arslan's political program to as an unrealized idea of creating a parliament-like body, which aimed at limiting the royal power only; however, it would not have been a legislative body with its classical meaning, which is separated from judiciary and executive power. The idea of parliamentarianism is directly linked to the principle of the division of power; however, Kutlu-Arslan's program has nothing in common with it. Considering the above-mentioned, it is in fact impossible to assert unequivocally that setting up the "Karavi" means requesting the establishment of a parliament as a supreme representative and legislative body, and moreover, a body equipped with the judiciary functions, in accordance with the old legal documents reached to our times.

3. According to the legislative acts of the recent history of Georgia, the evidenced origin of the Georgian parliamentarianism is linked to the parliament of the independent Georgia of 1918-1921. Composition of the Georgian Parliament that existed from March 12, 1919 until February 25, 1921, represented the first higher representative body of Georgia that was equipped with legislative functions.

# ბუნდესრატის მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში გერმანიის ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მიხედვით

(საპარო სამართალი)

გიორგი თორდია

*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის  
თავმჯდომარის მრჩეველი, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის  
რეგიონული ცენტრის წევრი*

## საკანონმდებლო პროცესი

### ა. ფედერალური მთავრობა, ბუნდესრათი, ფედერალური პარლამენტი (შემდეგში: ბუნდესთაგი)

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მოწესრიგებულია ძირითადი კანონის 76-ე მუხლით, რომლის თანახმად, აღნიშნული უფლებამოსილება მიკუთვნებული აქვს ფედერალურ მთავრობას, ბუნდესთაგს („ბუნდესთაგის შემადგენლობიდან“) და ბუნდესრათს. ბუნდესთაგის მიერ წარსადგენ კანონპროექტს, როგორც წესი, ხელი უნდა მოაწეროს ერთმა ფრაქციამ ან ბუნდესთაგის შემადგენლობის ხუთმა პროცენტმა. არსებული პრაქტიკის მიხედვით, კანონპროექტთა უმრავლესობის ინიციატორი ფედერალური მთავრობა, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლებაა, რაც არამც და არამც არ უნდა იქნას გაგებული მთავრობის ბატონობად, ერთგვარ დიქტატურად საკანონმდებლო ორგანოზე. გავრცელებული აზრის თანახმად, ეს საპარლამენტო სისტემის (წყობილების) დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის განხორციელებისას მთავრობის წინაშე დგება ამა თუ იმ საზოგადოებრივ ურთიერ-



თობათა რეგულირების მიზნით რაიმე კანონის არსებობის საჭიროება და შესაბამისად, მას უკეთ ხელეწიფება შეადგინოს სათანადო კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოში წარსადგენად, მისი განხილვისა და მიღების მიზნით. ამდენად, პარლამენტს ცენტრალური ადგილი უკავია საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელების თვალსაზრისით. იმისათვის, რომ კონკრეტულად განისაზღვროს პარლამენტის როლი და გავლენა, ხაზი უნდა გაესვას შემდეგ გარემოებებს: 1. ფედერალური კანცლერის არჩევა ხდება ფედერალური კრების მიერ; 2. ბუნდესთაგის არჩევის შემდეგ, საკანონმდებლო ორგანოში არჩევნების შედეგების შესაბამისად იქმნება უმრავლესობა, რომელიც აკომპლექტებს მთავრობას. ვინაიდან მთავრობა იქმნება და ფორმირდება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ, იგი უმთავრესად იზიარებს მის პოლიტიკურ შეხედულებებს, ანუ ამ კუთხითაც ახლოს დგას მასთან და ამ გაგებითაც პრობლემას არ წარმოადგენს პარლამენტის მიერ მისაღები კანონპროექტების შინაარსობრივი და ტექნიკური მომზადება მთავრობის მიერ.

ვიდრე ფედერალური მთავრობა მის მიერ მომზადებულ კანონპროექტს ბუნდესთაგს წარუდგენს, გერმანიის ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, იგი უნდა გადაუგზავნოს ბუნდესრათს. ბუნდესრათში გადაგზავნის შემდეგ ამ უკანასკნელმა ექვსი კვირის ვადაში უნდა მოამზადოს საკუთარი დასკვნა კანონპროექტთან დაკავშირებით. აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგ, კანონპროექტი ბუნდესრათის დასკვნასთან ერთად წარედგინება ბუნდესთაგს.

იმ შემთხვევაში, როცა საპატიო მიზეზების გამო, მაგალითად, მნიშვნელოვანი მოცულობის საკანონმდებლო მუშაობაა შესასრულებელი და საჭიროა ვადის გაგრძელება, დასკვნის მომზადების ვადა შეადგენს 9 კვირას.

ბუნდესრათის კანონპროექტები უპირველესად, ფედერალურ მთავრობას უნდა წარედგინოს, რომელიც ვალდებულია ექვსი კვირის განმავლობაში გადაუგზავნოს ის ბუნდესთაგს თავის მოსაზრებებთან ერთად (გერმანიის ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილი). განსაკუთრებით სასწრაფო კანონპროექტებისთვის გათვალისწინებულია დაჩქარებული წარმოება.

ამის შემდგომ, ბუნდესთაგი იხილავს კანონპროექტს და იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტებთან დაკავშირებით კანონით გათვალისწინებულ ვადებში.<sup>1</sup>

ზემოთ წარმოდგენილი საკანონმდებლო პროცესი, როგორც ვხედავთ დროში გაწეილია. ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, კანონის მიღება სასწრაფოა, ინიციატივას იჩენს ბუნდესთაგი. კერძოდ, დროის დაზოგვის მიზნით, სასწრაფო და მნიშვნელოვანი კანონპროექტების მიღების ინიციატორი ამ შემთხვევაში თავად ბუნდესთაგია. ასეთი წარმოების მიზანია კანონპროექტის რაც შეიძლება სწრაფად განხილვა და კანონის გამოცემა დაჩქარებული წესით, რაც ხორციელდება ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების გვერდის ავლით.

ამ წესთან დაკავშირებით, მთლიანად ვიზიარებთ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ კანონპროექტის მომზადებისა და მიღების ასეთი დაჩქარებული წარმოება გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს მის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ იგი წარმოადგენს დამკვიდრებულ და აპრობირებულ ბუნდესთაგის საკანონმდებლო პრაქტიკას.<sup>2</sup>

## **ბ. ცალკეული დებუტატის საკანონმდებლო ინიციატივა**

ძირითადი კანონი არაფერს ადგენს ცალკეული დებუტატის საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით, ანუ აქვს თუ არა მას ასეთი ინიციატივის უფლება. კონსტიტუციური ჩანაწერი „ბუნდესთაგის შემადგენლობიდან“ ძალზედ აბსტრაქტულია და არ მიუთითებს დებუტატთა მინიმალურ

რაოდენობაზე. ამდენად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება თითოეულ დეპუტატსაც აქვს.

თუმცა, სხვა რამეს ითვალისწინებს ბუნდესთაგის რეგლამენტის 76-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, ბუნდესთაგის საკანონმდებლო წარდგინებას (კანონპროექტს) ყოველი 100 წევრიდან ხუთმა წევრმა ან ერთმა ფრაქციამ მაინც უნდა მოაწეროს ხელი.

იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული დეპუტატი განახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას და ძირითადი კანონის მოთხოვნათა დაცვით საკანონმდებლო წარდგინებით მიმართავს ბუნდესთაგს, აღნიშნული შეიძლება აღქმულ იქნას „ბუნდესთაგის შემადგენლობიდან“ წამოსულ საკანონმდებლო ინიციატივად, მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების ამგვარი განხორციელება აშკარად არღვევს ბუნდესთაგის რეგლამენტის 76-ე მუხლს.

მეორე მხრივ, ბუნდესთაგის რეგლამენტის 76-ე მუხლი შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ძირითადი კანონის 76-ე მუხლის კონკრეტობაცია. რეგულირების ამგვარი გაგება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მისი შინაარსი კონსტიტუციური რეგულაციებით გამოირჩევა. ასეთი რეგულირება კი, შეიძლება მიჩნეულ იქნას კონსტიტუციის დაკონკრეტებად და მაშინ მისი დარღვევა გამოიწვევს (კანონის) არაკონსტიტუციურობას.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების თანახმად, კანონმდებელმა ბუნდესთაგის რეგლამენტის 76-ე მუხლის შინაარსით განახორციელა თავისი განზრახვა კონსტიტუციური ნორმის, კერძოდ, ძირითადი კანონის 76-ე მუხლის ჩანაწერის „ბუნდესთაგის შემადგენლობიდან“ დაკონკრეტებასთან დაკავშირებით. რეგლამენტის რეგულირების სხვაგვარი გაგება მიგვიყვანდა იმ შედეგამდე, რომ პარლამენტის ცალკეულ დეპუტატს საკანონმდებლო ინიციატივის უფლების განხორციელების შემთხვევაში, ექნებოდა შესაძლებლობა, საპარლამენტო უმრავლესობის ყოველგვარი მხარდაჭერისა და თანხმობის გარეშე გამოეხატა თავისი ერთპიროვნული ნება. ასეთი შესაძლებლობა ბუნდესთაგში გამოიწვევდა ქაოსს და გააჭიანურებდა მის მუშობას. ზემოთ წარმოდგენილი ასპექტების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბუნდესთაგის რეგლამენტის 76-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები გადააშფეყვტ როლს თამაშობს დეპუტატთა კონკრეტული რაოდენობის დადგენის თვალსაზრისით, კერძოდ, პარლამენტის (ბუნდესთაგის) წევრების მიერ საკანონმდებლო ინიციატივის უფლების ტექნიკური განხორციელების კუთხით.<sup>3</sup>

ამდენად, სავსებით ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ პარლამენტის შემადგენლობის ხუთი პროცენტის ან ერთი ფრაქციის მიერ პარლამენტისავე კანონპროექტის მხარდაჭერის (ხელმოწერის) მოთხოვნა წარმოადგენს კონსტიტუციის ჩანაწერის „ბუნდესთაგის შემადგენლობიდან“ დაკონკრეტებას და მისი დარღვევა ასევე, იწვევს კონსტიტუციის დარღვევას.

## 1. წინასწარი წარმოება

(გერმანიის ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი)

### ა. ფედერალური მთავრობის საკანონმდებლო პროექტები (კანონპროექტები)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, ფედერალური მთავრობის საკანონმდებლო წარდგინებები (კანონპროექტები), თავისი მოსაზრებების გამოხატვის მიზნით, უნდა გადაეგზავნოს ბუნდესრათს. მხოლოდ ამის შემდეგ წარდგინება კანონპროექტი ბუნდესთაგს. ბუნდესთაგისათვის მიწოდებული ბუნდესრათის მოსაზრება არ არის სავალდებულოდ გასათვალისწინებელი შემდგომ

საკანონმდებლო პროცესში (გერმანიის ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი). აღნიშნული ნორმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ გზით ბუნდესთავისათვის კანონპროექტის განხილვისას უკვე ცნობილია ბუნდესრათის პოზიცია, რაც ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ შემდგომში თავიდან იქნას აცილებული დაპირისპირება ბუნდესრათთან. ამდენად, აღნიშნული ნორმა ხელს უწყობს ამ ორგანოებს წარმატებით ითანამშრომლონ ერთმანეთთან და თავიდან აიცილონ სახიფათო დაპირისპირებები. წარმოდგენილი სისტემა ძირითადი კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი იმ მექანიზმთაგანია, რომელიც ემსახურება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პოლიტიკური კრიზისის თავიდან არიდებას.

კონსტიტუციის თანახმად, ასევე შესაძლებელია, რომ ფედერალურმა მთავრობამ პირდაპირ ბუნდესთავში წარადგინოს კანონპროექტი, ანუ ბუნდესრათისთვის მისი გადაგზავნის გარეშე.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ფედერალური მთავრობა მიმართავს ერთგვარ ტაქტიკას და სამთავრობო ფრაქციის მეშვეობით და ამით „ბუნდესთავის შემადგენლობიდან“ წარადგენს ბუნდესთავში კანონპროექტს (საკანონმდებლო წარდგინებას), რითაც ცხადია, ადგილი აქვს წინასწარ საკანონმდებლო პროცესში ბუნდესრათის ჩართვის ვალდებულებისათვის გვერდის ავლას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი დაჩქარებული პროცედურა ერთი მხრივ, ხელს აძლევს ფედერალურ მთავრობას, სწრაფად და დროის მაქსიმალური დანაზოგით მიაღწიოს მის მიერ კანონპროექტების წარდგენასა და განხილვას, მაგრამ აქვე ხაზგასასმელია, რომ მეორე მხრივ, აღნიშნული წარმოება პრობლემატურიცაა. ასეთი მიდგომა შეიძლება ასევე შეფასდეს, როგორც გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევა. გაბატონებული აზრის მიხედვით, ზემოთ წარმოდგენილი დაჩქარებული პროცედურა არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, კერძოდ, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილს.<sup>4</sup> აღნიშნულს აგრეთვე იზიარებს პროფესორი ჰაინრიხ ვილმსი თავის ნაშრომში, სადაც აღნიშნავს: „თუ ძირითადი კანონის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილს წავიკითხავთ და გავიგებთ, როგორც წმინდა პროცედურულ ნორმად, რაზეც მეტყველებს ის გარემოება, რომ ფედერალური საბჭოს მოსაზრებებს არც სამართლებრივი ბოჭვის ძალა აქვს, არც სავალდებულოა, მაშინ მისი დარღვევა იმავდროულად არ იწვევს კანონის ფორმალური კონსტიტუციურობის დარღვევას. 76-ე მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირება („უნდა გადაეგზავნოს“) და ამ ნორმის მიზანი, რომელიც მდგომარეობს ფედერალური საბჭოს რაც შეიძლება ადრეულ სტადიაზე საკანონმდებლო პროცესში ჩართვაში, მეტყველებს ნორმის მატერიალური შინაარსის უპირატესობაზე, რომლის დარღვევასაც შედეგად მოჰყვება ბათილობა.“<sup>5</sup>

## **ბ. ბუნდესრათის პროექტები (კონსტიტუციის 76-ე მუხლის მე-3 აბზაცი)**

ფედერალურ მთავრობასთან და ბუნდესთავთან ერთად ბუნდესრათსაც აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება (მუხლი 65 I). ბუნდესრათის საკანონმდებლო ინიციატივები ფედერალური მთავრობის საშუალებით ნ კვირის განმავლობაში გადაეგზავნება ბუნდესთავს (მუხლი 76 III).

კონსტიტუციით დადგენილია, რომ ბუნდესთავის მიერ დადგენილმა ყველა კანონპროექტმა უნდა გაიაროს ბუნდესრათი (ძირითადი კანონის 77-ე მუხლის 1-ლი აბზაციის მე-2 წინადადება). აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბუნდესრათი არის ძალიან მნიშვნელოვანი ორგანო, რომელიც უწყვეტად არის ჩართული საკანონმდებლო პროცესში. კანონშემოქმედებით პროცესში ბუნდესრათის თანამონაწილეობა კონსტიტუციითაა გარანტირებული. საკანონმდებლო პროცესში დიდი დოზით ჩართულობის მიუხედავად, ბუნდესრათის ზემოქმედების შესაძლებლობები და უფლებამოსილებები განსხვავებულია. ბუნდესრათის კანონშემოქმედებით საქმიანობაში მაქსიმალური

ჩართულობის გარანტირება, ამავდროულად, კანონშემოქმედებით პროცესში მისი ძალაუფლებისა და უფლებამოსილების საკმაოდ მკაცრად განსაზღვრა მაქსიმალურად აბალანსებს და აწონასწორებს ბუნდესრათის როლსა და უფლებამოსილებებს საკანონმდებლო საქმიანობაში. სწორედ ამგვარი ბალანსის ნათელი მაგალითია კონსტიტუციაში ჩადებული ორი მიმართულება, რომელიც ეხება კანონშემოქმედებით საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით, ძირითადი კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს კანონებს, რომლებიც არ ითხოვს ბუნდესრათის თანხმობას და კანონებს, რომლებიც ითხოვს ბუნდესრათის თანხმობას.

„კონსტიტუციის ცალკეული დებულებებიდან გამომდინარეობს, თუ რომელი კანონი საჭიროებს ფედერალური საბჭოს თანხმობას. თანხმობის კანონების უმრავლესობა გამომდინარეობს კონსტიტუციიდან (84-ე პარაგრაფი, აბზ. 1) და შეიძლება სამ ქვეჯგუფად დაიყოს:

1. კონსტიტუციის შემცველი კანონები. კონსტიტუციის მიხედვით (79-ე პარაგრაფი, აბზ. 2) მათ სჭირდებათ ფედერალური საბჭოს ორი მესამედით გადაწყვეტილი თანხმობა.

2. კანონები, რომლებიც მიწების ფინანსურ შემოსავლებს ეფუძნება. მათ მიეკუთვნება მაგალითად, ფედერალური კანონები გადასახადების შესახებ, რომელთა შემოსავლებში მიწებს ან თემებს აქვთ წილი. მაგალითად, ხელფასისა და შემოსავლის გადასახადი, დღგ და ავტომობილების გადასახადი.

3. კანონები, რომლებიც ერევიან მიწების მმართველობის სუვერენიტეტში.<sup>6</sup>

კანონმდებელმა ძირითადი კანონის შექმნისას, იმ სფეროს წრის ჩამონათვალი, რომელი კანონპროექტიც აუცილებლად საჭიროებს ფედერალური საბჭოს თანხმობას, ისე განსაზღვრა, რომ ფედერალური საბჭოს ეს უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილება არ ყოფილიყო მხოლოდ ფორმალური, რომელსაც ბუნდესრათი იოლად აუვლიდა გვერდს. ამ შემთხვევაშიც, ნაპოვნია მაქსიმალური ბალანსი, რომელიც გარანტირებულს გახდიდა ფედერალური საბჭოს რეალურ ჩართულობასა და მნიშვნელობას საკანონმდებლო საქმიანობაში. ამის შესახებ ყველაზე ნათლად მეტყველებს სტატისტიკა.

სტატისტიკური თანაფარდობა ამ ორი ტიპის კანონს შორის ისე განვითარდა, რომ ფედერალურ კანონმდებლობაში იმ კანონების წილი, რომლებიც ფედერალური საბჭოს თანხმობას საჭიროებს, 50 პროცენტზე მეტს შეადგენს. ის მომენტი, განიხილება თუ არა ფედერალური საბჭო ფედერალური კანონმდებლობით თავისი ძლიერი პოზიციის გამო, მეორე პალატად, კონსტიტუციური თვალსაზრისით, ძირითად ღირებულებას მოკლებულია. სახელმწიფოს შესახებ ზოგადი მოძღვრების ცნების ქვეშ მსგავსი კვალიფიკაციებიდან არ კეთდება არც სამართლებრივი და არც პრაქტიკული დასკვნები. ფედერალური საბჭოს თანხმობის საკითხი დარეგულირებულია ჩამოთვლის პრინციპის მიხედვით. ყველა ის შემთხვევა, რომლებშიც თანხმობა აუცილებელია, ძირითად კანონში ამომწურავად არის მოტანილი.<sup>7</sup>

გავრცელებული აზრის თანახმად, საკითხი, საჭიროებს თუ არა კანონი ბუნდესრათის თანხმობას, საბოლოოდ, პრაქტიკაში მხოლოდ მაშინ ასრულებს გადამწყვეტ როლს, როდესაც ბუნდესთავსა და ფედერალურ საბჭოს შორის შეთანხმების მიღწევა ვერ მოხდება. ამიტომაც, უმეტეს შემთხვევებში, საერთოდ არ დგება თანხმობის საკითხი, რადგანაც იგი არარელევანტური ხდება.<sup>8</sup>

თანხმობას დაქვემდებარებული კანონების კვოტას (50 პროცენტზე მეტი) მიგვაგვართ იმ მიმართულებით, რომ სახელისუფლებო უმრავლესობას არ შეუძლია მნიშვნელოვანი რეფორმის გატარების კანონები გაიტანოს, თუ ფედერალურ საბჭოში ოპოზიციურ ძალები უმრავლესობას წარმოადგენენ. ამგვარ სიტუაციაში ადვილად არის შესაძლებელი საკანონმდებლო კრიზისის წარმოქმნა. ფედერალური საბჭო ამ შემთხვევაში უფლებამოსილია იმ კანონპროექტების ბლოკირება მოახდინოს, რომელსაც არ ეთანხმება და ძალაში შესასვლელად აუცილებლად საჭიროებენ მის თანხმობას. ამგვარი პრობლემა ბლოკირების პოლიტიკის ლოზუნგით კონსტიტუციურ სისტემურ საკითხად

განიხილება. ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაჭრელად ფედერალური საბჭოს თანხმობის კვოტის განახევრება გერმანიის ბუნდესთაგის მიერ 2004 წელს ამოქმედებული ფედერალიზმის კომისიის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ითვლებოდა. ვინაიდან აღნიშნული კვოტა 70 პროცენტამდე, ძველი რედაქციით კონსტიტუციის 84-ე მუხლის 1-ელ აბზაცში დადგენილი თანხმობის მოთხოვნას ეყრდნობა იმ ფედერალური კანონებისათვის, რომელიც სახელმწიფო მართვის ორგანიზაციას და პროცესს არეგულირებს, კონსტიტუციის 84-ე მუხლის 1-ლი აბზაცის დებულება ძირეულად შეიცვალა. ამის შემდეგ, თუმცა, იქ გათვალისწინებული ფედერალური კანონმდებლობის უფლებამოსილება შენარჩუნებულია, მიწებს მანაც შეუძლიათ ფედერალური დებულების საკუთარი კანონებით შეცვლა.

არსებობს კიდევ ერთი გზა, რომელიც პრაქტიკაში არც თუ იშვიათად გამოიყენება ფედერალური საბჭოს თანხმობის აუცილებლობის გვერდის ასავლელად. ამ მიზნით კანონპროექტები იყოფა ორ ნაწილად: 1. კანონები, რომლებშიც განისაზღვრება მატერიალურსამართლებრივი რეგულაციები; 2. კანონები, რომლებშიც განისაზღვრება ორგანიზაციული და საკონსტიტუციო დებულებები.

კანონპროექტების ამგვარ დაყოფას საკანონმდებლო პროცესში რეაქტიულ გაყოფას (Reactive Teilung) უწოდებენ. კანონების ამგვარი გაყოფა გარკვეულწილად, უზრუნველყოფს იმ პრობლემის გადაწყვეტას, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. თუმცა, ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ კანონთა ამგვარ გაყოფას აქვს თავისი ნაკლოვანებები. კანონების ამგვარი დაყოფით გარკვეულწილად გადაიტრება საკანონმდებლო პროცესის ბლოკირების პრობლემა, მაშინ როდესაც საჭიროა მნიშვნელოვანი და მოცულობითი რეფორმის გატარება ამა თუ იმ სფეროში და ამის ბლოკირებას ფედერალური საბჭო იოლად მოახერხებდა მხოლოდ კონსტიტუციის ძველი რედაქციის 84-ე მუხლის 1-ლი აბზაცის მითითებით, რომლის თანახმადაც, ფედერალური კანონი მთლიანობაში, ფედერალური საბჭოს თანხმობას საჭიროებდა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ კანონის მხოლოდ ერთი დებულება შეიცავდა საორგანიზაციო ან საპროცესო განსაზღვრებას. ამავდროულად, კანონების ამგვარი დაყოფა ბადებს ახალ საფრთხეს ფედერალური საბჭოს უფლებამოსილებების დაკნინებისა, რომელიც გარანტირებულია კონსტიტუციით. არსებობს საფრთხე, რომ გადაიკვეთოს საკონსტიტუციო საზღვარი, როდესაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონების დაყოფის შედეგად არასწორად გაიცხრილოს ის კანონიერი დებულება, რომელიც მხოლოდ არსის ერთიანობის სახით შეიძლება დარეგულირდეს.<sup>9</sup>



გაზოყენებული ლიტერატურა:


---

1. Späte, Ludwig Gesetzgebung im Föderalismus am Beispiel des BKA-Gesetzes in Deutschland GRIN Verlag; 30.03.2010
2. Degenhart, Christoph Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht 27. Auflage; 2011; Seite 84-87.
3. Heinrich, Wilms Staatsrecht I W. Kohlhammer Verlag 2006
4. Hartmann, Mario Der Bundesrat im Politischen System GRIN Verlag; 18.01.2010; Seite:5-13.
5. Isensee, Josef Handbuch des Staatsrechts; Dritte Auflage Band V; Hüthig Jehle Rehm Verlag; 2007, 243-253.
6. Schmidt, Manfred G. Das politische System Deutschlands C.H.Beck Verlag; München, 2007

შენიშვნები:

---

- <sup>1</sup> Späte, Ludwig Gesetzgebung im Föderalismus am Beispiel des BKA-Gesetzes in Deutschland GRIN Verlag, 30.03.2010
- <sup>2</sup> Degenhart, Christoph Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht 27, Auflage, 2011, Seite 84-87.
- <sup>3</sup> Degenhart, Christoph Staatsrecht I. Staatsorganisationsrecht 27, Auflage, 2011, Seite 84-87.
- <sup>4</sup> Heinrich, Wilms Staatsrecht I W. Kohlhammer Verlag, 2006.
- <sup>5</sup> Heinrich, Wilms Staatsrecht I W. Kohlhammer Verlag, 2006.
- <sup>6</sup> Hartmann, Mario Der Bundesrat im Politischen System GRIN Verlag, 18.01.2010, Seite: 5-13.
- <sup>7</sup> Hartmann, Mario Der Bundesrat im Politischen System GRIN Verlag, 18.01.2010, Seite: 5-13.
- <sup>8</sup> იქვე.
- <sup>9</sup> Hartmann, Mario Der Bundesrat im Politischen System GRIN Verlag, 18.01.2010, Seite: 5-13.



# INVOLVEMENT OF BUNDESRAT IN LEGISLATIVE PROCESS UNDER THE ARTICLE 76 OF THE BASIC LAW OF GERMANY (PUBLIC LAW)

GIORGI TORDIA

*Advisor to the Chairperson of the Department of Justice of the Abkhazian Autonomous Republic,  
Member of the non-commercial non-entrepreneurial legal entity “Constitutionalism Research and  
Support Regional Center”*

The article discusses the involvement of Bundesrat, second chamber of the Parliament of the Federal Republic of Germany in the legislative process.

The Constitution of the Federal Republic of Germany very clearly sets out the roles of main state institutions (the government, Bundestag, Bundesrat, federal lands) in the legislative process of the country. The role, involvement and balance of various state institutions unequivocally represent one of the most important principles of the Constitution of the Federal Republic of Germany. Such kind of maximum division and balance of power is a foundation that determines the structure of a democratic state. It also makes it possible to achieve maximum involvement of various societal groups in the decision making process through maximum cooperation of representative or government bodies elected by the citizens at various levels, which from its side creates a culture of democratic cohabitation.

It is noteworthy that such a high-degree involvement of various state institution in the legislative process undoubtedly complicates the process of reaching the agreements quickly, and creates a threat to protract the process. This problem becomes especially topical when speedy reforms need to be carried out, when the political opposition is strongly represented at Bundesrat, second chamber of the Parliament. While drafting the Constitution, the German legislator foresaw this problem as well, and this paper provides an overview of constitutional means that the legislators refer to for finding solution to this situation.

We think that the tools discussed in the article are quite topical today for the young democracy in Georgia. The mechanisms of division of power, balance of key constitutional institutions elected by the citizens, and also their cooperation mechanisms can be exemplary for us. I think that these are the very tools for ensuring final formation of democratic state and for establishing an advanced culture of cohabitation within the public.

# საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი რეგულირების შესახებ

## ია ხარაში

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი*

## დავით გეფერიძე

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის და თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის პროფესორი*

## შესავალი

წინამდებერე ნაშრომში განხილულია საქონლით ვაჭრობის საბაჟო-სატარიფო საერთაშორისოსამართლებრივი რეგულირების ზოგადი საკითხები. სახელმწიფოების მიერ ბაჟის ამოღება საქონლის გარე და შიდა (ადმინისტრაციული) საზღვრების გადაადგილებისას უძველესი ფინანსური ოპერაციაა, რომელიც არსებითად, დღემდე ყველგანაა შემორჩენილი. თავდაპირველი მოტივაცია წმინდა ფისკალური იყო. ნაწილობრივ, ეს ფაქტორი დღემდე სუსტად განვითარებულია არაპრეფერენციული საგარეო ვაჭრობის სახელმწიფოებში (მაგალითად, რუსეთში). განვითარებული საგარეო ვაჭრობის მქონე ქვეყნები ჩვეულებრივ მხოლოდ საიმპორტო ბაჟებს (გადასახდელებს) იყენებენ არა როგორც ფისკალურს, არამედ როგორც სავაჭრო პოლიტიკის არსებით ინსტრუმენტს.

პრაქტიკულად, ყველა სახელმწიფოს საკუთარი, ეროვნული კანონმდებლობით დარეგულირებული გადასახდელები აქვს საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების ქვეყნის საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას.<sup>1</sup>

გამონაკლისია საბაჟო კავშირში შემავალი სახელმწიფოები. ასეთ შემთხვევებში, კავშირის ფარგლებში, ყველა წევრი სახელმწიფოსათვის (მაგალითად, ევროპის კავშირი) ერთიანი საბაჟო ტარიფი მოქმედებს. გამოიყენება სპეციფიკური ბაჟები<sup>2</sup> – ჩვეულებრივ, მასიური საქონლისათვის (ქვანახშირი, მარცვლეული, სახერხი მასალები, ნავთობი, აირი და სხვ.), რომლებიც გაიანგარიშება ერთიანი ფიზიკური საზომებით (ტონა, კუბამეტრი და მისთ.), ან ადვალური ბაჟები<sup>3</sup> – სამრეწველო და მისთ. ნაწარმისათვის – ერთეულ საქონელზე ღირებულებითი გამოხატულებით.

როგორც წესი, ეროვნულ ტარიფებს აქვს სამი სვეტი – თითოეულ სვეტში სხვადასხვა განაკვეთებით. მაგალითად, საერთო სვეტი ყველა ქვეყნისათვის; სვეტი უფრო შეღავათიანი განაკვეთით იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც სარგებლობენ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმით; სვეტი კიდევ უფრო ხელსაყრელი განაკვეთებით – ქვეყნებისათვის, რომლებიც სარგებლობენ ამა თუ იმ პრეფერენციული რეჟიმით (მაგალითად, განვითარებადი ქვეყნებისათვის პრეფერენციების საერთო სისტემის ფარგლებში). შეიძლება მოქმედებდეს საზოგადოდ ყველა ან ცალკეული საქონლის უბაჟო შეტანის (საბაჟო ტარიფის გამოუყენებლობით) (მაგალითად, თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის პარტნიორი ქვეყნებიდან შესატანი საქონლის მიმართ) პირობებიც.

„იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ თავდაპირველად, საბაჟო ტარიფები სახელმწიფოების მიერ საქონლის შეტანის და გატანის რეგულირების საშუალებად მოიაზრებოდა სახელმწიფოთაშორისო დონეზე, არსებითად, როგორც პირველი საერთაშორისო საქონლით ვაჭრობის სფეროში, დაწესებულებები, რომელთა მიზანია სხვა ქვეყნების ეროვნული საბაჟო ტარიფების შესახებ ინფორმაციამე საქონლით მოვაჭრეების მხოლოდ დაშვების გადაადგილებაში თანამშრომლობა, ბაჟების გადახდაზე შესაბამისი ხარჯების უფრო ეფექტიანი შეფასების შესაძლებლობას იძლეოდა.“<sup>4</sup>

## I. ბაბო/მსო-ს<sup>5</sup> გარე უნივერსალურ დონეზე სამართაშორისო საბაჟო-საბარიფო თანამშრომლობა

1. საბაჟო ტარიფების პუბლიკაციის საერთაშორისო ბიურო. ჯერ კიდევ, 1890 წელს შექმნილი ეს ბიურო ყველაზე უფრო ძველი და უნივერსალურია და მსოფლიო დონეზე, საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის სფეროში, უწყვეტად მოქმედი მრავალმხრივი დაწესებულებაა. ბიუროს ფუნქციებია ეროვნული საბაჟო ტარიფებისა და მათი ცვლილებების შერჩევა და თარგმნა (თუ საჭიროა ოთხ ენაზე – ინგლისური, ფრანგული, გერმანული და ესპანური), გამოცემა, პუბლიკაცია და ბიუროს წევრი ქვეყნების დაინტერესებული დაწესებულებებისათვის შესაბამისი პუბლიკაციების დაგზავნა. ბიუროს მუშაობა ფინანსდება წევრი ქვეყნების შენატანებით.

ბიუროს, რომელიც თავდაპირველად, 38 სახელმწიფოს მიერ შეიქმნა, 1890 წელს დადებული კონვენციით, სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის სტატუსი აქვს და მისი შტაბ-ბინა ბრიუსელში მდებარეობს.

2. მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია. 1995 წელს შექმნილი ეს სამთავრობათაშორისო უნივერსალური ხასიათის ორგანიზაცია არსებითად, ჯერ კიდევ, 1950 წლის კონვენციის საფუძველზე<sup>6</sup> დაფუძნებული საბაჟო თანამშრომლობის საბჭოს სამართალმემკვიდრეა. ორგანიზაციის მიზანია წევრი ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობა საბაჟო საქმის სფეროში: ეროვნული საბაჟო სისტემების მაქსიმალური ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის, საბაჟო კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის სრულყოფის, საბაჟო საქმეში<sup>7</sup> წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის წახალისების ჩათვლით. ამ სფეროში ორგანიზაციას წამყვანი ადგილი უკავია მსოფლიო მასშტაბით. ორგანიზაციის მუშაობის ძირითადი შედეგები გამოხატება საბაჟო საქმის სრულყოფის ნაწილში რიგი ფუძემდებლური სამარ-

თლებრივი აქტების მომზადებაში. მათ შორის, აღსანიშნავია საბაჟო მიზნებით საქონლის შეფასების შესახებ კონვენცია (1950), კონვენცია საბაჟო ნომენკლატურის შესახებ (1950), საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ კიოტოს კონვენცია (1973), უნივერსალური საბაჟო კლასიფიკატორი (ჯერ კიდევ, 50-იანი წლების), სხვაგვარად ე. წ. ბრიუსელის საბაჟო ნომენკლატურა, რომლის საფუძველზე, 1981 წელს დამუშავდა ახალი კლასიფიკატორი, რომელიც დაგვირგვინდა საქონლის აღწერისა და კოდირებული ჰარმონიზაციის სისტემის შესახებ შეთანხმებაში. იგი ძალაში შევიდა 1988 წელს და დღემდე მოქმედებს და სხვ.<sup>8</sup>

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის წევრია დაახლოებით 179 სახელმწიფო და მისი შტაბ-ბინა ასევე, ბრიუსელში მდებარეობს.

3. საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებული სისტემა,<sup>9</sup> რომელიც ძალაში შევიდა 1988 წელს და წარმოადგენს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევას. სისტემა ადრე მოქმედი ბრიუსელის საბაჟო ნომენკლატურის სრულყოფილი მემკვიდრეა. ჰარმონიზებული სისტემა უფრო თანამედროვეა – ტექნიკურად სრულყოფილი და დეტალიზებული, საქონლის მრავალმიზნობრივი უნივერსალური ხასიათის კლასიფიკატორი და კოდიფიკატორია. მისი მიზანია საერთაშორისო და ეროვნული საგარეო ვაჭრობის სსსაქონლო სტატისტიკის, ეროვნული საბაჟო ტარიფებისა და საბაჟო კავშირების ტარიფების სტრუქტურების უნიფიკაცია; ეროვნულ სისტემებში საქონლის საგარეო ვაჭრობის რეგულირების გამოყენება; მრავალნაირი ეროვნული და საერთაშორისო სტატისტიკურ-ანალიტიკური შრომების გამოყენება. პრაქტიკულად, სისტემა უნივერსალურად გამოიყენება მთელ მსოფლიოში და სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სახელმწიფოების საბაჟო-სატარიფო ღონისძიებების შეფასებისადმი უფრო ობიექტური მიდგომის საშუალებას იძლევა, მათ მიერ საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ზომების დაცვის თვალსაზრისით.

თვისებრივი გადასვლა საერთაშორისო დონეზე საბაჟო-სატარიფო და სხვა ინფორმაციის ერთ-ერთი გაცვლიდან, ეროვნული საბაჟო საქმისა და ტარიფების თანამშრომლობიდან საზოგადოდ, საბაჟო საქმის ეროვნული რეგულირების როგორც ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის ნაწილში, ისე ეროვნული საბაჟო ტარიფების აგების ნაწილში – მოხდა გატე-ის ჩარჩოებში მრავალმხრივ დონეზე. საქმე ეხება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე არა მარტო ეროვნული საბაჟო ტარიფების განაკვეთების შემცირებას, არამედ აგრეთვე, საქონლის საბაჟო შეფასების „ტექნიკას“ და განსაკუთრებით, საქონლის კეთილსინდისიერი ვაჭრობის უზრუნველყოფას უპირველეს ყოვლისა, ერთი მხრივ, დემპინგის აღკვეთის და მეორე მხრივ – დემპინგისაგან ბრძოლის დროშით ბოროტმოქმედებების დაუშვებლობის გზით.

აქვე აღვნიშნავდით, რომ სასაქონლო ნომენკლატურა (შესაბამისი სასაქონლო კოდები), გარდა იმისა, რომ იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას, ასევე, აუცილებელია თანამედროვე კომპიუტერული სისტემით უზარმაზარი სასაქონლო ნაკადების შესახებ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის ან სპეციალური საბაჟო სტატისტიკის საწარმოებლად. ამასთან, ტექნიკური თვალსაზრისით, სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენება საგრძნობლად ამარტივებს საბაჟო დამუშავების<sup>10</sup> ოპერაციებს და იძლევა მათი სხვადასხვა ასპექტებით ეკონომიკური ანალიზის განხორციელების საშუალებას.<sup>11</sup>

4. საქონლის საბაჟო შეფასება გატე-ში. საქონლის სწორი შეფასება, რომელიც ადვალური (ad valorem – ღირებულების შესაბამისი) გადასახდელების განაკვეთების განსაზღვრის ბაზაა ამასთან, შეცდომების და ბოროტმოქმედებათა თავიდან აცილების მნიშვნელოვანი ელემენტია. ძირითადად, საქონლის შეფასება, ასეთი შეფასების ხერხები და მეთოდები თითოეული სახელმწიფოს კომპეტენციაა. მაგრამ ასეთი შეფასებისადმი ერთგვაროვანი, სამართლიანი მიდგომის მიზნით ცალკეული



სახელმწიფოების ეროვნული საბაჟო დაწესებულებების მიერ 1994 წელს, მარაკეჰის შეთანხმებების<sup>12</sup> პაკეტის შემადგენლობაში დაიდო მსო-ს წევრი ქვეყნებისათვის სპეციალურად სავალდებულო შეთანხმება საბაჟო შეფასების შესახებ (შეთანხმება გატტ-ის მე-8 მუხლის გამოყენების შესახებ). მსო-ის ფარგლებში ასევე, შეიქმნა საბაჟო შეფასების საერთო კომიტეტი.

საბაჟო შეფასების მეთოდის სახით აღიარებულია:

- „გარიგების ფასი“ ე.ი. საქონელზე რეალურად გადახდილი ან გადასახდელი ფასი;
- იდენტური საქონლის საბაჟო ღირებულება;
- მსგავსი საქონლის საბაჟო ღირებულება;
- საბაჟო ღირებულება ერთეული საქონლის საფუძველზე, რომლითაც მოცემული საქონელი უდიდესი მოცულობით იყიდება იმპორტის ქვეყნის საშინაო ბაზარზე;
- წარმოების დანახარჯების ბაზაზე პლუს საშინაო ბაზარზე რეალიზაციის ხარჯების საანგარიშსწორებო ღირებულება;
- სხვაგვარი გონივრული მეთოდი ამ მონაცემების გამოყენებით, რომლებიც არსებობს იმპორტის ქვეყანაში.<sup>13</sup>

აქვე შევნიშნავთ, რომ „მემოთ აღნიშნული ყოველი მომდევნო მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ დასაბუთებულად ვერ ხერხდება წინა მეთოდების გამოყენება. დეკლარანტი უფლებამოსილია შეცვალოს საქონლის ერთეულის ფასის მიხედვით (მეოთხე მეთოდი) საქონლის სატარიფო ღირებულების განსაზღვრა და შედგენილი ღირებულების მიხედვით (მეექვსე მეთოდი), განსაზღვროს საქონლის სატარიფო ღირებულება.“<sup>14</sup>

ძირითად მეთოდად აღიარებულია დასახელებულთაგან პირველი, ე. ი. „გარიგების ფასი.“ ამასთან, თითოეული ქვეყანა თავად ირჩევს როგორი ფასი (სიფ თუ ფობ) აიღოს, როგორც საბაჟო. იმპორტიორს შეუძლია „გარიგების ფასს“ დაუმატოს დამატებითი საკომისიო, აგენტის, შეფუთვის და მისთ. ხარჯები.

იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო არ ეთანხმება გაცხადებულ „გარიგების ფასს,“ იგი ვალდებულია იმპორტიორის თხოვნით მისცეს წერილობითი დასკვნა და გარიგების წინა ჩამოთვლილი წესით იმპორტიორთან კონსულტაციისას გამოიყენოს საბაჟო ღირებულების განსაზღვრის სხვა მეთოდები. ამასთან, გამოიყენება იმპორტიორის ქვეყანაში არსებული ინფორმაცია.

იმის გარანტია, რომ საბაჟო ღირებულების განსაზღვრა არ იქნეს გამოყენებული როგორც ვაჭრობის შემაფერხებელი, შეთანხმებაში დათქმულია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფასების განსაზღვრა გაჭინურდა, საბაჟო<sup>15</sup> მოვალეა საქონელი გაუშვას იმპორტიორის მიერ ბაჟის გადახდის გარანტიით.

## II. ანტიდემპინგური ზომები გატტ-ში

დემპინგი გამოიყენება ახალი ბაზრების დასაპყრობად იაფად მყიდველთა მოზიდვის გზით ან უცხოური ვალუტის მისაღებად, რომლსაც ექსპორტიორი ამა თუ იმ მიზეზით (ნავაჭრის საზღვარგარეთ გატანის ჩათვლით) საჭიროებს. დემპინგი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გავრცელებული ნაირსახეობაა, რადგან სერიოზულ ზიანს აყენებს იმპორტის ქვეყანაში შესაბამისი საქონლის წარმოებას და აგრეთვე, სხვა ქვეყნებიდან ანალოგიური საქონლის კეთილსინდისიერი ექსპორტირებას. დემპინგის წინააღმდეგობის ხერხია იმპორტიორი სახელმწიფოს მიერ ჩვეულებრივ დაზარალებულ მეწარმეთა საჩივრებზე ე. წ. ანტიდემპინგური ზომების გამოყენება, უწინარეს ყოვლისა, ანტიდემპინგური გადასახადების ფორმით. ჩვეულებრივ, ეს გადასახადები წესდება საბაჟო ხარჯებთან დამატებით და ზოგჯერ ჯარიმის ხასიათისაა. თუმცა, ძირითადად უნდა იყოს საკომპენსაციო ე. ი. შეესაბამებოდეს

ნორმალურსა და დემპინგურ ფასებს შორის სხვაობას. ანტიდემპინგური ბაჟები (გადასახდელები) წესდება სპეციალური სამთავრობო, შეიძლება ითქვას „გამოძიების“ შედეგების მიხედვით, რომლის მიზანია უწინარეს ყოვლისა, თვით დემპინგის ფაქტებისა და მისით გამოწვეული ზიანის გამოვლენა, ხოლო შემდეგ კი, გაზრდილი ბაჟის (გადასახდელების) დაწესება, ეროვნული წარმოების დაცვის თვალსაზრისით. „ანტიდემპინგური გამოძიება“ ძალზედ გავრცელებული პროცედურაა აშშ-სა და ევროკავშირში. იგი ერთდროულად ათეულ და ასეულ შემთხვევებში წარმოებს. ათეულობით გამოძიებას აქვს ადგილი რუსული საქონლის მიმართ ევროკავშირში, აშშ-ში, ჩინეთში და ა. შ.

ფორმალურად შემოღებული ანტიდემპინგური ბაჟების გარდა, არსებითად ანტიდემპინგური ზომების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნას არაფორმალური (ან „ფორმალური“) მეთოდები, როგორცაა: ანტიდემპინგური გამოძიების (რომელმაც შეიძლება ვერც გამოავლინოს ანტიდემპინგური ბაჟების შემოღების საფუძვლები) დაწყების ან დაწყების განზრახვის თვით განცხადება, აგრეთვე ჩვეულებრივ, ამის თანმხლები პუბლიკაცია პრესაში, ზოგჯერ სავარაუდოდ აღიარებული დემპინგის წინააღმდეგ ორგანიზებული კამპანიის ფორმით. ყოველივე ეს ზემოქმედებას ახდენს მოცემული საქონლის ტერიტორიაზე, რომელიც ბუნებრივია, არაა დაინტერესებული საქმე მივიღეს ანტიდემპინგური ბაჟების გამოყენებამდე, რომლებიც როგორც წესი, პრაქტიკულად აჭარბებს საქონლის იმპორტს, რომელიც დაკვალიფიცირებულია, როგორც დემპინგი. ამიტომ ჩვეულებრივ იწყება მოლაპარაკებები, მათ შორის, სამთავრობო დონეზე, ურთიერთშეთანხმებით კონფლიქტების დარეგულირების თაობაზე. ასეთი შეიძლება ნიშნავდეს: საქონელზე ფასის მომატებას და/ან მისი მიწოდებისათვის კვოტების დადგენას. სამთავრობო დონეზე შეთანხმება შეიძლება ზოგჯერ გადაიქცეს ე.წ. ექსპორტის „ნებაყოფლობით“ შეზღუდვის შესახებ შეთანხმებების დადებაში.

ვინაიდან ანტიდემპინგური ზომები ძალზე ეფექტიანია ქვეყანაში იმპორტის შეზღუდვისათვის, ხშირია ანტიდემპინგური გამოძიებისა და ანტიდემპინგური ზომების ბოროტად გამოყენების შემთხვევები, ხშირად როცა ამის გამოყენების საფუძველი რეალურად არ არის. ამიტომ ანტიდემპინგური ზომები გამოიყენება, როგორც პროტექციონიზმის საშუალება არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალება. ასეთი პრაქტიკა დიდი ხანია საერთაშორისოსამართლებრივ დონეზე იწვევდა წინააღმდეგობას დემპინგსა და მისი აღკვეთის დასაშვებ ფარგლებს შორის მისი განსაზღვრის მკაფიო კრიტერიუმების შემუშავების მეშვეობით.

1977 წლის გატტ-ის შეთანხმების მე-6 მუხლი განსაზღვრავდა დემპინგს, როგორც სავაჭრო ოპერაციას, – „ერთი ქვეყნის საქონელი შედის მეორეში საქონლის ნორმალურ ღირებულებაზე დაბალი ფასით.“ ამასთან, დათქმული იყო ანტიდემპინგური ბაჟების გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ მათი გამოყენების პირობები არ იყო საკმაოდ მკაფიო, რაც ქმნიდა ბოროტმოქმედების ნიადაგს. ამიტომ, თანმიმდევრულად 1969 წელს (კენედის რაუნდი), 1974 წელს (ტოკიოს რაუნდი) და 1994 წელს (ურუგვაის რაუნდი) მიღებულ და გადასინჯულ იქნა გატტ-ის შეთანხმების მე-6 მუხლის ინტერპრეტაციის შესახებ განმარტებები, რომელმაც „ანტიდემპინგური კოდექსის“ სახელწოდება მიიღო. 1994 წლის მისი უკანასკნელი რედაქცია ითვალისწინებს წესებს, რომლებიც მიმართულია უსაფუძვლო ანტიდემპინგური ზომების დაუშვებლობაზე. ისინი შეიძლება შემოღებულ იქნას მხოლოდ ანტიდემპინგური გამოძიების შედეგად. აღსანიშნავია, რომ ეს ზომები ინიცირებულია, როგორც წესი, დაინტერესებულ მეწარმეთა განცხადებებით, რომლებიც ჩივიან, რომ დემპინგისაგან ზარალდებიან. ამასთან, განცხადებაში უნდა იქნეს წარმოდგენილი ეროვნული მწარმოებლები, რომელთა წილი მოცემული საქონლის წარმოებაში 50%-ზე მეტია მწარმოებელთა იმ ნაწილში, რომლებიც მხარს უჭერენ განცხადებას ან მისი წინააღმდეგია. თუ განცხადების მხარდამჭერი მწარმოებლების ნაწილი, ეროვნული წარმოების 25%-ზე ნაკლებია – გამოძიება არ იწყება. სამთავრობო ორგანოებს

შეუძლიათ ანტიდემპინგური გამოძიება აწარმოონ, თუ მათ ხელთ აქვთ დემპინგის, მისგან ზიანისა და დემპინგისაგან ზიანის მიყენების მტკიცებულებები.

ანტიდემპინგური კოდექსით დათქმულია ქვეყანაში ანალოგიური საქონლის წარმოებისათვის მატერიალური ზიანის (ან მისი მუქარის) განსაზღვრის მეთოდოლოგია და კრიტერიუმები, ანტიდემპინგური ბაჟების გამოანგარიშების მეთოდოლოგია და მკაფიო საპროცედურო წესები. კერძოდ, ზიანი გაგებულია ერთობ ფართოდ: გასაღების, მოგების, წარმოების, ბაზარზე წილების, ნაყოფიერების, ინვესტიციებისაგან შემოსავლების შემცირება, წარმოების სიმძლავრეების არასრული გამოყენება, წარმოების ზრდის ტემპებზე ზემოქმედება და სხვ. ისე, როგორც სხვა შემთხვევაში, გატტ/მსო-ს ჩარჩოებში ანტიდემპინგურ კოდექსში მოცემულია განსაკუთრებული შეღავათიანი პირობები განვითარებადი ქვეყნებისათვის მათი ეკონომიკისა და ფასების დაწესების თავისებურებათა გათვალისწინებით. ამის გამო განვითარებადი ქვეყნებიდან საქონლის საქსპორტო ფასის შემცირება ასეთ ქვეყანაში შიდა ფასთან შედარებით, თავისთავად არ არის დემპინგში ბრალდების საბაბი.

აღსანიშნავია, რომ ანტიდემპინგური კოდექსი მისი უკანასკნელი რედაქციით ანტიდემპინგური ზომების გამოყენებაში სხვადასხვა ბოროტმოქმედების აღკვეთის საკმაოდ ქმედითი ინსტრუმენტია და ამ სახით კოდექსის პროცედურების გამოყენების შესაძლებლობებით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საქართველოსათვის, მათ შორის, მსო-ში მისი შესვლის თვალსაზრისით, რადგან ხშირია შემთხვევები, როცა ქართველი ექსპორტიორები ზიანდებიან სხვა ქვეყნებში საქონლის შეტანისას სხვადასხვა დემპინგური ზომების გამოყენებით, რამეთუ ადგილი დაიკავონ სხვა ქვეყნის ბაზარზე ქართული საქონლის გამორიცხვის სახით.

### III. საქონლით ვაჭრობის არასატარიფო ზომების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება

1. არასატარიფო სავაჭრო შეზღუდვები. გატტ/მსო-ის სისტემის ფუძემდებლური მიზანდასახულობითი პრინციპია ეროვნული წარმოების დაცვის პრინციპი, რომლის ძირითად ფორმას საბაჟო ტარიფების აღიარება და არასატარიფო ბარიერების დაწესება. მაგრამ პრაქტიკულად როგორც გატტ-ის წარმოშობამდეც არასატარიფო შეზღუდვების მეშვეობით გრძელდება იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილის რეგულირება. კერძოდ, ეს ეხება სურსათს, ტანსაცმელს, შავ და ფერად ლითონებს, განსაკუთრებით განვითარებული ქვეყნების განვითარებად ქვეყნებთან და ე. წ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებთან კავშირში. თუმცა, როგორც გატტ-ის ასევე, მსო-ის წევრ ქვეყნებს შორის დადებულ სხვა შეთანხმებების პირობები იძლევიან ვაჭრობაში არასატარიფო შეღავათების გამოყენების მრავალ შესაძლებლობას. ასეთი შეზღუდვები შეიძლება ორ დიდ ჯგუფად გაიყოს. პირველი – სამთავრობო, ადმინისტრაციული ზომები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ბაზარზე ზემოქმედების ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებასთან. ესენია: ვაჭრობის პირდაპირი აკრძალვა – ემბარგო, სავაჭრო ბლოკადა, ბოიკოტი, ხოლო ყველაზე მეტად ჩვეულებრივი რაოდენობრივი შეზღუდვები (კვოტები, კონტიგენტები), ექსპორტისა და იმპორტის ან ვაჭრობის ლიცენზირების ნებადართველი სისტემები. ასევე, შეფუთვის, მარკირების ყოველგვარი მკაფიო ტექნიკური მოთხოვნები: საბაჟო გაფორმების, დოკუმენტაციის, დათვლიერებისა და მისთ. შიდა ბაზრის დაცვისათვის როგორც პროტექციონისტული ხერხები, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული საკარანტინო ზომები, საქონლის წარმოშობის დადასტურების მოთხოვნები და სხვ.

არასატარიფო შეზღუდვების მეორე ჯგუფში შედის ვაჭრობის შეზღუდულად ზემოქმედების მომხდენი ეკონომიკური ხასიათის ზომები საბაზრო მექანიზმის გამოყენებით საქონლის გასხვისებისა

და მისი კონკურენტუნარიანობის შემცირებაზე გავლენით. ეს უწინარეს ყოვლისა, სპეციალური არასატარიფო ბაჟებია, რომლითაც იბეგრება იმპორტირებული საქონელი, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ზომები. აგრეთვე, ყოველგვარი გადასახადები, მოსაკრებლები, აქციზები, საიმპორტო დეპოზიტები და მისთ.

2. რაოდენობრივი შეზღუდვები. რაოდენობრივი შეზღუდვები (კვოტირება, კონტინგენტირება) ექსპორტისა და იმპორტის რეგულირების ყველაზე უფრო მკაფიო ხერხია და ყველაზე უფრო შეუთავსებელია საბაზრო ეკონომიკასთან. ამის მიუხედავად, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები ფართოდ იყენებენ რაოდენობრივ შეზღუდვებს არა მარტო კრიზისულ სიტუაციებში (ომები, ეკონომიკური დეპრესია და ა. შ.), არამედ როგორც სავაჭრო პოლიტიკისა და პროტექციონიზმის ქმედით საშუალებას, განსაკუთრებით იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც არ მონაწილეობენ გატტ-ში რომლის პირობით რაოდენობრივი შეზღუდვები ძირითადად, გაუქმებულია.

რაც შეეხება გეგმური ეკონომიკის ქვეყნებს, ექსპორტისა და იმპორტის კვოტირების სისტემა მათი საგარეო ვაჭრობის ფუძემდებლური პრინციპია. ყოფილი საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ათწლეულების განმავლობაში თავის საგარეო ვაჭრობას აგებდნენ საქონელბრუნვისა და გადასახდელების მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე, სხვა სოციალისტურ თუ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან. ასეთი შეთანხმებები ჩვეულებრივ, ხუთი წლით იდებოდა, რომელიც განვითარების ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმებს შეესაბამებოდა. ყოველწლიურად ამ შეთანხმებების კორექტირება ხდებოდა სპეციალური ოქმებით. შეთანხმების „გული“ იყო საქონლის შემხვედრი ურთიერთშეთანხმებული სიები (კონტიგენტები). ეს მიწოდებები მაქსიმალურად ბალანსირდებოდა მიწოდებული საქონლის ღირებულებით, რისთვისაც გამოიყენებოდა კლირინგი,<sup>16</sup> ე. ი. გადასახდელოთა ერთ-ერთი ჩათვლის სისტემა. რა თქმა უნდა, ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზებით ბევრ, ხშირ შემთხვევაში ბალანსის დაცვა ვერ ხერხდებოდა. უკვე 1947 წელს, გატტ-ში დადგენილი იყო, რომ მონაწილე ქვეყნებმა („ხელშეკრულების მხარეები“) არ უნდა დააწესონ ან შეინარჩუნონ რაიმე აკრძალვები ან შეზღუდვები კვოტების, საიმპორტო და საექსპორტო ლიცენზიის ან სხვა ზომების გამოყენების ფორმით (ბაჟების, გადასახადების და მოსაკრებლების გარდა). მაგალითად, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა ან შეზღუდვა, რაც საჭიროა საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის კლასიფიკაციის, სორტირების ან რეალიზაციის სტანდარტებისა და წესების გამოყენებასთან დაკავშირებით;

3. ლიცენზირება. წესი, რომლის შესაბამისად განსაზღვრული ყველა საქონლის ექსპორტი და/ან იმპორტი შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობით, კონკრეტული საქონლის შეტანის ან გატანის ლიცენზიის/წებართვის მიღებით. რაოდენობრივ შეზღუდვებთან ერთად ლიცენზირება ექსპორტისა და იმპორტის რეგულირების ყველაზე პირდაპირი და მოქნილი რეგულირების ქმედითი ხერხია.

საიმპორტო კვოტირებასთან ერთად ლიცენზიები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ეფექტიანი პროტექციონირებისა და დისკრიმინაციის ბერკეტი, აშკარად ირღვევა რა, კეთილსინდისიერი კონკურენციის რეჟიმი. ამის გამო ლიცენზირება, რომელიც საგარეო ვაჭრობის რეგულირების უაღრესად ეროვნულ საშუალებას წარმოადგენს, იწვევს საერთაშორისოსამართლებრივი მეთოდებით მოწესრიგების საჭიროებას. ჯერ კიდევ, 1979 წელს, გატტ-ის ტოკიოს რაუნდის მსვლელობაში გატტ-ის დამატებაში ჩაიღო, ხოლო 1994 წელს მარაკეშის პაკეტის შემადგენლობაში მიღებულ იქნა გადასინჯული განსაკუთრებული იმპორტის ლიცენზირების პროცედურების შეთანხმება (ე. წ. საიმპორტო ლიცენზიების კოდექსი), ხოლო მსო-ის ვაჭრობის საბჭოს ჩარჩოში შეიქმნა საიმპორტო ლიცენზირების კომიტეტი შეთანხმების ეფექტიანი მოქმედების უზრუნველყოფის კომპეტენციით.<sup>17</sup> კოდექსი ითვალისწინებს, რომ საიმპორტო ლიცენზირების ეროვნული პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს



გატტ-ის წესების პირველი (უდიდესი ხელშეწყობის რეჟიმი) და მეორე მუხლის (ეროვნული რეჟიმი, რომელიც ეხება საიმპორტო საქონლის და გადასახადით დაბეგვრისადმი შეღავათიან მაჩვენებლებს) ჩათვლით. მოცემულ ქვეყანაში უნდა იყოს ერთიანი შესაბამისი ორგანო, რომელიც გასცემს საიმპორტო ლიცენზიებს. ქვეყანაში კვოტირების რეჟიმის არსებობისას ლიცენზიებს არ შეუძლიათ შექმნან შესაბამისი კონტიგენტების შეზღუდვები.

4. ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვები. იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები არსებითად ე.წ. „ექსპორტის ნებაყოფლობითი შეზღუდვების შესახებ შეთანხმების“ ნაირსახეობაა. ეს თავისებური – „სიკვდილის დასჯის შეთანხმებაა,“ სხვაგვარად რომ ვთქვათ: „ჩვენ თქვენ შეგზულდავთ, მაგრამ თქვენზე თხოვნით.“ არსებითად, ასეთი შეთანხმების მიღმა, შესაძლოა პოლიტიკური ფაქტორების გარდა, შესაბამისი ქვეყნების საკუთარი წარმოების აშკარა პროტექციონიზმი დგას. ამის ნათელი მაგალითია აშშ-ის, ევროკავშირის, ავსტრალიის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების მონაწილეობით 1994 წლის შეთანხმება რუსეთისათვის ცალმხრივი ვალდებულებების – მის მიერ ალუმინის წარმოებისა და ექსპორტის რაოდენობის შეზღუდვისა და აგრეთვე რუსეთიდან ექსპორტირებულ ალუმინზე მინიმალური ფასების ლიმიტის დადგენის შესახებ. რუსეთიდან ქსოვილის, ფოლადის, ალუმინის, სპეციალური მასალების, საზღვაო ტრანსპორტის, თანამგზავრების კოსმოსური გაშვების მომსახურების ექსპორტის ამდაგვარი შეზღუდვები დადგენილ იქნა ეკ-თან რუსეთის პარტნიორობისა და თანამშრომლობის 1994 წლის შეთანხმებით. პრაქტიკულად, შემოღებული იქნა რუსეთის ექსპორტის არსებითი წესებისათვის რაოდენობრივი შეზღუდვები. ყველაფერი განმარტებული იყო ჩვეულებრივ, რუსული ექსპორტის მეტისმეტად დაბალი ფასებით. მაგრამ ჯერ ერთი, ეს ფასები ჩვეულებრივ შიდა ფასებზე ნაკლები არ იყო და მეორეც, თუ საქმე ფასებშია – უფრო ლოგიკური იქნებოდა ფასების შეზღუდვა, მაგრამ არა ექსპორტირებული, მით უფრო წარმოებული საქონლის რაოდენობით! როცა საქმე ეხება საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებს, ლოგიკა უკან იხევს.<sup>18</sup> ცნობისათვის რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ოფიციალურად გაწევრიანდა 2012 წელს. ქვეყნის მეთაურმა ხელი მოაწერა კანონს იმ ოქმის რატიფიკაციის შესახებ, რომელიც რუსეთის ფედერაციის ორგანიზაციაში გაწევრიანებას ითვალისწინებს. საუბარია 1994 წლის 15 აპრილს დადებულ მარაკეშის შეთანხმებაზე.<sup>19</sup> მოსკოვი მოლაპარაკებებს სავაჭრო ორგანიზაციაში გასაერთიანებლად 18 წლის განმავლობაში აწარმოებდა.

5. დამცავი ზომები (ბაჟები). თანამედროვე საერთაშორისო სამართალი ძირითადად, არ კრძალავს სახელმწიფოების მიერ ცალმხრივად ცალკეული საქონლის შეზღუდვების შემოღებას, როცა იმპორტი ზიანს აყენებს ეროვნულ ეკონომიკას. მაგრამ ასეთმა შეზღუდვებმა არ უნდა დაარღვიოს სახელმწიფოებო ვალდებულებები, რომელიც მოცემულმა სახელმწიფომ იკისრა. იმპორტისაგან ეროვნული ეკონომიკის ზიანის წარმოშობის მიზეზები შეიძლება იყოს კერძოდ: ექსპორტიორი ქვეყნების განსაზღვრულ საქონელთან დაკავშირებით იმპორტის მკვეთრი ზრდა; საიმპორტო საქონლის მნიშვნელოვნად უფრო დაბალი ფასი საბაზრო საქონლის ფასთან შედარებით; იმპორტის ქვეყანაში საქმიანი აქტივობის კლება და ანალოგიური სამამულო საქონლის დაბალი კონკურენტუნარიანობა; არახელსაყრელი, არარეალური სავალუტო კურსი, სავალუტო სიძნელებები და სხვ.

გატტ-ის შეთანხმების (მუხ. XIX) პირობებით, დამცავი ზომები ძირითადად, ნებადართული იყო იმთავითვე და შესაბამისად, არაერთგზის გამოიყენებოდა გატტ-ის ბევრი წევრი ქვეყნის მიერ. დამცავი ზომების გამოყენების მოწესრიგებისა და მკაფიო რეგლამენტაციის მიზნით, მარაკეშის შეთანხმებების პაკეტის შემადგენლობაში 1994 წელს მიღებულ იქნა სპეციალური დამცავი ზომების შესახებ შეთანხმება<sup>20</sup> და მსო-ის ჩარჩოებში დაფუძნდა, პროცედურების საფუძველზე. ამასთან, სოფლის მეურნეობის, ქსოვილის, საქონლისა და ტანსაცმლის დამცავი ზომები განსაკუთრებით რეგლამენტირებულია სოფლის მეურნეობის, ქსოვილისა და ტანსაცმლის შეთანხმებებში. დამცავი ზომების შეთანხმების



მთავარი კრიტერიუმებია ეროვნული წარმოების ამა თუ იმ დარგისათვის არსებითი ზიანი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს იმპორტის ზრდას ისეთი მოცულობით და ისეთი გარემოებებისას, როცა წარმოიშობა ეროვნული წარმოების დარგის სერიოზული ზიანი ან ასეთი მუქარა. ამასთან, უნდა არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი იმპორტის მოცულობასა და მისგან მიყენებულ ზიანს შორის. სუბსიდიები და საკომპენსაციო ზომები (ბაჟები) – ექსპორტზე მომუშავე საკუთარი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების წახალისებისა და საგარეო ბაზრებზე მათთვის კონკურენტული უპირატესობების უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოები იყენებენ სპეციალურ საშუალებას – სუბსიდიებს.<sup>21</sup> ისინი შეიძლება სხვადასხვა ფორმის იყოს: საექსპორტო ბაჟებისა და საშინაო გადასახადებისაგან გათავისუფლება, პირდაპირი ფინანსური დაბანდებანი, ეკონომიკის საექსპორტო დარგებისათვის შეღავათიანი კრედიტები და სხვ.

თავისუფალი, კეთილსინდისიერი კონკურენციის პირობების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სამთავრობო სუბსიდიები განიხილება როგორც არაკეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის ნაირსახეობა. 1994 წელს, გატტ-ის ფარგლებში როგორც გატტ-ის მონაწილე ქვეყნების ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებების ერთ-ერთი შედეგი იყო განსაკუთრებული სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შეთანხმება, რომელიც დაწვრილებით არეგლამენტირებდა მსო-ის წევრი ქვეყნებისათვის როგორც სუბსიდიების გამოყენების, ისე სუბსიდიების გამოყენების არახელსაყრელი შედეგებისაგან დაცვის პირობებს, კერძოდ, ე.წ. საკომპენსაციო ბაჟების გზით, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს სუბსიდირებული საქონელი. მსო-ის ორგანოების სტრუქტურაში შექმნილია და მოქმედებს სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების კომიტეტი ექსპორტის სუბსიდიების პრაქტიკაზე დაკვირვების უფლებამოსილებით. შესაბამისად, მსო-ის ქვეყნებმა ვალდებულია იკისრეს პერიოდულად მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთ ქვეყნებში გამოყენებული სუბსიდიების შესახებ.

სუბსიდიები არ იკრძალება, მაგრამ დასაშვებია მხოლოდ თუ არ ილახება სხვა ქვეყნების ინტერესები.

6. ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში. ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებში იგულისხმება არასატარიფო ხასიათის სხვადასხვაგვარი პირობები და მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება შესატან საქონელზე. ფორმალურად ტექნიკური ბარიერები მოტივირებული და გამართლებულია დაბალი ხარისხის საქონლისაგან მომხმარებლების დაცვის ამოცანებით, რომელიც ემუქრება ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეთა სამყაროს, მთლიანად გარემოს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მაგრამ ტექნიკური ბარიერები პრაქტიკულად წარმოადგენენ თავისი საკუთარი წარმოების, განსაკუთრებით მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, სასურსათო საქონლის და აგრეთვე ფარმაცევტული პროდუქტებისა და სხვა მსგავსი მაღალტექნოლოგიური საქონლის სფეროში ჩათვლით, – დაცვის მოხერხებულ საშუალებას. ტექნიკური ბარიერების, როგორც არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საშუალების გამოყენების აკრძალვის, ამ დარგში ბოროტმოქმედების შეზღუდვის მიზნით, გატტ-ის პირობების სრულყოფის ფარგლებში 1979 წელს (ტოკიოს რაუნდი) მიღებულ იქნა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერის შეთანხმება,<sup>22</sup> ხოლო 1994 წელს (ურუგვაის რაუნდი) გადაისინჯა და დაიდო ისეთივე შეთანხმება. გარდა ამისა, რაც შეეხება სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებს, აგრეთვე საქონლის წარმოშობის წესებს, 1994 წელს დაიდო ორი სპეციალური შეთანხმება. მსო-ის ვაჭრობის საბჭოს ფარგლებში კი, შეიქმნა ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების კომიტეტი.

1994 წელს, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შეთანხმება, რომელიც შედის სავალდებულო დოკუმენტების მარაკემის პაკეტში, ვრცელდება ყველა სამრეწველო საქონელზე. იგი ეხება სახელმწიფოების უფლებას დაადგინონ სავალდებულო სტანდარტები, ტექნიკური რეგლამენტი, სერტიფიკაციის წესები, მათ შორის, საქონლის მარკირებისა და შეფუთვისათვის; გამოიყენოს სტანდარტებთან საქონლის

შესაბამისობის განსაზღვრის პროცედურები ე.ი. მისი სერტიფიკაცია. შეთანხმება გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა წარმოების პროცესში იმპორტული საქონელი იცვლის თავის მახასიათებლებს. იმ შემთხვევაში, როცა სავალდებულო სტანდარტები ქვეყანაში შემოღებულია ადგილობრივი ხელისუფლების ან არასამთავრობო დაწესებულების მიერ, შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ ასეთი სტანდარტებიც შეესაბამებოდეს შეთანხმების პირობებს.

შეთანხმების მიხედვით, გატტ-ის ყველა მონაწილე ქვეყნებიდან საქონლის მიმართ უდიდესი ხელშეწყობის შესახებ გატტ-ის პირობები უნდა იქნეს დაცული, შესაბამისი ზომების გამოყენებისას, საჯაროობის მოთხოვნის დაცვის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი და გამოქვეყნებული. აგრეთვე, საქონლის უცხოური მიმწოდებლები გატტ-ის ეროვნული რეჟიმის შესაბამისად არ უნდა იქნეს ჩაყენებული ადგილობრივ მწარმოებლებთან შედარებით უარეს მდგომარეობაში, მათ შორის, შესაბამისი პროცედურების ანამლაურების თვალსაზრისით.

არსებითად საერთაშორისო პრინციპი, რომ უცხოური საქონლისადმი ტექნიკური მოთხოვნები უფრო მძიმე არ უნდა იყოს, ვიდრე სამამულო წარმოების საქონლისადმი, ხოლო უცხოური საქონლისადმი შესაბამისად გამოყენებული ზომები და პროცედურები არ უნდა ქმნიდნენ საერთაშორისო ვაჭრობაში ბარიერებს.

შეთანხმება მონაწილე ქვეყნებს აძლევს რეკომენდაციებს მიიღონ მონაწილეობა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში, გამოიყენონ საერთაშორისო ტექნიკური სტანდარტები, რეგლამენტები და სერტიფიკაციის სისტემები თავიანთ ეროვნულ ყოველდღიურ ცხოვრებაში. აგრეთვე, ერთმანეთთან დადონ თავიანთი სერტიფიკატების, სერტიფიკაციის ცალმხრივი პროცედურებისა და ტექნიკურ სტანდარტებთან საქონლის შესაბამისობის შემოწმებების შედეგების ურთიერთალიარების შესახებ შეთანხმება.

როგორც სხვა შემთხვევაში, შეთანხმებაში გათვალისწინებულია განვითარებადი ქვეყნებისათვის შეღავათიანი პირობები, რომლებიც მათ შესაძლებლობას აძლევს არ დაიცვან მათი განვითარების შეფერხების თვალსაზრისით მიუღებელი სტანდარტები და ისარგებლონ საერთაშორისო დახმარებით, სტანდარტიზაციისა და შეთანხმების არსებობის შესრულების თავიანთი სისტემების შემუშავებაში.

დაბოლოს, შეთანხმებას ერთვის სტანდარტების მომზადების, მიღებისა და დაცვის პროცედურების შესახებ კეთილსინდისიერი პრაქტიკის განსაკუთრებული რეკომენდაციების კოდექსი.

1994 წელს,<sup>23</sup> ურუგვაის რაუნდის და გატტ-ის ფარგლებში სოფლის მეურნეობის შეთანხმების განვითარებაში თავისი მიზნობრივი მიმართულებით, მარაკეის პაკეტის ჩარჩოებში ხელი მოეწერა სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების შეთანხმებას. ამ შეთანხმების ძირითადი სავაჭრო-პოლიტიკური მნიშვნელობაა: ფიტოსანიტარიული, საკარანტინო შეზღუდვების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ უსაფრთხოების, ადამიანთა, ცხოველებისა და მცენარეების დაცვისათვის ყოველგვარი საზიანო, გადამდები ფაქტორებისაგან და დაუშვებელია როგორც პროტექციონისტული, თავისუფალი ვაჭრობისათვის შეზღუდული საშუალება. ამ მიმართებით სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების შეთანხმების მნიშვნელობა არსებითად იგივეა, რაც აქვს ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შეთანხმებას, განსხვავება რეგულირების საგანშია – ეს ერთ შემთხვევაში სანიტარიული, საკარანტინო წესია, მეორე შემთხვევაში კი, – ტექნიკური სტანდარტები და პირობები. მაგრამ ორივე შემთხვევაში, კეთილსინდისიერების გამოყენება ემსახურება შესაბამისი საქონლის მომხმარებელთა ინტერესებს, საქონლის ხარისხიანობის უზრუნველყოფას. ამიტომ ორივე დასახელებული შეთანხმება შეიცავს ანალოგიურ პრინციპულ მიზანდასახულობას, მათ შორის:

– სახელმწიფოებს უფლება აქვთ გამოიყენონ ზომები, რომლებიც მიმართულია სანიტარიული, ვეტერინარული (საკარანტინო) პირობების, აგრეთვე, ტექნიკური სტანდარტებისა და რეგლამენტების დაცვაზე იმპორტული საქონლის მიმართ მისი ხარისხიანობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის;

– შესაბამისი ზომები არ უნდა იყოს საერთაშორისო ვაჭრობისათვის პროტექციონისტული, შემზღვეული. შესაბამისად, ასეთი ზომები ჯერ ერთი, თვითნებურად არ უნდა ატარებდეს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული დაცვის მხარდაჭერის საჭიროებებს და საქონლის ხარისხის სტანდარტების დაცვას; მეორე, ეს კეთილსინდისიერი ზომები არ უნდა იყოს დისკრიმინაციული მსო–ის მონაწილე ქვეყნების მიმართ; მესამე, გამოყენებული ზომები ტრანსპარენტული (გამჭვირვალე) ხასიათის უნდა იყოს. მონაწილე ქვეყნებმა უნდა მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს ინფორმაცია გამოყენებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების შესახებ, ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ და აგრეთვე, ჰქონდეს განსაკუთრებული (საგანგებო) დაწესებულებები, რომლებიც პასუხისმგებელია ასეთი ინფორმაციის მიწოდებისათვის;

– ქვეყნებს რეკომენდაცია ეძლევათ დაიცვან საერთაშორისო დონეზე მიღებული წესები და სტანდარტები, მონაწილეობა მიიღონ შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში და გამოიყენონ ეროვნული სერტიფიკატები და სერტიფიცირებული პროცედურები.

როგორც მიღებულია, რომ გატტ/მსო–ის სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების ნაწილში გათვალისწინებულია დებულებები განვითარებული ქვეყნების ინტერესებისათვის: სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მეცნიერულ–ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციაში მათთვის ტექნიკური დახმარების გაწევა. მთავარი კი ისაა, რომ განვითარებადი ქვეყნები ბევრ შემთხვევაში უპირატესად სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტიორია და, ამიტომ როგორც სოფლის მეურნეობის შეთანხმება, ისე მასთან დაკავშირებული სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების შეთანხმება მიღებული იყო სწორედ განვითარებადი ქვეყნების მხრიდან მნიშვნელოვანი ზემოქმედებით, რომლებიც დიდი ხანია განიცდიდნენ არასასიამოვნო შედეგებს თვითნებური აგრარული პროტექციონიზმისაგან, მათ შორის, მრეწველობით განვითარებულ ქვეყნებში.

7. ექსპორტირებული საქონლის გადატვირთვისწინარე ინსპექცია. საქონლის დათვალიერება, საქონლის ინსპექცია მის გადატვირთამდე გამოიყენება განსაკუთრებით, განვითარებად სახელმწიფოებში ექსპორტიორების მხრიდან ბოროტმოქმედების გამოსავლენად (სპეციალური სუვერენული სამსახურების დახმარებით), მათ შორის, უცხოელ მყიდველებთან მორიგება. თაღლითები ხშირად მიმართავენ საქონლის ფასების დაწევასა და აწევას, რომელიც მითითებულია ზედნადებსა და სხვა საქონლის თანხმლებ დოკუმენტებში გადასახადების, ბაჟებისა და ა. შ. თავის არიდების მიზნით. ამასთან, ინსპექცია ასრულებს საქონლის ხარისხის, რაოდენობისა და შემოწმების ფუნქციასაც. მეორე მხრივ, გადატვირთვისწინარე ინსპექცია ფასების კონტროლის ჩათვლით, შეიძლება ნიშნავდეს ფასების შესახებ ცნობების გაჟონვის რისკს, რომლებიც კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს, გარდა ამისა, ინსპექცია ნიშნავს მიწოდების გარკვეულ შეფერხებას, რაც გარკვეულად ბლავს იმპორტიორების ინტერესებს.

1994 წელს, მარაკეშის პაკეტის ფარგლებში მიღებულ გადატვირთვისწინარე ინსპექციის შეთანხმებას<sup>24</sup> მიზნად ჰქონდა ინტერესთა გარკვეული კომპრომისის მიღწევა, აღიარებდა რა, გადატვირთვამდე გაცხადებულ ხარისხთან, რაოდენობასთან, ღირებულებასთან და ა. შ. საქონლის დათვალიერების პრაქტიკის გამართლებას, მაგრამ ამასთან, გამოყენებული წესების შესახებ ინფორმაციის გახსნილობის, აგრეთვე შესაბამისი ინსპექციური სამსახურების მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პირობების მიღწევისას.

8. საქონლის წარმოშობის ადგილის განსაზღვრა.<sup>25</sup> საქონლის წარმოშობის ადგილის შესახებ სანდო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობებს ფრიად არსებითი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლისა და შესაბამისად, პროდუქციის გასაღებისათვის. საერთაშორისო საბაჟო ორგანიზაციის ეგიდით, 1973 წელს დამუშავებული საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის კონვენცია<sup>26</sup> (კიოტო)

შეიცავს მხოლოდ ზოგად დებულებებს საქონლის წარმოშობის წესების რეგლამენტაციის შესახებ. ამ დებულების განვითარებისათვის 1994 წელს, მარაკემის პაკეტის ფარგლებში გატრ-ში დამატებით იქნა მიღებული ჩარჩო შეთანხმება საქონლის წარმოშობის წესებზე, რომელიც ითვალისწინებს შეთანხმების მონაწილე ქვეყნების ვალდებულებას მოახდინონ საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის ეროვნული კანონებისა და სხვა ნორმატიული და ადმინისტრაციული აქტების, წესების ჰარმონიზება და კონკრეტიზება. შესაბამისად, მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება (N256, 2006 წელი, 27 დეკემბერი) „საქონლის წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის კრიტერიუმების, წესის, წარმოშობის სერტიფიკატების ფორმის, მისი გაცემისა და შევსების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ,“ ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის N993 ბრძანება (2010 წლის 31 დეკემბერი) „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ და სხვ.<sup>27</sup>

გასათვალისწინებელია, რომ ასეთი წესები უნდა მოქმედებდეს იმ შემთხვევაში, როცა გამოყენებულია უდიდესი ხელშეწყობის რეჟიმი, დამცავი ზომები, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო ბაჟები, წარმოშობის ქვეყნის მარკირებისადმი მოთხოვნები. მაგრამ ეს წესები არ ვრცელდება, როცა გამოიყენება პრეფერენციული ბაჟები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორც მსო-ში სხვა შემთხვევებში, წესების მოქმედებიდან კეთდება გამონაკლისები, განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ.

არსებითია, რომ შეთანხმებაში დათქმულია წარმოშობის წესებისათვის ეროვნული რეჟიმი, სახელდობრ: ისინი უცხოური საქონლისათვის უფრო მკაცრი არ უნდა იყოს, ვიდრე სამამულოსთვისა და აგრეთვე, ისინი არ შეიძლება იყოს დისკრიმინაციული ცალკეული ქვეყნებისათვის.

## VI. განსაკუთრებული ჰგუფის საქონლით ვაჭრობის სამართაშორისო სამართლებრივი რეგულირება

1. სოფლის მეურნეობის საქონლით ვაჭრობა. ჯერ კიდევ, 1955 წელს, აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული სოფლის მეურნეობის რეგულირების კანონის (Agricultural Ad; astment Act) შემდეგ, რომელიც არსებითად მიმართული იყო აგრარული იმპორტის აკრძალვაზე, აშშ-მა მიაღწია სოფლის მეურნეობის საქონელზე თავისი ვალდებულებების მიმართ გატრ-ის ვალდებულებებისაგან გათავისუფლებას. აშშ-ის დიქტატი დასრულდა როგორც სხვა შემთხვევებიც, 1997 წელს, გატრ-ის დებულებებში შესაბამისი პირობების დამაგრებით.<sup>28</sup> ამან ფაქტობრივად გამოიწვია გატრ-ის მოქმედებიდან აგრარული სექტორის სრული გამორიცხვა. ასეთივე მნიშვნელობა რამდენადმე მოგვიანებით შეიძინა მთელი ეეგ-ის პროტექციონიზმის საფუძველზე ეეგ-ის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განხორციელებამაც.

უწინარესად რაში მდგომარეობს განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელი აგრარული პროტექციონიზმის „ამოსაძირკვი ძირები?“ მსგავსი ძირებია არა მარტო განვითარებად, არამედ მთელ რიგ განვითარებულ ქვეყნებშიც, სოფლის მეურნეობის საქონლის ტრადიციულ მსხვილმასშტაბიან წარმოებასა და გადამამუშავებაში. მაგალითად, წარმოება: ხორბლის – საფრანგეთი, აშშ, კანადა; სუბტროპიკული ხილის და მცენარეული ზეთის – საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, აშშ, საბერძნეთი; კარაქის – ახალი ზელანდია, დანია; ყველის – საფრანგეთი, შვეიცარია, ჰოლანდია; ღვინის – საფრანგეთი, იტალია და ა. შ. უცხოური აგრარული ნედლეულის მსხვილი გადამამუშავებელი მრეწველობა არსებობს კერძოდ ნიდერლანდებში, შვეიცარიაში (შოკოლადი, ყავა და ა. შ.), დიდ ბრიტანეთში (ჩაი). ამასთან ექსპორტირებულია როგორც სამამულო წარმოშობის, ისე გადამამუშავებელი პროდუქტებიც. ყოველივე ეს განვითარებული ქვეყნების წარმოების შთამბეჭდავი სექტორია და საექსპორტოს ჩათ-



ვლით, შემოსავლების წესები, ბევრ აგრარული პროდუქტების განვითარებულ ქვეყნებს მსოფლიო ბაზარზე უმსხვილესი წილი აქვთ.

სამწუხაროდ, რაც შეეხება სოფლის მეურნეობის ნედლეულის საკუთარ წარმოებას, ბევრ შემთხვევაში არაკონკურენტუნარიანია ასეთივე იმპორტულ ნედლეულთან შედარებით და იგი პრაქტიკულად შეუძლებელია ყოველგვარი პროტექციონისტული მხარდაჭერის გარეშე. სწორედ აგრარული პროტექციონიზმის განსაკუთრებით თვალსაჩინო ნიმუშია, რამდენად სიცოცხლისუნარიანია მსოფლიოში საზოგადოდ, სახელმწიფოებრიობისა და ნაციონალიზმის პოლიტიკა, იდეა და ეკონომიკაც კერძოდ და, რამდენადაც ჯერ კიდევ, შორსაა მსოფლიო ტემპირიტი გლობალიზაციისაგან, თუ მას გავიგებთ არა ვიწრო ანგარებითი, არამედ ჰუმანიტარული მნიშვნელობით მსოფლიოს, უწინარეს ყოვლისა, როგორც ღია ყველასათვის, თითოეული ადამიანისათვის და არა მარტო ამა თუ იმ პროდუქტების მწარმოებლებისათვის.

აგრარული პროტექციონიზმის საშუალებები ძირითადად იგივეა, რაც სამრეწველო პროტექციონიზმის, მაგრამ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვაჭრობისა და წარმოების მიმართ ეს საშუალებები გამოიყენება გაცილებით უფრო მასშტაბურად და ნაკლები დათმობებით. აი, როგორია ეს საშუალებები:

– საბაჟო-სატარიფო ინსტრუმენტები, პირველყოვლისა, შეტანის ბაჟები, რისთვისაც დამახასიათებელია სამრეწველო საქონელთან შედარებით სატარიფო განაკვეთების უფრო მაღალი დონე;

– არსებითად თითქმის მთელი ე. წ. სატარიფო ზომებისა და ბარიერების არსენალი, მათ შორის: იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები; იმპორტის შერჩევითი ლიცენზირება; ექსპორტის ე. წ. „ნებაყოფლობითი“ შეზღუდვები; მოსაზღვრე პროცედურები, ფიტოსანიტარული წესები; „ლიპა“ საიმპორტო მოსაკრებლები ე. ი. რაც არაა მკაცრად დაკავშირებული ევროკავშირის მიერ ფართოდ გამოყენებული სატარიფო განაკვეთებთან და მისთ;

- ეროვნული სოფლის მეურნეობის წარმოების სახელმწიფო საშინაო მხარდაჭერა;
- საექსპორტო სუბსიდიები.

2. აგრარული რეგულირება მსო-ში. ყველა ზემოთ მითითებული ზომები და მათი შეზღუდვები რეგულირდება გატტ-ში, ამასთან ფორმალურად როგორც სამრეწველო, ისე სოფლის მეურნეობის საქონლის მიმართ. მაგრამ ეს უკანასკნელი აგრარული პროტექციონიზმის შენარჩუნებაში დაინტერესებული ქვეყნების, ყველა ევროკავშირის ქვეყნების ზემოქმედებით პრაქტიკულად გატტ-ის სხვადასხვა შენიშვნების გამოყენებით, გამონაკლისები, გაგრძელება და მისთ. გატტ-ის შესაბამისი პირობების მოქმედებიდან გამოყვანაა. აგრარული პროტექციისაგან დაზარალებული ქვეყნების უკმაყოფილება დიდი ხანია მწიფდებოდა ურუგვას რაუნდის მსვლელობაშიც, ბოლოსდაბოლოს გამოიწვია მრავალი სიძნელეების მოლაპარაკებები, რომლებიც დამთავრდა გატტ-ის განვითარებაში სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც შეტანილია მსო-ის დოკუმენტების მარაკეშის პაკეტში.

საქონლის სატარიფო ეკვივალენტში არასატარიფო შეზღუდვების გადაყვანა უნდა მოხდეს 3 წლის განმავლობაში, მსოფლიო საშუალო ფასსა და მის შიდა ეროვნულ ფასს შორის სხვაობის საფუძველზე. მიღებული სხვაობა ემატებოდა მოცემულ საქონელზე უკვე არსებულ სატარიფო განაკვეთს. ამასთან მეტისმეტად მაღალი ბაჟის მიღების შემთხვევაში (ის აღმოჩნდებოდა საქონლის ღირებულების 100-400%-მდე), გათვალისწინებული იყო გარკვეული შემამსუბუქებელი ხერხის (საშუალების) გამოყენების ვალდებულებები.

საქონლის მიმართ არასატარიფო ზომები გადაყვანილი იყო სატარიფოში, ბაჟის ეკვივალენტში, წესდებოდა დამცავი ზომების განსაკუთრებული სისტემა. შემოღებული იყო ე. წ. „ტრიგერული დონის“



(სიტყვასიტყვით – „სასხლეტი კაუჭის“ დონის) ცნება. თუ საქონლის იმპორტის ღირებულება აღემატება „ტრიგერულ დონეს“ (მოცემული საქონლის საშუალო მოხმარებაში იმპორტის წილის ღირებულება წინა 3 წლის განმავლობაში მოხმარებულ საქონელთან მიმართებაში), ან საქონლის ფასი უფრო დაბალი იქნება „ტრიგერულ დონეზე“ (1986–1988 წწ. პერიოდში იმპორტული საქონელის საშუალო ფასზე დაბალია), იმპორტის ქვეყანას შეუძლია შემოიღოს დამატებითი ბაჟი არსებული ბაჟის დონის 1/3-მდე ოდენობით მიმდინარე წლის დასასრულამდე, მაგრამ ამ ზომის გამოყენებისას, ქვეყნებს არ შეუძლიათ ერთდროულად გამოიყენონ დამცავი ზომების შეთანხმება.

შეთანხმება ყველაზე რთულად რეგულირდება შიდა სოფლის მეურნეობის საქონლის მხარდაჭერის მხრივ, თითოეული ქვეყნისათვის. ასეთი შესაბამისი მხარდაჭერის ბაზად აღიარებულია ე. წ. „აგრარული შეთანხმება.“ იგი გათვალისწინებულია თითოეული საქონლისათვის ცალ-ცალკე. იღებენ საშუალო საგარეო ფასებსა და საშუალო შიდა ფასებს შორის სხვაობას და მრავლდება წარმოებული საქონლის საერთო რაოდენობაზე. მთელი სასაქონლო შედეგები იკრიბება და მათ ემატება სუბსიდიები, რომლებიც არ ეხება კონკრეტულ საქონელს. ამასთან, სუბსიდიები არ ითვალისწინებს საქონელს, რომლებიც კონკრეტულ საქონელს ეხება და თუ მისი რაოდენობა საქონლის მთელი ეროვნული წარმოების 5%-ზე (განვითარებული ქვეყნებისათვის 10%-ზე) ნაკლებია და აგრეთვე ე. წ. „მწვანე პაკეტი“ (იხ. ქვემოთ) შემავალ საქონელზე მინიმალურია, – ეფექტის მქონე სუბსიდიები.<sup>29</sup>

„აგრარული შეფასების“ დონიდან გამოიანგარიშება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ეროვნული მწარმოებლების მხარდაჭერის შეზღუდვის ქვეყნების ვალდებულებები. ამასთან, ეს ვალდებულებანი არაა მიბმული კონკრეტულ საქონელთან, ამიტომ თითოეული ქვეყანა თავისუფლად განსაზღვრავს კონკრეტული საქონლის მიმართ საშინაო მხარდაჭერის შემცირებას.

საექსპორტო სუბსიდიები ძირითადად, სრულიად არ იკრძალება, ისინი იყოფა ორ სახედ:

– სუბსიდიები, რომლებიც ნაკლებად ზემოქმედებს ვაჭრობაზე და მიმართულია თავისუფალი გამოყენებისათვის („მწვანე პაკეტი“). ესაა – მეცნიერული კვლევების, ახალი ჯიშების გამოყვანაზე, დაავადებების გამავრცელებელ მავნებლებთან ბრძოლაზე და სხვ. სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა ხარჯებში სახელმწიფოს მონაწილეობით გაღებულ ხარჯებზე; სუბსიდიები სტიქიური უბედურებებისას; გარემოს დაცვის, არახელსაყრელი რეგიონებისათვის გათვალისწინებული პროგრამების დახმარების ხარჯები და სხვ;

– წარმოების შიდა მხარდაჭერასთან დაკავშირებული სუბსიდიები, მათ შორის, პირდაპირი საექსპორტო სუბსიდიები და ექსპორტთან დაკავშირებული სუბსიდიური პაკეტი.

– მსო-ის ფარგლებში შეიქმნა საერთაშორისო კომისია, რომელიც მოიცავს მსო-ის ყველა სახელმწიფოს და მიზნად აქვს დასახული მომხმარებელთა ჯანმრთელობის დაცვა, მათ შორის, საკუთარ პროდუქტებზე, ვეტერინარულ საშუალებებსა და ა. შ. დამატებების სტანდარტების გამაერთიანებელი (უნიფიკაციის მომხდენი) ე. წ. ალიმენტირების კოდექსის (Codex Alimentation) საფუძველზე.<sup>30</sup> მსო-ის ფარგლებში გრძელდება სოფლის მეურნეობის საქონლით ვაჭრობის რეგულირებისათვის მუშაობა.

3. ნედლეული საქონლის მსოფლიო ბაზრების მრავალმხრივი რეგულირების სასურსათო-სამართლებრივი ფორმები. მსოფლიო სასაქონლო ბაზრების სტაბილიზაციის საჭიროება, როგორც ნედლეული საქონლის მწარმოებლებისა და ექსპორტიორების, ისე მისი მომხმარებლებისა და იმპორტიორების პოლიტიკის, კერძოდ, ფასების მკვეთრი რყევების სტაბილიზაციის გზით წარმოიშვა და რეალიზებულ იქნა XX საუკუნის 30-იან წლების დასაწყისში, დიდი დეპრესიის ზემოქმედებით. პირველი საერთაშორისო სასაქონლო შეთანხმება დაიდო 1933 წელს, ხორბალზე და 1937 წელს – შაქარზე.

XX საუკუნის 50-იან წლებში სასაქონლო შეთანხმებები და სპეციალური სასაქონლო ჯგუფები ინტენსიურად იქმნებოდა, იდებოდა მრავალი შეთანხმება, გრძელდებოდა და ხელახლა იდებოდა

ხელშეკრულებები სხვადასხვა სახის ნედლეულ საქონელზე, მათ შორის: კაკაოს, ყავის, კაუჩუკის და ნატურალური კაუჩუკის, შაქრის, ტროპიკული მერქნის, მარცვლეულის, ზეთუნის ზეთის, კალას, ვოლფრამის, ტყვიისა და თუთიის, ნიკელის, სპილენძის, ბანანის, ციტრუსის, თევზის, ხორცის, ზეთის თესლის და ცხიმის, ბრინჯის, ჩაის – სამუშაო ჯგუფების ან ორგანიზაციების შექმნით. შესაბამის საქონელზე, მის წარმოებასა და ვაჭრობაზე ვრცელდებოდა სხვადასხვანაირი საერთაშორისო მიზნობრივი რეგულირება. ასეთი რეგულირების მიზნის განზოგადება კი, შეიძლება გამოიხატოს ნედლეულის დაბალანსებული წარმოების, მოხმარებისა და საერთაშორისო ვაჭრობის ნორმალიზაციის პრობლემების გადაწყვეტაში როგორც წარმოების, ისე მოხმარების თვალსაზრისით; მეორე კონცეპტუალური მიმართულებაა მწარმოებელი ქვეყნებისა და ექსპორტიორების თანამშრომლობა ძირითადად, ამა თუ იმ ნედლეული-საქონლის მსოფლიო ფასების საერთოდ მაღალ დონეზე მხარდაჭერის ინტერესებისათვის.<sup>31</sup>

შესაბამისი პრაქტიკული მუშაობა ორგანიზაციულად ხორციელდება სხვადასხვა სამთავრობათა-შორისო ინსტიტუციური ფორმებით:

- ექსპორტიორი ქვეყნებისა და იმპორტიორი ქვეყნების მონაწილეობა საერთაშორისო სასაქონლო ორგანიზაციებში (საბჭოებში) და აგრეთვე საერთაშორისო საკონსულტაციო კომიტეტებსა და კვლევის ჯგუფებში;

- მწარმოებელი ქვეყნების და/ან ექსპორტიორების მონაწილეობით: საერთაშორისო ორგანიზაციებში ან საერთაშორისო და საერთაშორისო სასაქონლო ასოციაციებში.

რაც შეეხება მრავალმხრივი შეთანხმებების დადებასა და მწარმოებელი ქვეყნების (ექსპორტიორების) და მომხმარებელი ქვეყნების (იმპორტიორების) მონაწილეობით ორგანიზაციების, საკონსულტაციო კომიტეტებისა და საკვლევი ჯგუფების შექმნას, 1964 წელს გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (იუნკტადი)<sup>32</sup> შექმნის შემდეგ კი, ცალკეული ნედლეული საქონლის მსოფლიო ბაზრების რეგულირების ამა თუ იმ სახელშეკრულებო და ინსტიტუციური ფორმების ჩარჩოებში ქვეყნების თანამშრომლობის ორგანიზაციის საკოორდინაციო მუშაობამ თავი მოიყარა იუნკტადში, მის ფარგლებში კონკრეტულად შექმნილ ნედლეული საქონლის კომიტეტში. სწორედ იუნკტადის ფარგლებში მუშავდებოდა სასაქონლო შეთანხმებების პროექტები, თანამშრომლობის სხვა ფორმების სქემები და პარამეტრები, კერძოდ, იუნკტადში 1976 წელს მიღებულ იქნა ინტეგრირებული პროგრამა ნედლეული საქონლისათვის. მისი მიზანი იყო – მრავალმხრივი სასაქონლო შეთანხმებებისა და სასაქონლო დამუშავების ბაზარზე ნედლეულით სასურსათო ვაჭრობის რეორგანიზაციის ჩატარება და იგი ნავარაუდევია იყო 18 საქონელზე.

ინტეგრირებული პროგრამის მიზნების რეალიზაციისათვის დაფუძნდა ნედლეული საქონლის ფონდი, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის სტატუსით.

შესაბამისი მრავალმხრივი შეთანხმებები და მათ საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები თავიანთ შემადგენლობაში მოიცავს ნედლეულის მწარმოებელ ქვეყნებს (უწინარესად განვითარებად ქვეყნებს), აგრეთვე მომხმარებელ ქვეყნებს, ძირითადად, მრეწველობით განვითარებულ სახელმწიფოებს. მწარმოებელი ქვეყანა ბუნებრივია, დაინტერესებულია წარმოების განვითარებით, ნედლეულის გადამუშავებითა და ექსპორტით სტაბილური ეკონომიკის უზრუნველყოფის ფასებით. იმპორტიორი ქვეყნების ინტერესები სხვაგვარია, ისინი განსაკუთრებით ბრუნავენ ნედლეულზე სტაბილური ფასების შენარჩუნებაზე და მწარმოებელი ქვეყნების მიერ კარტელების<sup>33</sup> შექმნის დაუშვებლობაზე. ბევრი განვითარებული ქვეყანა, ყოფილი კოლონიური ქვეყნები სასაქონლო შეთანხმებებსა და ორგანიზაციებში პოლიტიკური მოტივითაც მონაწილეობენ, ყოველმხრივი ტრადიციული კავშირების, თავიანთი ყოფილი კოლონიებიდან ნედლეულის აწყობილი იმპორტის შენარჩუნების მიზნით. ამავე

დროს, იმპორტიორი ქვეყნების უმრავლესობა ნედლეული საქონლის საექსპორტო კვოტებისა და ბუფერული მარაგების სისტემების დადგენის წინააღმდეგია; განიხილავენ რა, როგორც ანტისაბაზრო მომებს. ამის გამო, ახალდადებულ მრავალმხრივი სამთავრობათაშორისო სასაქონლო შეთანხმებებიდან უკანასკნელ წლებში გამოირიცხება ე. წ. „ეკონომიკური ზომები“, რაც განაპირობებდა შექმნილი სასაქონლო ორგანიზაციების მხრიდან ბაზარზე ნებისმიერ ჩარევას, ინტერვენციას.

საერთაშორისო სასაქონლო სანედლეულო ორგანიზაციებს შორის შეიძლება დავასახელოთ ნატურალური კაუჩუკის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ემყარებოდა 1979 წლის ნატურალური კაუჩუკის შეთანხმებას,<sup>34</sup> რომელიც შეიქმნა იუნკტადის მოხსენიებული ინტეგრაციული პროგრამის საფუძველზე. ნატურალური კაუჩუკის ორგანიზაციის შეთანხმების შესაბამისად, აღიარებული იყო: მიწოდებისა და მოთხოვნის გაწონასწორებული ზრდის მიღწევა; ფასების მეტისმეტად მერყეობის თავიდან აცილებისა და ამ ფასების სტაბილიზაციის მეშვეობით ვაჭრობის სტაბილური პირობების მიღწევა; ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფის ინტერესებისათვის ხელსაყრელი ფასებისათვის ხელშეწყობა; იმპორტიორი ქვეყნების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფა; ნატურალური კაუჩუკით საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება და მისი კონკურენტუნარიანობის ზრდა; კაუჩუკთან დაკავშირებულ პრობლემებზე საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოება და შესაბამისად, კონსულტაციების ორგანიზება; საკოორდინაციო პროგრამების დამუშავება, დახმარების გაწევა და სხვ.

ბაზარზე ფასების სტაბილიზაციისათვის ორგანიზაციის ჩარევის ერთადერთი არგუმენტი ნატურალური კაუჩუკის სტაბილური მარაგის (buffer stock) „ჩვეულებრივი“ და „განსაკუთრებული“ მარაგის განსაზღვრული ფიზიკური მოცულობების შექმნა და ოპერირება. ნატურალური კაუჩუკის შეთანხმება სხვადასხვა საფუძველზე ნედლეული საქონლის ბაზრების რეგულირების ყველაზე შთამბეჭდავი, ეფექტიანი ფორმაა და როგორც მწარმოებელი ქვეყნების ექსპორტირების, ასევე მომხმარებელი ქვეყნების იმპორტირების ინტერესთა შეთანხმების მცდელობაა. აღსანიშნავია, რომ ნედლეული საქონლით ბაზრების რეგულირების და/ან შესწავლის საერთაშორისო მრავალმხრივი თანამშრომლობის ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები შემუშავდა და მოქმედებდა გაეროს, იუნკტადის და ა. შ. ეგიდით.

#### 4. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია<sup>35</sup> – (ოპეკი) ჩამოყალიბდა 1960 წელს, ვენესუელის ინიციატივით.

ნავთობის მოპოვების სფეროში წამყვანი ქვეყანაა საუდის არაბეთი – ოპეკის მონაწილე, მაგრამ ოპეკში არ შედიან უმსხვილესი ნავთობმომპოვებელი ქვეყნები, როგორცაა აშშ, რუსეთი, ნორვეგია, მექსიკა. ამის გამო, თუმცა სხვადასხვა წლებში, ოპეკის ქვეყნებზე მოდის ნავთობის მსოფლიო მოპოვების თითქმის ნახევარი, ორგანიზაციას არ შეუძლია მთლიანად აკონტროლოს მსოფლიო ბაზარი. მაგრამ ვინაიდან ოპეკის ქვეყნები ნავთობის არა მარტო მომხმარებლები, რამდენადაც ძირითადად – ექსპორტიორები არიან, ოპეკის გავლენა მსოფლიო საექსპორტო ფასების დაწესებაზე ძალზე დიდია.

თავდაპირველად, ოპეკის მთავარი მიზანი იყო მონაწილე ქვეყნების ნავთობის პოლიტიკის კოორდინაცია და უნიფიკაცია ნავთობის გაყიდვისაგან მყარი შემოსავლების უზრუნველყოფისათვის მსოფლიო ბაზრებზე ნავთობზე ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფის გზებისა და საშუალებების ძიების მეშვეობით. ამისათვის ძირითადი მეთოდია მონაწილე ქვეყნებიდან ექსპორტისას ნავთობზე შეთანხმებული მინიმალური ფასების დაწესება. ასეთი ფასების მხარდაჭერა მიიღწევა თითოეულ მონაწილე ქვეყნისათვის ნავთობის წარმოებასა და ექსპორტზე კვოტების თაობაზე ერთ-ერთი შეთანხმების მეშვეობით.

ნედლეული საქონლით ვაჭრობა პრაქტიკულად მთლიანად იქნა გამოყვანილი გატტ-ის გავლენი-საგან. ეს კი, გატტ-ის მთელ სავაჭრო სისტემაში ეკონომიკური და პოლიტიკური აზრით ყველაზე დიდი გარღვევაა (შემთხვევაა). ნედლეულ საქონელზე მოდის მთელი მსოფლიო ვაჭრობის დაახლოებით 20% (და ეს ნედლეულსა და მრეწველობის ნაკეთობებზე ფასების დაბალანსების გათვალისწინებით, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ).

ზემოხსენებულ ავტონომიურ საფუძველზე, ცალკეული ნედლეული საქონლის (ნავთობი, მარც-ვლეული, შაქარი, ყავა, კაკაო, ბრინჯი, ჩაი, ბანანი, ზეთუნის ზეთი, ნატურალური კაუჩუკი, მერქანი, ხე-ტყე) ბაზრების მრავალმხრივი რეგულირების მცდელობამ ხელშესახები შედეგები ვერ მოგვცა როგორც ფასების სტაბილიზაციის, ისე წარმოების, მოთხოვნილებისა და მიწოდების მოწესრიგების მიმართებაში. პრობლემას ასევე, ვერ წყვეტს ურუგვაის რაუნდის შედეგად დადებული რძის პროდუქ-ტებსა და ძროხის ხორცზე ორი საერთაშორისო შეთანხმებაც (რომლებიც არ შესულა საყოველთაო მარაკემის პაკეტში).

5. საფეიქრო საქონლით და მზა საქონლით ვაჭრობა. ქსოვილისა და ტანსაცმლის ბაზარი თავისი მუდმივი მოხმარებითი მნიშვნელობით მხოლოდ სურსათის ბაზარს თუ შეედრება. ადამიანს უხსო-ვარი დროიდან სჭირდება ტანსაცმელი და მისდევს რა, მოდას, რა თქმა უნდა, ტანსაცმლის მწარმო-ებელთა მხრიდან ბუნებრივია, უფრო მეტი ტანსაცმლის წარმოებაა საჭირო და აუცილებელია მისი გადახალისება მომხმარებელთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ამასთან აღვნიშნავთ, რომ ხარისხიანი ქსოვილის (ბამბა, აბრეშუმი) და ტანსაცმლის წარმოება საკმაოდ შრომატევადი წარმოებაა და მაშასადამე, უფრო ხელსაყრელია იქ, სადაც ნედლეული და სამუშაო ძალა იაფია (უმეტესად, ამას ადგილი აქვს ლარის ქვეყნებში). აქედან შედეგიც (ანალოგიურად სოფლის მეურნეობის, სასურსა-თო პროდუქტები): ქსოვილი (ტექსტილი) და მზა ტანსაცმელი გატტ-ის ლიბერალიზაციური წესების გავლენის სფეროა. ამრიგად, განვითარებული ქვეყნების შესაბამისი ქსოვილისა და სამკერვალო მრეწველობისათვის ფაქტობრივად პროტექციონისტული პირობები შეიქმნა და განვითარებადი ქვეყნების მხრიდან კონკურენციისაგან იცავს.

პროტექციონისტული სისტემა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული ემყარებოდა მრავალი სახის ქსოვილის რეგულარულად განგრძობად მრავალმხრივ შეთანხმებებს<sup>36</sup> (multi fiber arrangement) – ძირითადი (განვითარებული) იმპორტიორი ქვეყნებისა და ძირითადი (განვითარებადი) ექსპორტიორი ქვეყნების მონაწილეობით. ეს უკანასკნელნი თვითონვე იღებდნენ თავისი ექსპორ-ტის ნებაყოფლობით შეზღუდვებს, ხოლო იმპორტიორები თითოეული ექსპორტიორი ქვეყნისათვის აწესებდნენ რაოდენობრივ კვოტებს. ეს კონკრეტული შეზღუდვები და კვოტები ფიქსირდებოდა ექსპორტიორებისა და იმპორტიორების ორმხრივ შეთანხმებებში. შეთანხმების საერთო მიზანია გატტ-ის საერთო პრინციპების გავრცელება ქსოვილისა და ტანსაცმლის ვაჭრობაზე ყველა მონაწი-ლე ქვეყნისათვის სამართლიანი, კეთილსინდისიერი კონკურენციის საფუძველზე, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის უზრუნველყოფაზე. რა თქმა უნდა, ამ სფეროში (როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის სფეროში) განვითარებული ქვეყნების მხრიდან განვითარება და ქვეყნების შემხვედრი მიმართულებით მოძრაობა უბრალოდ საქველმოქმედო არ ყოფილა, იგი დაბალანსდა მარაკემის პაკეტით.

ქსოვილისა და ტანსაცმლის შეთანხმების მოქმედების მექანიზმი ძირითადად, დაიყვანება შემ-დეგზე: 10-წლიანი პერიოდის განმავლობაში უნდა გაუქმებულიყო ქსოვილის იმპორტზე ტანსაცმლის რაოდენობრივი და არასატარიფო შეზღუდვები საქონლის შეთანხმებული რაოდენობრივი ნორმის მიხედვით და თითოეული ქვეყნის მიერ წარმდგენილი 10-წლიანი პროგრამის შესაბამისად მუდმივ საფუძველზე. ეს პროცესი ექვემდებარებოდა მუდმივ მონიტორინგს, რომელსაც ახორციელებდა მსო-



ის ფარგლებში შექმნილი სპეციალური ორგანო, სადაც უნდა შესულიყო ქსოვილისა და ტანსაცმლის ვაჭრობაში არსებული შეზღუდვების შესახებ ყველა ქვეყნიდან მიღებული ინფორმაცია. ამასთან, თითოეულ იმპორტიორ ქვეყანას 10-წლიანი პერიოდის განმავლობაში შეუძლია გამოიყენოს (შეინარჩუნოს) შეზღუდული ვადების განმავლობაში როგორც ორმხრივი, ისე ცალმხრივი წესით დამცავი ზომები იმ შემთხვევაში, როცა ქსოვილის ან ტანსაცმლის იმპორტი თავის საკუთარ მრეწველობას უქმნის საფრთხეს ან ემუქრება ზიანის მიყენებით.

პრაქტიკულად, არასატარიფო შეზღუდვების ლიკვიდაციის ზომებით შეთანხმებამ მოიცვა მხოლოდ მათგან მესამედი, ამასთან კონკრეტული სასაქონლო პოზიციების შერჩევა და მათი საქონლის ნუსხაში შეტანა დამოკიდებული იყო იმპორტიორ ქვეყანაზე და ბუნებრივია, მათ ინტერესებზე. შეთანხმება დადებული იყო 10 წლით, რომელიც ამოიწურა 2005 წელს.

6. სამხედრო დანიშნულების საქონლისა და ტექნოლოგიების ტრანსფერების საერთაშორისო კონტროლი. საერთაშორისო თანამშრომლობა შესაძლებელია როგორც ვაჭრობის განვითარების, ისე სამშუხაროდ, შეზღუდვის მიზნითაც. 1949 წელს, ნატოს ფარგლებში აშშ-ის ინიციატივით, საქესპორტო კონტროლის საკოორდინაციო კომიტეტი (კოკომი)<sup>37</sup> შეიქმნა, როგორც ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოებიდან დასავლეთის ქვეყნების ვაჭრობის შეკავების მაკონტროლებელი ორგანო. კოკომი-ში შედიოდნენ არა მარტო ნატოს ქვეყნები (ისლანდიის გარდა), არამედ ასევე, იაპონია და ავსტრალია. კოკომი ადგენდა სტრატეგიული საქონლის „შავ სიებს“, რომელთა ექსპორტი იკრძალებოდა ან იზღუდებოდა „პოტენციურად საშიშ“ ქვეყნებში, პირველ ყოვლისა, სოციალისტურში, ყოფილი სსრკ-ის ჩათვლით და აგრეთვე „განდგომილ“ ქვეყნებში – კსდრ, ერაყი, ირანი, ლიბია და სხვ. ამასთან შეიმჩნეოდა კოკომ-ის მექანიზმი არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური მიზნებით, არამედ როგორც მსოფლიო ბაზარზე კონკურენტული ბრძოლის ინსტრუმენტის გამოყენების ტენდენციით. თუმცა, ფორმალურად კოკომ-ის გადაწყვეტილებებს არ ჰქონდა სავალდებულო ძალა. აშშ და მისი მოკავშირეები იღვწოდნენ ამ გადაწყვეტილებების ეფექტიანი დაცვისათვის ეროვნული ამკრძალავი კანონების მიღებით და აგრეთვე იმ ქვეყნების მიმართ სანქციების გამოყენებით, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ამ ორგანიზაციას და იმათ მიმართაც, ვინც არ შედიოდა კოკომ-ში.

1995 წელს, კოკომი ფორმალურად დაიშალა, ხოლო უკვე 1995 წლის დეკემბერში, ვასენარეში – ჰააგის გარეუბანში (ნიდერლანდები) მიღწეულ იქნა 28 ქვეყნის პრინციპული შეთანხმება,<sup>38</sup> რომელიც 1996 წლის 12 ივლისს, ვენაში უკვე 33 ქვეყნის (მათ შორის, კოკომის ყველა მონაწილე, – ევროკავშირის ქვეყნები, რუსეთი, უკრაინა და ვარშავის ხელშეკრულების რიგი ყოფილი ქვეყნები – უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი და აგრეთვე შვეიცარია, არგენტინა, სამხრეთ კორეა) ჩვეულებრივი შეიარაღებისა და აგრეთვე ორმაგი (ე. ი. სამხედრო) დანიშნულების საქონლისა და ტექნოლოგიების ექსპორტის განსაკუთრებული ე. წ. „საწყისი ელემენტების“ შესახებ მექანიზმის ხელმოწერაში გადაიბარდა. ამ მექანიზმმა მიიღო არაოფიციალური სახელწოდება – ვასენარის შეთანხმებები.

ამასთან, განსაკუთრებული დათქმაა, რომ შეთანხმება არ არის მიმართული რომელიმე ცალკეული სახელმწიფოსა და კეთილსინდისიერი გარიგებების წინააღმდეგ, რომლებიც გაეროს წესდების 51-ე მუხლს (ინდივიდუალურ და კოლექტიურ თავდაცვაზე სახელმწიფოების უფლება) შეესაბამება.

აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად მონაწილე სახელმწიფოები ათანხმებენ საკონტროლო და ერთ-ერთი სხვა სახელმწიფოს „საცნობარო“ სიებს: ჩვეულებრივ შეიარაღებაზე, ორმაგი გამოყენების საქონელსა და ტექნოლოგიებზე. სიები რეგულარულად უნდა გადაისინჯოს.

მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ ნებაყოფლობით საფუძველზე გაცვალონ ინფორმაციები როგორც შემდგომ ტრანსფერებზე გაცემული ლიცენზიების შესახებ (სასყიდლიანი და უსასყიდლო),



ისე შემოსულ მოთხოვნებზე უარის შესახებ; საცნობარო ინფორმაციები გადაიცემა წელიწადში 2-ჯერ, ხოლო „განსაკუთრებით მგრძობიარე პოციებზე“ – ინდივიდუალურად. მთელი ინფორმაცია გადაიცემა post factum და კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს.

თვით მიწოდებების (ტრანსფერების) განხორციელება, ისევე როგორც მიწოდებებზე უარი მხოლოდ და მხოლოდ მონაწილე სახელმწიფოების პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული და ვასენაარის მექანიზმით არ შემოფარგლება. ამავე დროს გათვალისწინებულია, რომ ექსპორტიორი ქვეყნები იმპორტიორებს იმ ქვეყნიდან, რომელიც არ მონაწილეობს ვასენაარის შეთანხმებაში, გამოითხოვენ განსაკუთრებულ საიმპორტო სერტიფიკატებს და ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლებლობა ექნებათ შეამოწმონ „მგრძობიარე“ საქონლისა და ტექნოლოგიების საბოლოო დანიშნულება.<sup>39</sup>

ვასენაარის შეთანხმებას დიდი მნიშვნელობა აქვს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უზრუნველყოფს მსოფლიოს ინფორმაციით იარაღით ექსპორტის შესახებ და მეორეც, უზრუნველყოფს იარაღის ბაზარზე განხორციელებული გარიგებების ოპერაციების გამჭვირვალობის დაცვას.

## დასკვნა

სახელმწიფოების მიერ ბაჟების ამოღება საქონლის გარე და შიდა (ადმინისტრაციული) საზღვრების გადაადგილებისას უძველესი ფინანსური ოპერაციაა, რომელიც არსებითად დღემდე ყველგანაა შემორჩენილი. თავდაპირველი მოტივაცია წმინდა ფისკალური იყო. განვითარებული საგარეო ვაჭრობის მქონე ქვეყნები ჩვეულებრივ, მხოლოდ საიმპორტო ბაჟებს (გადასახდებებს) იყენებენ არა როგორც ფისკალურს, არამედ როგორც სავაჭრო პოლიტიკის არსებით ინსტრუმენტს.

ნაშრომში საუბარია გატტ/მსო-ის გარე უნივერსალურ დონეზე საერთაშორისო საბაჟო-სატარიფო თანამშრომლობაზე და ყურადღება გამახვილებულია მასზე, როგორც მსოფლიო დონეზე საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის სფეროში უწყვეტად მოქმედ მრავალმხრივ დაწესებულებაზე, ბიუროს ფუნქციებზე მსოფლიო ვაჭრობის განვითარებაში; ასევე, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციაზე, რომლის მიზანია წევრი ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობა საბაჟო საქმის სფეროში: ეროვნული საბაჟო სისტემების მაქსიმალური ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის, საბაკო კანონმდებლობისა და მისი გამოყენების პრაქტიკის სრულყოფის, საბაჟო საქმეში წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის წახალისების ჩათვლით; აქვე საუბარია საქონლის აღწერისა და კოდირების ჰარმონიზებულ სისტემაზე და გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასაქონლო ნომენკლატურა (შესაბამისი სასაქონლო კოდები) გარდა იმისა, რომ იძლევა საქონლის იდენტიფიცირების საშუალებას, ასევე აუცილებელია, თანამედროვე კომპიუტერული სისტემით უზარმაზარი სასაქონლო ნაკადების შესახებ საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკისა ან სპეციალური საბაჟო სტატისტიკის საწარმოებლად. ამასთან, ტექნიკური თვალსაზრისით, სასაქონლო ნომენკლატურის გამოყენება საგრძობლად ამარტივებს საბაჟო დამუშავების ოპერაციებს და იძლევა მათი სხვადასხვა ასპექტით ეკონომიკური ანალიზის განხორციელების საშუალებას; ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი ასპექტების შესახებ ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: საქონლის შეფასება და ანტიდემპინგური ზომები გატტ-ში და აღნიშნულია, რომ: ანტიდემპინგური კოდექსი მისი უკანასკნელი რედაქციით, ანტიდემპინგური ზომების გამოყენებაში სხვადასხვა სახის ბოროტმოქმედების აღკვეთის საკმაოდ ქმედითი ინსტრუმენტია და თავისი ამ სახით კოდექსის პროცედურების გამოყენების შესაძლებლობებით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საქართველოსათვის, მათ შორის, მსო-ში მისი შესვლის თვალსაზრისით. ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როცა ქართული ექსპორტიორები ზიანდებიან სხვა ქვეყნებში საქონლის შეტანისას სხვადასხვა დემპინგური

ზომების გამოყენებით, რამეთუ ადგილი დაიკავონ სხვა ქვეყნის ბაზარზე ქართული საქონლის გამო-  
რიცხვის სახით; ასევე, საგარეო ვაჭრობის არასატარიფო ზომების საერთაშორისოსამართლებრივ  
რეგულირებაზე, არასატარიფო შეზღუდვებზე, ექსპორტის ნებაყოფლობით შეზღუდვებზე, ტექნიკურ  
ბარიერებზე ვაჭრობაში, პროტექციონისტულ პოლიტიკაზე განვითარებადი ქვეყნებისადმი, ურუგვასის  
შეთანხმებასა და მარაკეშის პაკეტზე, კიოტოს შეთანხმებაზე საბაჟო პროცედურების გამარტივებისა  
და ჰარმონიზაციის შესახებ, სამხედრო დანიშნულების საქონლითა და ტექნოლოგიების ტრანსფერე-  
ბის საერთაშორისო კონტროლზე და შესაბამისად, ჩამოყალიბებულია მოსაზრებები და შეფასებები  
სტატიაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

#### შენიშვნები:

- <sup>1</sup> საქართველოს 2011 წლის საგადასახადო კოდექსი იყენებდა ტერმინს „ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორია“, ხოლო ფინანსთა მინისტრის N993 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია (დღეს უკვე ფინანსთა მინისტრის N290 ბრძანებით დამტკიცებული იგივე სახელწოდების ინსტრუქცია, რამეთუ ფინანსთა მინისტრის #993 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია დღეს ძალადაკარგულია), „საქართველოს საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“, ასევე სხვა ინსტრუქციები, სისხლის სამართლის კოდექსი, მისი 214-ე მუხლი, სადაც საუბარია საქართველოს საბაჟო სამღვრის უკანონოდ გადაკვეთისას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და სხვა ნორმატიული თუ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციები კვლავ იყენებდნენ ტერმინს „საბაჟო.“ დღეს კი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი და სხვა აქტები, რომლებიც საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით საქართველოს ტერიტორიის გადაკვეთას უკავშირდებიან, კვლავ იყენებენ ტერმინს „საბაჟო.“ ჩვენ მივესალმებით ასეთ ცვლილებებს, რამეთუ საქართველო მრავალი საერთაშორისო საბაჟო შეთანხმების მონაწილეა და სამართლებრივი აქტებიდან ტერმინი „საბაჟო“ ამოღება ძალზედ ნაადრევად მიგვაჩნდა, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლში კვლავ ფიგურირებდა ტერმინი „საბაჟო,“ როცა იგი გაქრა საგადასახადო კანონმდებლობის სიტყვათხმარებიდან.
- <sup>2</sup> სპეციფიკური – განაკვეთია, რომელიც დაბეგვრის ზომის ერთეულის მიხედვით გამოიანგარიშება არალირებულითი საფუძვლიდან. მაგალითად, 2 000 ლიტრ ბენზინი 2 ევრო. იხ.: დამატებით, ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 106; ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 253.
- <sup>3</sup> სატარიფო გადასახადის განაკვეთის ერთ-ერთი სახეა და განისაზღვრება პროცენტებით დასაბეგრი საქონლის სატარიფო ღირებულების მიმართ. ადვალური სახით გადახდევინებული გადასახადის სიდიდე განაკვეთის უცვლელი პირობებშიც ცვალებადია და დამოკიდებულია სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურაზე. ადვალური წილის კრიტერიუმის დროს საქონელი ითვლება იმ ქვეყანაში წარმოშობილად, სადაც არის წარმოშობილი ის მასალები და ნედლეული (ან გამოყენებული მზა პროდუქტი), რომელთა ღირებულების წილი საქონლის მთლიან ღირებულებაში შეადგენს არანაკლებ 51%-ს. მაგალითად, თუ საქართველოში ვაჭაროვებთ ღვინოს, როგორც მზა დაფასებულ პროდუქტს, რომლის შემადგენლობის 51% იქნება ფრანგული ყურძენი, ხოლო 49% ქართული, მაშინ ჩათვლება, რომ საქონელი დამზადებულია (წარმოებულია) საქართველოში, ხოლო წარმოშობილი საფრანგეთში. იხ.: ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 106; ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 253; გ. ურიდია, ფ. რუხია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009, გვ. 217; ე. ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002, თავი 9. 3. „საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები. დაბეგვრის საერთაშორისო საფუძვლები,“ გვ. 349-367.
- <sup>4</sup> გ. მ. ველიამინოვი, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი და პროცესი, მოსკოვი, 2004; დ. კარო, პ. იუიარი, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი, მოსკოვი, 2002; ევროპის გაერთიანების საბაჟო კოდექსი, საბჭოს რეგლამენტი 2913/92;
- <sup>5</sup> გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე – შემდგომში გატტ; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია შემდგომში – მსო;

- <sup>6</sup> КОНВЕНЦИЯ О СОЗДАНИИ СОВЕТА ТАМОЖЕННОГО СОТРУДНИЧЕСТВА (ВМЕСТЕ С "ПРАВСПОСОБНОСТЬЮ, ПРИВИЛЕГИЯМИ И ИММУНИТЕТАМИ СОВЕТА") (ЗАКЛЮЧЕНА В Г. БРЮССЕЛЕ 15.12.50); [http://www.lawrussia.ru/texts/legal\\_456/doc456a418x486.htm](http://www.lawrussia.ru/texts/legal_456/doc456a418x486.htm)
- <sup>7</sup> ვფიქრობთ, რომ საბაჟო საქმე უფრო ეკონომიკური მეცნიერების შესწავლის სფეროა, მისი ეკონომიკური ღრმად მეცნიერული თვალთახედვით, ხოლო საბაჟო სამართალი კი, იურიდიული მეცნიერების სამართლებრივი აქტების შესწავლა – განზოგადების თვალსაზრისით, იგივეს ვიტყვოდით საგადასახადო საქმისა და საგადასახადო სამართლის მიმართ, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ (იურისტებმა და ეკონომისტებმა) მკვეთრი ზღვარი გავავლოთ მათ შორის და ცალსახად ვიკვლიოთ იგი.
- <sup>8</sup> იხ.: Международные конвенции по таможенным вопросам, [http://lawtoday.ru/razdel/biblio/tamoj-pr/DOC\\_052.php](http://lawtoday.ru/razdel/biblio/tamoj-pr/DOC_052.php)
- <sup>9</sup> იხ.: Harmonized Commodity Description and Coding System <http://www.opcw.org/our-work/national-implementation/harmonized-system>
- <sup>10</sup> სასაქონლო დამუშავების.
- <sup>11</sup> იხ.: ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2011; ი. ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010; გ. ურიდია, ფ. არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009; ე. ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002; გ. მ. ველიამინოვი, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი და პროცესი, მოსკოვი, 2004; ია ხარაზი, გ. ქარუმიძე, გულნარა იმედაშვილი, დავით გეგერიძე, საერთაშორისო საბაჟო სამართალი, თბილისი, 2004.
- <sup>12</sup> [http://wto.gost.ru/wps/portal/content?WCM\\_GLOBAL\\_CONTEXT=wto/wto/wto/marrakeshagreement](http://wto.gost.ru/wps/portal/content?WCM_GLOBAL_CONTEXT=wto/wto/wto/marrakeshagreement)
- <sup>13</sup> დაწვრ. იხ.: ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 97-100; ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010, გვ. 283-298; გ. ურიდია, ფ. არახამია, საბაჟო საქმის თეორია, თბილისი, 2009, გვ. 48-54, 156-168; ე. ჯგერენაია, საბაჟო საქმის ტექნოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2002; ბ. ნ. გაბრიჩიძე, რუსეთის საბაჟო სამართალი (რუს. ენაზე), მოსკოვი, 1997; ავ. კ. ლომკინი, მსოფლიო ეკონომიკა (რუს. ენაზე), მოსკოვი, 1998.
- <sup>14</sup> ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 101.
- <sup>15</sup> ჩვენ, რადგან საერთაშორისო საბაჟო და საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის კუთხით ვიხილავთ საკითხებს, ბუნებრივია ვიყენებთ ტერმინებს „საბაჟო“, „ბაჟი“ და სხვ.
- <sup>16</sup> კლირინგი – clearing, ა) მოთხოვნისა და ვალდებულებების ურთიერთათვლაზე დაფუძნებული საშინალო და საერთაშორისო უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა სავაჭრო და სხვა ოპერაციებისათვის. საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროში კლირინგი ხორციელდება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების ფორმით (საკლირინგო შეთანხმება, სავალუტო კლირინგი). ურთიერთდავალიანების დაფარვა შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სასაქონლო მიწოდებით (კლირინგი არაკონვერტირებადი სალდოთი) ან ოქროთი და თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის გადახდით; ბ) უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც ემყარება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთათვლას, გამოიყენება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ანგარიშსწორებაში (საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“; მოხელის სამაგიდო ლექსიკონი/გაეროს განვითარების პროგრამა; სამსონ ურიდია და სხვ., რედ. ვაჟა გურგენიძე, თბ., 2004, გვ. 483.
- <sup>17</sup> დაწვრ. იხ.: გ. მ. ველიამინოვი, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი და პროცესი, მოსკოვი, 2004 (რუსულ ენაზე); ს. ლიზალომ, სავალუტო ოპერაციები, თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები (რუს. ენაზე), თარგმნა გერმანულიდან, მოსკოვი, 2001, საბაჟო საქმის საფუძვლები (რუსულ ენაზე), დრაგანოვის რედაქტორობით, მოსკოვი, 1992; Europe Dokuments. 1987 12 oct; Doc UNA/Bes uo 173 `International economic 1985. 17 Dec; Memorandum on the Community s Development Polisy Brussels 1982; Gustoms Hints passengers Iapanase Customs Ervise. 1992 April.
- <sup>18</sup> იხ.: გ. მ. ველიამინოვი, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი და პროცესი, მოსკოვი, 2004 (რუსულ ენაზე); ს. ლიზალომ, სავალუტო ოპერაციები, თეორიისა და პრაქტიკის საფუძვლები (რუს. ენაზე), თარგმნა გერმანულიდან, მოსკოვი, 2001.
- <sup>19</sup> Marrakeshское соглашение об учреждении ВТО, <[http://wto.gost.ru/wps/portal/content?WCM\\_GLOBAL\\_CONTEXT=wto/wto/wto/marrakeshagreement](http://wto.gost.ru/wps/portal/content?WCM_GLOBAL_CONTEXT=wto/wto/wto/marrakeshagreement)>
- <sup>20</sup> იქვე.
- <sup>21</sup> სუბსიდია (subsidiium) – დახმარება, ფულადი ან ნივთიერი დახმარება, რომელსაც

უწევს სახელმწიფო ადგილობრივ ორგანოებს, ფირმებს, ცალკეულ პირებს ან სხვა სახელმწიფოებს. მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი /მედიცინა (და წინასიტყვ. დართო) მიხეილ ჭაბაშვილი – მე-3 შესწ. და შვეს. გამოც. თბ., განათლება, 1989, გვ. 600.

<sup>22</sup> Соглашение по техническим барьерам в зоне свободной торговли, [http://webportalsrv.gost.ru/portal/GostNews.nsf/acaf7051ec840948c22571290059c78f/e4e01f6bbf0e6692c325742e00457c90/\\$FILE/Sogl\\_ter\\_bar\\_torg.pdf](http://webportalsrv.gost.ru/portal/GostNews.nsf/acaf7051ec840948c22571290059c78f/e4e01f6bbf0e6692c325742e00457c90/$FILE/Sogl_ter_bar_torg.pdf)

<sup>23</sup> Маракешское соглашение об учреждении ВТО, [http://wto.gost.ru/wps/portal/content?WCM\\_GLOBAL\\_CONTEXT=wto/wto/wto/marrakeshagreement](http://wto.gost.ru/wps/portal/content?WCM_GLOBAL_CONTEXT=wto/wto/wto/marrakeshagreement)

<sup>24</sup> СОГЛАШЕНИЕ ПО ПРЕДОТГРУЗОЧНОЙ ИНСПЕКЦИИ [www.wto.ru/content/documents/docs/predotgruz.doc](http://www.wto.ru/content/documents/docs/predotgruz.doc)

<sup>25</sup> იხ.: ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბილისი, 2011; ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბილისი, 2010; ია ხარაზი, საქონლის გადაამუშავების საბაჟო რეჟიმები. სამართლებრივი რეგულირება (მონოგრაფია), თბილისი, 2006; კ. ლომაკინი, მსოფლიო ეკონომიკა (რუს. ენაზე), მოსკოვი, 1998; Козырин А.Н. Государственно-правовой механизм таможенной политики зарубежных стран. М., 1994; Карро Д., Жюйар П. Международное экономическое право. М., 2002; Official journal of European Communities N 01 363 25 December 1982 Legiclations;

<sup>26</sup> МЕЖДУНАРОДНАЯ КОНВЕНЦИЯ от 18 мая 1973 года ОБ УПРОЩЕНИИ И ГАРМОНИЗАЦИИ ТАМОЖЕННЫХ ПРОЦЕДУР, [http://www.tamognia.ru/doc\\_base/document.php?id=1571053](http://www.tamognia.ru/doc_base/document.php?id=1571053)

<sup>27</sup> იხ.: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, [mof.ge](http://mof.ge);

<sup>28</sup> იხ.: დ. კარო, პ. ჟიუიარი, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი, მოსკოვი, 2002, გვ. 119, 245, 258 და სხვა; ასევე, გ. მ. ველიამინოვი, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი და პროცესი, მოსკოვი, 2004 (რუსულ ენაზე); Дюмулен И.И., Барьеры на торговых путях, М., 1977; Евразийское экономическое сообщество, Правовые и экономические основы: Учебное пособие, М., 2004; Ершов А.Д., Международные таможенные отношения: Учебное пособие, СПб., 2000; Жамен С., Лакур Л., Торговое право. М., 1993.

<sup>29</sup> იხ.: Карро Д., Жюйар П., Международное экономическое право, М., 2002; ვ. კ. ლომაკინი, მსოფლიო ეკონომიკა (რუს. ენაზე), მოსკოვი, 1998; ს. ტ. ალიბეკოვი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი (რუსულ ენაზე), ალმა-ატა. 2012; Кулишер И.М. Основные вопросы международной торговой политики. М., 2002; Doc UNA/Bes uo 173 „International economic“ 1985. 17 Dec.

<sup>30</sup> Alimentacion Profesional Related Softwares, <http://top.windows9download.net/list/alimentacion-profesional.html>

<sup>31</sup> იხ.: Карро Д., Жюйар П. Международное экономическое право. М; 2002; ვ. კ. ლომაკინი, მსოფლიო ეკონომიკა (რუს. ენაზე), მოსკოვი, 1998; ს. ტ. ალიბეკოვი, საერთაშორისო საბაჟო სამართალი (რუსულ ენაზე), ალმა-ატა. 2012; Кулишер И.М. Основные вопросы международной торговой политики. М., 2002; Doc UNA/Bes uo 173 „International economic“ 1985. 17 Dec;

<sup>32</sup> The history of UNCTAD 1964, [http://unctad.org/en/Docs/osg286\\_en.pdf](http://unctad.org/en/Docs/osg286_en.pdf)

<sup>33</sup> კარტელი (carter) – კაპიტალისტური მონოპოლიის ერთ-ერთი მთავარი ფორმა – მრეწველობის რომელიმე დარგის მსხვილ მეწარმეთა გაერთიანება მოგების გადიდებისა და ბაზარზე ბატონობის უზრუნველყოფის მიზნით.

<sup>34</sup> МЕЖДУНАРОДНОЕ СОГЛАШЕНИЕ ПО НАТУРАЛЬНОМУ КАУЧУКУ, <http://law7.ru/legal2/se14/pravo14726/index.htm>

<sup>35</sup> იხ.: ორგანიზაციის ოფიციალური ვებგვერდი [www.opec.org](http://www.opec.org)

<sup>36</sup> Multifibre Arrangement, Textiles Monitoring Body (TMB) The Agreement on Textiles and Clothing, [http://www.wto.org/english/tratop\\_e/texti\\_e/textintro\\_e.htm](http://www.wto.org/english/tratop_e/texti_e/textintro_e.htm)

<sup>37</sup> იხ.: КООРДИНАЦИОННЫЙ КОМИТЕТ ПО КОНТРОЛЮ НАД ЭКСПОРТОМ (КОКОМ), <http://www.uafi.net/koordinacionnyj-komitet-po-kontrolyu-nad-eksportom>

<sup>38</sup> Wassenaar Arrangement, Australian goverment, [http://www.dfat.gov.au/security/wassenaar\\_arrangement.html](http://www.dfat.gov.au/security/wassenaar_arrangement.html)

<sup>39</sup> იხ.: ვ. კ. ლომაკინი, მსოფლიო ეკონომიკა (რუს. ენაზე), მოსკოვი, 1998; Жамен С., Лакур Л. Торговое право. М., 1993.

# ON LEGAL REGULATION OF INTERNATIONAL TRADE OF GOODS

IA KHARAZI

*Professor of Davit Agmashenebeli University of Georgia and Professor of Sokhumi State University*

DAVIT GEPERIDZE

*Professor of Davit Agmashenebeli University of Georgia and Professor of Tbilisi Humanitarian University*

This article discusses general issues of customs-tariff regulations of international law on trade of goods. Collection of customs fee by the states when the goods move across outer and internal (administrative) borders, represents one of the oldest financial transactions, which is in fact still practiced everywhere. The very initial motivation was purely fiscal. Partially, this factor still remains in the states with weakly developed and non-preferential foreign trade (e.g. Russia). However, countries with the developed foreign trade usually use only the import fees (payments) not as a fiscal, but rather as an essential instrument of trade policy.

Practically, all the states have imposed payments for the goods and means of transportation when they cross the customs border of the country, which is regulated by its national legislation. States that are members of customs union are the exception. In these cases there is a common customs tariff for all the member states of the union (e.g. the European Union). There are specific customs fees – for bulk goods (coal, grain, timber, oil, gas, etc.), which are calculated with common physical measures (tons, cubic meters, etc.), or ad valorem customs fees – for industrial and similar goods – by indicating the unit cost of the good.



# ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირისაგან

(საქართველოს სამოქალაქო კოდექსის  
832-ე მუხლის ანალიზი)

გიორგი ამირანაშვილი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

## 1. შიშავალი

დაზღვევა უზრუნველყოფს ფიზიკური ან იურიდიული პირი-სათვის სხვადასხვა მავნე ფაქტორის ზემოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. დაზღვევა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი სამოქალაქოსამართლებრივი გარანტია.<sup>1</sup> ეს იმაში ვლინდება, რომ ამ დროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უზრუნველყოფა ხდება.

კონტინენტური ევროპის სამართალი დაზღვევის ხელშეკრულებას ვალდებულებითი სამართლის ნაწილად განიხილავს. სამოქალაქო კოდექსის შემუშავების პროცესში ყველაზე მისაღები გერმანიის სამოქალაქო კოდექსი აღმოჩნდა. კომისიამ გერმანული სამართლის შემოქმედებითი რეცეფცია მოახდინა. ამაზე მეტყველებს სწორედ ის ფაქტი, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს სადაზღვევო ურთიერთობას მაშინ, როდესაც გერმანიის სამოქალაქო კოდექსი მას საერთოდ არ ეხება.<sup>2</sup> ამრიგად, ნებაყოფლობითი დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმები კოდექსის მესამე წიგნში, ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში მოთავსდა.

მზღვეველსა და დამზღვევეს შორის სადაზღვევო ურთიერთობის წარმოშობა ემყარება ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში, მხარეები გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომას (სადაზღვევო

კომპანიაზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებას) განსაზღვრული გარემოების არსებობას (სადაზღვევო შემთხვევის დადგომას) უკავშირებენ ე.ი. საქმე გვაქვს პირობით გარიგებასთან, რომლის ნამდვილობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, რომელიც მომავალში უნდა დადგეს, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია, დადგება თუ არა ეს მოვლენა სინამდვილეში.<sup>3</sup>

სტატიაში განხილულია დაზღვევის სამართალში მოქმედი ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, რომელიც სუბროგაციის პრინციპის სახელითაა ცნობილი. მართალია, ქართველი კანონმდებელი ამ ტერმინს არ იყენებს, თუმცა, შინაარსობრივად განამტკიცებს მას სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლის პირველ ნაწილში. სტატიაში ასევე, გამახვილებულია ყურადღება ამავე მუხლის მეორე ნაწილის ტექსტობრივ ხარვეზზე, რომელიც არსებითად ცვლის ნორმის იმ შინაარსს, რაც კანონმდებელს მასში აქვს ნაგულისხმევი. შესაბამისად, იმისათვის, რათა მოხდეს კანონის აზრის სწორი გაგება და ხარვეზის გამოსწორება, ნაშრომში არის მცდელობა, განიმარტოს და განისაზღვროს სწორედ ის შინაარსი, რაც ამ მუხლიდან რეალურად უნდა გამომდინარეობდეს. ეს კი, საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ნორმის სწორ ინტერპრეტაციას და მისი შესწორებული რედაქციის ჩამოყალიბებას.

## 2. სუბროგაციის პრინციპის არსი

„სუბროგაცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა, რაც ნიშნავს ერთი საგნის მეორეთი ჩანაცვლებას.<sup>4</sup> ამ ტერმინს, ძირითადად, ანგლოსაქსური სამართლის სისტემა იყენებს, ხოლო კონტინენტური ევროპის სამართალში გვხვდება სახელწოდება – *cessio legis*. იგი გამოიყენება იმ პროცესის აღსაწერად, როდესაც ერთი პირი იკავებს სხვა პირის ადგილს ისე, რომ მას შეუძლია განახორციელოს ამ უკანასკნელის უფლებები მესამე პირის მიმართ, თავის სასარგებლოდ.<sup>5</sup> მაგალითად, თუ ა. ზიანს მიაყენებს ბ.-ს საკუთრებას და ამავდროულად ბ. დაზღვეულია, სადაზღვევო კომპანია გადაუხდის სადაზღვევო საზღაურს ბ.-ს და ამ უკანასკნელის დელიქტური მოთხოვნა ა.-ს მიმართ გადაეცემა სადაზღვევო კომპანიას. მაშასადამე, სუბროგაცია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ა.-ს უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილების საშუალება.<sup>6</sup>

სუბროგაცია კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა, რა დროსაც მზღვეველზე იმ მოთხოვნის უფლებების გადასვლა ხდება, რაც აქვს დაზღვეულ (სარგებლის მიმღებ) პირს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის მიმართ და ამ უფლების გადასვლა ხორციელდება მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში.<sup>7</sup> როგორც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ განჩინებაში მიუთითა, ანაზღაურების გაცემისას სადაზღვევო კომპანია ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებას და მას ეძლევა შესაძლებლობა, დაიკმაყოფილოს საკუთარი ინტერესი დაზარალებული პირის მოთხოვნის უფლების ხარჯზე. ამასთან, ამგვარი უფლება მზღვეველს წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეულ ზიანს და მხოლოდ იმ თანხის ფარგლებში, რომელიც მან გასცა.<sup>8</sup>

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი ამ ინსტიტუტის ნაკლოვანებაზეც მიუთითებს. მაგალითად, სუბროგაციის ერთ-ერთ ნაკლად მიჩნეულია, რომ იგი ხელს უშლის დამზღვევსა და მესამე პირს შორის დავის დროულ გადაწყვეტას, ამ პროცესის გართულებითა და გაჭიანურებით.<sup>9</sup>

## 3. სუბროგაციის გამიჯვნა მსგავსი ინსტიტუტებისაგან

სუბროგაციის წესის მიხედვით, დამზღვევის ნაცვლად, მზღვეველს წარმოეშობა უფლება, გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში, დამზღვევის ქონებრივი ინტერესის ხელმყოფისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სუბროგაციის დროს დამზღვევის, როგორც დაზარალებულის ე.ი. როგორც დელიქტური ურთიერთობის კრედიტორის ადგილს იკავებს სადაზღვევო კომპანია.

მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი და ხასიათი არ იცვლება, რადგან ზიანის მიმყენებელს ანაზღაურების მოვალეობა წარმოეშობა დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, თუმცა, იცვლება ამ ურთიერთობის კრედიტორი. ახალი მოთხოვნა კი არ წარმოიშობა, არამედ იცვლება მხოლოდ კრედიტორი, კერძოდ, დაზარალებული დამზღვევი იცვლება სადაზღვევო კომპანიით. ასეთ დროს ადგილი აქვს მოთხოვნის დათმობას (ცესიას), რომელიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლით.

სუბროგაციასა და ცესიას შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რომ ცესიის დროს იდება გარიგება მოთხოვნის უფლების დათმობის თაობაზე. სუბროგაციის შემთხვევაში კი, უფლების გადასვლა ხდება არა გარიგების ძალით, არამედ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას თავდაპირველი კრედიტორისათვის ახალი კრედიტორის მიერ სადაზღვევო საზღაურის გადახდის გზით. შესაბამისად, ცესია ხორციელდება კრედიტორის ნების გამოვლენის შედეგად, ხოლო სუბროგაციას ადგილი აქვს კანონის ძალით. ამრიგად, სუბროგაცია ცესიასაგან იმით განსხვავდება, რომ მოთხოვნის გადასვლა ხორციელდება არა გარიგების, არამედ კანონის საფუძველზე.<sup>10</sup> შესაბამისად, ასეთ დროს მოთხოვნის დათმობის კანონისმიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.<sup>11</sup>

მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი შედეგია, რომ მოთხოვნა გადადის ახალ კრედიტორზე, რითაც ეს უკანასკნელი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობაში იკავებს თავდაპირველი კრედიტორის ადგილს. მეორენაირად შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ხდება კრედიტორის მდგომარეობის გადაცემა სხვა პირზე. მოთხოვნის დათმობით არ ხდება არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის შეცვლა, არ იცვლება არც მოთხოვნა, რომელიც ამ ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარეობს – მოთხოვნა ისეთივე მდგომარეობაში გადადის ახალ კრედიტორზე, როგორც იყო თავდაპირველი კრედიტორის ხელში.<sup>12</sup>

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში სუბროგაციის ინსტიტუტს ხშირად ამსგავსებენ რეგრესულ მოთხოვნას ან კიდევ სუბროგაციის ინსტიტუტს, შესაბამისად, საინტერესოა ამ ინსტიტუტების ანალიზი.

სუბროგაციის განსხვავება რეგრესისაგან იმაში მდგომარეობს, რომ რეგრესის დროს ხდება არა პირის შეცვლა უკვე არსებულ ვალდებულებაში, არამედ ამ შემთხვევაში დელიქტური ურთიერთობა დასრულებულია და წარმოიშობა ახალი ვალდებულება. რეგრესის დროს ერთი ვალდებულება ცვლის მეორეს, ხოლო სუბროგაციის შემთხვევაში ვალდებულებაში იცვლება მხოლოდ კრედიტორი, ხოლო თვით ვალდებულება უცვლელი რჩება.<sup>13</sup> სუბროგაციის დროს მზღვეველი ცვლის დამზღვევს იმ ვალდებულებაში, რომელიც წარმოიშობა ზიანის მიყენების შედეგად. სწორედ ამიტომ, მისი დადგომა არ განაპირობებს ახალი ვალდებულების წარმოშობას. ეს არსობრივი ნიშანი განასხვავებს სუბროგაციას რეგრესული ვალდებულებისაგან, რომელიც წარმოიშობა სხვა ვალდებულების შესრულების (შეწყვეტის) შედეგად და ამით ახალი, დამოუკიდებელი ვალდებულების ხასიათს იძენს.<sup>14</sup> თუმცა, ეს დებულება არ გამოირჩევა სუბროგაციისა და რეგრესის ინსტიტუტების ფუნქციური დანიშნულების ერთიანობას, რაც გამოიხატება დაზღვევის შედეგად ანაზღაურებულ ზიანზე პასუხისმგებელი მოვალის მხრიდან მზღვეველის მიერ გაცემული სადაზღვევო ანაზღაურების დაფარვაში.<sup>15</sup>

სუბროგაციას ამსგავსებენ სამოქალაქო სამართლის კიდევ ერთ ინსტიტუტს, რომელიც სუბროგაციის სახელწოდებითაა ცნობილი, თუმცა, მათ შორის განსხვავება საკმაოა. სუბროგაციის ინსტიტუტი მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 264-ე მუხლში. სუბროგაციის დროს, კრედიტორი კი არ იცვლება, არამედ შესრულების ჩანაცვლებასთან, ან ვადამდე შესრულებასთან გვაქვს საქმე.

როგორც ცნობილია, გირავნობის საგანი შეიძლება იყოს არა მხოლოდ ნივთი, არამედ არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, მაგალითად, მოთხოვნა. ამ უკანასკნელის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ არის ფიზიკურად ხელშესახები ობიექტი. ამიტომ მოვალის მიერ ვალდებულების ვადამდე შესრულებისას დაგირავებული მოთხოვნა სხვა რამით უნდა შეიცვალოს. სწორედ ასეთ შემთხვევას უწოდებს სამოქალაქო კოდექსი სუროგაციას.<sup>16</sup>

სუროგაცია წარმოადგენს საგირავნო ურთიერთობის ისეთ ტრანსფორმაციას, როდესაც დაგირავებული მოთხოვნის ადგილს იკავებს შესრულება. აქ მოვალეში იგულისხმება არა მოგირავნის, არამედ დამგირავებლის მოვალე, რომლის მიმართაც მას აქვს მოთხოვნის უფლება. ამიტომაც, სრულიად ლოგიკურია, შესრულებამ მოთხოვნის ადგილი დაიკავოს, როცა მოვალე ვალდებულებას ასრულებს გირავნობის ვადის გასვლამდე. ერთი სიტყვით, სუროგაციისას მოთხოვნის უფლების ადგილს იკავებს რეალური შესრულება, როგორც სუროგატი.<sup>17</sup>

#### 4. 832-ე მუხლის პირველი ნაწილის განმარტება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ დაზღვევის ინსტიტუტი არ გამოირიცხავს ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.<sup>18</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ტერმინი „სუბროგაცია“ არ გვხვდება, თუმცა მისი შინაარსი გადმოცემულია 832-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ წინადადებაში. ამ დებულების თანახმად, „თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს, მაშინ ეს მოთხოვნა გადადის მზღვეველზე, თუ ის დამზღვევს ზიანს უნაზღაურებს.“ სწორედ, მოთხოვნის უფლების ასეთი გადასვლაა ცნობილი „სუბროგაციის“ პრინციპის სახელით.<sup>19</sup>

განსხვავებით ქართული კანონმდებლობისაგან, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსი იყენებს ამ ტერმინს 965-ე მუხლის სათაურში. ეს ნორმა თავისი სამართლებრივი კონსტრუქციით რადიკალურად განსხვავდება საბჭოთა პერიოდის კოდექსში არსებული ანალოგიური დებულებისაგან. ადრე რუსი კანონმდებელი ამგვარ მოთხოვნას რეგრესად განიხილავდა და შესაბამისად, ძირითადი ვალდებულების შესრულება ახალ ვალდებულებას წარმოშობდა. დღეს მოქმედი რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სადაზღვევო საზღაურის გაცემის შემდეგ, რეგრესული ვალდებულება კი არ წარმოიქმნება, არამედ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებული ძირითადი ვალდებულება აგრძელებს არსებობას. ასეთ დროს ხდება პირების შეცვლა ვალდებულებით ურთიერთობაში კანონის საფუძველზე, კრედიტორის უფლებების სხვა პირზე გადასვლის გზით. კერძოდ, ზიანის მიმყენებლის მიმართ მოთხოვნის უფლების მქონე დამზღვევს ცვლის მზღვეველი.<sup>20</sup> ზიანის ანაზღაურებაზე დამზღვევის უფლების სადაზღვევო კომპანიაზე გადასვლის წესი ემსახურება ამ უკანასკნელის ინტერესის დაცვის მიზანს ქონების დაზღვევისას.<sup>21</sup>

სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლი კანონმდებელმა მოათავსა არა დაზღვევის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ზოგადი დებულებების გვერდით, არამედ დაზღვევის კონკრეტული სახის, კერძოდ, ზიანის დაზღვევის მომწესრიგებელ ნორმებს შორის. შესაბამისად, 832-ე მუხლი, მისი საგამონაკლისო ხასიათიდან გამომდინარე, სხვა სახის დაზღვევის დროს არ გამოიყენება.<sup>22</sup> 832-ე მუხლი რომ მხოლოდ და მხოლოდ ქონების დაზღვევას ეხება, ამაზე ნორმის პირველი ნაწილიც მიგვითითებს. მაგალითად, ა.-ს დაზღვეული აქვს ავტომანქანა, რომელიც დააზიანა ბ.-მ, ამ შემთხვევაში სახეზე რომ არ გვექონოდა დაზღვევა, ა.-სა და ბ.-ს შორის წარმოიშობოდა დელიქტური ურთიერთობა, სამოქალაქო კოდექსის

992–1016-ე მუხლებიდან გამომდინარე.<sup>23</sup> კანონმდებელი განსახილველი ნორმის პირველი მუხლის პირველ წინადადებაში ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ დამზღვევმა ისეთი ხელყოფა უნდა განიცადოს, როდესაც ხელმყოფის დადგენა შესაძლებელია. სწორედ ეს იგულისხმება ჩანაწერში – „თუ დამზღვევს შეუძლია ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნა წაუყენოს მესამე პირს...“ რა თქმა უნდა, თუ ზიანის მიყენებაში დაზარალებულის ბრალიც ფიგურირებს, მაშინ შერეული ბრალის ინსტიტუტი ამოქმედდება (იხ.: სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლის კომენტარი).<sup>24</sup>

სუბროგაციის წესით კრედიტორის შეცვლა ვალდებულებაში ხდება სადაზღვევო საზღაურის გაცემის მომენტიდან. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სუბროგაციის გზით გადასული მოთხოვნის უფლება ხორციელდება იმავე წესის დაცვით, როგორც თავდაპირველი კრედიტორის მოთხოვნის უფლება, სასარჩელო ხანდაზმულობა გადასულ მოთხოვნაზე აითვლება არა სადაზღვევო საზღაურის გაცემის მომენტიდან (მოთხოვნის გადასვლის მომენტიდან), არამედ სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან ე.ი. მომენტიდან, როდესაც დამზღვევს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ.<sup>25</sup> მაშასადამე, დამზღვევსა და მესამე პირს შორის წარმოშობილ ვალდებულებაში კრედიტორის ადგილის დაკავების შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიის მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი გადაწყდება იმ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ დამზღვევსა და ზიანის მიმყენებელს შორის არსებულ ურთიერთობას,<sup>26</sup> რადგან კრედიტორის შეცვლა ვალდებულებაში არ იწვევს ხანდაზმულობის ვადისა და მისი გამოთვლის წესის შეცვლას<sup>27</sup> (იხ.: სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის კომენტარი<sup>28</sup>).

როგორც უკვე ითქვა, მოთხოვნის უფლება მზღვეველზე გადადის მის მიერ გაცემული სადაზღვევო საზღაურის ფარგლებში. ეს ნიშნავს, რომ სადაზღვევო კომპანია არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს პასუხისმგებელი პირისაგან იმაზე მეტი, რაც მან აანაზღაურა დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. თუმცა, თავის მხრივ, ეს არ ართმევს უფლებას დამზღვევს, ზიანზე პასუხისმგებელი პირისაგან მოითხოვოს თანხა, რაც აღემატება გაცემულ სადაზღვევო საზღაურს, თუ რეალური დანაკლისი სადაზღვევო თანხაზე მეტია.<sup>29</sup>

832-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებიდან გამომდინარე, დამზღვევს ეკისრება მოვალეობა, გადასცეს მზღვეველს ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობას ზიანის დადგომაში. ამრიგად, დამზღვევი, ზოგადი წესის თანახმად, ვალდებულია, არა მხოლოდ აცნობოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის თაობაზე და მიიღოს ზომები ზიანის შესამცირებლად, არამედ ასევე, იზრუნოს დამზღვევის სამომავლო მოთხოვნის უზრუნველყოფაზე ზიანის მიმყენებლის მიმართ, მათ შორის, მზღვეველისათვის იმ დოკუმენტებისა და მტკიცებულებების გადაცემის გზით, რაც აუცილებელია სუბროგაციის განხორციელებისათვის.<sup>30</sup>

იმ შემთხვევაში, როდესაც მესამე პირი კატეგორიულად უარყოფს ზიანის მიყენების ფაქტს, საჭირო ხდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც დადგენილი იქნება, რომ მოპასუხე ვალდებულია, აუნაზღაუროს მოსარჩელეს ზიანი. ასეთი კატეგორიის დავებში, როდესაც პირი გამორიცხავს თავის ბრალეულობას, ან შერეულ ბრალზე მიუთითებს, აუცილებელია სასამართლოს მხრიდან დადასტურება, რომ სწორედ მესამე პირს ეკისრება ზიანის ანაზღაურება. ისმის კითხვა, თუ ვინ შეიძლება აღძრას სარჩელი მესამე პირის მიმართ იმ შემთხვევაში, როდესაც დაზარალებული დაკმაყოფილებულია სადაზღვევო კომპანიის მხრიდან. სარჩელი შეიძლება აღძრას მზღვეველმა და იყოს სათანადო მოსარჩელე, ხოლო დაზარალებული ჩაერთვება მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. შეიძლება საპროცესო თანამონაწილეობასთანაც გვქონდეს საქმე, როდესაც სადაზღვევო საზღაური მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს მიყენებულ ზიანს. მართლაც, როგორი სისტემის<sup>31</sup> დაზღვევაც არ უნდა გვქონდეს სახეზე, ზიანი ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება



და გარკვეული თანხა შესაძლოა ასანაზღაურებელი დარჩეს. სწორედ ამ დროს თანამოსარჩელები იქნებიან სადაზღვევო კომპანია და დამზღვევი.

დაბოლოს, ქართველმა კანონმდებელმა სუბროგაციის გამოყენება არ დაუკავშირა მხარეთა შეთანხმებას. მაგალითად, ზიანის მიმყენებელი არის დაზარალებულის მეგობარი, დაზარალებული მიმართავს კომპანიას, რომ დაზღვევის არარსებობის პირობებში იგი არ აღძრავდა სარჩელს თავისი მეგობრის წინააღმდეგ. ზოგადი წესის თანახმად, მზღვეველს ყველა შემთხვევაში აქვს სუბროგაციის უფლება და თუ დამზღვევი არ აძლევს მას ამ უფლების გამოყენების შესაძლებლობას, სადაზღვევო კომპანია სრულად გათავისუფლდება დამზღვევის მიმართ ანაზღაურების მოვალეობისაგან ან თუ უკვე გაცემული აქვს სადაზღვევო საზღაური, მოითხოვს მის უკან დაბრუნებას.<sup>32</sup> თუმცა, მზღვეველის სრული გათავისუფლება ჩვენი კანონმდებლობის მიერ არ არის გათვალისწინებული. კერძოდ, თუ დამზღვევი უარს განაცხადებს თავის უფლებაზე მესამე პირის მიმართ, მაშინ მზღვეველი გათავისუფლდება არა სრულად, არამედ იმ ოდენობით, რაც მან გასწია სარჩელის აღძვრის, აუდიტის მოწვევის, ადვოკატის მომსახურებისათვის და სხვ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ეს ხარჯები გამოაკლდება სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელ თანხას.

## 5. 832-ე მუხლის მეორე ნაწილის ხარვეზი

832-ე მუხლის მეორე ნაწილით მოწესრიგებულია ისეთი შემთხვევა, როდესაც დამზღვევს ზიანს ოჯახის წევრი აყენებს. ამ დებულების თანახმად, „თუ დამზღვევის უფლება ზიანის ანაზღაურების თაობაზე ეხება მასთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებს, მაშინ უფლების გადასვლა გამორიცხულია, როცა ოჯახის წევრმა ზიანი განზრახ გამოიწვია.“

ციტირებული ნორმა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. კერძოდ, სიტყვასიტყვითი ფორმულირებიდან ისე გამოდის, თითქოს დამზღვევის ოჯახის წევრის მიერ გამოწვეული ზიანის შემთხვევაში, თუნდაც ამ უკანასკნელის მხრიდან განზრახ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, სადაზღვევო კომპანიის მიერ სუბროგაციის უფლების გამოყენება დაუშვებელია.

სამართლის ნორმის სწორი გაგებისათვის უნდა გაირკვეს თვით კანონმდებლის ნება, ამისათვის კი, მთელი ინსტიტუტის ამოცანები უნდა მივიღოთ მხედველობაში,<sup>33</sup> რადგან კანონის ტექსტის გაგება მოითხოვს მის მიერ მოწესრიგებული ფაქტობრივი ურთიერთობის შესახებ ე. წ. წინა ცოდნას. მაგალითად, დაზღვევის საქმეში გამოუცდელია ნიშნავს დაზღვევის სამართლის „არგაგებასაც“ – ვინც არ იცნობს რეგულირების საგანს, მას არ ესმის შესაბამისი კანონიც.<sup>34</sup> კანონმდებლის ნების დაკონკრეტების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს სისტემური ინტერპრეტაციის მეთოდი. კერძოდ, ინტერპრეტირებული ნორმა თავისი არსითა და მიზნით თანაბარი ნორმების კონტექსტში უნდა ჯდებოდეს.<sup>35</sup> ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ განსახილველი ნორმა წინააღმდეგობაში მოდის სამოქალაქო კოდექსის იმ დებულებებთან, რომლებიც ანიჭებენ უფლებას მზღვეველს, მოშალოს ხელშეკრულება დამზღვევის მხრიდან განზრახვი ქმედების შემთხვევაში.<sup>36</sup>

გარდა ამისა, 832-ე მუხლის მე-2 ნაწილის ტექსტობრივი ხარვეზი საზღვარგარეთის ქვეყნების სადაზღვევო კანონმდებლობაში არსებული ანალოგიური შინაარსის ნორმებზე დაყრდნობითაც შეიძლება დასაბუთდეს. ამ კონტექსტში, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ევროპული სამართლის რეცეფციის შედეგად შეიქმნა, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1908 წლის კანონის მნ-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის მოხმობა. ამ ნორმის თანახმად, თუ დამზღვევის მოთხოვნა ანაზღაურებაზე მიმართულია იმ პირის წინააღმდეგ, რომელთან ერთადაც იგი ცხოვრობს ზიანის დადგომის

მომენტისათვის, დაუშვებელია ანაზღაურების მოთხოვნის გადასვლა 86-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ პირმა ზიანი განზრახ გამოიწვია.<sup>37</sup>

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგება დამზღვევის ოჯახის წევრის განზრახვი ქმედებით, მზღვეველმა სადაზღვევო საზღაური უნდა მისცეს დამზღვევს, ხოლო თვითონ უფლება აქვს, მოთხოვნა წაუყენოს დამზღვევის ოჯახის წევრს. ამიტომ ამ ნორმაში მითითებული უნდა იყოს, რომ უფლების გადასვლა იმ შემთხვევაში არის გამოორიციხული, როცა ოჯახის წევრს ზიანი განზრახ არ გამოუწვევია.<sup>38</sup>

## 6. დასკვნა

სუბროგაციის ინსტიტუტის განხილვა ნათლად ადასტურებს ამ პრინციპის მნიშვნელობას დამზღვევის სამართლისათვის. ნაშრომის მიზანი იყო სუბროგაციის არსის გადმოცემა, მისი გამოყვანა სამოქალაქო სამართლის სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან და რა თქმა უნდა, იმ ნორმის ანალიზი, რომლითაც ქართველმა კანონმდებელმა განამტკიცა ეს წესი.

ქართულ კანონმდებლობაში ტერმინი „სუბროგაცია,“ ჯერ კიდევ, არ არის დამკვიდრებული, რაც გარკვეულწილად, ართულებს იმის გაცნობიერებას, რომ სამოქალაქო კოდექსის 832-ე და 858-ე მუხლებში საუბარია სწორედ ამ პრინციპზე, ეს კი, საბოლოოდ, ხელს უშლის მოცემული ნორმების სწორ ინტერპრეტაციას და იმ შინაარსის დადგენას, რაც კანონმდებელს რეალურად აქვს ნაგულისხმევი. შესაბამისად, მიზანშეწონილია, ქართულ სადაზღვევო კანონმდებლობაში დამკვიდრდეს ეს ტერმინი.

832-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაანალიზება გარკვეული დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს. კერძოდ, ცხადი ხდება, რომ საქმე გვაქვს ნორმის ტექსტობრივ ხარვეზთან, რომელიც მუხლის მთელ შინაარსს ცვლის, რამაც პრაქტიკაში არასწორ სამართლებრივ შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს. შესაბამისად, მითითებულ ნორმაში ცვლილების შეტანის აუცილებლობა ეჭვგარეშეა.

დაბოლოს, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, ქართული კანონმდებლობა იზიარებს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას სუბროგაციის წესის განმტკიცებისა და მისი მოქმედების ფარგლების დადგენის თვალსაზრისით, თუმცა, აუცილებელია, არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, რათა უფრო სრულყოფილად მოხდეს ამ პრინციპის გამოყენება სადაზღვევო ურთიერთობაში.

შენიშვნები:

- 1 ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2001, გვ. 5.
- 2 იხ.: ზოიძე ბ., ქართული ვალდებულებითი სამართლის სისტემა და პრინციპები, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, მესამე-მეოთხე კვარტალი, 2000, გვ. 113-114.
- 3 იხ.: ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც. „სამართალი“, თბ., 2011, გვ. 411. ანალოგიური მიდგომა ამერიკულ სამართალში: Карапетов А.Г., Зависимость условия от воли сторон условной сделки в контексте реформы гражданского права, Вестник Высшего Арбитражного Суда Российской Федерации № 7/2009, 33: <[http://www.m-logos.ru/img/file/1382994127\\_karapetov\\_a.g.\\_uslovnye\\_sdelki\\_i\\_potestativnost.pdf](http://www.m-logos.ru/img/file/1382994127_karapetov_a.g._uslovnye_sdelki_i_potestativnost.pdf)>. შუად.: Ермолова Н.А., К вопросу об условных сделках в гражданском праве, Теория и практика общественного развития, 2011, №3: <<http://teoria-practica.ru/3-2011/yuridicheskie/ermolova.pdf>>; Ханакеева Е.Г., Соотношение алеаторных и условных сделок: теоретический аспект, Научно-практический журнал "Вестник КРУ МВД России", 2009, № 1, 75-76: <[http://vestnik.krdu-mvd.ru/\\_files/v-2009-1.pdf](http://vestnik.krdu-mvd.ru/_files/v-2009-1.pdf)>.
- 4 იხ.: Dumesnil J.B.G., Latin Synonyms, with Their Different Significations: And Examples Taken from the Best Latin Authors, T. Payne, J. Faulder, J. White, Cuthell & Martin, and W.H. Lunn, London, 1819, 530: <<http://ia600502.us.archive.org/19/items/latinsynonymswit00garduoft/latinsynonymswit00garduoft.pdf>>.
- 5 Mitchell C., The Law of Subrogation, Oxford University Press Inc., New York, 1994, 3.
- 6 Johnston D., Zimmermann R., (eds.), Unjustified Enrichment: Key Issues in Comparative Perspective, Cambridge University Press, 2002, 577. სუბროგაციაზე, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების თავიდან აცილების მექანიზმზე მიუთითებენ სხვა ავტორებიც: Vaughan E.J., Vaughan T.M., Fundamentals of Risk and Insurance, John Wiley & Sons, Inc., 2008, 174; Саватье Р., Теория обязательств: юридический и экономический очерк, изд. „Прогресс“, М., 1972, 362. შუად.: Познер Р.А., Экономический анализ права, В 2-х томах, Т. 1, Перевод с английского, изд. „Экономическая школа“, Санкт-Петербург, 2004, 274-275. დაწვრილებით სუბროგაციის ინსტიტუტის მიზნების შესახებ იხ.: Maher B.S., Pathak R.A., Understanding and Problematising Contractual Tort Subrogation, Loyola University Chicago Law Journal, Vol. 40, 2008, 55-59: <<http://ssrn.com/abstract=1227323>>.
- 7 Vaughan E.J., Vaughan T.M., დასახ. ნაშრომი, 461; Treitel G., The Law of Contract, Eleventh edition, Sweet & Maxwell, London, 2003, სქ. 26, გვ. 696; Суханов Е.А. (ред.), Гражданское право, В 4-х томах, Том IV, Обязательственное право, изд. „Волтерс Клувер“, М., 2008, 358.
- 8 იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 7 ივლისის #ას-850-901-2011 განჩინება.
- 9 დაწვრილებით იხ.: Parker J. C., The Made Whole Doctrine: Unraveling the Enigma Wrapped in the Mystery of Insurance Subrogation, Missouri Law Review, Vol. 70, 2005, 736-737: <<http://law.missouri.edu/lawreview/docs/70-3/Parker.pdf>>.
- 10 Фогельсон Ю.Б., Комментарий к страховому законодательству, изд. „Юристъ“, М., 1999, 192.
- 11 შუად.: Сарбаш С.В., Исполнение договорного обязательства, изд. „Статут“, М., 2005, 153.
- 12 ჭეჭელაშვილი ზ., მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), თბ., 2004, 35-36.
- 13 Фогельсон Ю.Б., დასახ. ნაშრომი, გვ. 193.
- 14 სუბროგაციისა და რეგრესის გამიჯვნის შესახებ დაწვრილებით იხ.: ნიაგაძე ნ., სუბროგაცია და რეგრესი დაზღვევის სამართალში (შედარებითი სამართლებრივი ანალიზი), თბ., 2012. ეს ორი ინსტიტუტი მკაფიოდ არის გამიჯნული სასამართლო პრაქტიკაშიც. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის #ას-663-624-2011 განჩინება. შუად.: როგავა რ., ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2013, გვ. 20-22.
- 15 Суханов Е.А. (ред.), დასახ. ნაშრომი, გვ. 359.
- 16 ჭანტურია ლ., საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება, გამომც. „სამართალი“, თბ., 1999, გვ. 17.
- 17 ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, გამომც. „მეცნიერება“, თბ., 2003, გვ. 293.
- 18 ზოიძე ბ., საკონსტიტუციო კონტროლი და ლირებულებათა წესრიგი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), თბ., 2007, გვ. 21. ასევე, იხ.: Фогельсон Ю.Б., დასახ. ნაშრომი, გვ. 192.
- 19 იხ.: ცისკაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, მუხლი 832, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 153. მიზანშეწონილია, ქართველმა კანონმდებელმა, რომანულგერმანული თუ ანგლოამერიკული კანონმდებლობის მსგავსად, დაამკვიდროს ეს ტერმინი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში.

- <sup>20</sup> Садиков О.Н. (ред.), Комментарий к Гражданскому кодексу Российской Федерации, части второй (постатейный), изд. “Инфра-М”, М., 1999, 556.
- <sup>21</sup> Суханов Е.А. (ред.), დასახ. ნაშრომი, გვ. 358.
- <sup>22</sup> სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაში სუბროგაციის პრინციპის მოქმედების შეუძლებლობის შესახებ იხ.: Фогельсон Ю.Б., Страхование право: теоретические основы и практика применения, изд. Норма; ИНФРА-М, М., 2012, 353-354. სიცოცხლის დაზღვევაში სუბროგაციის უფლების გამოყენების დაუშვებლობის შესახებ იხ.: ამირანაშვილი გ., სუბროგაციის უფლების დაუშვებლობა (სსკ-ის 858-ე მუხლის საკანონმდებლო სრულყოფის საკითხები), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის სამოგადოება (GTZ), თბ., 2011, გვ. 22-26; ნიავაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 39-41. 832-ე მუხლის, როგორც საპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმის ანალოგიით გამოყენების შეუძლებლობაზე მიუთითებს სასამართლო პრაქტიკაც. იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის #ას-663-624-2011 განჩინება.
- <sup>23</sup> იხ.: ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გვ. 44.
- <sup>24</sup> ზოიძე ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, მუხლი 415, გამომც. „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 480-484.
- <sup>25</sup> Фогельсон Ю.Б., დასახ. ნაშრომი, გვ. 193.
- <sup>26</sup> მაგალითისათვის იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 5 სექტემბრის #ას-581-549-2011 გადაწყვეტილება. მითითებული გადაწყვეტილების ანალიზი იხ.: როგავა რ., დასახ. ნაშრომი, გვ. 17-22.
- <sup>27</sup> როგორც მართებულად არის შენიშნული ლიტერატურაში, უფლების გადასვლა, განსხვავებით ახალი მოთხოვნის წარმოშობისაგან, მხოლოდ უპირატესობას არ იწვევს ახალი კრედიტორისათვის. კერძოდ, იგი, ასევე, განპირობებულია იმ ნაკლით, რაც ახასიათებს გადასულ მოთხოვნას (მაგალითად, ნაწილობრივ ამოწურული სასარჩევლო ხანდაზმულობის ვადა). იხ.: Карнаш С.В., დასახ. , გვ. 151.
- <sup>28</sup> ახვლედიანი ზ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი, მუხლი 130, გამომც. „სამართალი“, თბ., 1999, გვ. 319-322.
- <sup>29</sup> Садиков О.Н. (ред.), დასახ. ნაშრომი, გვ. 557.
- <sup>30</sup> Карпович В.Д. (ред.), Комментарий части второй Гражданского кодекса Российской Федерации, изд. „Фонд правовая культура“, Фирма „Гардарика“, М., 1996, 289. ასევე, იხ.: ნიავაძე ნ., დასახ. ნაშრომი, გვ. 17.
- <sup>31</sup> იქნება ეს „პირველი რისკის“ თუ „პროპორციული“ სისტემა.
- <sup>32</sup> Карпович В.Д. (ред.), დასახ. ნაშრომი, გვ. 288.
- <sup>33</sup> იხ.: სუხიტაშვილი თ., ხელშეკრულებისა და სახელშეკრულებო ნორმების განმარტება, გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ., 2010, გვ. 23; ხუბუა გ., სამართლის თეორია, გამომც. „სამართალი“, თბ., 2004, გვ. 150.
- <sup>34</sup> იხ.: ჩიქოვანი ი., კაპანაძე თ. (რედ.), როგორ იქმნება კანონი, გამომც. „აბრი“, თბ., 2000, გვ. 232.
- <sup>35</sup> იხ.: ციბელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, გამომც. „სიესტა“, თბ., 2009, გვ. 53-54.
- <sup>36</sup> მაგალითების მოტანა შესაძლებელია როგორც დაზღვევის ხელშეკრულების მარეგულირებელი ზოგადი დებულებებიდან, ისე ზიანის დაზღვევის მომწესრიგებელი ნორმებიდან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 808-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 810-ე მუხლი, 813-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 822-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 829-ე მუხლი.
- <sup>37</sup> ხელმისაწვდომია <<http://dejure.org/gesetze/VVG/86.html>>. ანალოგიური შინაარსისაა, მაგალითისათვის, გერმანული სამართლის ქვეყნიებიდან ავსტრიის 1958 წლის დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ კანონის 67-ე პარაგრაფის მეორე აბზაცი: <<http://www.versicherungsgesetze.de/versicherungsvertragsgesetz/0067.htm>>, ხოლო ინგლისური სამართლის ქვეყნიებიდან ავსტრალიის 1984 წლის დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ კანონის 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი: <<http://www.comlaw.gov.au/Details/C2004C00163>>.
- <sup>38</sup> ანალოგიური რეკომენდაცია იყო გამოთქმული ამ ნორმასთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსი ახალი მიღებული იყო: ცისკაძე მ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მუხლი 832, გვ. 153-154; ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გვ. 45-46.

# CLAIM FOR DAMAGES ASSERTED AGAINST A THIRD PERSON

(ANALYSIS OF THE ARTICLE 832 OF THE CIVIL CODE OF GEORGIA)

GIORGI AMIRANASHVILI

*Doctoral Student of the Faculty of Law, Tbilisi Ivane Javakhishvili State University*

Insurance is an important civil and legal guarantee for protecting the rights of parties involved in civil transactions, which means that as soon as the insurable event occurs, the claim is secured for reimbursing the inflicted damage.

Unlike the German legislation, after reforming the Georgian law, the norms regulating the voluntary insurance are now reflected in the Civil Code. The Civil Code regulates the issues related to the insurance relationships in a quite detailed way.

The article discusses the important institute that is effective within the insurance legislation, known as a subrogation principle. Although the term “subrogation” has not been mainstreamed in the Code yet, its content is still provided in the Article 832. It is possible to say that the Georgian legislation shares the experience of developed countries in regards to strengthening the rule of subrogation and determining the scope of its effect; however, there is a gap in this arrangement, which needs to be eliminated in order to ensure more perfect regulation.



# აუცილებელი გზის საკითხი სამეზობლო ურთიერთობებში

დავით ათაბაგაშვილი

სამართლის მაგისტრი

## 1. „აუცილებელი გზის“ ცნება და მისი ისტორიული დახასიათება

აუცილებელი გზით სარგებლობის უფლებას, ანუ იგივე სამეზობლო თემის ვალდებულებას საუკუნეების ისტორია აქვს. სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში მისი დანერგვა გამოწვეული იყო სამეზობლო ურთიერთობებში მეზობლების საკუთრების უფლებით ჯეროვანი სარგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. აუცილებელი გზის უფლებას იცნობს ბევრი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა გარკვეული სახესხვაობებით, მაგრამ ყველა სამართლებრივ სისტემაში აღნიშნული ნორმის გამოყენების მიზანი და არსი არის პიროვნების „აუცილებელი გზით“ სარგებლობის უფლების აღიარება და ურყევობა. სამეზობლო თემის ვალდებულებას იცნობდა საბჭოთა კავშირის სამართალი, მაგრამ კანონის ერთი ნორმით არ იყო მოწესრიგებული. ის სხვადასხვა ნორმატიული აქტებით რეგულირდებოდა ქაოსური სახით და ხშირად გამოიყენებოდა სასამართლო პრაქტიკაში.<sup>1</sup> საქართველოს კანონმდებლობაში აუცილებელი გზის საკითხი მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით. აღსანიშნავია, რომ „ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელ კავშირში“ არ იგულისხმება მხოლოდ ფეხით სასიარულო, საცალფეხო ბილიკი. მიწის ნაკვეთის საჯარო გზასთან კავშირში იგულისხმება ნაკვეთამდე მისასვლელი საავტომობილო გზაც. აღნიშნულ საკითხზე, მაგალითად, გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში დიდი ხნის განმავლობაში იყო დავა და აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ დღეს ავტომანქანების მესაკუთრეთა უფლებები გერმანიაში დაცულია.

ზუსტად იგივეს გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილიც.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცალკე მუხლით არის მოწესრიგებული, „აუცილებელი გზა“ სხვისი უძრავი ნივთის გამოყენების მხრივ, ასევე, სხვისი საკუთრებით სარგებლობისათვის სასყიდლიანობის მხრივ, არის სერვიტუტის მსგავსი და განიხილება როგორც სერვიტუტის ერთ-ერთი თავისებური სახეობა. თავის მხრივ, სერვიტუტს უძველესი ისტორია აქვს და ჯერ კიდევ, რომაული კანონმდებლობა იცნობდა. „სერვიტუს“ ლათინური სიტყვაა და მონობას, დამორჩილებას ნიშნავს. სერვიტუტთან ერთად მოწესრიგების მიუხედავად, პაულუსის მე-20 ედიქტით რომის სამართალში აუცილებელი გზის მსგავსი სამართლებრივი საკითხი მინც არის ნახსენები. კერძოდ, თუ მომსახურე მიწის მესაკუთრე უარს აცხადებდა „თავისუფალი გასასვლელის“ (free passage) მიცემაზე, მის მიმართ შეიძლებოდა სარჩელის აღძვრა ჩვეულებრივი სამართალწარმოების გზით.<sup>2</sup> რომაული სამართალი ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, თავდაპირველად იცნობდა სასოფლო (მიწის) სერვიტუტს, რომლის მიხედვითაც ერთი მიწის ნაკვეთისათვის მისი მესაკუთრის სასარგებლოდ მეორე მიწის ნაკვეთის დამორჩილება იყო გაბატონებული ნაკვეთის სამეურნეო სარგებლობის ეკონომიკური ანაზღაურების ფორმა. ყველა სასოფლო სერვიტუტი განუხრელად იყო დაკავშირებული გაბატონებულ ნივთთან – Praedium dominans. ისინი გულისხმობდნენ ორი განცალკევებული მიწის ნაკვეთის არსებობას – Fundus servit fundi – ერთი ნაკვეთი ემსახურება მეორეს. რომაული სამართალი ასევე, იცნობდა საქალაქო სერვიტუტის ინსტიტუტს, რომელიც შედარებით მოგვიანებით წარმოიშვა და გამოიყენებოდა ქალაქ რომში არსებულ განაშენიანებულ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით – Servitutes praediorum urbanorum.<sup>3</sup> სერვიტუტის სახეები რომის სამართალში დაყოფილი იყო ნივთობრივ, ანუ საადგილმამულო (servitutes praediales) და პირად სერვიტუტებად (servitutes personarum).<sup>4</sup>

იუსტინიანეს ინსტიტუციების მიხედვით, ძველ რომში არსებობდა სერვიტუტის ისეთი სახეები, როგორებიცაა გავლის უფლება, პირუტყვის გადენის უფლება, გზის უფლება და წყლის გაყვანის უფლება.<sup>5</sup> სერვიტუტის პრინციპების თაობაზე საუბარი არის ძველ ქართულ სამართლის ძეგლებშიც და ცალსახაა, რომ ეს საკითხი ჯერ კიდევ, საუკუნეების წინ საქართველოშიც რეგულირდებოდა. კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 244-ე მუხლის პირველ წინადადებაში აღნიშნულია, რომ „რუს გამღებისა, რომ შუაში სხვის მამული ედვას, იმ შუას მამულის პატრონს არა გაუკეთდება რა, – ფასი უნდა მიეცეს.“<sup>6</sup> ხოლო მეორე წინადადების მიხედვით, „თუ იმასაც გაუკეთდება რამე, – კარგად შერიგდნენ.“<sup>6</sup> შესაბამისად, აღნიშნული მუხლის მიხედვით, თუ ნაკვეთიდან გასული წყარო (რუ) მიედინება მეზობლის მამულის გავლით ისე, რომ მეზობელი ამით ვერანაირ სარგებელს ვერ ღებულობს, მას უნდა მიეცეს ფასი. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მეზობელიც იღებს სარგებელს, მაშინ მეზობლების „კარგად შერიგებაზეა საუბარი.“<sup>6</sup> აღნიშნული უნდა განვიხილოთ როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნორმის ისტორიული საფუძველი, სადაც საუბარია მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებაზე, ჯეროვანი გამოყენებისათვის მიწის ნაკვეთს ჰქონდეს აუცილებელი კავშირი წყალმომარაგების ქსელთან. შესაბამისად, ამკარაა რომ ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის შექმნის მომენტში, საქართველოში ხდებოდა სერვიტუტის თუ აუცილებელი გზის გამოყენება და სწორედ ამიტომ იყო გამოწვეული ამ საკითხის სამართლის ძეგლით დარეგულირება.

## 2. „აუცილებელი გზის“ შინაარსი და სასყიდლიანი ხასიათი

სამეზობლო ურთიერთობებში ხშირია შემთხვევები, როდესაც მეზობელს უწევს აუცილებელი გზის უფლებით სარგებლობა იმისათვის, რომ ჯეროვნად ისარგებლოს მის საკუთრებაში არსებული

მიწის ნაკვეთით, რადგან სხვა მისასვლელი არ არსებობს. სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის გამოყენება მაშინ ხდება აუცილებელი, როდესაც სახეზეა „აუცილებელი გზის“ უალტერნატივო საჭიროება და უტყუარად არის გამორიცხული მიწის ნაკვეთთან სხვა გზით დაკავშირება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ სამართალურთიერთობის მონაწილის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო, გაზის, ნავთობის და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საკუთრების უფლება კონსტიტუციით და სამოქალაქო კანონმდებლობით არის აღიარებული, მაინც არ არის აბსოლუტური და გარკვეულ შემთხვევებში, ის შეიძლება შეიზღუდოს კანონით ან ხელშეკრულებით. შესაბამისად, „აუცილებელი გზის“ შემთხვევაში, ადგილი აქვს საკუთრების უფლების აუცილებელ ბოჭვას, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ აუცილებელ, უალტერნატივო შემთხვევებში. აუცილებელი გზის საკითხი წესრიგდება მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმებით, რომელსაც აქვს სასყიდლიანი ხასიათი და გამოიხატება დაინტერესებული მხარის მიერ კომპენსაციის გადახდით. კომპენსაციის ოდენობა მხარეთა მიერ განისაზღვრება და მისი გადახდა შესაძლებელია როგორც გარკვეული პერიოდულობით, ასევე ერთჯერადად. ამასთან, კომპენსაციის უფლება წარმოადგენს მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს და მისი სხვაზე დამოუკიდებლად გადაცემა შეუძლებელია. კომპენსაციაზე ვალდებულ პირსაც მიწის მესაკუთრე წარმოადგენს, თუნდაც იგი მოცემულ მომენტში არ ფლობდეს მიწის ნაკვეთს.<sup>7</sup> მესაკუთრის უფლებას, მის ნაკვეთს ჰქონოდა ფეხით მისასვლელი ან წყალმომარაგებასთან კავშირი, აშკარაა, რომ ბევრად ადრეული ისტორია აქვს, ვიდრე სამანქანო გზასთან, ელექტრო, გაზის და ნავთობის ქსელებთან კავშირის უფლებას. შეიძლება ცალსახად ითქვას, რომ თუ მიწის ნაკვეთთან მისასვლელი სხვა გზა არ არსებობს, აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება სამეზობლო სამართალურთიერთობის მონაწილის სამოქალაქო კანონმდებლობით გარანტირებული უფლებაა. ჯერ კიდევ, რომაული კანონმდებლობის მიხედვით, სერვიტუტის უფლება იმგვარად იყო გარანტირებული, რომ ულპიანეს მე-11 ედიქტის მიხედვით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს რომც დაეკარგა უზურფრუქტის ან სერვიტუტის უფლება, ის ხელახლა უნდა ყოფილიყო აღდგენილი.<sup>8</sup>

### 3. „აუცილებელი გზა“ ქართულ სასამართლო პრაქტიკაში და სასამართლოსათვის მიმართვის საჭიროება

აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების სასამართლოს მიერ დადასტურება მაშინ ხდება საჭირო, როდესაც მეზობლებს შორის ვერ ხდება ნებაყოფლობითი შეთანხმება აუცილებელი გზით სარგებლობის თაობაზე. ანუ, როდესაც მეზობელი დაინტერესებულ პირს უფლებას არ აძლევს, რომ მან ჯეროვნად ისარგებლოს მიწის ნაკვეთით და ამისათვის კავშირი ჰქონდეს საჯარო გზებთან და სხვა აუცილებელ ენერგო თუ კომუნალურ სისტემებთან, მას შეუძლია უფლების დასაცავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელით მიმართოს შესაბამის სასამართლოს და მეზობელს სასამართლოს წესით მოსთხოვოს ითმინოს მისი აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება. შემდეგ მოახდინოს სასამართლოს საფუძველზე, აუცილებელი გადაწყვეტილების გზით სარგებლობის უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში. ხოლო საჭიროების შემთხვევაში, თუ მეზობლის მხრიდან კვლავ წინააღმდეგობას ექნება ადგილი, მოითხოვოს სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საუბარი არ შეიძლება იყოს „აუცილებელი გზით“

სარგებლობის უფლების მუდმივად ნებაყოფლობით ხასიათზე, რადგან სასამართლო პრაქტიკაში არსებობს აღნიშნული უფლების დაცვასთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილებები.<sup>9</sup>

დაინტერესებულ მხარეს „აუცილებელი გზის“ უფლების დასადგენად მაშინ უწევს სასამართლოსათვის მიმართვა, როდესაც მეზობელი გარაკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, კატეგორიული წინააღმდეგია დაინტერესებულმა მეზობელმა ისარგებლოს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით. ხშირია შემთხვევები, როდესაც მიწის ნაკვეთის შემძენი არ არის გარაკვეული ნაკვეთის მდებარეობაში და ნაკვეთთან მისასვლელ გზებში. ადვილი შესაძლებელია მიწის ნაკვეთამდე მისასვლელი გზა იყოს მეზობლის საკუთრება, რომელიც თანახმა იყო ყოფილ მეზობელს ესარგებლა მისი საკუთრებით, კეთილმეზობლური თუ ნათესაური ურთიერთობებიდან გამომდინარე. მაგრამ, შეიძლება სულაც არ იყოს თანახმა ახალმა მეზობელმა მისი საკუთრება გამოიყენოს შეძენილი მიწის ნაკვეთით ჯეროვნად სარგებლობის მიზნით. უფრო რთულად არის საქმე, როდესაც იძულებით აუქციონზე ხდება უძრავი ნივთის შეძენა, რადგან ყოველთვის ვერ ხდება შესაძენი უძრავი ნივთის შემოწმება და დათვალიერება. ამ შემთხვევაში უფრო დიდი რისკია, რომ მეზობელმა, რომელიც სრულიად შესაძლებელია იყოს ყოფილი მესაკუთრის ოჯახის წევრი, მაგალითად, და, ძმა ან სხვა ხაზის ნათესავი გამიზნულად შეუქმნას პრობლემები მიწის ნაკვეთის შემძენ ახალ მესაკუთრეს და სულაც არ იყოს გასაკვირი, რომ კეთილმეზობლური თვისებები არ გამოავლინოს.<sup>10</sup> ზუსტად აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით არის ეფექტიანი სასამართლოსათვის მიმართვის გზით „აუცილებელი გზით“ სარგებლობის უფლების დადგენა და როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარანტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით.

სასამართლოში აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების დადგენის თაობაზე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს. ამისათვის მან უნდა წარადგინოს ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც უნდა იყოს გამორიცხული მიწის ნაკვეთის სხვა გზით კავშირის შეუძლებლობა საჯარო გზასთან ან ელექტრო, გაზის, ნავთობის და წყალმომარაგების ქსელთან. ან თუ მისი ძალებით ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია, სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე. ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა „აუცილებელი გზის“ შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით მთავარ მტკიცებულებას წარმოადგენს.<sup>11</sup> თუ მიწის ნაკვეთს აქვს სხვა მისასვლელიც, მაშინ საქმე გვაქვს სერვიტუტთან, რაც სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის მიმართულებით დავის შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს. ანუ, კავშირის ალტერნატივის შემთხვევაში, „აუცილებელი გზა“ უნდა გამოირიცხოს და მიწის ნაკვეთით სარგებლობის მიზნით მეზობელი მიწის ნაკვეთის გამოყენება დამოკიდებული ხდება მხარეთა შორის ნებაყოფლობითი ხასიათის წერილობით შეთანხმებაზე. აღნიშნული საჯარო რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება, როგორც სანივთო უფლება.

#### 4. აუცილებელი გზა და სერვიტუტი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმა აუცილებელი გზის თაობაზე და 247-ე მუხლით გათვალისწინებული სანივთო უფლება, სერვიტუტი ერთმანეთს ჰკავს ერთი მიწის ნაკვეთის მეორე მიწის ნაკვეთის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სასარგებლოდ გამოყენების და ასევე, სასყიდლიანობის მხრივ. ეს ფაქტი არ არის გასაკვირი, რადგან აუცილებელ გზას სერვიტუტის თავისებურ, ერთ-ერთ სახედ განიხილავენ. მაგრამ არსებობს საკითხები, რომელთა გამოც ამ ორი იურიდიული საკითხის კანონმდებლობით ერთად მოწესრიგება ვერ მოხერხდება და

როდესაც ამ თემებზე ვსაუბრობთ, შემდეგი განსხვავებები ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული:

4.1. აუცილებელი გზის შემთხვევაში, აუცილებელია მიწის ნაკვეთის საჯარო გზებთან გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთით კავშირის უალტერნატივობა და სხვაგვარი კავშირის შეუძლებლობა. ანუ, შეიძლება გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მეზობელს ძალიანაც არ სიამოვნებდეს და წინააღმდეგი იყოს მისი ნაკვეთის გამოყენების, მაგრამ საკუთრების უფლების აუცილებელი ბოჭვის პრინციპიდან გამომდინარე, იგი ვალდებულია მოითმინოს. სერვიტუტის შემთხვევაში კი, სწორედაც, რომ სახეზეა მიწის ნაკვეთის საჯარო გზებთან კავშირის ალტერნატივა და რამდენიმე გზა. ამ შემთხვევაში, სერვიტუტისათვის მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ სხვა ნაკვეთის გამოყენება, დატვირთვა დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე. კერძოდ, მიწის ნაკვეთის მესაკუთრე მეზობლებს შორის სანივთო გარიგების გაფორმებაზე, უფლებრივად დატვირთვაზე და რეგისტრაციაზე საჯარო რეესტრის შესაბამის სარეგისტრაციო სამსახურში. ანუ, დამხმარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობის გარეშე, ძირითადი მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ მისი სერვიტუტით დატვირთვა და გამოყენება ვერ მოხდება. სასამართლოს მეშვეობით შესაძლებელია „აუცილებელი გზის“ უფლების დადგენა, მაშინ როდესაც სასამართლოს მეშვეობით სერვიტუტით ვერ დაიტვირთება მეზობელი მიწის ნაკვეთი და ვერც მისი დავალდებულება მოხდება.<sup>12</sup> სერვიტუტის უფლების წარმოშობა დამოკიდებულია უძრავი ნივთის მესაკუთრის სამართლებრივ ნებაზე სანივთო გარიგების საფუძველზე დატვირთოს ან არ დატვირთოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

4.2. აუცილებელი გზის შემთხვევაში, სამეზობლო თემნის ვალდებულების წარმოშობა არ არის დამოკიდებული გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სამართლებრივ ნებაზე. სერვიტუტის შემთხვევაში კი, სამეზობლო თემნის ვალდებულების წარმოშობა გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის სამართლებრივ ნებაზეა დამოკიდებული. თუ იგი გამოხატავს სამართლებრივ ნებას მის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის სერვიტუტის უფლებით დასატვირთად, შესაბამისად მას წარმოეშობა თემნის ვალდებულება მეზობლის მიერ მისი საკუთრების უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით.

4.3. აუცილებელი გზის შემთხვევაში გამოსაყენებელ მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, ყოველთვის ხდება გარკვეული მოქმედების შესრულება – მისი გამოყენება საჯარო გზასთან დასაკავშირებლად ფეხით სასიარულოდ თუ ავტომანქანით გასასვლელად. ასევე, ადგილი აქვს გამოსაყენებელ მიწის ნაკვეთზე ნავთობის და გაზის მილის, წყლის მილის თუ არხის და ელექტრო სადენების გაყვანას. ხოლო სერვიტუტი თავისი შინაარსით ყველა შემთხვევაში, სულაც არ გულისხმობს დასატვირთი მიწის ნაკვეთის აქტიურად გამოყენებას. შეიძლება უძრავი ნივთი სერვიტუტით დაიტვირთოს იმ პირობითაც, რომ დაატვირთული დამხმარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ არ განახორციელოს ამ ნაკვეთზე გარკვეული მოქმედებები.<sup>13</sup>

## 5. გაუქმებული „აუცილებელი გზის“ უფლების აღდგენის დაუშვებლობა

სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლის მეორე პუნქტით, დარეგულირებულია საკითხი, როდესაც აუცილებელი გზის უფლება უქმდება აუცილებელი გზის უფლებით მოსარგებლე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თვითნებური ქმედების შედეგად და ამ შემთხვევაში, უფლების აღდგენა დაუშვებელია.<sup>14</sup> მესაკუთრის თვითნებურ ქმედებად ითვლება, როდესაც იგი აშენებს სახლს ან კედელს და აღნიშნულის შედეგად უქმდება აუცილებელი კავშირი. ამ შემთხვევაში, აუცილებელი გზის გაუქმება გამოწვეულია სწორედ თვითნებურად მოქმედი მეზობლის ქმედების გამო.



ამასთან დაკავშირებით, სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ კანონის ეს ჩანაწერი, რომელიც არ იცავს იმ მესაკუთრის უფლებებს, რომელიც ძველ კავშირებს სპობს, ხოლო ახლის შექმნაზე კი, არ ფიქრობს. ამ შემთხვევაში, თვითნებურად მოქმედ მემობელს ორი გზა რჩება – როგორც ააშენა, ისევე დაანგრის აუცილებელი გზის ხელისშემშლელი შენობა-ნაგებობა ან მემობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მოელაპარაკოს, რომ მან მისცეს კავშირის სახელშეკრულებო უფლება.

## 6. დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად აუცილებელი გზის ცნების და შინაარსის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლით ერთიანად მოწესრიგებისა, მას ბუნდოვანი მხარეები აქვს. შესაბამისად, უმჯობესი იქნება პუბლიკაციების თუ სტატიების შექმნა და საკითხის დეტალურად შესწავლა. იურიდიულ პრაქტიკაში არცთუ იშვიათია, როდესაც ხდება აუცილებელი გზის და სერვიტუტის ერთმანეთში არევა. როდესაც საუბარია აუცილებელ გზაზე, მასში მოიაზრებენ სერვიტუტს და პირიქით.<sup>15</sup> ჩვენი აზრით, აღნიშნულის მიზეზი არის სამოქალაქო კოდექსის 180-ე მუხლთან დაკავშირებით არასაკმარისი სასამართლო პრაქტიკა. „აუცილებელი გზის“ ბუნდოვანებასთან დაკავშირებით, აღნიშნული სამართლის ნორმის კომენტირებიდან და ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, გაურკვეველია უფლება ექვემდებარება საჯარო რეესტრში რეგისტრაციას თუ არა. ანუ „აუცილებელი გზით“ სარგებლობის უფლების წარმოშობად საკმარისია მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა შეთანხმება, თუ მისი წარმოშობა დამოკიდებულია საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე. როდესაც საკითხი ეხება აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების სასამართლოს მიერ დადგენის ფაქტს, ამ შემთხვევაში ცალსახაა, რომ უფლების წარმოშობა დამოკიდებულია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მის საჯარო რეესტრში რეგისტრაციაზე,<sup>16</sup> რასაც ვერ ვიტყვით მემობელთა მიერ აუცილებელი გზის თაობაზე ნებაყოფლობით შეთანხმებაზე. იურიდიულ პრაქტიკაში მკაფიოდ უნდა მოხდეს „აუცილებელი გზის“ განსხვავება სერვიტუტისგან, როგორც ხელშეკრულების საფუძველზე დასადგენ სანივთო უფლებისაგან. რეკომენდაციის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც საქმე ეხება სასამართლოს მიერ აუცილებელი გზით სარგებლობის უფლების დადგენას, დაინტერესებულა პირმა სასამართლოში აუცილებლად უნდა წარადგინოს ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც გამორიცხავს მიწის ნაკვეთის სხვა გზით კავშირის ალტერნატივას. ასევე, აუცილებელი გზით სარგებლობის უფლება, იგივე სამეზობლო თმენის ვალდებულება, აუცილებლად უნდა გახდეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებადი უფლება, რომლის წარმოშობაც დამოკიდებული იქნება რეესტრში რეგისტრაციაზე და აისახება საჯარო რეესტრიდან ამონაწერის შესაბამის განყოფილებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

### წიგნები:

1. ლადო ჭანტურია, ზურაბ ახვლედიანი, ბესარიონ ზოიძე, სერგო ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 2, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999;
2. მარინა გარიშვილი, მარიამ ხოფერია, რომის სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010;
3. ნ. სურგულაძე, იუსტინიანეს ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2002;
4. ვალერიან მეტრეველი, რომის სამართალი, თბილისი, 1995;
5. Digests of Justinian, translated by Charles Henry Monro, Cambridge at the University press, 1904; <https://archive.org/details/digestofjustinia01monrooft>;
6. ისიდორე დოლიძე, სამართალი ვახტანგ მეექვსისა, თბილისი, 1981;
7. ბესარიონ ზოიძე, სანივთო სამართალი, თბილისი, 1999.

### სასამართლოს გადაწყვეტილებები:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის №2/5049-13 გადაწყვეტილება, 01/05/2013;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-744-801-2011 გადაწყვეტილება, 13/10/2011;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-975-1009-2011 გადაწყვეტილება, 08/12/2011.

### შენიშვნები:

- <sup>1</sup> ლადო ჭანტურია, ზურაბ ახვლედიანი, ბესარიონ ზოიძე, სერგო ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 2, გამომცემლობა „სამართალი“, 1999, გვ. 109-111.
- <sup>2</sup> Digests of Justinian, translated by Charles Henry Monro, Cambridge at the University press, 1904, გვ.343-344.
- <sup>3</sup> მარინა გარიშვილი, მარიამ ხოფერია, რომის სამართლის საფუძვლები, თბილისი, 2010, გვ. 184-187.
- <sup>4</sup> ვალერიან მეტრეველი, რომის სამართალი, თბილისი, 1995, გვ. 58-59;
- <sup>5</sup> ნ. სურგულაძე, იუსტინიანეს ინსტიტუციები, რომის სამართლის ძეგლები, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2002, გვ. 65-66.
- <sup>6</sup> ისიდორე დოლიძე, სამართალი ვახტანგ მეექვსისა, თბილისი, 1981, გვ. 257.
- <sup>7</sup> ბესარიონ ზოიძე, სანივთო სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 90-91.
- <sup>8</sup> Digests of Justinian, translated by Charles Henry Monro, Cambridge at the University press, 1904, გვ. 206-207;
- <sup>9</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის №2/5049-13 გადაწყვეტილება, 01/05/2013.
- <sup>10</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის №2/5049-13 გადაწყვეტილება, 01/05/2013.
- <sup>11</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის №2/5049-13 გადაწყვეტილება, 01/05/2013.
- <sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-744-801-2011 გადაწყვეტილება, 13/10/2011.
- <sup>13</sup> ლადო ჭანტურია, ზურაბ ახვლედიანი, ბესარიონ ზოიძე, სერგო ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 2, გამომცემლობა „სამართალი“, 1999, გვ. 186-187.
- <sup>14</sup> ლადო ჭანტურია, ზურაბ ახვლედიანი, ბესარიონ ზოიძე, სერგო ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი 2, გამომცემლობა „სამართალი“, 1999, გვ. 110-111.
- <sup>15</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის №ას-975-1009-2011 გადაწყვეტილება, 08/12/2011.
- <sup>16</sup> ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გვერდი 2, რეგისტრირებული განცხადების ნომერი – 882013352868.

# ISSUE OF NECESSARY RIGHT OF WAY IN NEIGHBOR RELATIONS

DAVIT ATABEGASHVILI

*Master of Law*

The article aims at discussing the usage of necessary right of way in neighbor relations, identifying problematic sides and analyzing the judicial practice. The article provides the author's legal opinion about the ambiguity of emergence of the necessary right of way, about how this issue should be resolved and regulated. The article discusses the "Necessary Right of Way" in reference to the contractual servitude as a transaction of things, in the light of similarities and differences, for the following reason: despite the issues of necessary right of way and servitude have been regulated in certain articles of the Civil Code of Georgia, actually, often they are not separated in practice. The judicial practice is reviewed, among them the court judgment that was passed by the court with direct participation of the author of this article. Judicial interpretations are provided regarding the necessary right of way, and it is also recommended what document needs to be submitted to the court for determining the right. Last part of the article provides the author's legal opinion and recommendations about how to decide the problematic issues related to the necessary right of way.

# მემთვრალეობის (ალკოჰოლიზმის) კრიმინოლოგია

მიხეილ გაბუნია

სამართლის დოქტორი, პროფესორი

## შესავალი

კანონები (კოდიფიცირებული) იმდენჯერ შეცვლილა, რამდენი სოციალური წყობა, სახელმწიფო მმართველობის ფორმა და ხელისუფლებაც ყოფილა. მთავარი – შინაგანი კანონებია.

კრიმინოლოგიის მთავარი მიზანი დანაშაულობისა და მძიმე უარყოფით სოციალურ მოვლენათა კონტროლია. კანონი იწერება ხალხისათვის, დანაშაულთა და სასჯელთა შექმნაში მონაწილეობს მთელი საზოგადოება, საკანონმდებლო ორგანოში მათ მიერ არჩეულ წარმომადგენელთა სახით. ხალხს მათ მიერვე მიღებული კანონების პატივისცემა უნდა ჰქონდეს და არა შიში, ვინაიდან შიშის ქვეშ მყოფი ადამიანი ვერაფერს შექმნის ღირებულს. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეები თავიანთ ყველა ქმედებას მათ მიერვე შექმნილ კანონებს უთანხმებდნენ. მაგრამ არსებობს ზოგიერთი უარყოფითი სოციალური ქცევა, რომელიც მართალია, კანონით ნებადართულია, მაგრამ გაცილებით მძიმე შედეგები მოაქვს საზოგადოებისათვის, ვიდრე ცალკეულ დანაშაულსა და სამართალდარღვევას. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, მემთვრალეობა (ალკოჰოლიზმი), რომელსაც სამართლიანად ეწოდა 21-ე საუკუნის „შავი ჭირი.“

გასული საუკუნის ბოლოს მცდარად დამკვიდრდა აზრი იმის შესახებ, თითქოს ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მოხმარება ქართულ საზოგადოებაში ტრადიციას წარმოადგენს. ეს აზრი ჩვენი თანამოქალაქეების ნაწილში დღესაც გავრცელებულია და რაც მეტად სავალალოა, ასეთი შეხედულება ჩამოუყალიბდათ

ჩვენს უცხოელ სტრატეგიულ მოკავშირეებს, ევროპელი და ამერიკელი მეგობრების დიდ ნაწილს. საქმე ის არის, რომ ეს ტრადიცია კი არ არის, არამედ მძიმე სენია, რომელიც მოსახლეობაში გავრცელებულია იმგვარად, როგორც სხვა ავადმყოფობა. უძველესი, რვაათასწლოვანი ტრადიცია აქვს ქართული ღვინის დაყენებას, რამაც საქართველოს მთელ მსოფლიოში ღვინის სამშობლოდ აღიარება მოუტანა და არა ეთილის სპირტის შემცველი ალკოჰოლური სასმელების ზღვარგადასულმა მიღებად. მემთვრალეობა საქართველოში მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში არასდროს ყოფილა ტრადიცია და მით უმეტეს, არ ხდებოდა მისი წახალისება. ისტორიულად, ყველა დიდი პიროვნება, საზოგადოების გამორჩეული ნაწილი, ინტელიგენცია – ყოველთვის ებრძოდა ამ სენს და ებრძოდა ისე, როგორც სხვა უარყოფით სოციალურ მოვლენას.

საქართველოში მემთვრალეობა (ალკოჰოლიზმი) და მისგან გამოწვეული უარყოფითი საზოგადოებრივი მოვლენები, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, სიღრმისეულად არის გამოსაკვლევი. კრიმინოლოგიაში არსებობს ასეთი შეხედულება, რომ სახელმწიფოში, სადაც ალკოჰოლის დიდი რაოდენობით მომხმარებელია, მაღალია დანაშაულისა და სამართალდარღვევის ჩადენის ალბათობა. სახელმწიფოს განვითარება შეუძლებელია ალკოჰოლიზმის პრობლემის მოგვარების გარეშე. ქართულ კრიმინოლოგიაში არსებობს შეხედულება, რომლის თანახმად, ალკოჰოლური სიმთვრალე, თითქმის ყველა დანაშაულთან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან მიმართებით, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა. განსხვავებით ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობისაგან, მაგალითად, ლატვიისაგან, სადაც ალკოჰოლური სიმთვრალე შემამსუბუქებელი გარემოებაა. ეს შესაძლოა იმაზე მეტყველებს, რომ ამ ქვეყნებში მოსახლეობის სამართალშეგნების დონე და სამართლებრივი კულტურა მაღალია. სიმთვრალე არ უნდა იყოს მხოლოდ მორალურად გასაკიცხი. საკმარისი არ არის, ალკოჰოლური სიმთვრალე დამამძიმებელი გარემოება იყოს მხოლოდ სატრანსპორტო დანაშაულებისათვის (სსკ-ის თავი XXXIV). მიუხედავად იმისა, რომ კრიმინოლოგია თავისი განვითარების ამ ეტაპზე მაქსიმალურად ცდილობს სასჯელის ალტერნატიულ ღონისძიებათა განვითარებას (მედიაცია, განრიდება), ალკოჰოლურ სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთა და სამართალდარღვევებთან მიმართებით იგი სრულიად შეუვალია.

დანაშაულობასთან ბრძოლას, სოციალური კონტროლის ტაქტიკური და სტრატეგიული ღონისძიებების დაგეგმვას აზრი არა აქვს, თავის მიზანს ვერ მიაღწევს, თუ უპირველეს ყოვლისა, საქართველოში მემთვრალეობის პრობლემა არ იქნება დაძლეული. ხოლო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით, ყოვლად უმიზნოა, დაისაჯოს პირი ქმედებისთვის, რომელზედაც ამ ადამიანს კონტროლის უნარი არ შესწევს, ყოვლად მიუღებელია. ალკოჰოლური სიმთვრალის დროს ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედება არც იურიდიულად და არც მორალურად გამართლებული არ არის. სამართალმა არ შეიძლება ნება დართოს ადამიანებს, გაეცნენ პასუხისმგებლობას საკუთარი უსამართლო და ამორალური საქციელისათვის. ალკოჰოლიზმი აზიანებს სახელმწიფო ბიუჯეტსაც. სავარაუდოა, რომ ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს ალემატება ის მატერიალური ზიანი, რაც ალკოჰოლიზმს მოაქვს. ჩვენთან ეს სტატისტიკა არ არსებობს. მაგრამ აშშ-ის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ალკოჰოლიზმით გამოწვეული ტრავმებისაგან მიღებული მატერიალური ზიანი ყოველწლიურად ერთ მილიარდ დოლარს აღემატება.<sup>1</sup>

ისტორიის კრიმინოლოგიური ხედვით გაანალიზება იმის დადგენის საშუალებასაც გვაძლევს, რომ შესაძლოა ომების დროს არ იყოს დაღუპული იმდენი ადამიანი, რამდენიც ალკოჰოლის მოხმარების შედეგად (მაგალითად, ინგლისში 1847-1874 წლებში ალკოჰოლიზმით დაიღუპა 23 000 ადამიანი.<sup>2</sup> ხოლო, მე-19 საუკუნის ბოლოს, 40-წლიან პერიოდში, 1840-1880 წლებში ნიუ-იორკში ადამიანის



გარდაცვალების ყოველი მე-3 შემთხვევა კავშირში იყო ალკოჰოლიზმთან, დაღუპულთა რიცხვმა ამ პერიოდში შეადგინა 190 000 ადამიანი. სამწუხაროა, რომ საქართველოში მსგავსი სტატისტიკა არ გაგვაჩნია).

## თავი 1. ალკოჰოლიზმის ცნება

საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლა მათი სახელწოდების განმარტებით იწყება. ჩვენც შევეცდებით, უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ რას ნიშნავს სახელწოდება, ტერმინი **მემთვრალეობა** (ალკოჰოლიზმი). ალკოჰოლიზმის ცნების შესახებ ასეულობით განმარტება არსებობს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოტანილია განმარტება, რომელიც მოცემულია მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კომპეტენტურ და გავლენიან „ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“<sup>3</sup> კერძოდ, აქ მემთვრალეობა განმარტებულია, როგორც ალკოჰოლური მოწამვლა, რომელიც ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარების შედეგია და ადამიანის ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივ დეგრადაციას იწვევს. მას ნარკომანიის ჯგუფში განიხილავენ. ალკოჰოლის მოქმედება ადამიანის ორგანიზმზე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება მისი მოხმარება – კონცენტრირებული თუ გაზავებული სახით, დიდი თუ მცირე რაოდენობით, იშვიათად თუ მუდმივად. მცირე რაოდენობით ალკოჰოლის მიღება, მართალია იწვევს სასიამოვნო გაცდებს, მაგრამ მას შედეგად მოჰყვება ძალის დაკარგვა, პულსაციის გახშირება და სისხლის მიმოქცევის გაძლიერება. ალკოჰოლის დიდი ოდენობით მიღებისას ეს მოქმედებები ძლიერდება და მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანზე – აზროვნების უნარი ქვეითდება, მეხსიერება იკარგება, ვითარდება ჰალუცინაცია, გონება კარგავს უფლებას სხეულზე, რის გამოც მოძრაობა ხდება არამყარი, ამ ყველაფერს ემატება მიდრეკილება ძილისაკენ და ცნობიერების დაკარგვა. სიმთვრალის ამ სტადიას შესაძლოა მოჰყვეს აპოპლექსია (დამბლის დაცემა).<sup>4</sup> ალკოჰოლის სისტემური მოხმარების შედეგად, ადამიანის მთელ ორგანიზმში მიმდინარეობს ავადმყოფური ცვლილებები. ვლინდება ყელისა და კუჭის ქრონიკული კატარი, მადის დაკარგვა, გულისრევა. ალკოჰოლის გამაღიზიანებელი ზეგავლენით წარმოიშობა ღვიძლის ქრონიკული ანთება, მუცლის წყალმანკი და დაძაბუნება. მემთვრალეებს თითქმის ყოველთვის აღენიშნებათ გულის გადიდება (ჰიპერტროფია), გულის კუნთისა და სისხლძარღვების გაფართოება, რაც შეეხება სასუნთქ ორგანოებს, მემთვრალეებს მალევე უჩნდებათ ხორხისა და ფილტვების ქრონიკული კატარი, რითაც განპირობებულია სახის მოლურჯო-მოწითალო ფერი, მუდმივი ხრინწიანი ხმა და ქოშინი, ასევე, გაძლიერებული მუშაობის შედეგად, ავადდება თირკმელი. მემთვრალეებს ნერვული სისტემის საკმაოდ მრავალრიცხოვანი და სერიოზული დაავადებები ემართებათ. ალკოჰოლის სისტემური მოხმარება იწვევს თავის ტვინში სისხლის მოზღვავენას, ამას შედეგად მოჰყვება თავის ტვინის ნივთიერებათა ანთება და ატროფია. ასევე, ძალიან ხშირად ზიანდება ზურგის ტვინი და გრძნობის ორგანოები, რაც იწვევს სხვადასხვა ფსიქიკურ დარღვევებს – ჰალუცინაციებს, ბოდვებს, გონებაჩლუნგობას, ზოგადი დამბლის მდგომარეობას და ა.შ. ხშირად ვითარდება ე.წ. „თეთრი ცხელება“.<sup>5</sup>

არაერთხელ გვითქვამს, რომ რელიგია და კრიმინოლოგიის მეცნიერება თანხვედრიან და ავსებენ ერთმანეთს. ამ მიმართულებით დასმული ამოცანების შესწავლა წინაპირობა იქნება იმისა, რომ მომავალში საქართველო მივიღოთ დანაშაულობის გარეშე.<sup>6</sup> ამ კონკრეტული საკითხის განხილვისას არ არსებობს უფრო სრული განსაზღვრება მემთვრალეობისა და მისგან მიღებული უარყოფითი მოვლენებისა, ვიდრე ეს დიდ ღვთისმეტყველებს, სასულიერო პირებს აქვთ გადმოცემული. „ღვინო მიაქცევს მეცნიერთა (ზირ. 31), „მუშაკი მემთვრალე არა გამდიდრდება,“ (ზირ. 3, 1), „ნუ იყოფი ღვინის მსმელ,

რამეთუ ყოველი მემთვრალე დაგლახაკდეს“ (იგ. სოლომ. 23, 20). აქედან უნდა გაგაკეთოთ დასკვნა, რამდენად ზიანის მომტანია მემთვრალე კაცი ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.<sup>7</sup> აი, რას ამბობს მე-19 საუკუნეში მოღვაწე ერთ-ერთი უდიდესი ქართველი ღვთისმეტყველი, იმერეთის ეპისკოპოსი წმიდა გაბრიელ ქიქოძე მემთვრალეობის შესახებ: „ხორციელადაც სიმთვრალე ზღუპავს კაცს. იგი უეჭველად კაცს მოაკლებს სიმრთელესა. მართალია, მემთვრალე თავიდგანვე ვერ შეატყობს, რა ზომად აფუჭებს ღვინო მის სხეულს და სიმრთელეს, გარნა ბოლოს მით უმეტესად შეიტყობს ამას. უზომოდ მიღება, მეტადრე მაგართა სასმელთა, ცოტ-ცოტად გაუფუჭებს სისხლს, წაუხდენს ძარღვებს, აუნთებს ფილტვებს, რომლისაგან ხშირად შეემთხვევა მას სიკვდილი. გაიხსოვნე, რა დაგემართა შენ და რა მდგომარეობაში ჰყოფილხარ თუ საუბედუროდ დასთვერი. მეორე დღეს: თავი გტკიოდა, გული გერეოდა, გრცხვენოდა კაცის შეხედვისა, მოწყენილი იყავ და ყოველიფერი გეძაგებოდა. ამ სახით თავდება ყოველი უგნური და უწმინდური ღვინო. არა ესრეთია სულიერი ღვინო და ნუგეში. თუ საყდარში ტკბილად ილოცე, თუ კეთილი საქმე რაიმე აღასრულე, თუ სულიერი ტკბილი გალობით გამხიარულდი, მაშინ გამხნედე, გასცოცხლდე, გული დამშვიდებული გაქვს, ყოველი კაცის სიყვარულსა ჰგრძნობ. „ნუ დაითვრებით ღვინოთა, არამედ აღივსენით სულითა“ (ეფეს. 5.18–19).“<sup>8</sup> ცუდია არა ღვინო, არამედ მისი ბოროტად გამოყენება. ლოთობა არის ნებაყოფლობითი სიმშაგე, ამრთა გაუკუღმართება; ლოთობა არის მასხრად ასაგდები უბედურება, დასაცინი სნეულება, ნებსითი ბორგნეულობა – იგი ჭკუიდან შეშლაზე უარესია. ასეთი კაცი არ მოსწონთ მეგობრებს, სასაცილოდ არ ჰყოფნის მტერს, საძულველია მსახურთათვის, ზიზღისმომგვრელია ცოლისთვის – აუტანელია ყველასთვის, როგორც ნებისმიერ პირუტყვზე ამბობენი“ (წმიდა იოანე ოქროპირი). დიდი რომელი ფილოსოფოსი ლუციუს ანეუს სენეკა „მემთვრალეობას ნებაყოფლობით სიგიჟეს უწოდებს.“ მემთვრალეობას უგუნურებაში ვარჯიშს უწოდებდა დიდი ბერძენი ფილოსოფოსი პითაგორა.

ალკოჰოლიზმი და დანაშაულობა მჭიდროდ არიან ურთიერთდაკავშირებულნი. ცნობილია, რომ ადამიანი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სქესობრივ დანაშაულთა დიდ ნაწილს სწორედ ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სჩადის. საყურადღებოა აშშ-ის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკაც, რომლის თანახმად, აშშ-ის ციხეებში მსჯავრდებულთა 70%-ის მიერ ჩადენილი დანაშაული პირდაპირ კავშირშია ალკოჰოლურ სიმთვრალესთან.<sup>9</sup> სიმთვრალის მდგომარეობაში ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას მიკუთვნებული დანაშაულები გამოირჩევიან სისასტიკით და როგორც წესი, არ არსებობს რაიმე მოტივი, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების წინმსწრები იქნებოდა. (მაგალითად, სულ ახლო წარსულში მომხდარი შემთხვევის მოტანაც იკმარებს, როდესაც პიროვნებამ ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ურთიერთშელაპარაკებისას, სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრა მეუღლე, შვილი და რძალი. მეუღლე – მიყენებული ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა, რძალი – საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ, ხოლო დაჭრილი შვილი – საავადმყოფოში მოათავსეს და ძლივს გადარჩა... დაკავებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, ხოლო გამოძიება დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე აღიძრა (საქართველოს სსსკ-ის 109-ე მუხლით).<sup>10</sup> ალბათობის მაღალი ხარისხით შეიძლება ითქვას, რომ მსგავს სასტიკ ქმედებას პიროვნება ფხიზელ მდგომარეობაში არ ჩაიდენდა. პროცესუალური თვალსაზრისით, ბრალდებულს რომც გაუჩნდეს გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი, ვერ გაუწევს მას დახმარებას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ ახსოვთ დანაშაულის დეტალები. ცალკეულ შემთხვევებში, დანაშაულიც კი (როცა სახეზეა პათოლოგიური სიმთვრალე).

ფაქტია და ამასთან, აღსანიშნავია ალკოჰოლის კავშირი სატრანსპორტო დანაშაულებთან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან. ავტოსატრანსპორტო დანაშაულთა დიდი ნაწილი სწორედ მძღოლების ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში არის ჩადენილი. როგორც წესი,

მძლოლთა სიმთვრალეს ეწირება ათასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი. 1700-მდე ავტოსაგზაო შემთხვევა ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოწვეულია სწორედ მძლოლთა ალკოჰოლური სიმთვრალით. ხოლო 2010–2011 წლებში კოდექსის 116-ე მუხლით (სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში, ანდა სატრანსპორტო საშუალების გადაცემა ასეთ მდგომარეობაში მყოფი პირისათვის) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 100.000-მდე შემთხვევის აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ალკოჰოლურ სიმთვრალეზე მოდის.<sup>11</sup> აქ ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ ძალიან საშიშია ის მძლოლი, რომელსაც მცირე რაოდენობის სასმელი აქვს მიღებული. ადამიანი, რომელიც იმყოფება მსუბუქი სიმთვრალის მდგომარეობაში და არ თვლის თავს ნასვამად, დარწმუნებულია, რომ შეუძლია მანქანის მართვა და უკეთესადაც კი, ვიდრე სიფხიზლეში. ასევე, თითქმის ყველა ქვეყნის სტატისტიკა მიუთითებს, რომ ალკოჰოლური სიმთვრალე არის განსაკუთრებით საშიში გენერული დაავადებების გადადებისათვის და ხდება შიდსის განზრახ და გაუფრთხილებლობით გადაცემის მიზეზი.<sup>12</sup>

მემთვრალეობის გამომწვევი მიზეზების დადგენა და ამის საფუძველზე მაღალი დონის სოციალური კონტროლი საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ დანაშაულებისა და განსაკუთრებით მძიმე საშიში უარყოფითი სოციალური ქცევების ჩადენა. ალკოჰოლიზმით გამოწვეული უმძიმესი შედეგები პირდაპირ აისახება მოსახლეობის დემოგრაფიულ ვითარებაზეც.

## თავი 2. მემთვრალეობის (ალკოჰოლიზმის) გამომწვევი მიზეზები

სამწუხაროა, რომ ალკოჰოლიზმის შესახებ საქართველოში სტატისტიკური მონაცემები არა გვაქვს. ალკოჰოლიზმის გამომწვევი მიზეზების დადგენას ართულებს ის ფაქტიც, რომ ამ დაავადების მიმართ საზოგადოება გულგრილია, ის ჩვეულებრივ მოვლენად არის მიჩნეული მოსახლეობის დიდ ნაწილში, განსაკუთრებით რეგიონებში და მისით დაინტერესება ხდება უკიდურესი აუცილებლობიდან გამომდინარე, როდესაც პიროვნება ფიზიკურად იმდენად დაძაბუნდება, რომ საჭიროებს სამედიცინო ჩარევას, ან ამ ნიადაგზე ჩაიდენს დანაშაულს.

სავსებით ლოგიკურად იბადება კითხვა: რა იწვევს ალკოჰოლიზმს და როგორ უნდა განხორციელდეს მისი სოციალური კონტროლი. ალკოჰოლიზმის გამომწვევ მიზეზებს შორის აღსანიშნავია 3 მთავარი მიზეზი: სოციალური, ფსიქოლოგიური და გენეტიკური.<sup>13</sup> ამათგან განსაკუთრებით ყურადსაღებია გენეტიკური მიზეზი.

**სოციალური მიზეზებიდან**, უპირველეს ყოვლისა, ვიტალური (სასიცოცხლო მოვლენებთან დაკავშირებული) მიზეზებია მნიშვნელოვანი: სიღარიბე, ცუდი კვება, მძიმე ცხოვრებისეული პირობები, უმუშევრობა. სასოწარკვეთილებაში მყოფი ადამიანი თრობაში პოულობს გამოსავალს, კარგავს რა მომავლის იმედს, რაც არ არის გამოსავალი და პირიქით – მდგომარეობის გაუარესებაა. სოციალური მიზეზებიდან, ასევე, შესაძლოა დავასახელოთ ცხოვრებისეული სირთულეები: მართობა, ოჯახის დანგრევა, ახლო ნათესავის მძიმე ავადმყოფობა ან გარდაცვალება და ა.შ. აქაც ადამიანები ალკოჰოლურ სასმელში ერთგვარ შვებას პოულობენ. თუმცა, მიჩვევის შემდგომ, ალკოჰოლის მიღება სისტემატურ ხასიათს იღებს და შედეგად დგება ქრონიკული ალკოჰოლიზმი.<sup>14</sup>

ფსევდოტრადიციები: სამუშაო დღის ბოლოს განტვირთვის მიზნით ალკოჰოლის მიღება, სხვადასხვა ე.წ. „ღირსშესანიშნავი“ დღეების აღნიშვნა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილში უკვე ჩვეულებად იქცა. ეს პრობლემა ძირითადად, დასაქმებულ და ანაზღაურებად სამსახურებში, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში დგას. ამ ფსევდოტრადიციულ ლოგიკას თუ მივყებით, ყოველდღე გამოიძებნება ალკოჰოლური სასმელის დაღვევის მიზეზი და 2–3 წელიწადში ადამიანი მემთვრალედ

ჩამოყალიბდება. ამ კატეგორიის მემთვრალეებისაგან ძალიან დიდ ზიანს იღებს საზოგადოება. ისინი ვერ ასრულებენ მაღალ დონეზე თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, მუშაობა იღებს ინერტულ სახეს, ახალ იდეებს ვერ ამუშავებენ, გონება გადართულია სამუშაო დღის დასრულებაზე, რომ მიიღონ ეთილის სპირტის განსაზღვრული დოზა, კარგავენ ინტერესს სამუშაოსადმი. ფსევდოტრადიციები ცუდ გავლენას ახდენენ არასრულწლოვანთა ფსიქიკაზე და ეჩვევიან ალკოჰოლს. ცნობილია, რომ ბავშვი ყოველთვის ბაძავს მშობელს, როცა ის უყურებს, თუ როგორ იქცევა უფროსი თაობა, ბავშვის ფსიქიკაც დადებითად განეწყობა ალკოჰოლური სასმელებისადმი და გამოდის, რომ არასრულწლოვანის მემთვრალედ ჩამოყალიბებაში უფროს თაობას შეაქვს დიდი წვლილი, აჩვევს არასრულწლოვანს პატარაობიდანვე დალევას. ალკოჰოლიზმის განვითარებაში ასევე, დიდი როლს ასრულებს რეკლამა.

**ფსიქოლოგიური მიზეზები** უმთავრესად დამოკიდებულია ადამიანის ნიჭსა და შესაძლებლობაზე, შეეგუოს ცხოვრებასა და საზოგადოებას. ძალიან ხშირად ადამიანები იმის გამო სვამენ, რომ პრობლემებს ვერ უზიარებენ სხვებს და იმყოფებიან მარტოობაში. ხდება ხოლმე, რომ ადამიანი ვერ ახერხებს თვითრეალიზაციას, თავისი პოტენციალის გამოვლენას და ცხოვრებაში თავისი ადგილის პოვნას. აქ სახეზეა ადამიანის სუსტი ნებისყოფა, რა დროსაც, ის განტვირთვისათვის მიმართავს ალკოჰოლს. სასმელში გამოსავალს პოულობენ, არასრულფასოვნების კომპლექსით დაავადებული ადამიანები.<sup>15</sup> ალკოჰოლს ხშირად იყენებენ როგორც ფსიქოტროპულ საშუალებას, რომელიც მოდუნებას იწვევს, ხსნის ემოციურ დაძაბვას, ცოტა ხნით მიიღწევა სულიერი სიმშვიდე. ფსიქოტროპული საშუალებებისაგან განსხვავებით, ალკოჰოლი იყიდება ყველა მაღაზიაში, ანუ ხელმისაწვდომია ყველგან და ყველასათვის. კიდევ ერთი ფსიქოლოგიური მიზეზი, რის გამოც ალკოჰოლის მიღებას ამართლებენ, არის ის, რომ გამოისწორონ ჯანმრთელობა. არსებობს მოსაზრება, რომ ალკოჰოლის მიღება ყოველდღიურად ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა რისკს. აქ ექიმების კონსულტაციის შემდეგ ინიშნება ღვინო 100-200 მლგ-ის ფარგლებში დღეში<sup>16</sup> და არა ყოველდღიურად ეთილის სპირტის შემცველი სასმელების დალევა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გასული წლის თებერვალში გამოქვეყნებული მონაცემებით, ალკოჰოლიზმით გამოწვეული დაავადებები ყოველწლიურად, 2,5 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. აქედან 300 ათასი შემთხვევა 15-დან 29 წლამდე ასაკის ჯგუფზე მოდის.<sup>17</sup>

**გენეტიკური მიზეზები.** კრიმინოლოგიაში დადასტურებულია, რომ ალკოჰოლიზმს იწვევს გენეტიკური ფაქტორები (ჩეზარე ლომბროზოს ცნობილი თანდაყოლილი დამნაშავეის იდეასა და ამ კონკრეტულ შემთხვევასთან გენეტიკა – ალკოჰოლიზმი – დანაშაულობა არის დიდი მსგავსება). ასევე, ამ მოსაზრებას ამყარებს ანტიკური ხანის უდიდესი ბერძენი ექიმი-მეცნიერი ჰიპოკრატე, რომელიც ამბობს, რომ „მემთვრალეობა არის ბავშვების ავადმყოფობისა და სისუსტის მიზეზი.“<sup>18</sup> შვეიცარიელი ფსიქიატრების კვლევებით, რომელიც ჩატარდა 8000-ზე მეტ სხვადასხვა მძიმე ფსიქოლოგიური დარღვევის მქონე ბავშვს (მათ შორის, იდიოტიზმით დაავადებულებსაც), დადგინდა, რომ მათი მშობლები იყვნენ ალკოჰოლის მომხმარებლები.<sup>19</sup> ახლო წარსულში, ამერიკელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევებმაც სრულიად დაადასტურა ალკოჰოლიზმის კავშირი გენეტიკასთან. მაგალითად, ნაშვილებ ოჯახებში, სადაც მშობლები საერთოდ არ მოიხმარდნენ ალკოჰოლს, ბავშვები გაიზარდნენ მემთვრალეებად. აღნიშნული კვლევის შედეგები გამყარებულ იქნა ბიოქიმიური ანალიზებით. კვლევებმა დაადასტურა, რომ ამ არასრულწლოვანთა ბიოლოგიური მშობლები იყვნენ ალკოჰოლიზმით დაავადებულნი. პრაქტიკულად, ამ კვლევების თანახმად, ალკოჰოლის გამომოწვევ მიზეზთა შორის უპირატესობა მიენიჭა გენეტიკურ ფაქტორებს. რუსეთის, ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო წრეებში აღიარებულ იქნა, რომ ალკოჰოლიზმი გადადის თაობიდან თაობაზე, მემკვიდრეობით.<sup>20</sup> ამიტომაც არის ურთულესი ალკოჰოლიზმის სოციალური კონტროლი.



### თავი 3. მემთვრალეობის (ალკოჰოლიზმის) სოციალური კონტროლი

უპირველეს ყოვლისა, ალკოჰოლიზმთან მიმართებით **სასჯელთა გამკაცრება** იქნება საზოგადოებისათვის სასარგებლო და სამართლიანი. ყველა დანაშაული რა თქმა უნდა, პრობლემატურია, რთულია. ალკოჰოლიზმი დანაშაული არ არის, მაგრამ არც ერთ დასჯად ქმედებაზე ნაკლები არ არის თავისი საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით. პირიქით, საკითხი გაცილებით უფრო მძიმედ დგას. ალკოჰოლიზმის გავრცელებას ერის გადაგვარება შეუძლია, ვისთვის ან რისთვის იქნება საჭირო კანონები, თუ ამ სენმა პროგრესირებადი ხასიათი მიიღო? საჭიროა სისხლისა და ადმინისტრაციულ კანონმდებლობათა სრული გამკაცრება მემთვრალეობასთან მიმართებით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სასჯელთა სიმკაცრეს ის დანიშნულებაც ექნება, რომ საწყის ეტაპზე, ის მოსახლეობის სამართალშეგნების და სამართლებრივი კულტურის ამაღლებაში დიდ წვლილს შეიტანს. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა გამკაცრდა, სიმთვრალეში ჩადენილ ავტო-სატრანსპორტო დარღვევებთან მიმართებით, ეს არ არის საკმარისი. სისხლის სამართლის უკლებლივ ყველა მუხლისათვის ალკოჰოლური სიმთვრალე უნდა გახდეს დამამძიმებელი გარემოება. ხოლო საჯარო მოსამსახურეთათვის დაწესდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის უმაღლესი ზომები სამსახურებრივი მოვალეობის ნასვამ მდგომარეობაში შესრულებისთვის (მით უმეტეს, რომ ამის კონტროლი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით იოლადაა შესაძლებელი). ალკოჰოლიზმის სოციალური კონტროლის ასევე, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა, მოსახლეობაში ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდა, დანაშაულობის სოციალური კონტროლის სპეციალიზებული სუბიექტების – მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, სპეციალურ გამოცემათა, რედაქციების მხრიდან მეტი ყურადღების დათმობა ამ პრობლემისადმი, სისტემატური სამეცნიერო დისკუსიების წარმოება და მოსახლეობის ინფორმირება. მკაცრი ზედამხედველობის დაწესება ალკოჰოლური სასმელების ყიდვა-გაყიდვაზე: დაუშვებელია, რომ ეთილის სპირტის შემცველი ალკოჰოლური სასმელები იყიდებოდეს ყველა მაღაზიაში. ამისათვის გამოყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მაღაზიები და მათ გაყიდვაზე ხორციელდებოდეს მკაცრი ზედამხედველობა, რათა დაცულ იქნეს კანონის მოთხოვნები არასრულწლოვანთათვის მათი მიყიდვის დაუშვებლობაზე. ალკოჰოლური სასმელების რეკლამის აკრძალვა. მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის ამაღლება და კრიმინოლოგიის ფარგლებში ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო სწავლება; ალკოჰოლიზმით დაავადებულ პირთათვის სპეციალური სარეაბილიტაციო ისეთი დაწესებულებების შექმნა, სადაც სამედიცინო დახმარებასთან ერთად, დაავადებულ პირებს ჩაუტარდებათ სრულფასოვანი ფსიქოლოგიური დახმარება სახელმწიფო სახსრებით და ისინი შეძლებენ ფიზიკურ და სულიერ გამოჯანმრთელებას; სპეციალური პროგრამების განხორციელება ამ მიმართულებით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოსახლეობის სწავლა-აღმზრდელობით საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გენეტიკურად გადაცემული ალკოჰოლიზმის პრევენცია მხოლოდ და მხოლოდ სწორი აღმზრდელობითი საქმიანობით არის შესაძლებელი და ასეთ შემთხვევაში, არასრულწლოვანი არა პოტენციურ მემთვრალედ, არამედ საზოგადოებისათვის დიდი სარგებლის მომტან პიროვნებადაც შეიძლება ჩამოყალიბდეს. ისტორიულად დადასტურებულია, რომ მოზარდ-ახალგაზრდობის სწორ აღმზრდელობით საქმიანობას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება დანაშაულობისა და დევნიციათა, მათ შორის, ალკოჰოლიზმის სოციალური კონტროლისათვის.



შენიშვნები:

- 1 <http://vuzlib.org>
- 2 [userdocs.ru/literatura/26406/index.html](http://userdocs.ru/literatura/26406/index.html)
- 3 ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი – (რუს.: Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона, დიდი გამოცემა, 86 ტომი) რუსული უნივერსალური ენციკლოპედია, რომელიც გამოდიოდა მეფის რუსეთში 1890–1906 წწ, საგამომცემლო სს „ფ. ა. ბროკჰაუზი – ი. ა. ეფრონის“ მიერ (პეტერბურგი, 1890–1907 წწ.). შეიცავს 121 240 სტატიას, 7 800 სურათსა და 235 რუკას. სტატიები დაწერილი იყო იმ დროის წამყვანი სწავლულების მიერ, მათ შორის, ივანე დიმიტრი მენდელეევი და ვლადიმერ სოლოვიოვი. ენციკლოპედიას ჰყავდა რამდენიმე ქართველი ავტორიც: ივანე თარხანოვი (თარხან-მოურავი) (1846–1908) – ფიზიოლოგი, ინიციალებით [И. Т.] ალექსანდრე ხახანაშვილი (ხახანოვი) (1866–1912) – ფილოლოგი-ორიენტალისტი, ალექსანდრე ცაგარელი (1844–1929) – ფილოლოგი-ენათმეცნიერი, ინიციალებით [А. Ц.] გრიგოლ წერეთელი (1870–1938) – კლასიკური ფილოლოგია, ინიციალებით [Г. Ц.]
- 4 უცარი დადამბლავება, დამბლის დაცემა, რაც გამოწვეულია ტვინში სისხლის ჩაქცევით ან ტვინის სისხლძარღვის დაცობით.
- 5 მწვავე ალკოჰოლური ფსიქოზი, რომელიც ვითარდება ქრონიკული ალკოჰოლიზმის მეორე და მესამე ალკოჰოლის შეწყვეტიდან 2-3 დღის შემდეგ აბსტინენციის ფონზე.
- 6 საქართველო დანაშაულის გარეშე, რა თქმა უნდა, სრულიად შესაძლებელია, რომ მივიღოთ სწორი კრიმინოლოგიური პოლიტიკის განხორციელებით. აქ არ იგულისხმება სამართალდარღვევები და გადაცდომები.
- 7 [www.sibrdzne.ge](http://www.sibrdzne.ge)
- 8 ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსისა გაბრიელისა, ტომი II, გვ. 233.
- 9 <http://vuzlib.org>
- 10 [www.police.ge](http://www.police.ge)
- 11 იგივე.
- 12 იხ.: <http://kakzdorovo.ru/library/alkogol-kak-faktor-prestupnosti/51/994.html>
- 13 [alcostop.org/materials/prichiny-alcoholisma](http://alcostop.org/materials/prichiny-alcoholisma)
- 14 შეად.: <http://www.alkmed.ru/prichiny-alkogolizma/soczialnye-prichiny.html>
- 15 შეად.: <http://cpp-vozpogdenye.ru/content/view/28/53/>
- 16 [http://en.wikipedia.org/wiki/Health\\_effects\\_of\\_wine](http://en.wikipedia.org/wiki/Health_effects_of_wine)
- 17 <http://www.tabula.ge>
- 18 <http://prozavisimost.ru/alkogolizm/deti-alkogolikov.html>
- 19 <http://vuzlib.org>
- 20 იხ.: [http://naviny.by/rubrics/society/2008/06/19/ic\\_articles\\_116\\_157672/](http://naviny.by/rubrics/society/2008/06/19/ic_articles_116_157672/)

# CRIMINOLOGY OF ALCOHOLISM

MIKHEIL GABUNIA  
*Doctor of Law, Professor*

Problem of alcoholism in Georgia needs to be studied in depth from the criminological point of view. The direct link of alcoholism with the crime has been proved. Alcoholism is recognized to be the “plague” of the 21<sup>st</sup> century. The state and the society need to take immediate and effective steps to stop this negative occurrence. First of all, it is necessary to bring this problem to the knowledge of every citizen. Spread of alcoholism hinders the development of the society and the state in general. It is a fact and it is worth mentioning that the grave consequences caused by alcoholism are directly reflected on the demographic situation of the nation, population welfare, etc. A person, who is sick with alcoholism, cannot create anything valuable, their labor capacity is lost; neither do they feel responsibility to the country, people and family, and in fact they become the ones who can only cause damage to the society.

Alcoholism mostly has three causes: social, psychological and genetic. Among them the genetic one is predominant. High-level scientific researches proved reliability of the finding that alcoholism is hereditary, and in this case the right upbringing of a minor person was recognized to be the only means for its prevention. In this respect, it is possible to have excellent results and not only an adolescent can become a law-abiding citizen, but also the public can benefit from him/her, a lot of examples of which can be found in the world history.

There are various measures of social control for alcoholism: anti-alcoholism classes at schools within the frameworks of criminology; anti-alcoholism propaganda, instituting strict supervision on sale of alcoholic beverages and prohibition of advertising; imposing stricter sanctions for the crimes committed while being drunk, and tightening the measures for disciplinary and administrative offenses committed by drunk individuals; also creating a special facility for the people sick with alcoholism, where they will have access to physical and psychological treatment; implementing the special state programs in this direction; and most importantly – raising the legal culture of public, and conducting right educational activities for bringing up the minors, as far as consequently they will develop internal laws that will never change.

# საჯარო სამსახურში სამსახურის გავლის წესის გოგირთი სამართლებრივი ასპექტები

## გურაბ სეფიაშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის  
სამართლის პროგრამის დოქტორანტი*

საჯარო მოხელის ინსტიტუტი და მისი კვალიფიციურობა მეტად მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოსთვის. ქვეყანაში დამკვიდრებული საჯარო მოხელეების ხშირი ცვლის პრაქტიკა უარყოფითად მოქმედებს, როგორც საჯარო მოხელის ინსტიტუტზე, ასევე, გაწეული მომსახურების ხარისხზე. დემოკრატიული განვითარება არ გამოიხატება მხოლოდ ხელისუფლების არჩევნებით ცვლილებაში, ის უკავშირდება ქვეყნის ინსტიტუციურ განვითარებასაც, სადაც მნიშვნელოვანი როლი საჯარო მოხელეს უკავია.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში უამრავი საკითხებია მოუწესრიგებელი ან ისეა დარეგულირებული, რომ საჯარო მოხელეთა შერჩევა და სამსახურიდან დათხოვნა არ არის ობიექტური, რაც საკმაოდ პრობლემური საკითხია.

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ჩვენს საზოგადოებას მიეცა დემოკრატიული განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის საშუალება. გამოვლინდა, მისი უზენაესობა ხალხის ძალაუფლება, რაც ხელისუფლების დემოკრატიული ცვლით დასრულდა. ხელისუფლების აღმასრულებელმა, საკანონმდებლო და მართლმსაჯულების შტომ ყველაფერი უნდა გააკეთოს ამ დადებითი მუხტის შესანარჩუნებლად, რაც აუცილებლად უნდა აისახოს როგორც ნორმატიულ აქტებში, ასევე, თვით ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ხალხის მიმართ დამოკიდებულებაში.

ბოლო წლების განმავლობაში, ქვეყანაში დაგროვდა სამსახურიდან გათავისუფლებულ ყოფილ საჯარო მოხელეთა მთელი არმია. ხელისუფლების ცვლილებამ ხალხში ჩამოაყალიბა შეხედულება იმის შესახებ, რომ ისინი რეაბილიტირებას შეძლებდნენ. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მართლაც დაიწყო მათი სამსახურში აღდგენა, რაც ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისათვის ძალიან კარგია. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ საზოგადოების ნაწილისათვის სამართლიანობის აღდგენამ საზოგადოების მეორე ნაწილში გამოიწვია პროტესტის გრძნობა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში, საჯარო სამსახურში ადრე გათავისუფლებული მოხელეების აღდგენა ხდება მოქმედ საჯარო მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლების ხარჯზე.

სამწუხაროდ, როგორც ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, საქართველოში მმართველი პოლიტიკური ძალის ცვლილებას ავტომატურად მოსდევს საჯარო სამსახურებში კადრების ცვლილებები, რაც ვფიქრობთ, არასწორია და ეს ტენდენცია აუცილებლად უნდა შეიცვალოს. როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფო ყოფილ და მოქმედ საჯარო მოხელეთა ინტერესები ისე, რომ ქვეყანაში ამ კუთხით, ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს როგორც სპეკულაციები, ასევე, აღმოიფხვრას სამსახურის დაკარგვის შიში. ეს პრობლემა ძალიან ვრცელია და მეტნაკლებად ეხება აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლს.

მიგვაჩნია, რომ საჯარო სამსახურში დასაქმება ან გათავისუფლება არ უნდა იყოს მარტივი, ვინაიდან საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის შესრულების ხარისხი ქვეყნის განვითარების დონის ერთ-ერთი მაჩვენებელია. საჯარო მოხელის პროფესიონალად ჩამოყალიბებისათვის სახელმწიფო ხარჯავს საკმაოდ დიდ რესურსს და ქვეყანაში მმართველი პოლიტიკური ძალის ცვლილება არ უნდა ეხებოდეს საჯარო მოხელეებს. სწორედ ზემოთ მოტანილი არგუმენტების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ სტატიაში განხილული თემა ძალზე აქტუალურია.

აღნიშნულ სტატიაში განვიხილავთ საჯარო მოხელეთა სამსახურში მიღებისა და სამსახურიდან გათავისუფლების ზოგიერთ სამართლებრივ ასპექტებს. ვფიქრობთ, არსებული რეგულაციებისადმი მხოლოდ კრიტიკული დამოკიდებულება არ იქნება სამართლიანი, ამიტომ კრიტიკასთან ერთად საჭიროა ამ პრობლემის მოგვარების გზების დასახვა ისე, რომ მომავალში ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილება არ აისახოს საჯარო მოხელეების დასაქმებაზე.

საჯარო მოხელეთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების მიზნით, მიზანშეწონილია განვიხილოთ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ადგენს: საჯარო მოხელეთა სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების ზოგად წესს, საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამ კანონის თანახმად, საჯარო სამსახურში მუშაობა ნიშნავს საქმიანობას სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამა თუ იმ დაწესებულებაში სამსახური საჯარო სამსახურად განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულება საბიუჯეტო სახსრებით შეიქმნა, ბიუჯეტის დაფინანსებაზე იმყოფება და ახორციელებს საჯარო ფუნქციონირებას.<sup>1</sup> საჯარო სამსახური შეიძლება დავყოთ ორ სახედ: სახელმწიფო სამსახურად და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში სამსახურად. ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურებში მომუშავე მოსამსახურეები სახელმწიფო მოსამსახურეებად ითვლებიან.<sup>2</sup>

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი პირდაპირ განმარტავს საჯარო მოსამსახურის სახეებს, ესენია: ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები; ბ) მოხელეები; გ) დამხმარე მოსამსახურეები; დ) შტატგარეშე მოსამსახურეები.<sup>3</sup>

მოხელე არის საჯარო მოსამსახურის უმთავრესი კატეგორია, რომელსაც ეხება ეს კანონი. საჯარო

მოხელედ ითვლება პირი, რომელიც სახაზინო დაწესებულებაში საშტატო თანამდებობაზე მუშაობს. იგი თანამდებობაზე გამწესდება ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. ამავე დროს მის ფუნქციაში აუცილებლად უნდა შედიოდეს საჯარო ხელისუფლების განხორციელება.<sup>4</sup>

დამხმარე მოსამსახურეები ასრულებენ ტექნიკურ ფუნქციას. ისინი თანამდებობაზე ინიშნებიან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და მოხელისაგან განსხვავებით, არ მონაწილეობენ საჯარო ხელისუფლების განხორციელებაში.

შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობა შტატით არ არის გათვალისწინებული. ზოგ შემთხვევაში, ამა თუ იმ დაწესებულებების წინაშე დგება დროებითი ამოცანები, სწორედ ამ დროს იქმნება საჯარო მოსამსახურეთა დროებით აყვანის აუცილებლობა. შტატგარეშე მოსამსახურე დროებით, არამუდმივი ხასიათის სამუშაოებს ასრულებს. მას არ შეიძლება ისეთი ფუნქციები დაეკისროს, რომელიც მოცემული საჯარო დაწესებულებისათვის რუტინულ ფუნქციას წარმოადგენს. შტატგარეშე მოსამსახურე შეიძლება საჯარო ხელისუფლებასაც ახორციელებდეს. იგი შეიძლება თანამდებობაზე დაინიშნოს ბრძანების საფუძველზე ან მასთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება.<sup>5</sup>

კანონით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა, საჯარო მოხელე უვადოდ მიიღება. საჯარო სამსახურში მიღება ემყარება ხელმისაწვდომობისა და თანასწორობის პრინციპს, რაც ნიშნავს, რომ ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე და ყველას შეეძლოს საჯარო სამსახურში დასაქმება. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო სამსახურში მიღებაზე მოქმედებს ხელმისაწვდომობის პრინციპი, კანონმდებელმა დააწესა სპეციალური მოთხოვნები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს კანდიდატი.

მთავარი მოთხოვნა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო სამსახურში მისაღები კანდიდატი, არის საქართველოს მოქალაქეობა, კერძოდ, სახელმწიფო სამსახურში მიიღება 21 წლის, ხოლო მუნიციპალურ სამსახურში 18 წლის ასაკს მიღწეული საქართველოს მოქალაქე.<sup>6</sup> თუმცა, ამ მხრივ, კანონმდებელი ასევე, ითვალისწინებს გამონაკლისსაც, რომელიც ეხება უცხოეთში მცხოვრები თანამოქალაქის სტატუსის მქონე პირს. ამ გამონაკლისის თანახმად, „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება, მიაღწია 21 წლის ასაკს და ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, საჯარო სამსახურში შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.“<sup>7</sup> ვფიქრობთ, ეს ცვლილება მნიშვნელოვანია უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის, თუმცა, როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, საჯარო სამსახურში მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი არის მოქალაქეობრივი კუთვნილება, რაც ამ გამონაკლისით, ასე ვთქვათ, უგულვებელყოფილია. როგორც ჩვენთვის ცნობილია, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით შრომითი ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია როგორც შტატგარეშე, ასევე დამხმარე მოსამსახურეთათვის. ამასთან, შტატგარეშე მოსამსახურეს, შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეიძლება დაევალოს საჯარო ფუნქციის განხორციელება. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კანონში გაურკვეველია შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე პირს საჯარო სამსახურში დასაქმების შემდეგ, აქვს თუ არა თავისი ფუნქციის შესრულებისას საჯარო ხელისუფლების განხორციელების შესაძლებლობა. ვფიქრობთ, რომ დღევანდელი კანონმდებლობისათვის შესაძლებელია მსგავსი სტატუსის მქონე პირს შრომითი ხელშეკრულებით დაევალოს საჯარო ხელისუფლების განხორციელება, რაც არასწორია. ჩვენი აზრით უმჯობესია, რომ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე პირი საჯარო სამსახურში დასაქმდეს, როგორც დამხმარე მოსამსახურე, რაც აუცილებლად უნდა აისახოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში.

საჯარო სამსახურში მიღების მომდევნო ძირითადი კრიტერიუმია სახელმწიფო ენის ცოდნა. ამ



კუთხით, საკმაოდ სერიოზული პრობლემები იყო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, მაგალითად, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. სახელმწიფომ განახორციელა სხვადასხვა სახის პროგრამები, რამაც შედეგი გამოიღო. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, ამ კუთხით მიღწეულია მნიშვნელოვანი პროგრესი, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ, ბევრია.

კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ პირდაპირ კრძალავს განსაზღვრული კატეგორიის პირთა საჯარო სამსახურში მიღებას. ეს ჩამოყალიბებულია ამ კანონის მე-17 მუხლში, რომლის თანახმადაც: „საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი: ა) ნასამართლევა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის და მოხსნილი არა აქვს ნასამართლობა; ბ) იმყოფება გამოძიების ქვეშ ან პატიმრობაში; გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია ქმედუუნაროდ ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ; დ) სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; ე) სამედიცინო დასკვნის თანახმად, მისი ჯანმრთელობა არ აკმაყოფილებს მოცემული თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელ მოთხოვნებს; ვ) თანამდებობის დაკავების შედეგად უშუალო სამსახურებრივი ზედამხედველობით უკავშირდება მშობელს, მეუღლეს, დას, ძმას, შვილს ან მეუღლის დას, ძმას, მშობელს; ზ) არის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის პრეტენდენტი, კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა.“

მოქმედი კანონის თანახმად, საჯარო სამსახურში მოხელეები შეიძლება დაინიშნონ კონკურსის წესით ან გამოსაცდელი ვადით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, „პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა ამ კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“<sup>48</sup> ამ შემთხვევებში საინტერესოა, დროებით მოვალეობის შემსრულებლის ინსტიტუტის განხილვა, რომლის არსებობა, ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან კონკურსის წესით თანამდებობაზე საჯარო მოხელეთა მიღების პროცედურა დაკავშირებულია დროის ფაქტორთან. ამ პროცედურის გვერდის ავლით მოხელეთა დროებით მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა ფრიად მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურის შეუფერხებლად მუშაობისათვის. თუმცა, ხელისუფალი საჯარო ინსტიტუტების ფუნქციონირების უწყვეტობიდან გამომდინარე, ამ ინსტიტუტს ყოველთვის არ იყენებს, როგორც საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის ბატონ ირაკლი კოტეტიშვილის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს,<sup>49</sup> საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, უამრავი საჯარო მოხელეა გათავისუფლებული თანამდებობიდან, რომელიც ჩაანაცვლა დროებით მოვალეობის შემსრულებელმა. ამას ადასტურებს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მიერ გამოქვეყნებული მასალები. არჩევნების შემდეგ, ყველაზე მეტი დროებით მოვალეობის შემსრულებელი აღირიცხა ფინანსთა სამინისტროში (235), სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში (34), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში (19).<sup>104</sup>

მისასალმებელია, რომ კანონმდებელმა გამოასწორა ე.წ სამართლებრივი ხარვეზი და შემოიტანა ცვლილებები, რომელთა მიხედვით, მაღალი რანგის თანამდებობის პირი (დეპარტამენტის, სამმართველოს უფროსი და ა.შ) დროებით მოვალეობის შემსრულებლად შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს, 1 წლის ვადით, ხოლო სხვა თანამდებობებზე – არა უმეტეს, 3 თვის ვადით.

მთლიანად ვიზიარებთ იმ აზრს, რომ „ზოგადად, კონკურსი არის საუკეთესო გზა, სახელმწიფომ დაიქირავოს კომპეტენტური პროფესიონალები, რათა თავის მხრივ, მათ მაღალი ხარისხის სერვისი მიაწოდონ მოქალაქეებს. კონკურსი ასევე, აუცილებელია, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ რწმენა საჯარო სამსახურში დასაქმების სამართლიანობისა და მერიტოკრატიისადმი.“<sup>101</sup> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილება მისასალმებელია და ვფიქრობთ, მომავალში მას საზოგადოება დადებითად შეაფასებს.

ცალკე განხილვის თემად შეიძლება იქცეს ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესი, მისი გამჭვირვალობა და ობიექტურობა. ამ კუთხით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკონკურსო და საატესტაციო კომისიის შექმნისა და კონკურსის ჩატარების წესის ზოგადი მიმოხილვა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო დაწესებულებაში იქმნება შესაბამისი მულტიმომქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისია, რომლის თავმჯდომარესაც შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით ნიშნავს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი (როგორც წესი, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება ამავე დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე), ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულო.

მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო კონკურსს საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდის მეშვეობით აცხადებს შესაბამისი საბიუჯეტო დაწესებულება. კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა მინიმუმ, 10-დღიანი ვადა. კონკურსის შესახებ შეტყობინება უნდა შეიცავდეს საკონკურსო თანამდებობის დასახელებას, მოთხოვნების ჩამონათვალს, შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ინფორმაციას, ხელფასის ოდენობას, განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადასა და შესაბამისი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართს.

კონკურსის დროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია აფასებს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნებთან, აუცილებლობის შემთხვევაში, ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს და გამოაქვს თავისი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით.<sup>12</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად, კანონმდებელმა დაარეგულირა ვაკანტურ თანამდებობაზე მოხელის მიღების ზოგადი წესი, ვფიქრობთ, ეს არ არის საკმარისი. დღეისათვის არ არის დაკონკრეტებული კანდიდატთა ობიექტურად შერჩევის მექანიზმი, რაც კომისიის წევრებს უტოვებს პრეტენდენტის სუბიექტურად შეფასების შესაძლებლობას. ამ კუთხით, ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ კანონით კანდიდატთა შერჩევის პროცესში პროფესიული უნარ-ჩვევების გამოვლენისათვის სავალდებულო გახდება ტესტირებისა და გასაუბრების შემოღება, ხოლო პროცესის მეტი გამჭვირვალობისათვის საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში წევრის სტატუსით ჩართული იქნება საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელი. ამის განხორციელების შემდეგ, ვფიქრობთ, საზოგადოების ეჭვი კონკურსის წესით საჯარო სამსახურში მოხელეთა ობიექტურად დანიშვნასთან დაკავშირებით, შემცირდება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამოსაცდელი ვადის ინსტიტუტს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დღეის მდგომარეობით საჯარო სამსახურში შეიძლება მოხელეები დაინიშნონ კონკურსის წესით ან გამოსაცდელი ვადით.

რა არის გამოსაცდელი ვადა? „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირს, რომელსაც მოხელის სამსახურში მიღების უფლება აქვს, შეუძლია მოხელის თანამდებობაზე დანიშვნისას გამოიყენოს გამოსაცდელი ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. კანონმდებლის განმარტებით „გამოსაცდელი ვადის განმავლობაში მოწმდება მოხელის პროფესიული ჩვევების, შესაძლებლობებისა და პირადი თვისებების შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. არადადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში, მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან გამოსაცდელი ვადის განმავლობაში.“<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ კანონმდებელი არ ითვალისწინებს მოხელის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის აუცილებლობას, ეს საჯარო სამსახურის დისკრეციული უფლებაა. კანონის თანახმად, გამოსაცდელი ვადა არ გამოიყენება: პრეზიდენტის

მიერ დანიშნული მოხელის მიმართ, პარლამენტის მიერ არჩეული ან დანიშნული მოხელის მიმართ, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ დანიშნული მოხელის მიმართ, პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული მოხელის მიმართ, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ არჩეულ მოხელეთა მიმართ, დროებით არმყოფი მოხელის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად დანიშნისას.<sup>14</sup>

რისთვის არის შემოღებული გამოსაცდელი ვადა, თუ შესაძლებელია კონკურსის წესით ან დროებითი მოვალეობის შემსრულებლად მოხელის სამსახურში მიღება? სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში არ არის, არც ამ ინსტიტუტის გამოყენების შემთხვევებით მითითებული, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საფუძველს, რომ აღნიშნული კიდეც ერთი სამართლებრივი ხარვეზია, რომელიც დამსაქმებელს (საუბარია საჯარო დაწესებულებებზე) თავისი დისკრეციული უფლებიდან გამომდინარე, კონკურსის გვერდის ავლით საჯარო მოხელეების დანიშვნის საშუალებას აძლევს. ვფიქრობთ, ეს საკითხი საჯარო სამსახურში დასაქმების სამართლიანობიდან გამომდინარე, დასარეგულირებელია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი შესაძლებელია დარეგულირდეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, მიგვაჩნია, რომ მოხელის გამოსაცდელი ვადით დანიშვნის საფუძველები უნდა აისახოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში.

სახელმწიფო ჩინოვნიკის სამართლებრივი სტატუსი მყარია და იგი დატვირთულია შესაბამისი გარანტიებით. ამრიგად, სახელმწიფო მოსამსახურის დამახასიათებელი ნიშანია მის მიერ დაკავებული თანამდებობის მუდმივი და მყარი ხასიათი, მოსამსახურის სტაბილური მდგომარეობა და ადმინისტრაციის თვითნებობისაგან სრული დაცვის გარანტირება.<sup>15</sup> მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეის მდგომარეობით, მოხელეთა უსამართლოდ გაათავისუფლება ერთ-ერთი პრობლემური საკითხია.

საჯარო მოხელის სამსახურიდან დათხოვნის უფლება აქვს იმ პირს ან დაწესებულებას, რომელსაც აქვს მისი სამსახურში მიღების უფლება. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების რამდენიმე საფუძველი: სამსახურიდან გათავისუფლება ვადის გასვლის გამო; გათავისუფლება საკუთარი ინიციატივის საფუძველზე; სამსახურიდან გათავისუფლება დაწესებულების ლიკვიდაციის, რეორგანიზაციისა და შტატების შემცირების გამო; სამსახურიდან გათავისუფლება სხვა არაკანონიერად გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში; სამსახურიდან გათავისუფლება დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო; სამსახურიდან გათავისუფლება დისციპლინური გადაცდომისათვის; სამსახურიდან გათავისუფლება ხანგრძლივი შრომისუნარობის გამო; სამსახურიდან გათავისუფლება მოხელის სამხედრო ან ალტერნატიულ სამსახურში გაწვევის გამო; სამსახურიდან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის გამო; სამსახურიდან გათავისუფლება დადგენილი მოთხოვნების დარღვევით სამსახურში მიღების გამო; სამსახურიდან გათავისუფლება სხვა დაწესებულებაში გადასვლასთან დაკავშირებით; სამსახურიდან გათავისუფლება მოქალაქეობის შეცვლის გამო; სამსახურიდან გათავისუფლება გარდაცვალების გამო.

სამსახურიდან გათავისუფლების წარმოდგენილი საფუძველებიდან დღეს განვიხილავთ რამდენიმეს, რომლებიც ვფიქრობთ, პრობლემატურია და საჭიროებს ცვლილებებს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „პირი თავისი ინიციატივით თავისუფლდება სამსახურიდან, თუ მისი სამსახურში მიღების უფლების მქონე მოხელე ან დაწესებულება დააკმაყოფილებს მის წერილობით განცხადებას.“<sup>16</sup> მაშასადამე, პირი საკუთარი სურვილით შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან, თუ მისი ხელმძღვანელი დააკმაყოფილებს მის მოთხოვნას. ვფიქრობთ, რომ ჩანაწერი, რომელიც ეხება ხელმძღვანელის თანხმობას არასწორია, რადგან ყოველივე ნიშნავს, რომ მოხელის სამსახურიდან წასვლა დამოკიდებულია ხელმძღვანელის სურ-

ვილზე, ვინაიდან ჩანაწერი მას აძლევს უფლებას არ დააკმაყოფილოს განცხადება. მიგვაჩნია, რომ კანონში აუცილებლად უნდა გაკეთდეს ჩანაწერი იმის შესახებ, რომ სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადებაზე ხელმძღვანელის მიერ უარის შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული მოხელის სამსახურში ყოფნის აუცილებლობა.

მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დაწესებულების ლიკვიდაციის გამო. ასეთ შემთხვევაში, ის სამსახურიდან თავისუფლდება დაწესებულების საქმიანობის შეწყვეტის დღიდან. თუ დაწესებულების რეორგანიზაციას თან არ სდევს შტატების შემცირება, მაშინ მხოლოდ რეორგანიზაციის შედეგად მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლება დაუშვებელია. მაგრამ თუ რეორგანიზაციას თან სდევს შტატების შემცირება, დაწესებულების ხელმძღვანელი „უფლებამოსილია“ ჩაატაროს ატესტაცია და მისი შედეგები გაითვალისწინოს. ამ დებულებაში საყურადღებოა, რომ შტატების შემცირების შემთხვევაში, კანონმდებელი იმპერატიულად არ ავალდებულებს ადმინისტრაციას არც ატესტაციის ჩატარებას და არც მისი შედეგების გათვალისწინებას, რის გამოც, რეორგანიზაცია ხშირად არასასურველი კადრის თავიდან მოცილებისთვის გამოიყენება. მიგვაჩნია, რომ ამ კუთხით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ეს დებულება დასახვეწია. ვფიქრობთ, სამართლიანობისთვის კარგი იქნება, თუ საჯარო დაწესებულებაში შტატების შემცირების შემთხვევაში, კანონით სავალდებულო გახდება, როგორც ატესტაციის ჩატარება ასევე, მისი შედეგების გათვალისწინება, რაც შეამცირებს ე.წ. არასასურველი კადრების თავიდან მოცილების სიხშირეს.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოხელე შეიძლება გაათავისუფლონ სამსახურიდან, არაკანონიერად გათავისუფლებული სხვა მოხელის სამსახურში აღდგენის შემთხვევაში. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი უკანონოდ გათავისუფლებულ საჯარო მოხელეს საკუთარ თანამდებობაზე დაბრუნების საშუალებას აძლევს, თუმცა ვთვლით, რომ ამით ირღვევა ამ თანამდებობაზე უკვე დასაქმებული პირის უფლებები. ასეთ შემთხვევაში, კარგი იქნება, თუ კანონი გაითვალისწინებს ამ საჯარო მოხელის პროფესიულ უნარ-ჩვევებს და აქედან გამომდინარე, მიეცემა მას ამავე დაწესებულებაში ტოლფას, ან თანხმობის შემთხვევაში, უფრო დაბალ ვაკანტურ თანამდებობაზე გადასვლის საშუალება. შეთავაზებაზე წერილობითი უარი მისი სამსახურიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი უნდა გახდეს.

მოხელე სამსახურიდან შეიძლება გათავისუფლდეს დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო. აქ იგულისხმება გამოსაცდელი ვადის არადადამაკმაყოფილებელი შედეგით დასრულება, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის უქონლობა, სახელმწიფო ენის არასათანადო ცოდნა, ჯანმრთელობის არასათანადო მდგომარეობა, საჯარო მოხელის მიერ საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების მოხმარების ფაქტი და არადადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევები, რომლის შეფასებაც ატესტაციით ხდება. თუმცა, კანონი იძლევა არადადამაკმაყოფილებელი პროფესიული ჩვევების გამო, ატესტაციის გარეშე სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას. კანონის ეს ჩანაწერი საკმაოდ სადავოა და სუბიექტური გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს.

მოხელე შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან დისციპლინური გადაცდომისათვის. რა თქმა უნდა, ვეთანხმებით იმ აზრს, რომ საჯარო სამსახურში შრომითი დისციპლინა უნდა იყოს მაღალი და ადმინისტრაციას მართლაც ჰქონდეს უდისციპლინო თანამშრომელთა სამსახურიდან დათხოვნის საშუალება, თუმცა, კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული დებულება არ არის სრულყოფილი, რის გამოც, საჯარო სამსახურების უდისციპლინო კადრისგან გაწმენდა, რბილად რომ ვთქვათ, მიკერძოებულად ხდება. ვფიქრობთ, ამ ხარვეზის შევსება შესაძლებელია, თუკი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით სავალდებულო გახდება სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში



დისციპლინური წესდების შემოღება, რომელშიც შეძლებისდაგვარად დეტალურად გაიწერება ის შემთხვევები (შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებებით), რომლის დროსაც შესაძლებელი გახდება ამა თუ იმ გადაცდომაზე ადეკვატური დისციპლინური სახდელის, მათ შორის, მისი ერთ-ერთი სახეობის – „სამსახურიდან გათავისუფლების“ გამოყენება. ასევე, დეტალურად უნდა გაიწეროს რა სამართლებრივ შედეგს გამოიღებს დისციპლინური გადაცდომის ჩამდენის მიმართ ამა თუ იმ სახდელის გამოყენება.

მოხელე შეიძლება თანამდებობიდან გაათავისუფლონ ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო, კერძოდ, თუ ავადმყოფობიდან ან დასახიჩრებიდან გამომდინარე, სამსახურში ზედიზედ ოთხი თვე ან კალენდარული წლის მანძილზე ექვსი თვე არ გამოცხადდება, ადმინისტრაციას უფლება აქვს ის გაათავისუფლოს სამსახურიდან. ჩვენი აზრით, საპატიო მიზეზით შრომისუუნარობა არ უნდა იყოს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, ვინაიდან საქმე გვაქვს სამსახურში საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობაზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აპრობირებულია ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლება. თუმცა, ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, პოლონეთში საპატიო მიზეზით ხანგრძლივი შრომისუუნარობით სამსახურში გამოუცხადებლობის ვადა არის ერთი წელი, რაც მეტად მნიშვნელოვანია. ვფიქრობთ, კარგი იქნება თუ ჩვენი კანონმდებელი დანერგავს ამ პრაქტიკას.

კარგია, რომ ხანგრძლივი შრომისუუნარობის გამო გათავისუფლებულისათვის კანონით გათვალისწინებულია კომპენსაცია – 1 თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. თუმცა მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კომპენსაცია ძალიან მცირეა და ის აუცილებლად უნდა გაიზარდოს.

აღსანიშნავია, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, მისი მოქმედება, გამონაკლისი მუხლების გარდა, არ ვრცელდება სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს წევრებზე. ქვემოთ ჩამოთვლილ მოსამსახურეებზე ეს კანონი ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საქართველოს კონსტიტუციით, სპეციალური კანონმდებლობით ან მათ საფუძველზე სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს მოსამსახურეები არიან:

ა) საქართველოს კონსტიტუციის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების საფუძველზე არჩეული, დანიშნული და დამტკიცებული თანამდებობის პირები; ბ) მოსამართლეები; გ) პროკურორები; დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს აღსრულების პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები; ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები; ვ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მოსამსახურეები; ზ) საქართველოს დაზვერვის სამსახურის მოსამსახურეები; თ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები; ი) სამხედრო მოსამსახურეები; კ) დიპლომატიური სამსახურის თანამშრომლები; ლ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლები; მ) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის სისტემის ორგანოების თანამშრომლები; ნ) საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მოსამსახურეები; ო) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბისა და სახმელეთო ჯარების თანამშრომლები/მოსამსახურეები.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი აწესებს საჯარო სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების ზოგად წესს. თუმცა, საჯარო სამსახურის სახეები მმართველობის ნაირსახეობებიდან, სამსახურში მოწყობისა და სამსახურის გავლიდან გამომდინარე, განსხვავდება ერთმანეთი-



საგან, რაც განაპირობებს მოხელის მიერ სამსახურის შემდგომი გავლის მთელ თავისებურებას. ამის მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ სამსახურის გავლის პრინციპი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგად პრინციპებს. სამწუხაროდ, სამსახურის გავლის წესში არსებული ზოგიერთი განსხვავება არ უკავშირდება მხოლოდ სამსახურის გავლის სპეციფიკას. ხშირ შემთხვევაში, ადმინისტრაცია ამ უფლებებს ხელოვნურად უშვებს და არასამართლიანად იყენებს, რის გამოც მოხელეთა სამსახურში მიღება-გათავისუფლება ხდება მიკერძოებულად. ეს ყოველივე უარყოფითად აისახება საჯარო ინსტიტუტებზე, რაც ჩვენი ქვეყნისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

ვფიქრობთ, ამ კუთხით, კარგი იქნება თუ უახლოეს მომავალში, როგორც საკანონმდებლო ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლება მეტად იზრუნებს საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების შერჩევაზე, მათ შენარჩუნებასა და განვითარებაზე. ამისათვის უპირველესად, საჭიროა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც საჯარო მოხელეს სამსახურში მუშაობასთან დაკავშირებით ექნება უფრო მეტი გარანტიები. ასევე, აუცილებელია საჯარო სამსახურების დეპოლიტიზირება და საჯარო მოსამსახურეების მიერ გაწეული სერვისის ამაღლება თანამშრომელთა გადამზადებითა და სწორი მენეჯმენტის მეთოდით. ასევე, მნიშვნელოვანია თანამშრომელთა წახალისების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება და კარიერული განვითარების შესაძლებლობა.

#### შენიშვნები:

- <sup>1</sup> ზურაბ ადეიშვილი, ქეთევან ვარდიაშვილი, ლევან იმორია და სხვები, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 69.
- <sup>2</sup> იქვე, გვ. 70.
- <sup>3</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.
- <sup>4</sup> ზურაბ ადეიშვილი, ქეთევან ვარდიაშვილი, ლევან იმორია და სხვები, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005, გვ. 70.
- <sup>5</sup> იქვე, გვ. 71.
- <sup>6</sup> იქვე, გვ. 72.
- <sup>7</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი.
- <sup>8</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
- <sup>9</sup> [http://opendatablog.wordpress.com/2013/01/17/samsaxuridan\\_migeba\\_gatavisuflebis\\_praqtik/](http://opendatablog.wordpress.com/2013/01/17/samsaxuridan_migeba_gatavisuflebis_praqtik/)
- <sup>10</sup> [http://opendatablog.wordpress.com/2013/01/17/samsaxuridan\\_migeba\\_gatavisuflebis\\_praqtik/](http://opendatablog.wordpress.com/2013/01/17/samsaxuridan_migeba_gatavisuflebis_praqtik/)
- <sup>11</sup> [http://opendatablog.wordpress.com/2013/01/17/samsaxuridan\\_migeba\\_gatavisuflebis\\_praqtik/](http://opendatablog.wordpress.com/2013/01/17/samsaxuridan_migeba_gatavisuflebis_praqtik/)
- <sup>12</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლი.
- <sup>13</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
- <sup>14</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
- <sup>15</sup> ვალერი ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 2005, გვ. 215.
- <sup>16</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 96-ე მუხლი.



# SOME LEGAL ASPECTS OF EMPLOYMENT REGULATION AT PUBLIC SERVICE

ZURAB SEPIASHVILI

*Doctoral Student of the Law Program of the Faculty of Business-Engineering of the Technical University of Georgia*

The article “Some Legal Aspects of Employment Regulation at Public Service” refers to a very topical issue. The research aims at discussing the law on public service and identifying the gaps in this normative act.

The institute of a public office and its qualification is very important for the young country of Georgia. The practice of high turnover of public officers, which has become a regular practice in the country, has a negative impact on the institute of a public officer, also on the quality of provided service. Democratic development is not expressed only in terms of transferring the power through elections; as it is also related to the institutional development of the country, where a public office plays an important role.

There are numerous unregulated issues in the law on Public Service, or they are regulated in a way that the selection and dismissal of public officers is not objective, which is a quite problematic issue.

# ანდერძი, როგორც სამკვიდროს მიღების ერთ-ერთი საშუალება

ეკატერინე ნინუა

სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ადამიანი წლების მანძილზე აგროვებს ქონებას და არ ფიქრობს, თუ როგორ მოიპოვონ ამ ქონებაზე საკუთრების უფლება მისთვის სასურველმა პირებმა, მისი გარდაცვალების შემდეგ. იგი აფასებს რა, იმ ადამიანების უარყოფით და დადებით დამოკიდებულებას მისდამი, ვისთვისაც სურს სამკვიდროს დატოვება და ამას ასახავს ანდერძში.

იურიდიულ ლიტერატურაში ტერმინი „ანდერძი“ ცნობილია სპარსული წარმომავლობით, მაგრამ მისი შინაარსი უფრო ბიზანტიურს წააგავდა. სპარსულ სიტყვას „ანდერზ“, ყველა ლექსიკონი თითქმის ერთნაირად განმარტავს: „ანდარზ-ანდერძი“ სპარსული წარმოშობისაა, ის იგივე მნიშვნელობით გვხვდება ძველი ქართული სამართლის დიალექტებში. ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ანდერძის მნიშვნელობით გამოიყენებოდა ტერმინი „აღთქუმა“, ხოლო „ანდერძი“ შედარებით გვიან იქნა შემოღებული.<sup>1</sup>

აღსანიშნავია, რომ ანდერძის განმარტება გვხვდება ივანე ჯავახიშვილის ნაშრომებშიც. მისი აზრით, „ჩვეულებრივ, განსაცდელის მოლოდინში მყოფისა, ან მომაკვდავის სიტყვიერად თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდგომ ასასრულებლად, განკუთვნილს, უკანასკნელი ნების გამოცხადებას „ანდერძი...“ ეწოდება.<sup>2</sup>

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ანდერძი-მოკუდავი-საგან დარიგება“ (იანდერძა, ნაანდერძევი, საანდერძო, უანდერძა).<sup>3</sup>

ანდერძით მემკვიდრეობის მიღების თავისებურებები სრულყოფილად იყო მოწესრიგებული რომის სამართლით. ულპიანეს სიტყვებით, „ანდერძი არის საზეიმო ვითარებაში ნების სამართლებრივი გამოვლენა, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს ჩვენი სიკვდილის

შემდეგ. “რომაელი იურისტები ანდერძის თავისუფლებას ამყარებდნენ XII ტაბულის დებულებებით. ანდერძით მემკვიდრეობის გადაცემა იყო იმის მაუწყებელი, თუ როგორ ვითარდებოდა კერძო საკუთრება XII ტაბულის ეპოქაში.<sup>4</sup>

რომის სამართალმა სამუდამოდ თქვა უარი კოლექტიურ-გეგმურ თანამშრომლობაზე და აირჩია კერძო საკუთრების გზა, სადაც გაბატონებულია კერძო პირთა ინტერესები.

ანდერძით მემკვიდრეობის მიღებას იცნობს მუსლიმანური სამართალიც და „ყურანი“ მას რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს უთმობს. მაგრამ, რომის სამართლისაგან განსხვავებით, რომელმაც ალიარა ანდერძის თავისუფლების პრინციპი, „ყურანი“ ზღუდავს ანდერძის თავისუფლებას და პრიორიტეტს კანონით მემკვიდრეობას ანიჭებს. მეცნიერთა მოსაზრებებით, ანდერძის თავისუფლებას ეკონომიკური საფუძველი აქვს. იქ, სადაც სუსტადაა განვითარებული კერძო საკუთრება – ეს თავისუფლებაც შეზღუდულია.<sup>5</sup>

ფეოდალური საფრანგეთის სამართლის მიხედვით, XII საუკუნემდე ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ, სამკვიდრო არ გადადიოდა მის მემკვიდრეებზე, არამედ სენიორს-პატრონს უბრუნდებოდა, რომელიც ხელახლა აძლევდა სამკვიდროს მემკვიდრეებს. XII საუკუნიდან შეიცვალა ვაჟიშვილებს შორის სამკვიდრო ქონების თანაბრად გაყოფის უფლება და დადგენილ იქნა, რომ სამკვიდრო გადაეცემოდა მხოლოდ უფროს ვაჟიშვილს, რომელიც უბრუნველყოფდა მონდერძის განკარგულების შესრულებას.<sup>6</sup>

ისტორიული წყაროების თანახმად, ქართული სამართლისათვის ანდერძის ინსტიტუტი სიახლეს არ წარმოადგენს. მან განვითარების ისეთივე გზა განვლო, როგორც ანდერძმა სხვა ქვეყნებში.

დღეს, თანამედროვე მემკვიდრეობითი სამართალი ალიარებს ანდერძის თავისუფლების პრინციპს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის თანახმად, „ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.“

ანდერძის შედგენით მონდერძის ნება გარკვეული მოქმედების შესრულებით მიმართულია სამართლებრივი შედეგის მიღწევისკენ. ანდერძი ცალმხრივი გარიგებაა, ვინაიდან მასში გამოხატულია მხოლოდ მონდერძის ნება და მემკვიდრის თანხმობა საჭირო არ არის. კანონით დადგენილი წესის თანახმად, ანდერძი ძალაში შედის სამკვიდროს გახსნის მომენტიდან, ამიტომ მონდერძეს სამკვიდროს გახსნამდე ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს ანდერძის შინაარსი. მონდერძემ ანდერძი პირადად უნდა შეადგინოს. მისი შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება.

სამოქალაქო კოდექსის 1345-ე მუხლის მიხედვით, მონდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს საკუთარი ნება. თუ მონდერძემ ანდერძის შედგენის შემდეგ დაკარგა ქმედუნარიანობა ის არ გამოიწვევს ანდერძის ბათილობას. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა პერიოდის სამოქალაქო სამართლის კოდექსი არ შეიცავდა საანდერძო ქმედუნარიანობის განმსაზღვრელ სპეციალურ ნორმას. მონდერძის ასაკის განსაზღვრა ხდებოდა ქმედუნარიანობის შესახებ ზოგადი ნორმების შესაბამისად, რაც გარკვეულ გაუგებრობებს იწვევდა. დღეს კი, მოქმედ სამოქალაქო კოდექსში მოცემულია სპეციალური ნორმა, რომელიც ერთი შეხედვით განსაზღვრავს მონდერძის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, თუმცა, აღნიშნული მუხლის დეფინიცია გარკვეულ გაუგებრობას მაინც იწვევს.

სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს. ამ მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ქმედუნარიანობის ლეგალური დეფინიცია, კერძოდ, ქმედუნარიანობა არის ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა

და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. ე.ი. პირის ქმედუნარიანობა განისაზღვრება ასაკით და ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით. კანონმდებელი 18 წლის მიღწევას ქმედუნარიანობას იმიტომ უკავშირებს, რომ ამ ასაკში პირი ფლობს აუცილებელ გონებრივ შესაძლებლობებს და დამოუკიდებლად აცნობიერებს თავისი მოქმედების შედეგს. თუმცა, სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე. სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის მიხედვით, საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი, მაგრამ აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით, გამონაკლის შემთხვევაში, დაქორწინება დაიშვება 16 წლის ასაკიდან მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე. დაქორწინების თანხმობაზე უარის შემთხვევაში, პატივსადები მიზეზის არსებობისას, დასაქორწინებელ პირთა განცხადების საფუძველზე დაქორწინების ნებართვა შეუძლია სასამართლომ გასცეს. კანონით დადგენილი წესით ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან, არასრულწლოვანი 16-18 წლამდე მოიპოვებს სრულ ქმედუნარიანობას და ინარჩუნებს მას საქორწინების შემთხვევაშიც. აქედან გამომდინარე, ყველა სრულწლოვან და იმ არასრულწლოვან პირებს, რომლებმაც კანონით დადგენილი წესით დაქორწინების საფუძველზე მოიპოვეს სრული ქმედუნარიანობა – უფლება აქვთ განახორციელონ კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ქმედება. თუმცა, როგორც პროფესორი შალვა ჩიკვაშვილი აღნიშნავს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის „1345-ე მუხლით მოანდერძის მიმართ წაყენებული მოთხოვნა... „სრულწლოვანი“, „ქმედუნარიანი“ ...დაბუსტებას საჭიროებს. კერძოდ, 1345-ე მუხლში კონკრეტულად უნდა მიეთითოს, რომ კანონით დადგენილი წესით, ქმედუნარიანობა მოპოვებულ არასრულწლოვან პირებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, ვინმესთან შეთანხმების გარეშე, გაასხვისონ მათ საკუთრებაში არსებული ქონება, ე.ი. შეუძლიათ გაყიდონ, გააჩუქონ და რა თქმა უნდა, ანდერძით დაუტოვონ ეს ქონება მათთვის სასურველ პირებს.“<sup>47</sup> ანალოგიურ მოსაზრებას ითვალისწინებს რუსეთის კანონმდებლობა. კერძოდ, მოანდერძე შეიძლება იყოს პირი, რომელმაც მიაღწია კანონით დადგენილ ასაკს (18 წელს, დაქორწინდა 16 წლის ასაკში ან ემანსიპირებულია) და ანდერძის შედგენის დროისათვის არ ითვლება ქმედუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §2229-ის თანახმად, არასრულწლოვანს მხოლოდ 16 წლის ასაკის მიღწევითანავე შეუძლია ანდერძის შედგენა და მას არ ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

გამომდინარე იქიდან, რომ ანდერძი მხოლოდ ერთი პირის ნებას გამოხატავს, კანონით აკრძალულია ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად ანდერძის შედგენა. თუმცა, გამონაკლის შემთხვევაში, მხოლოდ მეუღლეებს შეუძლიათ შეადგინონ ერთობლივი ანდერძი ურთიერთმემკვიდრეობის შესახებ, რომელიც შეიძლება გაუქმდეს ერთ-ერთი მეუღლის მოთხოვნით, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ორივე მეუღლის სიცოცხლეში. ანდერძის შედგენის ანალოგიურ წესს ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §2265-ე პარაგრაფი. საფრანგეთის კანონმდებლობით კი, აკრძალულია როგორც ერთობლივი, ისე ერთმანეთის მიმართ გარკვეული ვალდებულების წარმომშობი ანდერძების შედგენა.

ანდერძის თავისუფლება, რაც მოანდერძის მიერ თავისი შეხედულებისამებრ ქონების თავისუფალ განკარგვაში გამოიხატება, ხომ არ უქმნის საფრთხეს კანონისმიერ მემკვიდრეებს, რომელიც ისტორიულად ყალიბდებოდა, როგორც ადამიანის ბუნებითი უფლებების რეალიზაციის გზა.<sup>48</sup> აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავად ანდერძის თავისუფლებისა, მემკვიდრეული სწორედ, რომ კანონისმიერი მემკვიდრეებისგან ირჩევს ანდერძისმიერ მემკვიდრეებს. „ანდერძისმიერი მემკვიდრეობა, როგორც წესი, საკანონმდებლო ფიქციაა და სავარაუდოა, რომ მეტწილად იგი კანონისმიერი მემკვიდრეობის სუროგატს წარმოადგენს. იგი იშვიათად იჭრება ხოლმე კანონისმიერი მემკვიდრეობის ფარგლებიდან.“<sup>49</sup>



მოანდერძეს შეუძლია ანდერძით განსაზღვროს თითოეული მემკვიდრის წილი სამკვიდროდან. მაგალითად, მიუთითოს ანდერძში, რომ ცოლსა და შვილებს უტოვებს ქონების 2/3, ხოლო – 1/4 დას (უნდა მიეთითოს, რომელ დას, თუ რამდენიმეა) და ა.შ. მოანდერძეს შეუძლია ასევე კონკრეტულად, მიუთითოს, თუ რომელი ქონება (მაგალითად, ცოლსა და შვილებს – საცხოვრებელი სახლი, დას – აგარაკის 1/4 და ავტომობილი) გადაეცეს ანდერძში მოწვეულ ამა თუ იმ მემკვიდრეს. თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მოანდერძემ განსაზღვრა მხოლოდ ერთ-ერთის წილი, სხვების კი, – არა, მაშინ ისინი (ანუ სხვები) წილის გარეთ დარჩენილ ქონებას თანაბრად მიიღებენ.

შესაძლებელია, რომ ანდერძით დანიშნული იყოს რამდენიმე მემკვიდრე და ერთ-ერთი მემკვიდრისათვის განსაზღვრული ქონება მთელს სამკვიდროს მოიცავდეს, მაშინ ყველა ანდერძისმიერმა მემკვიდრემ სამკვიდროდან თანაბარი წილი უნდა მიიღოს.

ანდერძით სამკვიდროს მიღების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მოანდერძის განკარგულებაში თითოეული მემკვიდრის კონკრეტული წილის ოდენობის მითითება, ვინაიდან თუ სამკვიდრებელმა მემკვიდრის პიროვნება განსაზღვრა ისეთი ნიშნებით, რომლებიც რამდენიმე პირს შეიძლება მიუდგეს და შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელი მემკვიდრე ჰყავდა მხედველობაში სამკვიდრებელს, მაშინ ყველა მათგანს ექნება სამკვიდროდან თანაბარი წილის მიღების უფლება.

ქონების იმ ნაწილზე, რომელსაც არ შეხება მოანდერძის განკარგულება, ხორციელდება კანონით მემკვიდრეობა, რომელიც შეეხება იმ კანონით მემკვიდრეებსაც, რომლებსაც ეანდერძათ ქონების ნაწილი, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მაგალითად, თუ კანონით მემკვიდრეები ექვსნი არიან და ერთ-ერთმა მათგანმა მიიღო სამკვიდროს ნახევარი, ეს უკანასკნელი, როგორც კანონით მემკვიდრე, ქონების მეორე ნახევრიდანაც 1/6 მიიღებს.

თუ სამკვიდროს მისაღებად დანიშნულნი არიან მხოლოდ ანდერძისმიერი მემკვიდრეები, მაშინ მათი წილი თანაბომიერად გაიზრდება, თუ თითოეულ მემკვიდრეს ანდერძით განსაზღვრული აქვს თავისი წილი, მაგრამ ყველას წილი არ ამოწურავს სამკვიდროს მთლიანად. აქ იმ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც:

1. სამკვიდროს მისაღებად არიან დანიშნული ანდერძისმიერი მემკვიდრეები და ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონების წილი გადადის კანონით მემკვიდრეებზე;
2. თუ კანონით მემკვიდრეები არ არიან, მაშინ ანდერძით გაუნაწილებელი ქონება თანაბრად გადანაწილდება ანდერძით მემკვიდრეებზე.

სამოქალაქო კოდექსის 1352-ე მუხლის თანახმად, „მოანდერძეს არ შეუძლია ანდერძით დაავალოს სხვა პირს იმის განსაზღვრა, თუ ვინ უნდა მიიღოს წილი სამკვიდროდან და რა რაოდენობით.“

თუ ანდერძით მთელი სამკვიდრო ქონება უნდა მიეღოს მემკვიდრეებს და სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი აღარ არის ერთ-ერთი მათგანი, მაშინ კანონით მემკვიდრეობა არ წარმოიშობა და მის წილ ქონებას თანაბრად გაინაწილებენ ანდერძში მოწვეული სხვა მემკვიდრეები.

თუ მოანდერძეს მიერ მთელი სამკვიდრო ქონება იყო განაწილებული მემკვიდრეთა შორის და ერთ-ერთმა ანდერძით მემკვიდრემ უარი განაცხადა სამკვიდროს მიღებაზე, ისე, რომ არ მიუთითა თუ ვის სასარგებლოდ, მაშინ მისი წილი სამკვიდრო გადავა სხვა ანდერძით მემკვიდრეებზე. აღნიშნული მოსაზრება ემყარება ანდერძის თავისუფლების პრინციპს და მიუთითებს, რომ სამკვიდრებელს არ სურს დაუტოვოს ქონება კანონისმიერ მემკვიდრეებს.

თუ ერთ-ერთი ანდერძისმიერი მემკვიდრის მიმართ ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი, მაშინ იმ მემკვიდრის წილი, რომლის მიმართაც ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი, გადადის კანონით მემკვიდრეებზე.

ანდერძის ობიექტი შეიძლება იყოს მოანდერძის არა მხოლოდ ქონებრივი უფლებებისა და

მოვალეობების ერთობლიობა, არამედ პირადი არაქონებრივი უფლებებიც, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის. მაგალითად, როცა ხდება საწარმოს ან ინტელექტუალური საკუთრების მემკვიდრეობით გადაცემა. მართალია, მოანდერძის მიერ ანდერძით მემკვიდრეებისათვის არ ხდება საავტორო ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების გადაცემა, რადგან მათი დაცვა, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი იურიდიული ფაქტებისა, მოანდერძის გარდაცვალების შემდეგაც ხდება. მოანდერძეს შეუძლია მემკვიდრეებს მის სიცოცხლეში უანდერძოს ხელნაწერი ნაწარმოების გამოცემა, რომლის გამოცემაც მან ვერ მოასწრო. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოცემიდან მემკვიდრეებმა შესაძლებელია ვერ მიიღონ ვერანაირი სარგებელი და ამასთან, მოუწიოთ დიდი ხარჯების გაღება (მცირე ტირაჟით გამოცემის გამო), ისინი მზად არიან შეასრულონ გარდაცვლილი ავტორის ნება.<sup>10</sup>

კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით, იმ პირებს, რომლებმაც მემკვიდრეობით გადადის მამკვიდრებლის უფლებები და მოვალეობები ეწოდებათ უნივერსალური უფლებამონაცვლეები, ხოლო სინგულარული უფლებამონაცვლეები არიან მემკვიდრეები (ლეგატები), რომლებიც სამკვიდრო ქონების მიმართ იძენენ მხოლოდ განსაზღვრულ ქონებრივ უფლებებს.

ანდერძის თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მოანდერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონისმიერ მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული მიუთითოს მოტივის შესახებ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §1938-ე პარაგრაფის თანახმად, ისინი შეიძლება იყვნენ ნათესავები, მეუღლე ან თანაცხოვრების პარტნიორი და მამკვიდრებელმა არ დანიშნოს მემკვიდრე.<sup>11</sup> თუ პირს ანდერძით ჩამოართმეული აქვს მემკვიდრეობის მიღების უფლება, იგი ვერც კანონით მემკვიდრე ვერ იქნება ქონების იმ ნაწილზე, რაც ანდერძში არ შესულა, ასევე მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე.

კანონით ის მემკვიდრეები, რომლებიც მოწვეულნი არ არიან ანდერძით სამკვიდროს მისაღებად, მემკვიდრეობის უფლებას ინარჩუნებენ სამკვიდროს იმ ნაწილზე, რომელსაც არ შეხებია ანდერძი.

თუ სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის ანდერძისმიერი მემკვიდრეები ცოცხლები არ არიან ან ყველა მათგანმა უარი თქვა სამკვიდროს მიღებაზე, მაშინ ზემოაღნიშნული კანონისმიერი მემკვიდრეები აგრეთვე, მიიღებენ ანდერძით გათვალისწინებულ ქონებასაც.

მიგვაჩნია, რომ მემკვიდრეობითსამართლებრივი ნორმები ანდერძით სრულ თავისუფლებას ანიჭებენ მამკვიდრებელს განკარგოს თავისის ქონების სამართლებრივი ბედი იმ დროისათვის, როცა ის არ იქნება ცოცხალი (კონკრეტულად დაასახელოს მემკვიდრე და განსაზღვროს მისი წილი სამკვიდროდან), რათა თავიდან იქნას აცილებული მემკვიდრეებს შორის სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი დავები.

ამდენად, ნაშრომში მოკლედ არის წარმოჩენილი ის ძირითადი თავისებურებები, რაც ანდერძით მემკვიდრეობის მიღებას უკავშირდება.

#### შენიშვნები:

---

- <sup>1</sup> შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2000, გვ. 85.
- <sup>2</sup> ივანე ჯავახიშვილი, თხზულება 12 ტომად, ტომი 7, თბ., 1984, გვ. 421.
- <sup>3</sup> ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი,“ თბ., 1928, გვ. 480.
- <sup>4</sup> Е. А. Скрипилев, Основы Римского Права, М., 1998, С. 188-189.
- <sup>5</sup> შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2000, გვ. 86.
- <sup>6</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, გვ. 163.
- <sup>7</sup> შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2000, გვ. 93.
- <sup>8</sup> შ. ჩიკვაშვილი, მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2000, გვ. 86.
- <sup>9</sup> ბ. ზოიძე, ფეოდალური საქართველოს მემკვიდრეობის სამართალი, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1991.
- <sup>10</sup> Гражданское право, Под ред. А.П.Сергеева, Ю.Н.Толстого, Т.III, изд., „Проспект,“ М., 2006, С. 675.
- <sup>11</sup> Гражданское уложение Германии, изд., „Волтерс Клувер,“ М., 2006.

# THE WILL, AS ONE OF THE MEANS OF RECEIVING THE INHERITANCE

EKATERINE NINUA

*Doctor of Law, Associated Professor*

The research paper was prepared based on the comparative-legal method. It provides a brief overview of historical aspects of the institute of the will and its concept. Special emphasis is laid on the discussion of the principle of freedom of the will. Namely, that the testator should draft the will himself, nominate and determine the share of a particular heir from his legacy. In regards to the research problem, the author points out that the freedom of the will consequently will prevent the heirs from the legacy disputes.





საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია  
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA  
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
THE SUPREME COURT OF GEORGIA  
tel-faxsi/Tel-Fax: (+995 32) 299 70 01



9 771512 259002